პეტროკლეშკული ნაკეთი

ფიზიკოზი

შედგენილი და გამოკეთებული
ნიკოვან-ლიაკვნის რაკურსენ ხუნდაძისგან

ქ. ქუთაისი

სტამბა ლაძარეშიძისა

1887

Дозволено Духовной цензурою. Г. Кутаисъ 20 мая 1887 г.

წინა სიტყვაობა.

საეკლესიო ტიბიკონი არის ერთი იმ საგანთაგანი, რომელიც შესწავლის შემდეგ მალე ავიწყდება კაცს, თუ იგი ხშირად არ სჭირდება მას, ან სჭირდება, მაგრამ ისე სისრულით არა, როგორც თეორიულად ესწავლია. ამიტომ საჭიროა, რომ ტიბიკონის მცოდნე ხშირად კლიროსზე მსახურებდეს და წირვა-ლოცვაში მონაწილეობას იღებდეს. მაგრამ ეს შეუძლიათ მხოლოდ საკრებულო ეკლესიების და მონასტრების კრებულთ, რომელნიც ნიადაგ წირვა-ლოცვაში არიან. ამისთანა ადგილებზე კარგა ხნობით გაწრთვნილ პირთ მართლადაც, თავის დღეში ალარ ავიწყდებათ ტიბიკონი, თუნდაც, რომ თავიანთი წოდებაც დასტოვონ. სამწუხაროდ, მრავალთა სოფლის მღვდელთა (კურთხევამდი) და მედავითნეთა, რომელთა ტიბიკონი შეუსწავლიათ არა პრაკტიკულად, არამედ ზეპირათ, ოვით ტიბიკონის წაუკითხავად და მისი შინაარსის უსაჭიროესი ცნობების შეუთვისებლად, მხოლოდ იმისთვის, რომ კურთხევის, ანუ მედავითნეობის მიღებისათვის «ეკზამენი» დაეჭირათ, შემდეგ წასულან სოფელში დანიშნულებისამებრ,

სადაც ძველად შაბათისა და კვირის გარდა ლოცვის წესები იშვიათად სრულდება და მით მოკლებულნი არიან საფუძვლიან პრაკტიკას, აჰ გვარნი პირნი ერთი წლის შემდეგ უცხონი ხდებიან ტიბიკონის ვითარებისა.

აი ამ უკანასკნელთათვის უველაზე უფრო საჭიროდ დავინახეთ შეგვედგინა სახელმძღვანელო ტიბიკონი და აღგვებეჭდა, რომ ამათ ერთ-ხელ ნასწავლი მუდამ თვალ-წინ ქონოდათ შეგროვილი და გამოკრებილი, რომ დრო და დრო შიგ ჩახედვით განიმტკიცონ მათდამი საჭირო და პირ-და-პირი სათანადო საგანი.

მეორე მიზეზი, რომელმაც აღგვიძრა წადილი ამ გვარის სახელმძღვანელოის შედგენისა ის არის, რომ უმრავლესობას მედავითნეთ განმზადებულთა ამ წიგნის შემწეობით და ცოტა ადენის სხვისის დახმარებით შეუძლიანთ სოფელშივე ისწავლონ ტიბიკონი. რაკი მათ სახელმძღვანელო ხელთ ექმნებათ თავიანთ ოჯახებშივე, უფრო გულ-დასმით და აუჩქარებლად ისწავლიან, რაც ტიბიკონის სწავლაში, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, ერთობ საჭიროა; ისინი ამ გვარის საშვალებით თავისეფალი იქმნებიან მრავალის ცდენისა და ხარჯისაგან.

ესეთი ჩვენი მოსაზრება შეძლებისა და გვარად გავამართლეთ და შედგენილი ჩვენგან მცირედი სახელმძღვანელო ტიბიკონი წარუდგინეთ, კიდევაც მისს ყოვლად უსამღვდელოესობას იმე-

რეთის ეპისკოპოსს გაბრიელს. მან კეთილ ინება მისი გადასინჯვა, არ უთნო ჰყო იგი და გარდასცა გამოწვლილვით განსახილველათ გელათის მონასტრის კრებულს; რა კი კრებულმაც იცნო ყოველივე თანახმად საეკლესიო წეს-კანონებისა და გადმომეცა რვეული კუთვნილებისამებრ, მისი ლოცვა-კურთხევის მიმდები შეუდეგ წიგნის ბეჭდვითი გამოცემას და დღეს ღვთით შევასრულე კიდეც. აწ ვისურვებ ამ წიგნაკისათვის, რომ მრავალთათვის სასარგებლო გამოჩნდეს.

როდესაც გვინდა ამ წიგნის ხელმძღვანელობით შევისწავლოთ ტიბიკონი, ხელთ უნდა გვქონდეს შემდეგი წიგნები: დავითნი, ქებანი, პარაკლიტონი (რვა ხმა), მარხვანი, ზადიკი, საყოველ დდეო «თვენი», *) სადღესასწაულო **) და აღწერილი ტიბიკონისამებრ უნდა ვძებნოთ მოხსენებულ წიგნებში ყველა საჭირო ლოცვები.

*) ჩვეულებრივ სხვა წიგნების ტიბიკონთან ჩვენ საყოველდღეო—«თვენი»-ს ტიბიკონიც აღვსწერეთ, რომელიც, რომელიმე საკრებულო ეკლესიებსა და მონასტრებს გარდა არც მოიპოვება და არც კი ხმარობენ, მაგრამ სულ ამ წიგნის ტიბიკონის გამოტოვება შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ ამ წიგნის ტიბიკონი ყველა წიგნებში ერთვის და ყველგან უჩვენებს ამის ხმარებას. სადაც «თვენი» არ არის იქ, «თვენი»-ს შესახებ რაც არის ტიბიკონში ნათქვამი, ის უნდა გამოვსტოვოთ და დანარჩენი ვიხმაროთ ისე, როგორც არის ნაჩვენები სხვა წიგნებისათვის.

**) სადღესასწაულოც «თვენია», მაგრამ ამ წიგნში არის გამოკრებული მხოლოდ დღესასწაულების მწუხრთა და ცისკართა საგალობელნი და ამიტომ ეწოდება სადღესასწაულო.

ვინც პირველად იწყებს ტიბიკონის სწავლას, ის არ უნდა შეაყენოს უცხო სიტყვებმა, მაგალითებრ, როგორიც არიან შემდგომი: სტიქარონი, ლიტი, ტროპარი, კონდაკი, იკოსი, დასდებელი (დასადებელი, დასამატებელი, შემდგომ წასაკითხავი). აღმოსავლური, სტიხოლოგია (წარდგომა) და სხვა, ესენი არიან მხოლოდ სათაური (заглавіе), ანუ სახელები, იმ საგალობელთა, რომელიც უნდა გამოვარჩიოთ და წავიკითხოთ იმ დროს და იმ წესით, როგორც თვით ტიბიკონი გვიჩვენებს.

ტიბიკონის სწავლის მსურველთათვის მიუცილებელი საჭიროა შეისწავლოს ამ წიგნის: I, II, III, IV, V და VI თავში აღწერილი ტიბიკონი, ისე კარგათ, რომ არავითარს შემთხვევაში ერთი წამიც არ უნდა დასჭირდეს იმის მოსაფიქრებლად თუ, რომელს ადგილს რა არის მღვდლისაგან სათქმელი, მკითხველთაგან წასაკითხავი და რომელს ადგილს რა მოქმედება სწარმოებს. თუ ასე მტკიცედ დაისწავლა ის ზემოთ ნაჩვენები ადგილები, რომელიც მხოლოდ რამოდენიმე ფურცელს შეადგენს, შემდეგ ყოველი დღის ტიბიკონი ადვილი გასაგები იქმნება მათთვის.

მთავარ-დიაკონი რაფდენ სუნდაძე.

თ ა ვ ი I.

შაბათის მწუხრის შესახებ.

რა არის საჭირო, სანამ შაბათის მწუხრის ლოცვას დავიწყებდეთ?

მრევთე ანუ მედავითნე დარეკს პირველად ცალის უდიდესის ზარით, მერმე ყველა ზარებით და შემდგომ შეელენ ეკლესიაში.

ამის შემდეგ როგორ დაიწყება შაბათის მწუხრი?

მღვდელი დაიკიდებს ორარს, დასდგება ამბიონზე და იტყვის: „კურთხეულარს ღმერთი ჩვენი ყოველადვე აწ-და-მარადის და უკუნითი უკუნისამდე.“

რას იტყვის მედავითნე კურთხეულარსის შემდეგ?

მედავითნე დაიწყებს: «ამინ, დიდება შენდა», «მეუფეო ზეცათაო», «წმიდაო ღმერთო» სამ გზის, «ყოველად წმიდაო» და «მამაო ჩვენო».

შემდეგ მღვდელი იტყვის ასამაღლებელს: «რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება» და შემდგომი.

მედავითნე იტყვის: «ამინ», «უფალო, შეგეიწყალენ» 12-გზის, «დიდება», «აწდა», «მოეედით, თაყვანი ესცეთ» 3-გზის და წაიკითხავს მეცხრე ჟამნს: «ეითარ საყვარელ არიან»-ს; «გთნდა უფალო»-ს და შემდგომ «დიდება»-ს «აწდა»-ს 3-გზის ალლილუიათი, «უფალო შეგეიწყალენ» 3-გზის, წაიკითხავს აგრეთვე თეენის რიგის წმიდის ტროპარს, «დიდება»-ს და შემდეგ, უკეთუ აქვს, თეენისაეე მეორე ტროპარს; უკეთუ არ აქვს თეენს მეორე ტროპარი, 3-გზის «უფალო შეგეიწყალე»-ნის შემდეგ ითქმის «დიდება», თეენის ტროპარი და «აწდა», «რომელი ჩვენთვის იშეე ქრისტე ქალწულისაგან» (ჟამნში) *); შემდეგ წაიკითხვის: «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო» და «მამაო ჩვენო».

მღვდელი იტყვის: «რამეთუ შენი არს სუფევა» და შემდგომი.

მედავითნე წაიკითხავს თეენის რიგის წმიდის კონდაკს, იტყვის უფალო შეგეიწყალენს 40-გზის, «რომელი ყოველსა დღესა», «დიდება», «აწდა» «უპატიოსნესსა ქერაბიმთასა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

---

*) უკეთუ რომელსამე შემთხვევაში თეენს სრულიად არ აქვს ტროპარი და კონდაკი, მაშინ უნდა ვიხმაროთ დღის ტროპარი და კონდაკი. მაგალითებრ, შაბათს ალლილუიას შემდეგ «წმიდანო დიდებულნო მოციქულნო», ხოლო მამაო ჩვენოს შემდგომ კონდაკი «წმიდათა თანა განუსვენე», მზგავსად ამისა იხმარება სხვა დღეებშიაც თავ-თავის დღის ტროპარ-კონდაკი «სამგზეფსოს», რომელიც სწერია ჟამნის ბოლოში.

მღვდელი იტყვის: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ» (უკეთუ არს ორი, ანუ სამი მღვდელი ლოცვის მსმენელი, მაშინ ნაცვლად «ღმერთო მიწყალენ ჩვენ»-ისა ითქმის: «ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ»).

მედავითნე წაიკითხავს ვასილი დიდის ლოცვას: «ამინ; მეუფეო უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო»; გაუშვებს ხმას და გაჩერდება.

ამ ვასილი დიდის ლოცვის წაკითხვაში იმოქმედებს მღვდელი რასმე?

ამ დროს მღვდელი ჩაიცვამს ფილონს, გარდმოსწვევს კრეტსაბმელს, გამოვა ჩრდილოეთის კარით, დადგება ამბიონზე და როცა მედავითნე ვასილის ლოცვას დაასრულებს, იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მედავითნე იტყვის: «ამინ. მოვედით, თაყვანი ვსცეთ» ვ-გზის და დაიწყებს პირველ დასაწყის ფსალმუნს «დიდ აკურთხევს». 103 ფს.

ამ დროს მღვდელი დგას ამბიონზე და კითხულობს საიდუმლო ლოცვას მაცხოვრის წინაშე. როცა დაასრულებს «დიდ-აკურთხევ»-ს, მედავითნე იტყვის: «დიდება», «აწდა», «ალლილუია, ალლილუია, ალლილუია, დიდება შენდა, ღმერთო» ვ-გზის და ბოლოს ხმის გაშვებით იტყვის: «დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა».

მღვდელი ანუ მთავარ-დიაკონი ამბიონზე დადგება და იტყვის დიდ კვერექსს.

შემდგომ კვერექსისა მედავითნე წაიკითხავს დავითნის პირველ კანონს: «ნეტარ არს კაცს» სრულიად და მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს.

მკითხველი წაიკითხავს: «უფალო, ღაღად ვყავ»-ს. ამ დროს მღვდელი აკმევს სრულიად ეკლესიაში წესისა მებრ.

«უფალო, ღაღად ვყავ»-ს შემდეგ დასდებლები წაიკითხვის პარაკლიტონისა და (თვენისაგან ათ მუხლად: 3 აღდგომისა და) 4 აღმოსავლური (პარაკლიტონში)(და 3 —თვენის წმიდის; შემდეგ ითქმის «დიდება» და თვენის მუხლი, უკეთუ აქვს თვენს,) მერმე «აწდა» და ღვთის-მშობლისა (რიგის ხმის).(უკეთუ არ აქვს თვენს დიდებას შემდეგ წასაკითხავი დასდებელი, მაშინ)დიდება და აწდას შემდეგ წაიკითხვის ღვთის-მშობლისა პარაკლიტონში.

ამ დროს მღვდელი რას იმოქმედებს?

მღვდელი ამ ნაირათ იმოქმედებს: «დიდება»-ს თქმაში გააღებს სამეუფო კარებს, მობრუნდება და ემთხვევა ტრაპეზს, გამოუძღვება წინ მნათე, ანუ ეკლესიის რომელიმე მსახური სანთლითა, ხოლო დიაკონი სასაკმეველით (უკეთუ არ არის დიაკონი, იმ შემთხვევაში მნათე დაიჭერს სასაკმეველსაც) და გამოვლენ ჩრდილოეთის კარით, მივლენ ამბიონის პირ-და-პირ, დიაკონი უკმევს 3-გზის მაცხოვრის ხატს

და 3-გზის ღეთის-მშობლის ხატს; მერმე მღვდელს აჩვენებს გინგილით წმიდა შესავალს და ეტყვის: «აკურთხე, მეუფეო, წმიდა შესავალი». მღვდელი დასწერს ჯვარს და აკურთხებს შესავალს*). როცა მკითხველი დაამბოლოებს «დასდებელს», დიაკონი იტყვის «სიბრძნით აღემართენი» და შეელენ საკურთხეველში.

მედავითნე წაიკითხავს «ნათელი მხიარულ»-ს.

მღვდელი მობრუნდება დასავლეთის მხრით, დასწერს ჯვარს და იტყვის: «მოხედენ, მშვიდობა ყოველთა» (უკეთუ არის, დიაკონი იტყვის: «სიბრძნით, მოხედენ!»).

მედავითნე წაიკითხავს შაბათის წარდგომას: «უფალი სუფევს შეენიერება»-ს და დაიხშვის საშეუფო კარები.

მღვდელი იტყვის კვერექსს: «ესთქვათ ყოველთა ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა» (ამ კვერექსს დიაკონი იტყვის, უკეთუ არის).

მკითხველი იტყვის: «და ღირს მყენ ჩვენ, უფალო».

მღვდელი (ანუ დიაკონი): «აღვესრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა»; მედავითნე წაიკითხავს «სტიქარონის დასდებლებს» პარაკლიტონში (რიგის ხმისაგან); პირველ მუხლში ჩაურთავს: «უფალი სუფევს შეენიერება»; მეორე მუხლში: «და რამეთუ დაამყარა სოფელი»; მესამე მუხლში: «სახლსა შენსა შვენის სიწმიდე, უფალო». «დიდება», «თვენისა» (თვენის სტიქარონის დიდება), «აწდა», «ღეთისმშობლისა» (პარაკლიტონის ხმის).

*) როდესაც დიაკონი არ არის, მაშინ მარტო მღვდელი შეასრულებს ამ მოქმედებას მხოლოდ მღვდლის საოქმელი სიტყვებით.

(შკეთუ არ აქვს თვენს სტიქარონის დიდება, მაშინ «დიდება» და «აწდა» წაიკითხვის ერთათ და ითქმის «ღეთის-მშობლისა», როგორც ზემოთ ესთქეით. «აწ განმიტევე», «წმიდაო ღმერთო» 3-გზის; «ყოვლად წმიდაო» და «მამაო ჩვენო».

მღედელი იტყვის ასამღლებელს: «რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება» და შემდგომი.

მკითხველი იტყვის: «ამინ» და წაიკითხავს: აღდგომის ტროპარს, დიდებას, (წმიდის ტროპარს (თვენისას) აწდას, ღეთის-მშობლისას აღდომის ხმის ტროპართაგანს (ეს ღეთის მშობლის ტროპარი უნდა გამოვარჩიოთ კვირის რვა ხმათა ტროპრებში იმ თვენის ტროპარის ხმის ჩვენებით, რომელსაც დიდებას შემდეგ წაეიკითხავეთ).)

მღედელი გააღებს სამეუფო კარებს და იტყვის: «სიბრძნით», ხოლო მედავითნე «გვაკურთხენ», და იქმნება ჩამოლოცვა წესისა მებრ მღვდლისაგან, იმ წესით, როგორც მოხსენებულია კონდაკში.

თვენისა და ბარაკლიტონის სამწუხრო დასდებელნი შაბათის მწუხრისათვის სხვაგვარათ შეიცვლებიან, თუ არა?

შეიცვლებიან: ასე რომ, როდესაც დაემთხვევა კვირას რომელიმე დიდის წმიდის, ანუ ღეთის-მშობლის დღესასწაული, მაშინ წაიკითხება 3 მუხლი აღდგომის, 1 აღმოსავლური და 6 დღესასწაულის.

აგრეთვე არის კიდევ თვენის წმიდის მცირე დღესასწაული და როცა ეს მცირე დღესასწაული დაემთხვევა კვირას, მაშინ «უფალო ღაღად - ვყავეზე» დასდებელი წაიკითხება: 3 მუხლი აღდგომის, 3 ალმოსავლური და 4 დღესასწაულის (ამ გვარი დღესასწაულებისათვის ტიბიკონი სწერია დიდ სადღესასწაულოში).

უკეთუ სრულიად არა გვაქვს თვენი, გინა სადღესასწაულო?

მაშინ წაიკითხავთ მხოლოდ პარაკლიტონისაგან, რაოდენიც არის.

თავი II.

კვირის შუა-ღამის ქებნის შესახებ.

რა წესით შესრულდება კვირას შუა-ღამის ლოცვა?

კვირას შუა-ღამის ქებნის სალოცველად შევალს მღვდელი ეკლესიაში, დაიკიდებს ორარს, დასდგება ამბიონზე და იტყვის «კურთხეულ არს».

მკითხველი დაიწყებს: «ამინ. დიდება შენდა» და შემდგომ მამამ ჩვენოსა და ასამაღლებელისა იტყვის «მოვედით, თაყვანი ვსცეთ» 3-გზის და წაიკითხავს «მიწყალეს» (50 ფსალ.) და დაიწყებს სამებიანის საგალობელს (პარაკლიტონისაგან), ჩაურთავს პირველსა და მეორე მუხლში: «ყოველად წმი-

დაო სამებაო, ერთ-არსებაო ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა». მესამესა და მეოთხე მუხლში ჩაურთავს «დიდებას» და «აწდას». მხგავსად ამისა გააწყობს სამებიანისაებ მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშეიდე, მერვე და მეცხრე გალობათა.

გარდა ამისა. არა ფერი განსხვავება არ ხდება ამ საგალობელში და არც სხვა რამ საგალობელი დაერთვის, მხოლოდ მესამე და მეექვსე გალობის შემდეგ წარდგომები არის და იმათ თავზედ ითქმის სამ-სამი უფალო შეგვიწყალენ.

მეცხრე გალობის შემდეგ წაიკითხვის: «ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისა სიტყვასა» მისი შემდგომი მუხლები თურთ *); მერმე «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო» და «მამაო ჩვენო».

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს: «რამეთუ შენი არს სუფევა».

მედავითნე წაიკითხავს «იპაკოს», რომელიც სწერია პარაკლიტონში ანტიფონის თავზედ. შემდეგ ითქმის 40-ჯერ უფალო შეგვიწყალენ, «დიდება», «აწდა», «უპატიოსნესსა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვ. იტყვის: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ». შემდეგ ერის სასმენელათ ამბიონზე მდგომარე წაიკითხავს სამების ლოცვას: «ყოველისა შემძლებელო და

---

*) ეს «ღირს არსი» და შემდეგი მისი მუხლები სწერია პარაკლიტონის ბოლოში და უამნშიაც.

ცხოველს მყოფელო». დაბოლოებს ამ ლოცვას თუ არა, მოაბამს ზედვე ჩამოლოცვას: «დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა» და შემდეგ «მაკურთხენით, მამანო წმიდანო, და შემინდევით» და შემდეგ ამ ლოცვის თითოეულ მუხლში მკითხველი ჩაურთავს «უფალო შეგვიწყალენ»-ს გალობით მოკლედ.

როდესაც მღვდელი დააწვევს ამ ადგილს «მშობელთა ჩვენთა და მოძღვართა და ყოველთა პირველ წარსულთა მამათა და ძმათა», ამ სიტყვებით წაემგზავრება საკურთხეველში, შევა სამხრეთის კარით, ჩაიცვამს ფილონს, მოსწვევს კრეტსამბელს და იტყვის «კურთხეულ არსს».

ამის შემდეგ დაიწყება ცისკარი.

თავი III.

ცისკრის შესახებ.

როგორ დაიწყება შუა-ღამის ქამნის შემდეგ ცისკარი?

შუა-ღამის ლოცვის შემდეგ, როცა მღვდელი იტყვის: «კურთხეულ არსს», მკითხველი იტყვის «მოვედით თაყვანი ვსცეთ» 3-გზის და წაიკითხავს მეცხრამეტე და მეოცე ფსალმუნს «შეისმინე»-ს. მღვდელი აკმევს სრულიად ეკლესიაში და მას მთავარ-დიაკონი წინა უძღვის სანთლითა.

როცა მკითხველი «შეისმინე»-ს დაათავებს, შემდეგ იტყვის: «დიდება»-ს, «აწდა»-ს, «წმიდაო ღმერთოს», «ყოველად წმიდაოს» და «მამაო ჩვენოს».

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს.

მედავითნე წაიკითხავს: «ამინ; აცხოვნე, უფალო, ერი შენი», «დიდება», «რომელი ამაღლდი», «აწდა» და «შესაეედრებელო საშინელო».

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო», თავისი ასამაღლებელით.

მედავითნე იტყვის: «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი: «დიდება წმიდასა და თანაარსსა და ცხოველს-მყოფელსა და განუყოფელსა სამებასა ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მკითხველი იტყვის: «ამინ» და დაიწყებს ექვს ფსალმუნს: «დიდება მაღალთა შინა» 3-გზის, «უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ» 2-გზის; მერმე «უფალო რად განმრავლდეს მაჭირვებელნი ჩემნი» (როდესაც მიაწვეს «დიდება, აწდა და ალლილუია»-მდის მაშინ მღვდელი გამოვა ჩრდილოეთის კარით, დადგება მაცხოვრის ხატის წინაშე და დაასრულებს ცისკრის საიდუმლო ლოცვას); მკითხველი განაგრძობს შეუჩერებლათ იმავე ლოცვის მეორე ნახევარსაც: დასასრულ იტყვის «დიდება» ს, «აწდა»-ს, «ალლილუია»-ს 3-გზის და შეჩერდება.

მღვდელი იტყვის დიდ კვერექსს ასამაღლებელითურთ.

მკითხველი გააწყობს «ღმერთი უფალ»-ს.

«ღმერთი უფალი»-ს შემდეგ წაიკითხავს აღდგომის ხმის ტროპარს, ორ-გზის, «დიდება»-ს, თვენის რიგის წმიდის ტროპარს, «აწდას», «ღვთის-მშობლისას» (რვა ხმათაგან), დიდების შემდეგ წაკითხული ტროპარის ხმის ჩვენებისა მებრ *); «უფალო შეგვიწყალენ» 3-გზის, «დიდება»-ს, «აწდას» და პირველი რიგის კანონ დავითნს: «აღგიარო შენ, უფალო» და დააბოლოებს ალლილუიათი.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს. მკითხველი წაიკითხავს პირველი ფსალმუნების (სტიხოლოგიის) წარდგომას პარაკლიტონიდგან, ჩაურთავს შიგ: «აღზდეგ, უფალო, ღმერთო ჩემო, ამაღლდი ხელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად». მეორე მუხლში ჩაურთავს «დიდებას» და «აწდას» და დასასრულ იტყვის «უფალო, შეგვიწყალენ» 3-გზის, «დიდებას», «აწდას» და წაიკითხავს მეორე რიგის კანონს: «შეგიყვარო შენ, უფალო»-ს. ამის შემდეგ მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს. მკითხველი წაიკითხავს მეორე ფსალმუნების (სტიხოლოგიის) წარდგომას პარაკლიტონში, ჩაურთავს შიგ: «აღგიარო შენ, უფალო, ყოველითა გულითა ჩემითა და მიეუთხრა მე ყოველი საკვირველება შენი», «უფალო შეგვიწყალენ»-ს 3-გზის, «დიდება»-ს, «აწდა»-ს და წაიკითხავს

*) უკეთუ შეხვდება კვირას ორი წმიდის დღესასწაული და ორსავე ექმნება ტროპარი, მაშინ აღდგომის ტროპარის წაკითხვის შემდეგ წავიკითხავთ თვენის პირველ ტროპარს, «დიდებასა», თვენის მეორე ტროპარს და «აწდასა», ღვთის-მშობლისასა» დიდების ტროპარის ხმისაებრ.

დავითნის მეცხრამეტე კანონს*) მხოლოდ ორ ფსალმუნს; «აქებდით და აუარებდით»: (მესამე დავითნის დაწყებისას, გააღებს მღვდელი სამეუფო კარებს, მღვდელი და დიაკონი გამოელენ სამეუფო კარებით და იქნება კმეა ჩვეულებისა მებრ).

მუდმივ ეს ორი ფსალმუნი უნდა კვირას? არავითარი ცვლილება არ ექმნება?

ექმნება მხოლოდ წელიწადში სამ გზის, ესე იგი: უძღების კვირას, ხორციელის კვირას და ყველიერის კვირას მოემატება მესამე ფსალმუნიც: «მდინარეთა ზედა ბაბილონისათა».

შენიშვნები.

რა იგალობების და როგორ მესამე დავითნის შემდეგ, როდესაც არ ერთვის კვირას რომელიმე დიდი წმიდის ანუ ღვთის-მშობლის დღესასწაულთა საგალობელი.

მესამე დავითნის შემდეგ რა წაიკითხვის?

მესამე დავითნს მოეშვის მაშინვე: «კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე

რა იგალობების და როგორ მესამე დავითნის შემდეგ, როდესაც ერთვის კვირას რომელიმე წმიდის ანუ ღვთისმშობლის, სადიდებელიანი დღესასწაული.

რა დროს წაიკითხვის კვირას დამთხვეული დღესასწაულის სადიდებელი და დავითნის წარდგომები?

სადიდებელი და წარდგომები წაიკითხვის შემდგომ ადგილს: როდესაც

*) კვირაობით ზოგჯერ «აქებდით»-ის და «აუარებდით»-ის მაგიერ წაიკითხება კანონი 17: «ნეტარ არიან» (ამის ტიბიკონი დავითნში იქნა).

სიმართლენი შენნი», «გუნ-
დნი ანგელოსთანი განკვი-
რდეს». დასასრულ ითქმის
ალლილუია სამ გზის ჩვეუ-
ლებისა მებრ. მღვდელი
იტყვის მცირე კვერექსს
ასამაღლებელითურთ. მკ-
ითხველი წაიკითხავს «იპა
კოს», რომელიც სწერია
ანტიფონის თავში. შემდეგ
მოაბამს ზედ «ანტიფონს»,
ჩაურთავს თითოეულ მუ-
ხლში «დიდება შენდა,
ღმერთო ჩვენო, დიდება
შენდა», «დიდება», «აწ-
და» და დასასრულებს ხმის
გაშვენებით, რომ მღვდე-
ლი მიხვედეს გათავებას.

მღვდელი იტყვის: «მო-
ხვედენ, სიბრძნით».

მკითხველი წაიკითხავს
წარდგომას, რომელიც
იქვე ანტიფონის ბოლოში
სწერია.

მღვდელი: «უფლისა
მიმართ ვალოცოთ» (მგა-
ლობელნი: «უფალო, შე-
გვიწყალენ»); «რამეთუ
წმიდა ხარ შენ, ღმერთო
ჩვენო».

მკითხველი: «ყოველი
სული აქებდით უფალსა
(2-გზის), აქებდით ღმერთსა
მკითხველი დაასრულებს
2 ფსალმუნს «აქებდით»-ს,
და «აუარებდით»-ს, ამაზე-
დვე მოებმის: «გადიდებთ
შენ, მრავალთა ტანჯვათა-
დამთმენელო, წმიდაო
მოწამეო» (მოწამის სახე-
ლი) ანუ, უკეთუ არს
ღირსთა დღესასწაული:
«გნატრით შენ, ღირსო-
მამაო» (სახელი) 3-გზის
და შემდეგ მი. უკეთუ
არს ღვთის მშობლის დღე-
სასწაული, ითქმის მზგავ-
სადვე.

შემდეგ წაიკითხვის გა-
მოკრებული ფსალმუნი
იმავე წმიდის ანუ ღირსთა
ანუ ღვთის-მშობლის ხვედ-
რი, (სწერია დაეითნის
ბოლოში) ამაზედ მოებ-
მის: «კურთხეულ ხარ შენ,
უფალო, მასწავენ მე სიმა-
რთლენი შენნი» და «გუნ-
დნი ანგელოსთანი გან-
კვირდეს» (სწერია ქებნის
ბოლოში) ალლილუია
თურთ. და შემდეგ ითქმის
კვერექსი მცირე.

ასამაღლებელის შემ-
დგომ წაიკითხვის ხმის «იპა-
კოს» (პარაკლიტონში)
და შემდეგ დამთხვეული

წმიდათა შორის მისთა, აქებდით მას სამყაროთა ძალისა მისისათა; ყოველი სული აქებდით უფალსა».

მღვდელი იტყვის: «ღირს ყოფად, ჩვენდა სმენად წმიდისა სახარებისა» და სხვა. წაიკითხვის სახარება ათერთმეტთაგანი საცისკრო, ტრაპეზზე (წაკითხვის შემდგომ სახარებას გამოასვენებს მღვდელი და დაასვენებს ამბიონის დაბლა გამზადებულ სკამზე, «ანალოეზე», და იქმნება მთხვევა).

შემდგომ სახარებისა მგალობელი იტყვის: «დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა». მკითხველი: «აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ», «მიწყალე» (50 ფსალ.), «დიდება», «მოციქულთა ვედრებითა», «აწდა», «მეოხებითა ღვთისმშობელისათა», «მიწყალე მე, ღმერთო» (მცირე), «და აღსდგა რა იესო» (სწერია ჟამნში რვა ხმათა ბოლოში). მღვდელი იტყვის: «აცხოენე, ღმერთო, ერი შენი».

მგალობელი ანუ მკითხ-

ველი ასწავებს: «ალელუია, ალელუია, ალელუია,

ველი იტყვის 12-ს «უფალო, შეგვიწყალენ»-ს.
მღვდელი იტყვის ასამალლებელს.
მკითხველი დაიწყებს საგალობელს. (ამ დროს მღვდელი დახურავს სამეუფო კარებს *).

რამდენ მუხლად კეთდება კვირას თითოეული საგალობელი, სძლის-პირიდგან სძლის-პირამდის?

საგალობელი კეთდება 14 მუხლად დასაფარებელ სძლის-პირის გარდა.

ჩამომითვალე წლის განმავლობაში ყოველ კვირას სახმარნი დასაფარებელნი სძლის-პირნი (კატავასია), ესე იგი რამდენჯერ გამოიცვლება და სად სწერია იგინი?

კატავასია გამოიცვლება წელიწადში ცხრაჯერ.
1) ყოველთა წმიდათა კვირიაკიდგან დაიწყება «აღაღე პირი ჩემი» და მიიწევის პირველ აგვისტომ-

*) რუსულ ტიბიკონში სწერია: სამეუფო კარები დაიხურება სახარების მთხვევის გათავების შემდგომ (იხილე ტიბიკონი კონსტანტინე ნიკოლსკისა, გამოცემული 1874 წელში). ჩვენში კი ამ ადგილს ხურვენ კარებს, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ.

დის, რომელიც სწერია მეოთხე ხმის პარასკევის ცისკარში (პარაკლიტონში).

2) პირველ აგვისტოდან დაიწყება «ჯვარი დასახა მოსე» და მიიწევის ოცდა ორს სექტემბრამდის, რომელიც სწერია 14 სექტემბერს ცისკარში.

3) 22 სექტემბრიდან დაიწყება ისევ «ალაღე პირი ჩემი» და მიიწევის 21 ნოემბრამდის (ესენი სად სწერია, ზემოთ არის ნაჩვენები).

4) 21 ნოემბრიდან დაიწყება «ქრისტეს შობასა ვადიდებდეთ», და მიიწევის 1-ს იანვრამდის, რომელიც სწერია 25 დეკემბრის ცისკარში.

5) 1 იანვრიდან დაიწყება «ვანაპო სილრმე» და მიიწევის 14 იანვრამდის, რომელიც სწერია 6 იანვარს ცისკარში.

6) 14 იანვრიდან დაიწყება «უქმი ქვეყანა» და მიიწევის 9 ფებერვალამდის, სწერია 2 ფებერვალს.

7) 9 ფებერვლიდან დაიწყება ისევ «ალაღე პირი ჩემი» და მიიწევის მეზვერის და ფარისეველის კვირიაკემდის.

8) მეზვერის და ფარისეველის კვირიდან დაიწყება მარხვანი, და შემდეგ კვირებს თავისი კატავასია აქვს მარხვანშიც.

9) ალდგომიდან დაწყებული ვიდრე ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე კატავასია უნდა ზადიკისა.

არის რაიმე შესამჩნევი განსხვავება კვირის საგალობელში, თუ არა?

შესამჩნევი განსხვავება არის შემდგომი: თითო-

ეულ გალობას აქვს სამ-სამი კანონი: კანონი აღდგომის, ჯვარ-აღდგომის და ყოველად წმიდის ღვთისმშობლის. ამათში ჩასართავენი არიან შემდეგნი:

1) პირველში ჩაერთვის: «დიდება, უფალო, წმიდასა აღდგომასა შენსა».

2) მეორე კანონში ჩაერთვის: «დიდება, უფალო, წმიდასა ჯვარსა და აღდგომასა შენსა».

3) მესამეში: «ყოველად წმიდაო ღვთის-მშობელო, გვაცხოვენ ჩვენ».

როგორ და რამდენ მუხლათ წაიკითხება კვირას თვენის და პარაკლიტონის საგალობელი უდღესასწაულოთ?

დაიწყება პირველი გალობა, გაკეთდება 14 მუხლად, წაიკითხება: ოთხი მუხლი აღდგომისა, 3 ჯვარ – აღდგომისა, 3 ღვთის-მშობლის და 4 თვენის და დაეფარება პირველი რიგის კატავასია.

ამ პირველი გალობის მსგავსად გაიწყობა მესამე გალობაც; დასასრულ დაეფარება მესამე კატავასია.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს.

როგორ და რამდენ მუხლათ გაკეთდება კვირას საგალობელი, რომელსაც დაემთხვევა ღვთისმშობლის გინა დიდი წმიდის დღესასწაული?

დიდი წმიდის დღესასწაულზე წაიკითხვის: კანონი აღდგომისა, მუხლი ოთხი; ჯვარ-აღდგომისა, მუხლი 2; ღვთის-მშობლისა, მუხლი 2, და თვენისა მუხლი 6; კატავასია კვირის რიგისამებრ.

მესამე გალობის შემდგომ წაიკითხვის თვენის კონდაკი და წარდგომა. მეექვსე გალობის შემ-

შემდეგ ამისა წაიკითხვის თვენის კონდაკი და წარდგომა, უკეთუ აქვს.

დაიწყება მეოთხე გალობა და წაიკითხვის 14 მუხლად, როგორც პირველი გალობა, და დაეფარება მეოთხე კატავასია. აგრეთვე მეხუთე და მეექვსე გალობაც წაიკითხვის მსგავსადვე თავისი კატავასიით.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს.

მკითხველი წაიკითხავს კვირის კონდაკს და იკოსს, მოიხსენებს თვენს და სეინაქსარს წაიკითხავს.

დგომ წაიკითხვის ხმის კონდაკი და იკოსი.

მეცხრე გალობაზე იგალობება უპატიოსნესი.

უკეთუ ღვთის-მშობლის დღესასწაულია, მაშინ ითქმის პარაკლიტონიდგან მხოლოდ კანონი აღდგომისა, მუხლი 4, ღვთის-მშობლისა მუხლი 2 და ღვთის-მშობლის დღესასწაულისა, მუხლი 8.

(ამ გვარი დღესასწაულისათვის იძიეთ ტიბიკონი დიდ სადღესასწაულოში).

შემდგომ მესამე გალობისა წაიკითხვის კონდაკი და იკოსი აღდგომის და წარდგომა დღესასწაულისა ორ გზის.

შემდგომ ექვსი გალობისა კონდაკი და იკოსი დღესასწაულისა.

ძიდვე მეშვიდე და მერვე გალობაც წაიკითხვის თავისი დასაფარებლებით და მღვდელი იტყვის: «ღვთის-მშობელსა დედასა ნათლისასა გალობით ვადიდებდეთ» (ამ დროს მღვდელი აკმევს).

მკითხველი წაიკითხავს «ადიდებს სული ჩემი უფალსა» (ჟამნში) თავისი «უპატიოსნესსა». თურთ

და მეცხრე გალობასაც, დააფარებს მეცხრე კატავასიას და შეჩერდება.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს ასამაღლებელი-თურთ.

მკითხველი წაიკითხავს: «წმიდა არს უფალი, ღმერთი ჩვენი» (სამ გზის) და «განმანათლებელს» *) «დიდება»-ს, თვენისას, (თვენის განმანათლებელი) უკეთუ აქვს, «აწდა»-ს, ღვთის-მშობლისას (ხმის); მერმე წაიკითხვის «აქებდით» ჟამნიდგან.

«აქებდით»-ს შემდეგ წაიკითხვის დასდებელი (ხმისა) მუხლი 8, «დიდება», «სახარების გერი», «აწდა», «უმეტესად კუთრხეულ ხარ». ამ დროს მღვდელი გააღებს სამეუფო კარებს და იტყვის: «დიდება შენდა, რომელმან მოგვეფინე ნათელი».

მკითხველი წაიკითხავს «დიდება მაღალთა შინა»-ს გრძლად; შემდეგ იტყვის ე-გზის «წმიდაო ღმერთო»-ს და წაიკითხავს იქვე დაწერილ ტროპარს ხმისამებრ (აქ ორი ტროპარი სწერია, და რომელი რომელ ხმაში წაიკითხოს, იქვე სწერია).

მღვდელი იტყვის: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო», აგრეთვე «აღეუსრულოთ საცისკრო», და იქმნება ჩამოლოცვა. შემდეგ მღვდელი იტყვის «კურთხე-

---

*) განმანათლებელი და საცისკრო სახარების გერი არის 11, რომელნიც ხმიდან არ გამოირჩევიან; ისინი მიყვებიან ათერთმეტ სახარებათა, მაგალითებრ კვირას საცისკრო სახარება რომ წავიკითხოთ 1, და ხმა კი მერვე იყოს, განმანათლებელი და გერი პირველი უნდა, და არა მერვე. ესენი სწერია პარაკლიტონის ბოლოში.

ულარსა», დახშავს სამეუფო კარებს და გაიხდის ფილონს.

მკითხველი დაიწყებს პირველ ჟამნს; ფსალმუნების დასასრულ იტყვის ალლილუიას 3-გზის, უფალო შეგვიწყალენს 3-გზის, აღდგომის ტროპარს, დიდებას, თვენის ტროპარს, «აწდას» და ღვთის-მშობლისას, (რამე სახელ გდვათ შენ, ყოველად წმიდაო ღვთისმშობელო).

მამაო ჩვენოს შემდგომ ითქმის ხმის კონდაკი, «უფალო, შეგვიწყალენ (40-გზის), რომელი ყოველსა დღესა», «დიდება», «აწდა», «უპატიოსნესსა ქერაბიმთასა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი იტყვის: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ», «ქრისტე, ნათელო ჭეშმარიტო».

მკითხველი წაიკითხავს: «ზესთა მბრძოლისა ჩემისა».

მღვდელი: «დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო», და იქმნება მცირე ჩამოლოცვა.

თავი IV.

შვიდეული დღეების მწუხრისათვის.

როგორ დაიწყება მწუხრი კვირა საღამოს?

კვირას მწუხრისათვის შევლენ მღვდელი და დიაკონი ეკკლესიაში, მღვდელი დაიკიდებს ორარს, დადგება ამბიონზე და იტყვის «კურთხეულ არს».

მკითხველი დაიწყებს ჩვეულებისამებრ: «ამინ. დიდება შენდა», «მეუფეო ზეცათაო», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო» და «მამაო ჩვენო».

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს: «რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება».

მკითხველი: 12-გზის უფალო შეგვიწყალენს, დიდებას, აწდას, მოვედით, თაყვანის ვსცეთ (3-გზის) და წაიკითხავს მეცხრე ჟამნს ჩვეულებისა მებრ; ალლილუიას შემდეგ ითქმის აღდგომის ტროპარი (გარდა კვირის მწუხრისა თვენის წმიდის ტროპარ-კონდაკი უნდა.), დიდება, თვენის ტროპარი, უკეთუ აქვს, და აწდა ღვთის-მშობლისა, ჟამნობის (რომელი ჩვენთვის იშვე); «წმიდაო ღმერთო» და «მამაო ჩვენო»-ს შემდეგ წაიკითხვის აღდგომის კონდაკი, ითქმის «უფალო, შეგვიწყალენ» (40 გზ.), «რომელი ყოველსა დღესა», «უპატრონესსა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი იტყვის: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ»-და შემდეგ მკითხველი დაიწყებს: «ამინ. მეუფეო, უფალო იესო ქრისტე». როცა მკითხველი ამ ლოცვას გაათავებს, მღვდელი იტყვის «კურთხეულ არს»-ს.

მკითხველი წაიკითხავს პირველ დასაწყის ფსალმუნს: «აკურთხევს სული ჩემი უფალსა» ალლილუიათურთ.

მღვდელი იტყვის დიდ კვერექსს.

კვირას მწუხრში დავითნი წაიკითხება, თუ არა?

კვირას მწუხრში დავითნი არ უნდა, მაგრამ, თუ როდისმე ორშაბათს ემთხვევა რომელიმე წმიდის ანუ ღვთის-მშობლის სადიდებელიანი დღესასწაული და აქვს გამოსლვა, მაშინ წაიკითხება პირველი კანონი, «ნეტარ არს კაცი», ერთი აღსავალი (ერთი დიდება) მხოლოდ, ითქმის კვერექსი მცირე და შემდეგ წაიკითხვის «უფალო, ღაღად ეყავ» (ქამნში). უკეთუ არ არის ამ გვარი დღესასწაული, მაშინ დიდი კვერექსის შემდეგ მაშინვე წაიკითხვის «უფალო ღაღად ეყავ». «უფალო, ღაღადეყავს» შემდეგ დასდებელი წაიკითხვის ექვს მუხლად: სამი მუხლი პარაკლიტონისაგან პირველი დასდებლის და სამი თვენის წმიდის; «დიდება», თვენის, უკეთუ აქვს, «აწდა,» ღვთის-მშობლისა (პარაკლიტონიდგან).

როდესაც თვენი არა გვაქვს, მაშინ წაიკითხავთ მხოლოდ პარაკლიტონიდგან ექვს მუხლს *), «დიდება»-ს «აწდა»ს და ღვთის-მშობლისას, იქვე. ამაზე მოებმის «ნათელი მხიარული» და ამით დავასრულებთ.

მღვდელი დასაელეოისაკენ მხედველი იტყვის: «მოხედენ! მშვიდობა ყოველთა, სიბრძნით», და დასახავს ჯვარს.

---

*) შკიდეულში პარაკლიტონს ყოველ მწუხრში ექვს-ექვსი მუხლი დასდებელი აქვს. როდესაც თვენს გხმარობთ, მაშინ პარაკლიტონის სამი უკანასკნელი მუხლი დარჩება. და წაიკითხება მხოლოდ პარაკლიტონის სამი პირველი მუხლი და სამი თვენის.

მკითხველი წაკითხავს დღის წარდგომას, რომელიც სწერია ჟამშნი (უველა დღეების წარდგომები ერთად სწერია «ნათელი მხიარულის» ბოლოში. ამაზე მობმით წაიკითხვის. «დალირსმყენ ჩვენ, უფალო, მწუხრსა ამას».

მღედელი გამოვა, დადგება ამბიონზე და იტყვის: «აღეუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა».

ამას შემდეგ წაიკითხება სტიქარონი პარაკლიტონისაგან, რომელშიაც ჩაერთვის: «შენდამი აღვიხილენ თვალნი ჩემნი».

მეორე მუხლში ჩაერთვის: «მიწყალენ ჩვენ, უფალო, მიწყალენ ჩვენ», ითქმის «დიდება» და წაიკითხება თვენის სტიქარონის დიდებად წერებული დასდებელი, უკეთუ აქვს; უკეთუ არ აქვს თვენს, «დიდება», «აწდა» და ღვთის-მშობლისა პარაკლიტონში.

მერმე ითქმის: «აწ განმიტევე», «წმიდაო ღმერთო», «ჯოელად წმიდაო» და «მამაო ჩვენო».

მღვდელი იტყვის ასამღლებელს: «ამეთუ შენი არს სუფევა» და სხვა.

მკითხველი წაიკითხავს თვენის წმიდის ტროპარს (აწ განმიტევეს შემდეგ მომავალი დღის თვენის ტროპარები ითქმის), «დიდება»-ს, მეორე წმიდის ტროპარს, უკეთუ აქვს, «აწდა»-ს და ღვთის-მშობლისას. ხმის ჩვენებისა მებრ მეორე წმიდის ტროპარისა.

უკეთუ არ აქვს თვენს მეორე ტროპარი, მაშინ ითქმის «დიდება» და «აწდა» ერთად და წაიკითხავთ ღვთის-მშობლის ტრო-

პარს *) ხმის ჩვენებისა მებრ თვენის ტროპარისა (რომელ თვენის ტროპარსაც დიდებას შემდეგ ვიტყვით, იმ ტროპრის ხმიდგან უნდა გამოვარჩიოთ აწდას შემდეგ წასაკითხავი ღვთის-მშობლისა. დღის შეთანხმებით). მღვდელი იტყვის: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო» და სხვა. შკანასკნელ ჩამოიღლოცავს ჩვეულებისა მებრ და იქმნება მწუხრის განტევება.

თავი V.

შვიდეული ღღეების შუაღამის ქამნის ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

როგორ აღვასრულებთ შუაღამის ქამნის შედეგს ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს?

შუაღამის ქამნი დაიწყება შემდეგის წესით: მღვდელი შეეალს ეკლესიაში, დადგება ამბიონზე დაიკიდებს ორარს და იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მკითხველი მიუგებს: «ამინ. დიდება შენდა,

---

*) ღვთის-მშობლის რვა ხმათა ტროპრები, შვიდეულ დღეებში სახმარნი, სწერია ყამნის ბოლოში; ისინი იხმარებიან «აწ განმიტევეს» და «ღმერთი უფალის» შემდეგ თვენის ტროპრებთან, აწდას შემდეგ.

ღმერთო», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», და «მამაო ჩვენო».

მღვდელი იტყვის: «რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება» და სხვა.

მკითხველი: 12 გზ. «უფალო შეგვიწყალენ»-ს, «დიდება», «აწდა», «მოვედით, თაყვანი ვსცეთ» (3-გზის), «მიწყალე (50 ფსალ.) სრულიად და დაიწყებს «ნეტარ არიან»-ს (მე-17 კანონს) და წაიკითხავს სრულიად თავისი დიდება და აწდათი (ქამნში სწერია).*) უკანასკნელ ითქმის «მრწამს»-ი სრულად, «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», და «მამაო ჩვენო».

მღვდელი: «რამეთუ შენი არს სუფევა».

მკითხველი: «აჰა ესერა სიძე მოვალს შუალამესა», «დიდება», «დღესა მას საშინელსა სასჯელისასა», «აწდა», «შენ გევედრები, ღვთის მშობელო», «უფალო შეგვიწყალენ» (40-გზის), «რომელი ყოველსა დღესა», «უფალო შეგვიწყალენ» (3-გზის), «დიდება», «აწდა», «უპატიოსნესსა ქერუბიმთასა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი იტყვის: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ» (უკეთუ არს დიდი მარხვა, აქ მღვდელი იტყვის «უფალო და მეუფეო»ს, ჩვეულებისა მებრ); შემდეგ ამისა ითქმის: «ამინ. მეუფეო,

---

*) ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს დაიწყება შუალამის უამნი «ნეტარ არიანით», ხოლო შაბათს „შენ გშვენის გალობა, ღმერთო, სიონს» (კანონი მეცხრე).

ღმერთო, მამაო, ყოვლისა მპყრობელო» *), «მოვედით, თაყვანი ვსცეთ» (3-გზის) «აღვიხილენ თვალნი ჩემნი მთათა, ვინა მოვიდეს», «წმიდაო ღმერთო», ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო».

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს.

მკი-ლი: «მოიხსენე, უფალო, ვითარცა სახიერ ხარ», «რომელი სიღრმითა მით», «დიდება», «წმიდათა თანა განუსვენე», «აწდა», «გნატრის შენ ყოველი თესლები», «უფალო შეგვიწყალენ» (12-გზის) და ლოცვა «მოიხსენე, უფალო, სასოებითა აღდგომისა და ცხოვრებისა საუკუნოისათა», «სასოება ჩემდა მამა, შესაევედრებელად ჩემდა ძე», «სამებაო წმიდაო, დიდება შენდა» (უკეთუ არს დიდი მარხვა, აქ მოებმის «მიწყალენ ჩვენ, უფალო, შეგვიწყალენ ჩვენ», «დიდება», «უფალო შეგვიწყალენ ჩვენ», «აწდა», «მოწყალებისა კარი განგვიღე». მღვდელი იტყვის: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო», «მერმეცა გევედრებით, რათა დაიცვას უფალმან ღმერთმან ჩვენმან წმიდა ესე ეკლესია», და სხვა. მკითხველი იტყვის 40-გზის უფალო შეგვიწყალენ; მღვდელი: «შეისმინე ჩვენი, ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო»; მერმე ითქმის ასამაღლებელი: «რამეთუ მოწყალე და კაცთ-მოყვარე

---

*) «ამინ, მეუფეო»-ს შემდეგ ითქმის: უფალო, ყოვლისა მპყრობელო, მეუფეო ძალთაო», და დასასრულ «მოვედით, თაყვანი ვსცეთ»; ეს ლოცვა უნდა 22-ის სეპტემბრიდგან ბზობის კვირიაკემდის, რომელიმე დამოხვეულის საღიდებელიანი დღესასწაულისა ანუ წინა დღესასწაულს და შემდგომ დღესასწაულს გარდა.

ღმერთი ხარ». შემდეგ ჩამოიღლოცავს: «ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან», «მაკურთხენით, მამანო წმიდანო», და შემდგომი. და იქმნება ჩამოლოცვა. მღვდელი იტყვის: «კურთხეულ არს»-ს და დაიწყება ცისკარი წმიდაო ღმერთოდან, ესე იგი «შეისმინე»).—შკეთუ არ არის დიდ-მარხვა, «მიწყალენ ჩვენ, უფალო, შეგვიწყალენ ჩვენ» და შემდგომი მუხლები არ ითქმის, არამედ ლოცვის «სასოება ჩემდა მამა»-ს შემდეგ იტყვის მღვდელი: «დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა».

მკითხველი: «დიდება», «აწდა», უფალო შეგვიწყალენ (3 გზის) და «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი: «მაკურთხენით, მამანო წმიდანო» და შემდგომი, და იქმნება ჩამოლოცვა წესისამებრ. შემდეგ დაიწყება ცისკარი «შეისმინე» (მოვედით, თაყვანი ვსცეთ»-იდგან).

შაბათის შუაღამის ჟამნის შესასებ.

რა განსხვავება აქვს შაბათს შუა ღამის ჟამნში სხვა დღეებისაგან?

შაბათს შუა ღამის ჟამნის დაწყება სხვა დღეების მსგავსად იქმნება, მხოლოდ ნაცვლად «ნეტარ არიანისა» ითქმის «შენ გშვენის გალობა, ღმერთო, სიონს», (კანონი მეცხრე) და შემდგომი წესისამებრ (ჟამნიდგან).

შემდგომ პირველი «წმიდაო ღმერთოსა» და

«მამაო ჩვენო»-სა ითქმის: «დაუბადებელო ბუნებაო», «დიდება», «ხეცისა ძალთა მიმხგავსებული», «აწდა», «ცხედრისაგან და ძილისაგან», «უფალო, შეგვიწყალენ» (40-გზის) და შემდგომი, როგორც შაბათის შუა-ღამის ქამნისათვის მოხსენებულია ქამნში (შაბათს «მიწყალენ ჩვენ, უფალო», შემდგომი მუხლები და «უფალო და მეუფეო» არ უნდა).

თავი VI.

შვიდეული დღეების ცისკრის შესახებ.

როგორ იგალობება ცისკარი შუა-ღამის ქამნის შემდეგ?

შუა-ღამის ქამნის ჩამოლოცვის შემდეგ მღვდელი იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მკითხველი დაიწყებს: «ამინ. მოვედით, თაყვანი ვსცეთ» 3-გზის (უკეთუ არს დიდ-მარხვა, წმიდაო ღმერთოდან დაიწყება) და წაიკითხავს მეკხრამეტე და მეოცე ფსალმუნს (შეისმინენ შენი უფალმან დღესა), იტყვის: «დიდება», «აწდა», «წმიდაო ღმერთო» «ყოველად წმიდაო» და «მამაო ჩვენო» ს.

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს.

მკითხველი: «ამინ. აცხოვნე, უფალო, ერი შენი», «დიდება», «რომელი ამაღლდი», «აწდა», «შესაევედრებელო საშინელო».

მღვდელი იტყვის: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო» და შემდგომი.

წაიკითხვის ექვსი ფსალმუნი ჩვეულებისამებრ; შემდგომ ექვსი ფსალმუნისა მღვდელი იტყვის დიდ კვერექსს, და შემდგომ ასამაღლებელისა, მკითხველი წაიკითხავს «ღმერთი უფალს» და ტროპარებს: თვენის რიგის წმიდისას ორ გზის, «დიდება»-ს, თვენის მეორე ტროპარს, უკეთუ აქვს, «აწდა»-ს ღვთისმშობლისას, მეორე ტროპარის ხმის ჩვენებით. უკეთუ არა აქვს თვენს მეორე ტროპარი, «დიდება» და «აწდა»-ს შემდეგ წაიკითხვის ღვთის-მშობლისა, თვენის პირველი ტროპარის ხმისამებრ, «უფალო, შეგვიწყალენ» 3-გზის, «დიდება», «აწდა» და წაიკითხვის პირველი რიგის კანონი (უკეთუ თვენს სრულიად არ აქვს ტროპარი, მაშინ წაიკითხვის ტროპარი შვიდეული დღისა და მისივე ღვთის-მშობლისა, რომელსაც ეწოდება სამგზეფსო და სწერია ქამენის ბოლოში). შემდგომ პირველი ფსალმუნებისა წაიკითხვის პირველი სტიხოლოგიის წარდგომა პარაკლიტონში (შვიდეულში მცირე კვერექსები არ უნდა დაეითნებზე თვინიერ შაბათისა ანუ რომელიმე დამთხვეულის დღესასწაულისა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შვიდეული დღეების დავითნის სტიხოლოგიაში ჩასართავნი იხმარებიან შემდგომნი: ორშაბათს და სამშაბათს პირველი ფსალმუნების შემდეგ წარდგომაში იოქმის: „უფალო, ნუ გულის-წყრომითა შენითა მამხილებ მე და ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე“.—მეორე ფსალმუნების წარდგომაში: «მიწყალე მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ, განმკურნე მე».—ოთხშაბათსა და პარასკევს, პირველი ფსალმუნების შემდგომ წარდგომაში: „აღამაღლებდით უფალსა, ღმერთსა ჩვენსა, და თაყვანი-სცემდით კვარცხლ-ბეკსა ფერხთა მისთასა,

რამეთუ წმიდა არს“.—მეორე ფსალმუნების წარდგომაში: „ხოლო ღმერთმან, მეუფემან, ჩვენმან წინა საუკუნეთამან შეჰქმნა ცხოვრება შორის ქვეყანისა“.—ხუთშაბათს პირველი ფსალმუნების წარდგომაში: «ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი«.—მეორე ფსალმუნების წარდგომაში: «ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო.—შაბათს პირველი ფსალმუნების წარდგომაში: „საკვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა, ღმერთი ისრაილისა“.—მეორე: „წმიდათა, რომელნი არიან ქვეყანასა მისსა, საკვირველ ჰყო უფალმან ყოველივე ნება მისი მათ შორის».—მეორე ფსალმუნების წარდგომაში: «ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე, უფალო».—მეორე: „სულმან მათმან კეთილთა შინა განისვენოს (შაბათს თითო ფსალმუნების წარდგომაში ორ-ორი ჩასართავი უნდა).

შემდგომ მეორე რიგის კანონისა წაიკითხვის მეორე ფსალმუნების «სტიხოლოგია» პარაკლიტონშიევე; ითქმის «მიწყალე» (50 ფსალმუნი) და დაიწყება უმცირესი (უგალობდით უფალსა), წაიკითხება უმცირესი ცხრაევე გალობა თავი და ბოლო ყველა წითლურები. შუაში კი შავი წასაკითხაევები დაიტოვება. ხსნილში უმცირესი ამ გვარად იხმარება ყოველთვის შვიდეულ დღეებში. არ წაიკითხება უმცირესი მხოლოდ მაშინ, როდესაც რომელიმე წმიდის ანუ სხვა დღესასწაული გაჩერებს პარაკლიტონის საგალობელს; ანუ როდესაც დღესასწაულს აქვს «დიდება მაღალი» გრძლად. აგრეთვე წინა დღესასწაულსა და შემდგომ დღესასწაულებში; ამის შემდეგ დაიწყება საგალობელი.

რამდენ მუხლად კეთდება შვიდეულში საგალობელი?

საგალობელი კეთდება შვიდეულში 14 მუხლად თვენითურთ: მაგალითებრ, ორშაბათს პირველი გალობა წაიკითხვის: 6 მუხ. სინანულის, 4 მთავარ-ანგელოზის და 4 თვენის წმიდის. (უკეთუ თვენის წმიდის დღესასწაული გალობს ექვს მუხლად, მაშინ დაეტოვებთ პარაკლიტონიდგან სინანულის ვალობაში ორს მოწამეთა მუხლს და დანარჩენი წაიკითხვის შემდგომის წესით: 4 მუხლი სინანულის, 4 მთავარ-ანგელოზის, ანუ წინა-მორბედის დღისამებრ, და 6 თვენის წმიდის).

როდესაც შვიდეულში დაემთხვევა რომელიმე დიდი წმიდის სადიდებელიანი დღესასწაული, მაშინ რა წესით კეთდება საგალობელი?

მაშინ პარაკლიტონი სრულიად დადგება და პარაკლიტონის ნაცვლად სადღესასწაულოში იქმნება წასაკითხავი იმავე დღესასწაულის ცისკარში ღვთის-მშობლის საგალობელი და წავიკითხავთ შემდგომის წესით:

ვალობა ღვთის-მშობლისა სძლის პირით, მუხ. 6 და წმიდის დღესასწაულისა, მუხლი 8 (უმცირესი ამ გვარ დღეებზედაც დადგება).

როდესაც თვენი სრულიად არა გვაქვს, მაშინ რამდენ მუხლად წაიკითხება საგალობელი შვიდეულში პარაკლიტონ-დგან?

მაშინ საგალობელი წაიკითხება 10 მუხლად: 6 სინანულის, და 4 მთავარ-ანგელოზის (ანუ სხვა, ღისამებრ).

ზემორე ჩვენების მზგავსადვე ეაკეთებთ მესამე გალობასაც და დავაფარებთ მესამე სძლის-პირს.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს.

მკითხველი წაიკითხავს თვენის მეორე კონდაკს და თვენის წარდგომას, უკეთუ აქვს, უკეთუ არ აქვს თვენს მეოთხე გალობაზე წარდგომა, მაშინ წაიკითხავს მესამე დავითნის წარდგომას, პარაკლიტონში.

პირველი და მესამე გალობის მსგავსად გააწყობს და წაიკითხავს: მეოთხე, მეხუთე და მეექვსე გალობასაც და დააფარებს მეექვსე სძლის-პირს.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს.

მკითხველი წაიკითხავს თვენის წმიდის კონდაკს (თუ აქვს, იკოსსაც), მოიხსენებს თვენს და წაიკითხავს თვის სვინაკსარს.

მეშვიდე და მერვე გალობებსაც ზემო თქმისამებრ წაიკითხავს და როცა მეცხრე გალობაზე დავა, დააფარებს მერვე გალობას.

მღვდელი იტვის: «ღვთის-მშობელსა დედასა ნათლისასა გალობით ვადიდებდეთ».

მკითხველი გააწყობს და წაიკითხავს «ადიდებს

სული ჩემი უფალსა» თავისი «უპატიოსნესით», წაიკითხავს მეცხრე გალობასაც სხვა გალობის მსგავსად, უკანასკნელ დააფარებს მეცხრე სძლიან-პირს და იტყვის «ღირს არს ჰეშმარიტად».

მღვდელი იტყვის მცირე კერექსს.

მკითხველი წაიკითხავს შვიდეულის განმანათლებელს პარაკლიტონიდგან, «დიდება»-ს წმიდისას, უკეთუ აქვს, «აწდა»-ს და «ღვთის-მშობლისა»-ს; შემდეგ ითქმის «ყოველი სული აქებდით უფალსა» (ქამნიდგან).

აქებდის შემდეგ წაიკითხება დასდებელი თვენის, უკეთუ აქვს (პარაკლიტონში გარდა შაბათისა და კვირისა არა აქვს აქებდითის დასდებელი).

შემდგომ ითქმის: «შენდა დიდება შვენის, ქრისტე ღმერთო ჩვენო», და «დიდება მაღალი», მცირე (ქამნში). (უკეთუ აქვს აქებდის დასდებელი, «შენდა დიდება შვენის» არ უნდა).

მღვდელი იტყვის: «აღვუსრულოთ საცისკროვედრება ჩვენი უფალსა».

მკითხველი წაიკითხავს აღვიესენითის დასდებელს, ჩაურთავს შიგ «აღვიესენით ჩვენ ცისკარსა» და შემდგომს. მეორე მუხლში ჩაურთავს «და იყავ ნათელ უფლისა ღვთისა ჩვენისა», «დიდება», «აწდა» და «კეთილ არს აღსარება», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო» და «მამაო ჩვენო».

მღვდელი: «რამეთუ შენი არს სუფევა».

მკითხველი წაიკითხავს თვენის ტროპარს ერთ ბზის, დიდებას, თვენისავე მეორე ტროპარს, უკეთუ

აქვს; უკეთუ არ აქვს მეორე ტროპარი, დიდებას და აწდას შემდეგ წაიკითხავს ღვთის-მშობლისას (რომელსაც უწერია «ცისკრად კეთილ არსზედ»).

მღვდელი იტყვის: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა». დასასრულ ჩამოიკლოკავს მღვდელი მცირედ და მკითხველი დაიწყებს პირველ ქამნს («სიტყვანს»); შემდგომ ალლილუიასა წაიკითხვის, თვენის ტროპარი, მამაო ჩვენოს შემდეგ კონდაკი თვენისაევ და შემდგომი ჩვეულებისამებრ და განტევება.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: შვიდეული დღეები ითელება შემდეგ წმიდათა სახელობაზე:

ორშაბათი არის დდე მთავარ-ანგელოზისა,

სამშაბათი არის იოანნე ნათლის-მცემელისა,

ოთხშაბათი და პარასკევი—ჯვარისა,

ხუთშაბათი—მოციქულთა და წმ. ნიკოლაოზისა,

და შაბათი—ყოველთა წმიდათა და სულისა.

ამ გარემოებით, ორშაბათს წაიკითხება საგალობელი სინანულის და მთავარ-ანგელოზის, სამშაბათს,—სინანულის და წინამორბედის,

ოთხშაბათს და პარასკევს—ჯვარის და ჯვარ ღვთის-მშობლის,

ხუთშაბათს—მოციქულთა და წმიდის ნიკოლაოზის.

შაბათს—ყოველთა წმიდათა და სულისა. ამ ზემო დაწერილი კვირის მწუხრის და ორშაბათის ცისკრის მსგავსად ილოცება მწუხრი და ცისკარი სხვა შვიდეულ დღეებშიაც.

ხუთშაბათის საგალობელთათვის ტიბიკონი გვაუწყებს შემდგომს: როდესაც თვენის საგალობელი 6 მუხლად უჩენს, მაშინ საგალობელი კეთდება შემდგომის წესით: გალობა მოციქულთა სძლის-პირითა და ღვთის-მშობლის მუხლითა მუხლი 5, წმიდის ნიკოლაოზისა მუხლი 3, და თვენის წმიდისა მუხლი 6.

გარდა ამისა, უკეთუ არის ორის წმიდისა, მაშინ წაიკითხება მოციქულის საგალობელი, მუხლი 6, და ორივე წმიდის გალობათაგან მუხლი 8 (ესე იგი თითოეული გალობა კეთდება 14 მუხლად).

თ ა ვ ი VII.

მეზვერისა ⸗ ფარისეველის კვირიაკის მწუხრის ⸗ ცისკრის შესახებ.

როგორ იგალობება მწუხრი მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკის წინა დღეს, შაბათს?

შაბათს მწუხრის დაწყება და ყოველი წესი იქმნება ჩვეულებისამებრ. უფალო ღაღად ეყაეს შემდეგ პარაკლიტონში მდგომარე ხმის, და მარხვნის დასდებელს წაეიკითხაეთ 10 მუხლად. წაიკითხვის აღდგომისა მუხლი 3, ალმოსაელური მუხლი 4, და მარხვნის თვით-ხმოვანი მუხლი 3. (ორი მუხლი სწერია და სამ მუხლად წაეიკითხაეთ), «დიდება» მარხვნის («ღმერთო, ყოველისა მპყრობელო»,) «აწდა», ღვთის-მშობლის, პარაკლიტონის ხმისამებრ, შესლეა და შემდგომი წესისაებრ.

რა წესით წაიკითხვის სტიქარონი?

სტიქარონსა ზედა დასდებელს წავიკითხავთ აღდგომის ხმისა, რომელშიდაც ჩაერთვის: «უფალი სუფევს შეენიერება», წესისამებრ; შემდეგ «დიდება», მარხენის, («დამძიმდეს ბრალთა ჩემთა მიერ»), «აწდა», ღვთის-მშობლისა: «ტაძარი ხარ ბჟე და პალატი», (სწერია პარაკლიტონში მეხუთე ხმაში, სტიქარონის აწდად).

შემდგომ «აწ განმიტევესა» და «მამაო ჩვენო» წაიკითხვის ტროპარი აღდგომის ხმისა, «დიდება», «აწდა» და ღვთის-მშობლისა იმავე ტროპარის ხმის.

მღვდელი იტყვის: «სიბრძნით», და იქნება ჩამოლოცვა და განტევება.

როდის წაიკითხვის ამ დღეს დამთხვეული წმიდის სამწუხრო დასდებელი ⁄ საცისკრო საგალობელი?

ამ დღეს დამთხვეული წმიდის სამწუხრო დასდებელი და საცისკრო საგალობელი არ იგალობება, რომელიმე ⁄ დიდი წმიდისა, მირქმის დღესასწაულისა და ტაძრის წმიდის გარდა *), არამედ წავიკითხავთ წინათვე პარასკევს სერობაზე და ანუ როდესაც ნებავს უპირატესს.

---

*) როგორც მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკეს, აგრეთვე ამ დღიდამ შემდეგ კვირებსაც არ იგალობება თვენის წმიდის საგალობელი ვიდრე ყოველთა წმიდათა კვირიაკედმდე.

როგორ ვილოცავთ შუა-ლამის ქამნს და ცისკარს ამავე კვირას?

შუა-ლამის ქამნი და სამებიანი იგალობება კვირის ჩვეულებისამებრ, როგორც ზემოთ აეხსენით, კვირის ცისკრის დასაწყისს (იხ. თ. II), ხოლო ცისკარიც ისე ილოცება, როგორც მესამე თავშია მოხსენებული.

ღმერთი უფალის შემდეგ წაიკითხვის ტროპარი აღდგომის (2-ზის), «დიდება», «აწდა» და ღეთისმშობლისა მისივე ხმის.

ფსალმუნების შემდგომ წარდგომებს ვიტყვით პარაკლიტონის ხმისას დამთხვეულის ხმისამებრ.

შემდგომ «ნეტარ არიან»-ისა წაიკითხვის ტროპარნი: «გუნდნი ანგელოსთანი», იპაკო, აღსავალნი და წარდგომა მდგომარე ხმისა. სახარება აღდგომის რიგისა, «აღდგომა ქრისტესი», «მიწყალე» (50 ფს.) «დიდება», «მსწრაფლ განუხვევ სინანულისა ბჭენი», «აწდა», «ცხოვრებისა გზასა შეცდომილმან», «მიწყალე» (მცირე) და «მრავალთა ცოდვათა ჩემ მიერ ქმნილთა».

მღვდელი იტყვის: «აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი». შემდგომ ასამაღლებელისა დაიწყებთ საგალობელს.

როგორ გაიწყობა საგალობელი პარაკლიტონისა და მარხვნისაგან?

საგალობელს ეაკეთებთ 14 მუხლად. იგალო-

ბება: 4 აღდგომის, 2 ჯვარ აღდგომის, 2 ღვთისმშობლის (პარაკლიტონიდგან) და 6 მარხვნის; კატავასია «აღალე პირი ჩემი» ჩვეულებისაებრ რიგზე.

შემდგომ მესამე გალობისა წაიკითხვის წარდგომა მარხვნისა, შემდგომ მეექვსე გალობისა კონდაკი და იკოსი მარხვნისავე; შემდგომ მეცხრე გალობისა— «წმიდა არს უფალი, ღმერთი ჩვენი», და «განმანათლებელი» აღდგომისა; «დიდება», მარხვნისა, «მაღალ-მეტყველებასა ფარისეველისასა ეველტოდეთ», «აწდა» მარხვნისავე (მემოქმედმან და დამბადებელმან ღმერთმან»).

აქებდითსა-ზედა დასდებელს წაიკითხავთ 8 მუხლად: პარაკლიტონის ხმის მუხლი 4, და მარხვნის მუხლი 4 (პირველი «ნუმცა ვილოცავთ ფარისეველებრ», მეორე «ფარისეველი ზვაობისაგან მწარისა», რომელიც სწერია შაბათის მწუხრში უფალო ღაღად ეუაეის დასდებლად, და ორი მუხლი კიდევ მარხვნისა თვისის ჩასართავით, რომელნიც სწერია აქებდითის დასდებლად), «დიდება», მარხვნისავე «საქმეთა სიქადულისა მიერ», «აწდა», «უმეტესად კურთხეულ ხარ»; «დიდება მაღალი» გრძლად, ტროპარი კვირის ჩვეულებისაებრ, კვერექსი «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო» და განტევება.

შემდეგ «დიდება», «აწდა», საცისკრო გერი სახარებისა *) და ქამნი პირველი. პირველ ქამნზე

*) სახარების გერი, მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკიდგან ვიდრე უოველთა წმიდათა კვირიაკემდე, წაიკითხება დიდება მაღალის და ჩამოლოცვის შემდეგ, და შემდეგ დაიწყება პირველი ქამნი.

ალლილუიას შემდეგ ტროპარი აღდგომის, ხოლო მამაო ჩვენოს შემდეგ კონდაკი მარხვნის და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

შესლვად წირვაზე, შემდგომ «მოვედით, თაყვანი ვსცეთ»-სა: აღდგომის ტროპარი, ტაძრის ტროპარი, დიდება, მარხვნის კონდაკი, აწდა და ღვთისმშობლის ეკლესიის კონდაკი. უკეთუ არის წმიდის ეკლესია, დიდებად ითქმის ეკლესიის წმიდის კონდაკი და აწდა მარხვნის (ფარისეველის კვირის).

თავი VIII.

უძღებისა და ხორციელის კვირიაკეთა მწუხრთა და ცისკართა შესახებ.

როდესაც ხვალ უძღების კვირიაკე არის, დღეს როგორ გაიწყობა უფალო ღაღად ვუავსა-ზედა დასდებელი მწუხრად პარაკლიტონისა და მარხვნისაგან?

უფალო ღაღად ვყავსა-ზედა დასდებელთა წაიკითხავთ 10 მუხლად პარაკლიტონისაგან: აღდგომის მუხლი 3, აღმოსავლური მუხლი 3 და მარხვნის მუხლი 4 (ორი მუხლი სწერია პარხვანში და ორი კი გზის წიგნიკითხვის), «დიდება», მარხვნისა («ჯი მე რაოდენთა კეთილთაგან დავაკლე თავი ჩემი»), «აწდა», ღვთის მშობლისა პარაკლიტონის; შესლვა სასაკმეველითა, «ნათელი მხიარული», წარდგომა «უფალი სუფევს შეენიერება» და შემდგომი ჩვეულებისაებრ.

შემდეგ წაიკითხვის სტიქარონსა-ზედა დასდებელი რეა ხმათა პარაკლიტონისაგან, ჩვეულებისა-მებრ, «დიდება», «მარხვნისა» («მამული სიმდიდრე განვაბნიე უძღებმან»), და «აწდა», ღვთის-მშობლისა: «შემოქმედი და მხსნელი ჩემი ქრისტე უფალი», (სწერია შაბათის მწუხრში პარაკლიტონის მეექვსე ხმაში სტიქარონის აწდად), ამის შემდეგ ითქმის: «აწ განმიტევე», «წმიდაო ღმერთო», «ყოვლად წმიდაო», «მამაო ჩვენო» და შემდეგ ასამაღლებელისა ტროპარი აღდგომის, «დიდება», «აწდა», ღვთის-მშობლისა იმავე ხმის; «სიბრძნით» და განტევება.

როგორ ვილოცავთ ხორციელის შაბათს სალამოს მწუხრს?

ვილოცავთ უძღების-კვირის მსგავსად; უფალო ღაღად-ვყავსა ზედა დასდებელი წაიკითხვის 10 მუხლად: აღდგომისა მუხლი 3, აღმოსავლური—3 და მარხვნის მუხლი 4; «დიდება», მარხვნისა («რაჟამს დაიდგნენ საყდარნი»), «აწდა», ღვთის-მშობლისა ხმისამებრ, შესლვა და შემდგომი ჩვეულებისა-მებრ.

შემდეგ წაიკითხვის სტიქარონსა-ზედა დასდებელი რეა ხმათა ჩვეულებრივი ჩასართავით, «დიდება», მარხვნისა (ვაი ჩემდა დაბნელებულო სულო), «აწდა», ღვთის-მშობლისა «უსძლოო ქალწულო», (სწერია პარაკლიტონში შაბათის მწუხრის სტიქარონის აწდათ, ხმა 8); «აწ განმიტევე» და შემდგომი...

შემდგომ მამაო ჩვენოსა წაიკითხვის აღდგომის ტროპარი, «დიდება», «აწდა», ღვთის-მშობლისა მისიეე; «სიბრძნით» და იქმნება ჩამოლოცვა.

როგორ ვილოცავთ უძღების ანუ ხორციელის კვირიაკის ცისკარს?

ამ ორი კვირიაკის ცისკარს ვილოცავთ კვირის ჩვეულებისამებრ, ხოლო როდესაც მღვდელი იტყვის ექვსი ფსალმუნის შემდეგ დიდ კვერექსს, მკითხველი გააწყობს ღმერთი უფალს, და მას ზედა წაიკითხავს აღდგომის ტროპარს ორ გზის, «დიდება»-ს, «აწდა»-ს და ღვთის-მშობლისას (მისიეე ხმისას).

ფსალმუნების შემდეგ წაიკითხვის წარდგომა პარაკლიტონის ხმის (ნეტარ არიანის ნაცელად წაიკითხება დავითნის მეცხრამეტე კანონი. უძღების, ხორციელის და ყველიერის კვირას მოემატება მესამე ფსალმუნიც: «მდინარეთა ზედა ბაბილონისათა», როგორც მოხსენებულია მესამე თაეში).

შემდეგ ითქმის აღსავალნი და წარდგომა ხმისა, «ყოველი სული» და სახარება რიგისა ათერთმეტთაგანი. შემდგომ სახარებისა ვიტყვით: «აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ», «მიწყალე» (50 ფსალმუნი), «დიდება», «მსწრაფლ განუხვენ», «აწდა», «ცხოერებისა გზასა შეცდომილმან», «მიწყალე», (მცირე), «მრავალთა ცოდვათა ჩემ მიერ ქმნილთა».

მღვდელი იტყვის «აცხოვნესა» და დაიწყება საგალობელი.

როგორ გავაწყობთ საგალობელს პარაკლიტონის და მარხვნისაგან უძღებისა კვირას?

ბავაწყობთ შემდგომის წესით: აღდგომის კანონი სძლის პირით, მუხლი 4; ჯვარ აღდგომისა მუხლი 2; ღვთის-მშობლისა მუხლი 2, და მარხვანისა მუხლი 6; კატავასია მარხვანისა (შემდგომი განაჩენი მარხვანშიე ნახეთ ამავე დღეს).

როგორ გაიწყობა საგალობელი ხორციელის კვირიაკისა?

ხორციელის კვირის საგალობელს აქეს განსხვაუება, და იგალობება შემდგომის წესით: კანონი აღდგომისა მუხლი 4, ღვთის-მშობლისა მუხლი 2 და მარხვნისა მუხლი 8; კატავასია მარხვნისა.

შემდგომ მესამე გალობისა წაიკითხვის წარდგომა მარხვნისა; შემდგომ მეექვსე გალობისა კონდაკი და იკოსი მარხვნისა; შემდგომ მეცხრე გალობისა—«წმიდა არს უფალი, ღმერთი ჩვენი» და «განმანათლებელი» აღდგომისა (სახარების ანგარიშისამებრ), «დიდება», მარხვნისა «აწდა», ღვთის-მშობლისა მარხვანშიე; აქებდითსა-ზედა დასდებელი ხმისა: აღდგომისა მუხლი 4, ალმოსავლური მუხლი 1, და მარხვნისა, რაოდენიცა აქეს, თეისის ჩასართავით, «დიდება», მარხვნისა, «აწდა», «უმეტესად კურთხეულ ხარ», «დიდება მაღალი», გრძლად, შემდგომ ითქმის ტროპარი აღდგომისა, (ერთი ორთაგანი), ხმისამებრ, (რომელიც დიდება მაღალის ბოლოში სწერია), კვერექსი «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო» და შემდგომი; ჩამო-

ლოცეის შემდეგ «დიდება», «აწდა», გერი სახარებისა და ქამნი პირველი; პირველ ქამნზე ალლილუიას შემდეგ წაიკითხეის ტროპარი აღდგომისა, მამაო ჩვენოს შემდეგ კონდაკი მარხვნისა და შემდგომი ჩვეულებისამებრ და განტევება.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: ხორციელის და უკუღიერის შვიდეულში უმტირესი არ იგალობების.

ხორციელის შაბათისათვის.

ხორციელის შაბათს აღვასრულებთ მიცვალებულთა ხსენებას.

როგორ ვილოცავთ ხორციელის შაბათის წინადღეს, პარასკევის მწუხრს?

პარასკევს მწუხრის ლოცვა აღესრულება ჩვეულებისამებრ, ვიდრე «უფალო ღაღადეყავსა»-ზედა დასდებელთა წაკითხვამდე.

უფალო ღაღადეყასა-ზედა დასდებლები წაიკითხეის 6 მუხლად: პარაკლიტონისაგან მდგომარე ხმისა მუხლი 3, (პარასკევის მწუხრისა მოწამეთა) და მარხვნისა მუხლი 3, დიდება, მარხვნისა, აწდა და ღვთის მშობლისა (პარაკლიტონის ხმისაგან), ითქმის «ნათელი მხიარული», წარდგომის ნაცვლად ეიტყვით: «ალლილუია, ალლილუია, ალლილუია», «ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე, უფალო», «ალლილუია» 3-გზის, და სახსენებელი მათი თესლითი თესლადმდე; «ალლილუია» 3-გზის;

«სულმან მათმან კეთილთა შინა განისვენოს».

შემდეგ ამისა: «და ღირს მყვენ ჩვენ, უფალო, მწუხრსა ამას».

მღვდელი იტყვის: «აღვუსრულოთ საშუხრო ვედრება ჩვენი უფალსა».

სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის რვა ხმათა, ჩვეულებისამებრ. ჩაურთავთ შიგ: «ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე, უფალო»; მეორე მუხლში: «და სახსენებელი მათი თესლითი თესლადმდე»; მესამე მუხლში: «სულმან მათმან კეთილთა შინა განისვენოს»; «დიდება», მიცვალებულისა («დასაბამ დაარსება ჩემდა იქმნა»), «აწდ:», ღვთის-მშობლისა (მარხვანშიევ); «აწ განმიტევე», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო». შემდგომ «მამაო ჩვენოსა» ტროპარნი: «რომელი სიღრმითა მით», «დიდება და აწდა», «შენ ხარ ჭეშმარიტ ჩვენი», «ყველა ქმნილი» და განტევება ჩვეულებისამებრ მწუხრისა.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: სორტიელის შაბათს, მწუსრად და ცისკრად თვენის წმიდისა არა რა იგალობება.

მწუხრის განტევების შემდგომ ვყოფთ დიდ პანაშვიდს («კარის ბჭეში») და მოვიხსენებთ საუკუნიდგან გარდაცვალებულთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა წესისაებრ, როგორც მოხსენებულია კურთხევანში დიდი პანაშვიდისათვის.

როგორ ვილოცავთ ხორციელის შაბათის ცისკარსზ

ხორციელის შაბათის ცისკარი ილოცება ჩვეუ-

ლებისამებრ სხვათა შაბათთა 6 ფსალმუნის დასრულებამდე.

დიდი კვერექსის შემდგომ ვიტყვით ღმერთი უფალის ნაცვლად: «ალლილუია, ალლილუია, ალლილუია»; «ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე, უფალო». «ალლილუია, 3-გზის; დასახსენებელი მათი თესლითი თესლადმდე»; «ალლილუია»; 3-გზის, «სულმან მათმან კეთილთა შინა განისვენოს». შემდეგ ამისა ტროპარი: «რომელი სილრმითა მით», «დიდება», იგივე («რომელი სილრმითა მით») «აწდა», ღვთის-მშობლისა (შენ ხარ ზღუდე ჩვენი); «უფალო, შეგვიწყალენ» 3-გზის, და დავითნი წაიკითხვის რიგისა, კანონი 16. შემდგომ პირველი ფსალმუნებისა ითქმის კვერექსი მცირე და წაიკითხვის წარდგომა ხმისა; შემდგომ დავიწყებთ ნეტარ არიანს (კანონი 17) და წავიკითხავთ ორ სასვენათ; ასე რომ, როდესაც დავაწვეთ ამ ადგილს: «შენი ვარ, მაცხოვნე მე», ვიტყვით «ალლილუიას» 3-გზის, და «დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა» (სადაც დიდება და აწდა უწერია, იქ ალლილუია არ უნდა); მღვდელი ნეტარ არიანის კითხვაში ჩაიცვამს ფილონს და ალლილუიას შემდეგ გააღებს სამეუფო კარებს, მიიღებს სასაკმეველეს და ტრაპეზის წინაშე იტყვის მიცვალებულთა კვერექსს; კვერექსში მოიხსენებს ყოველს გარდაცვალებულს მართლ-მადიდებელ ქრისტიანეს.

როდესაც მღვდელი საიდუმლოდ «ღმერთო სულთაო და ყოველთა ხორციელთაო»-ს ლოცულობს, მკითხველი ამ დროს იტყვის 40-გზის უფალო

შეგვიწყალ ენს; მღვდელი იტყვის ასამაღლებელს («რა-
მეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება») და მოიხ-
სენებს მიცვალებულთა; ამის შემდეგ წაიკითხვეთ
დანარჩენს ნეტარ არიანს (შენი ვარ, მაცხოვნე მე)
და შემდგომი. დაეაბოლოოებთ თუ არა, ზედვე მოვაბამთ
მიცვალებულთა ტროპრებს («კრებულმან წმიდათამან
პოვა წყარო ცხოვრებისა». *) ამ ტროპრებში ჩაერ-
თვის: «კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე
სიმართლენი შენი». ამ ტროპართა შემდეგ ვიტყვით
«ალლილუია»-ს 3-გზის და «დიდება შენდა, ღმერთო
ჩვენო, დიდება შენდა». ითქმის კვერექსი მიცვალე-
ბულთა («როგორც «ნეტარიანნ»ის საშუალ ესთქვით);
შემდგომ ასამაღლებელისა წარდგომა მარხვნიდგან
(«განუსვენე, მაცხოვარო ჩვენო»), «დიდება», «აწდა»,
ღვთის-მშობლისა, («რომელი ქალწულისაგან აღმო-
ბრწყინდი); «მიწყალე» (50 ფსალ.); წაიკითხვის
უმცირესი ხსნილისაებრ და შემდეგ დაიწყება საგალო-
ბელი.

რამდენ მუხლად ვაკეთებთ საგალობელს და რომელი წიგნიდგან?

საგალობელს ვაკეთებთ 14 მუხლად; იგალობე-
ბა კანონი ტაძრის წმიდისა **) მუხლი 6 და მარხვნიდ-
გან მუხლი 8; კატავასია მარხვნისა (ამ დღეს ერთ-

*) ამ დროს მღვდელი აკმევს სრულიად ეკკლესიაში.

**) ტაძრის წმიდის კანონი ეწოდება იმ დღესასწაულის
საგალობელს, რომელი წმიდის სახელზედაც აშენებული არის.

ეის მეორე გალობაც «იხილეთ, იხილეთ» და წაიკითხეის შემდეგ პირველი გალობისა). შემდგომ მესამე გალობისა წარდგომა მარხენისა; შემდგომ მეექვსე გალობისა კერექსი მიცვალებულთა (იმ წესით, როგორც ზემოთა ესთქვეთ); კონდაკი და იკოსი მიცვალებულთა (მარხვანშიუე), შემდგომ მეცხრე გალობისა განმანათლებელი მარხენისა.

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხეის მარხენისა, თავის დიდება დაიწყეთი და ითქმის «დიდება მალალი» მცირე.

«აღვიესენით»-სა ზედა დასდებელი წაიკითხეის შაბათისა, ხმისა მის მდგომარისა, «დიდება», მარხენისა («მწუხარე იქმნა ადამ»), «აწდა» და ღვთის-მშობლისა მარხვანშიეე.

ამის შემდეგ ითქმის «კეთილ არს აღსარება», მერმე: «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», და შემდეგ «მამაო ჩვენოსა» ტროპარი «რომელი სილრმითა მით», «დიდება და აწდა», «შენ ხარ ზღუდე ჩვენი», კერექსი «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო», და ქამნი პირველი ჩვეულებისამებრ და განტევება.

წირვაში «ნეტარ იყვნენის» შემდეგ წაიკითხეის გალობა მე-3 და მე-6, მუხლი 8.

ეკლესია, და რომელს ეკლესიაშიაც ვლოცულობთ, იმ ეკლესიის საგალობელი უნდა ამ დღეს ექვსი მუხლი. უკეთუ მაცხოვრის-ანუ ღვთის-მშობლის ეკლესიაში არ ვლოცულობთ, სხვა რომელიმე წმიდის ეკლესიაში ტაძრის საგალობელი უნდა ოთხ მუხლად.

შემდგომ შესელისა ტროპარი: «რომელი სილრმითა შით», «დიდება», «წმიდათა თანა განუსვენე» და «ალდა» («შენ ხარ ღუდე ჩვენი და ნაეთ-საყუდელი»).

ხორციელის კვირის მწუხრი.

რა-იგალობება ხორციელის კვირას მწუხრზე მარხვნიდგან?

ხორციელის კვირას მწუხრად იგალობება მხოლოდ სტიქარონი მარხვნისა, ხოლო სტიქარონი პარაკლიტონის ხმისა ალარ უნდა. დანამთენი ყოველივე წესი ლოცვისა იქმნება პარაკლიტონისა და თვენისაგან, ეითარცა არის ჩვეულება.

თავი IX.

ცისკართა და მწუსრთა შესახებ ყველიერის ორშაბათიდგან დაწყებული ვიდრე დიდ-მარხვის ორშაბათამდე.

ყველიერის ორშაბათის და სამშაბათის ცისკარს აქვს რაიმე განსხვავება ხსნილის სადაგი დღეების ცისკრისაგან?

ვიდრე მეორე რიგის კანონი დავითნისა წაიკითხებოდეს, არავითარი განსხვავება არ აქვს და იგალობება ყოველი წესი ისე, როგორც მოხსენებულია ზემოთ, მეხუთე და მეექვსე თაეში.

შემდგომ პირველი ფსალმუნებისა წარდგომასა წაიკითხავთ რვა ხმათაგან დამთხვეულის ხმისამებრ.

შემდგომ მეორე ფსალმუნებისა წაიკითხვის წარდგომა მარხვნისა; შემდგომ ამისა ითქმის მიწყალე (50 ფსალ.) და დაიწყება საგალობელი.

რამდენ მუხლად ვაკეთებთ საგალობელს ორშაბათს და სამშაბათს იქ, სადაც არ ემთხვევა სამსაგალობელი მარხვნისა?

სადაც არ ემთხვევა სამსაგალობელი, საგალობელს ვაკეთებთ 14 მუხლად შემდგომის წესით: წაიკითხება 6 მუხლი სინანულისა, 4 მთავარ-ანგელოზისა და 4 თვენის წმიდისა.

(უკეთუ არა გვაქვს თვენი, მაშინ საგალობელი კეთდება 10 მუხლად: 6 მუხლი სინანულისა მოწამეთა მუხლებით და 4 მთავარ-ანგელოსისა.)

სად და რომელ გალობაზე დახვდება ორშაბათს მარხვნის სამსაგალობელი ვარაკლიტონის და თვენის გალობებს?

ორშაბათს დახვდება სამსაგალობელი მარხვნისა პირველს, მერვეს და მეცხრე გალობაზე.

რამდენ მუხლად კეთდება სამსაგალობელთან საგალობელი?

სამსაგალობელთან საგალობელი კეთდება 14 მუხლად: წაიკითხება 6 მუხლი თვენისა და რვა მუხ-

ლი მარხვნის სამსაგალობელისა, ხოლო საგალობელი 8 ხმათა დაიტოვება, შაგალითებრთ: ორშაბათს 1-ლი, მე-8 ⁄ მე-9 გალობა პარაკლიტონისა დაიტოვება, რადგან ამ ადგილებზე ხვდებიან სამსაგალობლები, და დანარჩენი გალობანი იგალობებიან ჩვეულებისამებრ, როგორც ზემოთ აღვსენით, იქ, სადაც არ ემთხვევა სამსაგალობელი. შემდგომ მესამე გალობისა წაიკითხვის მეორე კონდაკი და წარდგომა თვენისა, უკეთუ აქვს; უკეთუ არა აქვს თვენს წარდგომა და მეორე კონდაკი, მაშინ წაიკითხავთ დღის კონდაკს (სამზეფსოს) და აგრეთვე მესამე სტიხოლოგიის, დარჩენილ წარდგომას, პარაკლიტონიდგან მხოლოდ ორს უკანასკნელ მუხლებს.

შემდგომ მეექვსე გალობისა წაიკითხვის კონდაკი თვენის წმიდისა; უკეთუ არა აქვს თვენს სრულიად კონდაკი, მაშინ წაიკითხავთ დღის კონდაკს (ამ გვარ შემთხვევაში მესამე გალობის შემდეგ დღის კონდაკს ალარ წაიკითხავთ). შემდგომ მეცხრე გალობისა წაიკითხვის განმანათლებელი რვა ხმათა (პარაკლიტონიდგან); «დიდება», თვენისა, უკეთუ აქვს; უკეთუ არ აქვს—«დიდება», «აწდა» და ღვთის-მშობლისა; «აქებდით» (ჯამნიდგან), «შენდა დიდება შვენის», «დიდება მაღალი» (მცირე), მღვდელი იტყვის: «აღვუსრულოთ ვედრება ჩვენი», და შემდგომი.

შემდეგ წაიკითხვის აღვიარებითსა ზედა დასდებელი მარხვნისა; გავაორებთ პირველ დასდებელს, ჩაერთვის შიგ «აღვიარებით ჩვენ ცისკარსა» და შემდგომი,- «დიდება», «აწდა», ღვთის-მშობლისა (იქვე); «კეთილ არს აღსარება», შემდგომ მამაო ჩვენოსა

ტროპარი წმიდისა ჩვეულებისამებრ, კვერექსი და იქმნება განტევება, და წაიკითხვის ჟამნი პირველი.

რომელსა და რომელ (პარაკლიტონის და თვენის) გალობას შეხვდება მარხვნის სამსაგალობელი საზოგადოთ?

მარხვნის სამსაგალობელი შეხვდება: ორშაბათს 1-ს, მე 8-ს და მე-9 გალობას;

სამშაბათს: მე-2, მე 8-ს და მე 9 გალობას; (მეორე გალობა მხოლოდ მარხვანში აქვს სამშაბათებს; პარაკლიტონსა და თვენში არცერთ დღეს არა აქვს).

ოთხშაბათს: მე 3-ს, მე 8-ს და მე 9-ს.

ხუთშაბათს: მე 4-ს, მე 8-ს და მე 9-ს.

პარასკევს: მე 5-ს, მე 8-ს და მე 9-ს.

შაბათს: მე 6-ს, მე 7-ს, მე 8-ს და 9-ს. *) (შაბათის საგალობელს ეწოდება ოთხ-საგალობელი, რადგან ოთხი გალობა აქვს).

როგორ იგალობება მწუხრი უველიერის ორშაბათს და სამშაბათს?

მწუხრი იქმნება ჩვეულებისამებრ, მხოლოდ სტიქარონი წაიკითხება მარხვნისა, როგორც ორშაბათს, აგრეთვე სამშაბათსაც; მაგრამ სამშაბათის

*) დიდი-მარხვის დღეებსაც ისე და იმავე გალობებზე შეხვდება სამსაგალობელი, როგორც აქ ავწერეთ.

მწუხრს შემდგომ «აწ განმიტევესა» აქვს შემდეგი ცვლილება: «აწ განმიტევეს» შემდეგ «მამაო ჩვენოზედ» წაიკითხვის ტროპარნი მარხვისა: «ღვთის-მშობელო ქალწულო», «დიდება», «ნათლის მცემელო ქრისტესო», «აწდა», «მეოხ გვეყენით ჩვენ, წმინდანო მოციქულნო» და «მოწყალებასა შენსა მოეიელტვით»; «უფალო, შეგვიწყალენ» (40-გზის), «დიდება» და «აწდა», «უპატიოსნესსა ქერაბიმთასა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი იტყვის: «რომელი კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი ჩვენი», «ზეცათა მეუფეო, მოარწმუნე ხელმწიფე ჩვენი განაძლიერე», «უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩვენისაო», ჩვეულებრივის მეტანიითა.

მკითხველი იტყვის: «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო», და შემდგომ ასა მაღლებელისა «უფალო შეგვიწყალენ» (12-გზის)

მღვდელი იტყვის: «დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა».

მკითხველი: «დიდება», «აწდა», «უფალო, შეგვიწყალენ» (3-გზის) და იქმნება განტევება ჩვეულებისამებრ.

სერობა ითქმის დიდი: შემდგომ ღირს არსის ტროპარი ღლისა და ტაძრისა და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

ყველიერის ოთხშაბათისათვის.

როგორ ვილოცავთ ყველიერის ოთხშაბათს, როგორც შუალამის ჟამნს, აგრეთვე ცისკარსაც?

ყველიერის ოთხშაბათს და პარასკევს შუალამის ჟამნი აღესრულება ჩვეულებისამებრ, და მასზედ ითქმის «უფალო და მეუფეო» (ლოცვა ეფრემისა) წესისამებრ დიდი მარხვისა.

ამ ორი დღის ცისკრად ყოველი წესი იქმნება ჩვეულებისამებრ სხვა შვიდეული დღეებისა ვიდრე ექვსი ფსალმუნის დასრულებამდე.

შემდგომ დიდი კვერექსისა ვიტყვით ნაცელად «ღმერთი უფალი»-სა «ალლილუიას» (3-გზის), «ღამითგან აღიმსთობს სული ჩემი შენდამი, ღმერთო, რამეთუ ნათელარიან ბრძანებანი შენნი»; «ალლილუია» (3-გზის), «ისწავლეთ სიმართლე მკვიდრთა ქვეყანისათა»; ალლილუია (3-გზის), «შურმან შეიპყრას ერი უსწაველელი და ცცხლმან შესჭამნეს წინააღმდგომი».

«ალლილუია» (3-გზის), «შესძინე მათ ზედა ძვირი, უფალო, შესძინე ძვირი დიდებულთა მათ ქვეყანისათა». აქ წაიკითხავთ სამებიანის ტროპრებს *) და მოვაბამთ მასზედ დავითნის რიგის კანონს.

შემდგომ პირველი ფსალმუნებისა ითქმის წარდგომა, რომელ ხმათა ჯვარისა;

---

*) სამებიანის ხმის ტროპრები სწერია მარხვნის ბოლოში და უამნშიაც. ეს ტროპრები იხმარებიან ხმის ანგარიშით, მაგალითებრ: თუ რომელიმე კვირას პირველი ხმა არის, მომავალ შვიდეულში სულ ყოველ დღეს პირველი ხმის სამებიანის

შემდგომ მეორე ფსალმუნებისა—წარდგომა მარხენისა;

შემდეგ—«მიწყალე მე, ღმერთო» (50 ფსალმუნი) და დაიწყება საგალობელი.

რამდენ მუხლად კეთდება საგალობელი ყველიერის ოთხშაბათს?

ყველიერის ოთხშაბათს საგალობელი კეთდება 14 მუხლად.

რომელი წიგნიდან რამდენი მუხლი წაიკითხება?

სადაც არ ემთხვევა სამსაგალობელი, წაიკითხება: კანონი ჯვარისა რვა ხმათა მუხლი 6; თვენისა მუხლი 4 და მარხენისა მუხლი 4.

რომელ გალობასაც დაემთხვევა სამსაგალობელი, იქწაიკითხება: მარხენისა მუხლი 6 და სამსაგალობელისა მუხლი 8. სამსაგალობელთან კანონი რვა ხმათა და თვენისა დაიტოვება.

ტროპარები იხმარება; თუ მეორე ხმა არის, იხმარება მეორე ხმის ტროპარები, და მზგავსადვე სხვა ხმებშიაც. (სამებიანის ტროპარები არის რვა ხმად დაწყობილი). ამ წესით იხმარებიან ეს ტროპარები სრულიად დიდი მარხვის შვიდეულებში და ყველიერის ოთხშაბათს და პარასკევს.

ორის კიდევ გარჩევა თვენის გალობათა შესახებ?

ორის ცოტა გარჩევა. სამსაგალობელის წინა გალობასთან წაიკითხება სამსაგალობელთან დამთხვეული თვენის გალობა, სამი მუხლი; აგრეთვე თვენის მერვე გალობა, სამი მუხლი, წაიკითხება მარხვნის მეექვსე გალობასთან და თვენის მეცხრე გალობა კიდევ სამი მუხლი მეშვიდე მარხვნის გალობასთან (მსგავსად ამისა კეთდება საგალობელი ყველიერის პარასკევსაც).

როგორ კეთდება ოთხშაბათის საგალობელი სამივე წიგნიდან?

ოთხშაბათს წაიკითხვის პირველი გალობა: პარაკლიტონიდგან ჯვარისა, მუხლი 4; თვენისა, მუხლი 6 (სამი პირველი გალობიდგან და სამი მესამე გალობიდან) და მარხვნისა, მუხლი 4.

მესამე გალობაზედ შეხვდება სამსაგალობელი; აქ დავტოვებთ პარაკლიტონისა და თვენის მესამე გალობებს.

მესამე გალობას ვაკეთებთ 14 მუხლადე: 6 მარხვნისა და 8 სამსაგალობელისა და დავაფარებთ თვისსავე სძლის-პირს; ამ დროს მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს.

წაიკითხვის თვენის მეორე კონდაკი და წარდგომა, უკეთუ აქვს და დავიწყებთ მეოთხე გალობას: კანონი ჯვარისა მუხლი 6, თვენისა' მუხლი 4 და მარხვენისა მუხლი 4.

მეხუთე გალობასაც მზგავსად მეოთხე გალობისა ვაკეთებთ.

ბალობა მეექვსე: ჯვარისა მუხლი 4, თვენისა მუხლი 6 (სამი მეექვსე გალობიდგან და სამი მერვე გალობიდან) და მარხვენისა მუხლი 4.

დავაფარებთ სძლის-პირს და ითქმის კვერექსი მცირე.

წაიკითხვის კონდაკი თვენისა, უკეთუ აქვს, უკეთუ არა აქვს თვენსა კონდაკი, ითქმის მოწამეთა კონდაკი, ხმისამებრ, (სწერია მარხვენის ბოლოზედ პირველი ფსალმუნების რეა ხმათა წარდგომათა დასასრულ).

ბალობა მეშვიდე: კანონი ჯვარისა მუხლი 4, თვენისა მუხლი 6 (სამი მეშვიდე გალობიდგან და სამი მეცხრე გალობიდგან) და მარხვენისა მუხლი 4. მერვე და მეცხრე გალობაზე დაემთხვევა სამსაგალობელი; აქ დაიტოვება კანონი ჯვარისა და თვენისა.

მერვესა და მეცხრე გალობაზედ იგალობება მხოლოდ მარხვანში: მარხვენისა მუხლი 6 და სამსაგალობელისა მუხლი 8; ითქმის «უპატიოსნესი».

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის განმანათლებელი სამებიანის ხმისა (მარხვისამებრ).

აღვიესენითზედ დასდებელი წაიკითხვის მარხვენისა; შემდეგ «კეთილ არს აღსარება უფლისა», «წმი-

დაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო»; შემდგომ «მა
მაო ჩვენოსა» ტროპარი «ტაძარსა ამას», «უფალო
შეგეიწყალენ» (40-გზის), «დიდება», «აწდა», «უპა
ტიოსნესსა», «სახელითა უფლისათა გეაკურთხენ
მამაო».

მღვდელი იტყვის: «რომელი კურთხეულ არ
ქრისტე ღმერთი ჩვენი», «ხეცათა მეუფეო» და «უფა
ლო და მეუფეო».

მკითხველი წაიკითხავს პირველ ქამნს; პირველ
ქამნზე ნაცელად ტროპარისა ითქმის: «განოიად შე
ისმინე ხმისა ჩემისა» და შემდგომი; შემდგომ «მამაო
ჩვენოსა» ტროპარი მარხვისა («მსწრაფულ მეწიენ»)
«უფალო, შეგეიწყალენ» (40-გზის), «რომელი ყო
ველსა დღესა» სრულიად და ითქმის «უფალო, დ
მეუფეო» წესისამებრ დიდი მარხვისა*).

რა წესი არის დადგენილი ყველიერის ოთხშა
ბათის და პარასკევის წირვისა და ქამნობათ
შესახებ?

ამ ორ დღეში ლიტურგიის აღსრულება აკრძა
ლულია ტიბიკონის ძალით, რომელიმე დამთხვეული
დღესასწაულის გარდა.

(უკეთუ დაემთხვიოს დღესასწაული მიგებებისა
ლიტურგია აღესრულების ოქროპირისა ჩვეულებრი
ვ დროზე. ამისთვის ყოველივე წესი მოხსენებული
მარხვენის ბოლოში).

---

*) მარხვის წესებს აქ არ ვწერთ, რადგან დიდ-მარხვი
სათვის პირველ შვიდეულში უნდა აღვსწეროთ.

ქამნი მესამე, მეექვსე და მეცხრე ითქმის წესი-
სამებრ დიდის-მარხვისა მეტანიითა, თვინიერ ფსალმუ-
-ნებისა, (ქამნებზე დავითნი არ წაიკითხება).

მეექვსე ქამნზე წაიკითხვის ტროპარი საწინასწარ-
მეტყველოსი და საწინასწარმეტყველო; შემდეგ «მა-
მაო ჩვენო»-სა ტროპრები მარხვისა (ქამნებზე სწერია).

შემდეგ მეცხრე ქამნისა ითქმის «აკურთხევს
სული ჩემი უფალსა» და შემდგომი, «სასუფეველსა
შენსა» და «ნეტარ იყვნენ»; შემდგომ «გვიხსენ,
გვილხინე» და «მამაო ჩვენო»-სა, კონდაკნი ტაძრის და
წმიდის, «დიდება», «წმიდათა თანა განუსვენე»,
«აწდა», ღვთის-მშობლისა (სასოო და შესავედ-
რებელო); უფალო, შეგვიწყალენ (ორმოც-გზის),
დიდება და აწდა, «უპატიოსნესსა», «სახე-
ლითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

შემდეგ ითქმის: «უფალო და მეუფეო» (ლოცვა
ეფრემისა), ჩვეულებისამერ მეტანიითა და დაიწყება
მწუხრი (დიდი აკურთხევს).

როგორ იგალობება მწუხრი ოთხშაბათისა და ცისკარი ხუთშაბათისა ლირსისა შიოს საგალობელით?

ოთხშაბათსა მწუხრად შემდგომ პირველ დასაწ-
ყისი ფსალმუნისა (დიდი აკურთხევისა) და დიდის
კვერექსისა დავითნი წაიკითხება რიგისა (მე-12 ცან.);
(უკეთუ არის ტაძარი შიოსი და ვიდღესასწაულებთ,
მაშინ წაიკითხება «ნეტარ არს კაცი» პირველი
ალსავალი მხოლოდ).

უფალო ღაღად ვყავსა ზედა წაიკითხვის დასდე-

ბელი «შიოსი» მუხლი 6, «დიდება» შიოსიანე, «აწდა» და ღვთის-მშობლისა (ეინ არა ‹ენატრიდეს შენ).

შესვლა სასაკმეელითა და საკითხავი ლირსისა სამი (უკეთუ მცირე მწუხრზედ არ წაკითხულა, აქ პირველად წაიკითხება მარხვის საწინასწარმეტყველო, რომელიც ამ დღისაკენ მცირე მწუხრში სწერია).

იტყვის მლოდელი: «ესთქვათ ყოველთა ყოველითა სულითა» და სხვ.

მკითხველი: «და ლირს მყენ ჩვენ, უფალო».

მლოდელი: «აღეუსრულოთ სამწუხრო ევედრება ჩვენი უფალსა». სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხება ლირსისა შიოსი თვისის ჩასართავითა (უკეთუ მცირე მწუხრი არ ვილოცეთ, სტიქარონი წაიკითხვის მარხვისა მცირე მწუხრში).

შემდეგ «აწ განმიტევე» და «შამაო ჩვენო»-სა ტროპარი ლირსისა («სიყრმითგან ფრთოვან ქმნილმან»), დიდება და აწდა, ღვთის-მშობლისა («რომელი საუკუნიდგან დაფარულ იყო»).

მლოდელი იტყვის «სიბრძნით», ჩამოილოცავს და იქმნება განტევება მწუხრისა.

ყველიერის ხუთშაბათს ცისკრად.

შემდგომ ექვსი ფსალმუნისა «ღმერთი უფალსა» ზედა წაიკითხვის ტროპარი ლირსისა შიოსი ორ გზის, დიდება და აწდა, ღვთის-მშობლისა (მისივე).

შემდგომ პირველი ფსალმუნებისა წაიკითხვის წარდგომა მარხვისა, თვინიერ კვერექსისა.

შემდგომ მეორე ფსალმუნებისა ითქმის კვერექსი მცირე და წაიკითხვის წარდგომა ლირსისა. შემდგომ სადიდებელისა კვერექსი მცირე და წარდგომა სადიდებელისა, აღსავალი მეოთხე ხმისა («სიყრმით ჩემითგან» კვირის ანტიფონი მე 4 ხმაში), წარდგომა («პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა»), «ყოველი სული», სახარება ლირსისა, «მიწყალე» (ფსალ. 50), დიდება, «ლირსისა მამისა ჩვენისა შიოს ვედრებითა, მოწყალეო, აღხოცე ცოდვათა ჩვენთა სიმრავლენი», «აწ-და», «მეოხებითა ღვთის-მშობელისათა», «მიწ-ყალე» (მცირე) და წაიკითხვის დასდებელი ლირსისა («ლირსო მამაო, ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა»).

მღვდელი იტყვის: «აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი».

დაიწყება საგალობელი და კეთდება 14 მუხლ.

კანონი ღვთის-მშობლისა მუხლი 6 და ლირ-სისა მუხლი 8, კატავასია «აღაღე პირი ჩემი» (იქვე სწერია).

სადაც სამსაგალობელი ემთხვევა, იქ წაიკითხება ლირსისა მუხლი 6 და სამსაგალობელისა მუხ-ლი რვა. შემდგომ მესამე გალობისა წარდ-გომა ლირსისა; შემდგომ მეექვსე გალობისა კონდაკი და იკოსი ლირსისა.

მე-9 გალობაზე ვგალობთ «უპატიოსნესსა».

შემდგომ ცხრა გალობისა წაიკითხვის განმანათ-ლებელი, შიოსი და «აქებდით» (ჟამნში); აქებ-დითსა ზედა დასდებელი ლირსისა (შიოსივე).

ვკრ. (~~მღვდელი~~) იტყვის: «შენდა დიდება შვენის, ქრისტე ღმერთო ჩვენო».

წაიკითხვის: «დიდება მაღალი» (მცირე); აღკივ-სენითსა ზედა დასდებელი მარხვისა; «დიდება», ლირ-

სისა, «აწდა», ღეთის-მშობლისა; «კეთილ არს აღსარება», «წმიდაო ღმერთო»; შემდგომ მამაო ჩვენოსა ტროპარი ღირსისა, დიდება და აწდა, ღეთის-მშობლისა.

მღვდელი იტყვის კვერექსს (შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო); „სიბრძნით» და იქმნება ჩამოლოცვა თვინიერ განტეევებისა, ქამნი პირველი ჩვეულებისამებრ და განტეევება.

ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲢᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲬᲣᲮᲠᲘ ᲣᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲗ *).

შკეთუ არა ნებავს უპირატესსა დღესასწაულობა შიოსი, მაშინ შიოს საგალობელთაგან არაფერი არ წაიკითხება, არამედ ვილოცავთ შემდეგის წესით:

Ꭲთხშაბათს მწუხრად „უფალო ღაღად ეყავსა“ ზედა დასდებელი წაიკითხება ჩვეულებისამებრ პარაკლიტონისა და თვენისაგან მუხლი 6 და წაიკითხება საწინასწარმეტყველო მარხვისა ერთი, რომელიც სწერია მცირე მწუხრში.

სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხვისა (თვით ხმოვანი), რომელიც სწერია ამავე დღის

---

*) დიდი ᲥᲘᲑᲘᲙᲝᲜᲘ ამ დღეს «შიოს» დღესასწაულობას საზოგადოდ არ თხოულობს. მოხსენებულია მხოლოთ ამ წესით: «ამასვე დღესა ვდღესასწაულობთ, ნაწილთ აღმოყვანებასა ღირსისა მამისა ჩვენისა ქართველთა მნათობისა «შიოსი». აღესრულების დღესასწაული ამისი, საცა მდებარე არს ნაწილი ამისი, გინა ეკკლესია ამისი».

მცირე მწუხრის სტიქარონად; შემდგომ „აწ განმიტე-�е» და «მამაო ჩვენოსა», ტროპარი თვენის წმიდისა, დიდება და აწდა, ღვთის-მშობლისა ჩვეულებისამებრ. —(მზგავსადვე იხმარება თვენის ტროპარი «ღმერთი უფალზედაც»).

მღვდელი იტყვის კვერექსსა («შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო») და ითქმის «წმიდაო სამებაო», «იყავენ სახელი», «ეაკურთხო უფალი».

მღვდელი: «სიბრძნით»!

მკითხველი: «ღირს არს ჰვშმარიტად» და იქმნება განტევება.

ყველიერის ხუთშაბათის ცისკარი უდღესასწაულოთ.

ყველიერის ხუთშაბათს პირველი ფსალმუნების შემდეგ წაიკითხება წარდგომა რვა ხმათა. შემდგომ მეორე ფსალმუნებისა ითქმის წარდგომა მარხვენისა, რომელიც სწერია პირველი ფსალმუნების წარდგომათ.

(~~სა~~)საგალობელი წაიკითხვის პარაკლიტონისა და თვენისაგან ჩვეულებისამებრ, როგორც ყველიერის სამშაბათს ავხსენით.

(~~ხა~~)საგალობელი ხუთშაბათისა წაიკითხვის მიუცილებლად თვენის საგალობელთან: თვენისა მუხლი 6 და (~~სა~~)საგალობელისა მუხლი 8 (~~სა~~)საგალობელთან დაწყებული პარაკლიტონის გალობა დარჩება წაუკითხაედ, როგორც ორშაბათს და სამშაბათს ესთქვით, იმ წესით).

ალვივსენითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის თვით ძოვანი მარხვისა, დიდების შემდეგ ღირსის წასაკითხავ უჯლს გარდა, და შემდგომი ითქმის ჩვეულებისამებრ. ერთი სიტყვით, რაც «შიოს» ეკუთვნის, დაიტოვება).

ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲬᲣᲮᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲬᲣᲮᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲡ?

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲬᲣᲮᲠᲡ ᲕᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲘᲛ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲛ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲬᲣᲮᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲮᲡᲔᲜᲘᲗ (ᲐᲛᲐᲕᲔ ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲨᲘ).

ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ ᲘᲚᲝᲪᲔᲑᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ: ᲒᲐᲚᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲠᲕᲐ ᲮᲛᲐᲗᲐ ᲡᲫᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲐ ᲛᲣᲮ. 6, ᲗᲕᲔᲜᲘᲡ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲣᲮ. 4, ᲛᲐᲠᲮᲕᲜᲘᲡᲐ ᲛᲣᲮ. 4 ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲫᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲐᲠᲮᲕᲜᲘᲡᲐ («ᲥᲔᲕᲧᲐᲜᲐᲡᲐ ᲛᲬᲧᲣᲠᲜᲔᲑᲡᲐ»).

ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓᲕᲔ ᲔᲙᲔᲗᲔᲑᲗ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲣᲕᲐᲠᲔᲑᲗ ᲡᲫᲚᲘᲡᲞᲘᲠᲡ «ᲨᲔᲜ ᲓᲐᲛᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲔᲚᲝ».

ᲛᲚᲔᲓᲔᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲙᲕᲔᲠᲔᲥᲡᲡ.

მკითხველი წაიკითხავს თვენის წარდგომას, უკეთუ აქვს.

მეოთხე გალობასაც 14. მუხლად ვაკეთებთ: ჯვარისა, სძლის პირით, მუხლი 4 (პარაკლიტონისაგან), თვენისა მუხ. 6, (სამი მეოთხე გალობიდან და სამი მეხუთე გალობიდან) და მარხვენისა მეოთხე გალობა მუხ. 4, (მეხუთე გალობაზედ რადგან სამსაგალობელი ხედება, აქ დაიტოვება მეხუთე გალობა პარაკლიტონისა, ხოლო მეხუთე გალობა თვენისა წაკითხული გვაქვს მეოთხე გალობასთან).

მეხუთე გალობა წაიკითხვის: მარხვისა მუხ. 6 და სამსაგალობელისა მუხლი 8; დავაფარებთ სძლის პირს («ნუსადა, განმიშორებ»).

დაიწყებთ მეექვსე გალობას, ვაკეთებთ 14. მუხლად: ჯვარისა მუხ. 4, თვენისა მუხ. 6, (სამი მეექვსე გალობიდან და სამი მერვე გალობიდან) და მარხვნისა მუხ. 4; დავაფარებთ «მოშიტევენ სახიერ»-ს.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექს.

წავიკითხავთ თვენის წმიდის კონდაკს, უკეთუ არ აქვს თვენს წმიდის კონდაკი, მაშინ წავიკითხავთ მოწამეთა კონდაკს, რვა ხმათაგან, რომელიც სწერია მარხვნის ბოლოში. აქ მოიხსენებთ თვენს.

დაიწყებთ მეშვიდე გალობას: ჯვარისა მუხლი 4, თვენისა მუხ. 6 (სამი მეშვიდე გალობიდან და სამი მეცხრე გალობიდან).

მარხვნის მერვე გალობას ვაკეთებთ 14 მუხლად: მარხვნისა მუხ. 6 და სამსაგალობელისა მუხ. 8. მსგავსადვე წავიკითხავთ მეცხრე გალობასაც.

შემდგომ ცხრა გალობისა ყოველივე, საკიკლო ლოცვის წესი იქმნება ისე, როგორც ამავე შეიდეულის ოთხშაბათს ავხსენით.

შუადღის ჟამნოგისათვის.

ყველიერის პარასკევს როგორ ილოცება მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამნები?

ჟამნები ილოცება იმ წესით, როგორც ამავე შეიდეულის ოთხშაბათს ავხსენით.

მწუხრი ყველიერის პარასკევს.

რას ვდღესასწაულობთ ყველიერის შაბათს?

ყველიერის შაბათს ვდღესასწაულობთ ყოველთა ღირსთა და ღმერთ შემოსილთა მამათა ხსენებას.

პარასკევს მწუხრად უფალო ღაღადეყავსა ზედა დასდებელს წაიკითხავთ მარხვიდან 6 მუხლს: «მოეედით, მორწმუნენო, ყოველად ქებულთა მამათა» (აქ სამი მუხლი სწერია და ითქმის ორ-ორ ჯერ), «დიდება», «ხატება და მსგავსება ღვთისა მაღალი», «აწდა», ღვთის-მშობლისა (რიგის ხმისა).

შემდგომ «ნათელი მხიარულისა» წარდგომა ხმა 7 («ღმერთი ჩემი მწე ჩემდა არს»), წაიკითხვის ერთი საწინასწარმეტყველო ზაქარიასი და ითქმის «და ღირს მყენ».

სტიქარონსა ზედ დასდებელი მარხვინისაევ («განეიწმიდნეთ თავნი თვისნი ძმანო»), «დიდება» და

«აწდა», ღეთის-მშობლისა, იქვე აქვს. შემდგომ «აწ განმიტევესა» და «მამაო ჩვენოსა» წაიკითხვის ტროპარი ხმა 4 («ღმერთო მამათა ჩვენთაო), «დიდება» და «აწდა», ღეთის-მშობლისა, ხმა იგივე («რომელი საუკუნიდგან»).

მღვდელი იტყვის კვერექსს («შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო»). შემდეგ ამისა წაიკითხვის: «იყავნ სახელი უფლისა», «ვაკურთხო უფალი», «ღირს არს ჰეშმარიტად» და იქმნება განტევება.

ᲣᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲠᲐᲓ «ღმერთი უფალსა» ზედა წაიკითხვის ტროპარი («ღმერთო მამათა ჩვენთაო») 2-გზის, დიდება და აწდა; «რომელი საუკუნიდგან დაფარულ იყო», «უფალო, შეგვიწყალენ» 3-გზის და წაიკითხება დავითნი, რიგისა. შემდგომ პირველის და მეორე ფსალმუნებისა ითქმის მცირე კვერექსი, აგრეთვე წაიკითხვის ფსალმუნთა წარდგომანი ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ; მერმე «მიწყალე» (50 ფსალ.), ვგალობთ უმცირესს, როგორც ᲬᲡᲜᲘᲚᲨᲘ საზოგადოდ, და დავიწყებთ საგალობელს.

როგორ კეთდება ამ დღეს საგალობელი?

საგალობელი კეთდება 14-მუხლად: კანონი ტაძრისა სძლის ბირით მუხ. 6 და წმიდათა მამათა მუხლი 8; ჩასართავი: («ღირსნო მამანო, ევედრენით ღმერთსა ჩვენთვის»); დასაფარები მარხვინისა ამავე შაბათისა; შემდგომ მესამე გალობისა ითქმის კვერექსი მცირე და წარდგომა მარხვინიდგან; შემდგომ მეექვსე გალობისა კვერექსი მცირე და ითქმის კონდაკი მარხვინისაᲔᲒ («ვითარცა სარწმუნოებისა ქადაგთა») და იკოსი

მისცეს; მოვ-ხსენებთ თვენს. მეცხრე-გალობაზე ვიტყ-ვით «ეპატიოსნესსა» ჩვეულებისამებრ, შემდგომ ცხრა გალობისა წაიკითხვის განმანათლებელი მარხვნისა და ითქმის «აქებდით» (ქამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი მამათა მუხლი 4, ხმა 8, რომელიც იქვე სწერია, «დიდება», ხმა—6 («სამ გზის სანატრელნო მამანო»), აწდა, «ღვთისმშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი».

მლოდელი გააღებს სამეუფო კარებს და იტყვის: «დიდება შენდა, რომელმან მოგვეფინე ნათელი».

მკითხველი წაიკითხავს «დიდება მაღალთა»-ს გრძლად, ესრეთ: «წმიდაო ღმერთო», 5-გზის, ტროპარი მამათა, «ღმერთო მამათა ჩვენთაო», დიდება და აწდა, «რომელი საუკუნიდგან».

მლოდელი იტყვის კვერექს («მეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო»), «აღეესრულოთ საკისკრო ვედრება ჩვენი», «სიბრძნით», მკითხველი: «გვაკურთხენ» და იქნება განტევება.

ითქმის ქამნი პირველი, და მასზედ წაიკითხვის ტროპარი და კონდაკი მამათა.

ყველიერის კვირას ეჰსოლრიაოგა ადამისა.

რა წესით ილოცება ყველიერის შაბათს დასდებელი მწუხრისა ერთად პარაკლიტონისა ⁂ თვენისაგან?

შაბათს უფალო ღაღადეყავსა ზედა დასდებლებს წაიკითხავენ 10-მუხლად: აღდგომისა პარაკლიტონისაგან მუხ. 3; აღმოსავლური მუხლი 3 და მარხვნისა

მუხლი 4; «ღმერთმან დამბადებელ-მან» და შემდგომი, «დიდება», ხმა 6: «დაჯდა ადამ წინაშე სამოთხისა», «აწდა» და ღვთის-მშობლისა (ხმისა). შესლვა და შემდგომი ჩვეულებისა მებრ.

სტიქარონსა ზედა დასდებელი პარაკლიტონის ხმისა, დიდება მარხენისა ხმა 6 («განიდევნა ადამ სამოთხისაგან»), «აწდა», ღვთის-მშობლისა («შემოქმედი და მხსნელი ჩემი ქრისტე უფალი; სწერია მეექვსე ხმის პარაკლიტონის შაბათის მწუხრში სტიქარონის აწდად). შემდგომ «აწ განმიტევესა» და «წმიდაო ღმერთოსა» ტროპარი აღდგომის ხმისა, «დიდება» და «აწდა», ღვთის-მშობლისა, მისივე; მღვდელი იტყვის: «სიბრძნით» და იქნება განტევება.

უველიერის კვირას, ცისკრად «ღმერთი უფალსა» ზედა ტროპარი ითქმის აღდგომისა (რიგის ხმისა) ორ გზის, «დიდება და აწდა», ღვთის-მშობლისა, მისივე ხმისა; შემდგომ ამისა წაიკითხვის ფსალმუნები ჩვეულებისამებრ კვირისა (ამ დღეს მოემატება მე-19 კანონში მე-2 ფსალმუნს მე-3 ფსალმუნიც: «მდინარეთა ზედა ბაბილონისათა»); ფსალმუნების შემდეგ წაიკითხვის წარდგომები პარაკლიტონისაგან მდგომარე ხმისა ჩვეულებისამებრ. ანტიფონი, სახარება და სხვა ითქმის ჩვეულებისამებრ კვირისა.

რამდენ მუხლად კეთდება უველიერის კვირის საგალობელი?

ამ კვირის საგალობელს ეაკეთებთ 14 მუხლად: აღდგომისა სძლის პირითა მუხლი 4, ჯვარ-აღდგომისა

მუხლი 2; ღვთის-მშობლისა მუხ. 2 და მარხვნისა მუხლი 6, ხმა 8. ქატავასია მარხვნისა («გალობა შევსწიროთ, მორწმუნენო»), შემდგომ მესამე გალობისა წარდგომა მარხვნისა ხმა 4 («განიდევნა რა ადამ სამოთხით»), «დიდება», ხმა იგივე, («აწ ჟამი კეთილი გამოგეჩინდა ჩვენ»), «აწდა» («არა საცა დაესდუმნეთ»).

შემდგომ ექესი გალობისა ითქმის კონდაკი ხმა 8 («უსწავლელთა მასწავლელო») და იკოსი, მისივე. შემდგომ მოვიხსენებთ თვეს და წავიკითხავთ სვინაქსარს.

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის განმანათლებელი აღდგომისა, დიდება, მარხვნისა («მცნებანი შენნი არა დავიმარხენ, უფალო»), «აწდა», «განდევნილი, უფალო, სამოთხით» და «ყოველი სული აქებდით უფალსა» (ჟამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის აღდგომისა მუხ. 4, აღმოსავლური მუხ. 1 და მარხვნისა მუხ. 4 თვისი ჩასართავითა. ითქმის დიდება და შემდეგ წაიკითხვის უკანასკნელივე აქებდითის დასდებელის მუხლი მარხვნისა: «აწდა», «უმეტესად კურთხეულ ხარ», «დიდება მაღალი» გრძლად; შემდეგ წმიდაო ღმერთოსა» ტროპარი აღდგომის ხმისა (იქვე სწერია).

მღვდელი იტყვის კვერექსს: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო» და «აღვუსრულოთ საცისკრო ვედრება ჩვენი უფალსა».

შემდგომ ჩამოლოცვისა წაიკითხვის «დიდება» და «აწდა», გერი სახარებისა, ჟამნი პირველი, და იქნება განტევება.

როგორ ითქმის წირვაში «მოვედით თაყვანის ვსცეთ»-ის შემდეგ ტროპარ-კონდაკნი შესლვად?

ითქმის: ტროპარი აღდგომის ხმისა, ტროპარი ტაძრისა, დიდება, მარხვნის კონდაკი, აწდა, ღვთის მშობლის ეკლესიის კონდაკი.

წმიდის ეკლესიაში ითქმის: დიდებას შემდეგ კონდაკი ეკლესიის წმიდისა, აწდა და მარხვნის კონდაკი (ქრისტეს ეკლესიის ტროპარი და კონდაკი არ უნდა).

მწუხრი ყველიერის კვირას.

«შფალო ღაღად ეყავსა» ზედა დასდებელს წაეიკითხავთ 10 მუხლად: 4 რიგის ხმისა სინანულისა რვა ხმათაგან (ესენი სწერია პარაკლიტონში ორი მწუხრად კვირას სტიქარონში და ორი ცისკრად ორშაბათს, ალვიესენოთის დასდებელში), 3 მარხვნისა და 3 თეენის წმიდისა, დიდება, თეენისა, აწდა, ღვთის-მშობლისა (ხმისა).

დიდება და აწდას წაკითხვაში, იქმნება გამოსლვა საკეკლურითა. შემდგომ შესლვისა და ნათელი მხიარულისა ითქმის წარდგომა დიდი («ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა»), «და ღირს მყენ» (ჟამნში).

მღედელი: «აღეუსრულოთ სამწუხრო ვედრება, ჩვენი უფალსა».

სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხვნისა ჩვეულებისა მებრ; დიდება, თეენისა, აწდა, ღვთის-მშობლისა; უკეთუარ აქვს თეენს წასაკითხავი,

დიდებას და აწდას შემდეგ ითქმის მხოლოდ ღვთისმშობლისა (მარხვანშივე).

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: ყველა დიდი მარხვის კვირებს მწუხრად ამ გვარად იქმნება შესვლა, დიდის წარდგომისათვის: «ვსთქვათ ყოველთა» არ ითქმის, უფალო ღაღად ვუავის დასდებელიც მსგავსად ამ კვირისა წაიკითხება და იმავე ადგილებიდან უნდა გამოვარჩიოთ, როგორც აქა ვსთქვით მწუხუზედ.

სტიქარონის შემდეგ ვიტყვით: «აწ განმიტევეს», «წმიდაო ღმერთოს» და «მამაო ჩვენოს».

ტროპარონი: «ღვთის მშობელო ქალწულო, გიხაროდენ»; დიდება: «ნათლის მკემელო ქრისტესო»; აწდა «მეოხ გვეყენით ჩვენ, წმინდანო მოციქულნო». «მოწყალებასა შენსა მოვიელტვით»; «უფალო, შეგვიწყალენ» (40-გზის); დიდება, აწდა, «უპატიოსნესსა ქერუბიმთასა», სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი: «ოდესმე იგი არს კურთხეულ»; «ზეცათა მეუფეო», «უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩვენისაო», «დიდება, შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა» და იქნება ჩამოლოცვა და განტევება (ამ წესით იქნება დიდი მარხვის ყველა კვირების მწუხრი).

სერობა ითქმის მცირე. შემდგომ მამაო ჩვენოსა ტროპარონი: «მიწყალენ ჩვენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ», დიდება, «უფალო შეგვიწყალენ ჩვენ», «აწდა», «მოწყალებისა კარი განგვიღე», «უფალო, შეგვიწყალენ (40-გზის), «ოდესმე ყოველსა დღესა»,

«უპატიოსნესა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მდევდელი: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ». «უფალო-და მეუფეო», (ლოცვა ეფრემისა).

მკითხველი: «წმიდაო ღმერთო», «ყოელად წმიდაო», «მამაო ჩვენო», «უფალო შეგვიწყალენ» (12-გზ.) და ითქმის ლოცვა «უბიწოო შეუგინებელო». და იქმნება დასასრული ჩვეულებისამებრ.

თავი X.

დიდმარხვის პირველი ორშაბათიდგან, კიდრე მეორე შვიდეულის ორშაბათამდე.

დიდი მარხვის დასაწყისი.

როგორ იტოცება ცისკარი პირველი შვიდეულის ორშაბათს? *)

ცისკარი დაიწყება «წმიდაო ღმერთო»-ით და «შეისმინე» ლაზ: ეექვსი ფსალმუნების შემდეგ ითქმის

---

*) შუა-ღამის უამნისათვის მოხსენებულია წინეთ, მეხუთე თავში.

კვერექსი დიდი. ნაცვლად «ღმერთი უფალისა» ითქმის «ალლილუია» 3-გზის «ლამითგანალიმსთობს სულო ჩემო» სამებიანის ხმის ტროპარებით, ჩვეულებისამებრ მარხვისა (ამ ალლილუიასა და სამებიანის ხმის ტროპარების შესახებ გასაგებათ გვაქვს ნათქვამი წინეთ, მეცხრე თავში, ყველიერის ოთხშაბათის ცისკარში).

რა წაიკითხვის შემდეგ სამებიანის ტროპარებისა?

წაიკითხვის დაეითნის რიგის კანონი. (ფსალმუნების შემდეგ შვიდეულში მცირე კვერექსები არ უნდა, გარდა შაბათისა); შემდეგ პირველი ფსალმუნებისა წაიკითხვის პარაკლიტონის ხმის წარდგომა (ყველა ხმებიდგან გამოკრებილი ყველა დღეებისათვის სწერია მარხვნის ბოლოში); შემდგომ მეორე და მესამე ფსალმუნებისა ითქმის წარდგომა მარხვნისა (ორშაბათისა). მერმეთ «მიწყალე» (50 ფსალ.)

მღვდელი იტყვის: «აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი», და შემდეგ ასამალლებელისა დაიწყება საგალობელი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სრულიად დიდი მარხვის შვიდეულ დღეებში, როგორც აქა ვსთქვით, ამ წესით ითქმის შემდეგ ფსალმუნებისა წარდგომები და «აცხოვნე» გარდა შაბათისა, ამისთვის ამ ახსნას საკმაოდ ვთვლით სხვა დღეებისათვისაც.

როგორ კეთდება ორშაბათის საგალობელი?

საგალობელი კეთდება შემდგომის წესით: შემდგომ «აცხოვნესა» დაიწყებთ უმცირესის პირველ გალობას («ულალობდით უფალსა») და ჩაეკითხავთ

წართქმით, სანამ დაიწყებდეთ «შეყინდეს, ვითარცა ზღუდენი». ამ ადგილიდგან ვიწყებთ ჩართვას ამ დღის თვენის წმიდის პირველ გალობაში შემდგომის წესით: «შეყინდეს, ვითარცა ზღუდენი», და პირველი გალობა თვენისა;

«სთქვა მტერმან ვდევნო ვეწიო» და მე-2 მუხლი თვენისა; (ეს თვენის მუხ. თვენის პირველ გალობიდან უნდა წაიკითხოთ).

«მიაელინე სული შენი» მე-3 და მუხლი თვენისა;

«მინმე არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის», მე-4 მუხლი თვენისა;

«მოყავ მარჯვენე შენი», მე-5 მუხლი თვენისა;

«ესმა წარმართთა», და მე-6 მუხ. თვენისა; *)

აქ დახვდება მე-8 მუხლი უმცირესისა და ჩაეურთავეთ მარხვნის სამსაგალობელში შემდგომის წესით:

«მაშინ ისწრაფეს ერისთავეთა» და წაიკითხვის 1 მუხლი სამსაგალობელისა;

«დაეცინ მათზედა შიში», მე 2 მუხ. სამსაგალობელისა;

«მიდრეკდის განხდეს ერი შენი», მე-3 მუხლი სამსაგალობელისა;

«რომელ ქმენ სიწმიდე, უფალო», მე-4 მუხლი სამსაგალობელისა;

«უფალი მეუფე არს უკუნისამდე», მე-5 მუხლი სამსაგალობელისა;

«და მოაქცია უფალმან», მე-6 მ. სამსაგალობელისა;

«დიდება», — — — მე-7 მუხ. —

«აწდა», — — — მე-8 მუხ. —

*) თუ ოვენს არ აქვს ექვსი მუხლი, უნდა გავიმეოროთ რომელნიმე მუხლები თვენისა.

დანარჩენ სამსაგალობელის მუხლებში ითქმის ჩასართავად: «დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა». უკანასკნელ დავაფარებთ სძლის ჰირს, რომელიც სამსაგალობელის ბოლოში სწერია. (სადაც სამსაგალობელი არის, ყოველგან ამ წესით კეთდება: 6 მუხლად თვენი და 8 მუხლად სამსაგალობელი); შემდეგ ავიღებთ უმცირესის მესამე გალობის ბოლოს ოთხიდგან და თითოეულ მუხლს ჩავურთავთ თვენის წმიდის მესამე გალობაში შემდგომის წესით: წაიკითხავთ თვენის მესამე გალობას ერთ მუხლს და შემდეგ ვიტყვით: «უფალი ამაღლდა ცათა შინა», წაიკითხვის თვენის მესამე გალობის მე-2 მუხლი; «დამოსცეს მალი მეფეთა თვისთა», მე-3 მუხლი თვენისა. «დიდება», — მე-4 მუხლი «აწდა», — მე-5 მუხლი

აქ დავაფასებთ თვენის მესამე გალობას და ითქმის კვერექსი მცირე; წავიკითხავთ თვენის მეორე კონდაკს და წარდგომას, უკეთუ აქვს.

მსგავსად მესამე გალობისა ავიღებთ უმცირესის მეოთხე გალობის ბოლოს ოთხიდგან და ჩავურთავთ თვენის წმიდის მეოთხე გალობაში (უმცირესი წითლულიდამ წითლულამდის ჩაერთვის თითო-თითო მუხლად თვენში), ავიღებთ მეხუთე გალობის უმცირესის ბოლოს ოთხიდან და ჩავურთავთ თვენის წმიდის მეხუთე გალობაში.

მეექვსე გალობის უმცირესის ბოლოსაც ოთხიდან ჩავურთავთ მსგავსადვე, თვენის მეექვსე გალობაში; დავაფარებთ თვენის მეექვსე გალობას და ითქმის კვერექსი მცირე.

წაიკითხავთ მოწამეთა კონდაკს *), რომელიც სწერია მარხვნის ბოლოში პირველი ფსალმუნების წარდგომათა დასასრულ, (ეს კონდაკი ყველა დღეების წარდგომებს უწერია ბოლოში) და მოიხსენებთ თვენს მეშვიდე გალობის უმცირესის ბოლოსაც ავიღებთ ოთხ მუხლს თავისი «დიდება და აწდათი» და ჩავურთავთ თვენის მეშვიდე გალობაში.

მერვე გალობაზე ხვდება სამსაგალობელი.

უმცირესის მერვე გალობის თავს წაიკითხავთ წართქმით, ვიდრე «აკურთხევდით ცეცხლი და სიცხე» მდის; აქიდან ჩავურთავთ თითო მუხლს თვენის წმიდის მერვე გალობაში, ექვს მუხლად რვამდის, ხოლო რვიდან, რომელ არს «აკურთხევდით მფრინველნი», ჩავურთავთ თითოეულ მუხლს მარხვნის მერვე გალობაში ჩასართავით: «დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა»; «ვაქებთ, ვაკურთხებთ, თაყვანის ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღვამაღლებთ მას უკუნისამდე»; და დავაფარებთ იქვე სძლის პირს.

მღვდელი იტყვის: ღვთის მშობელსა დედასა ნათლისასა გალობით ვადიდებდეთ (მღვდელი აკმევს ჩვეულებისამებრ).

---

*) მეშვიდე გალობაზე თვენის კონდაკი წაიკითხება, უკეთუ აქვს თვენს, და მაშინ მოწამეთა კონდაკი წაიკითხება პირველ ფსალმუნების წარდგომის მესამე მუხლად, რომლის ზემოდ ჩაერთვის «საკვირველ არს ღმერთი, წმიდათა შორის მისთა, ღმერთი ისრაელისა».

მკითხველი: «აღიდებს სული ჩემი უფალსა» წესისამებრ; წაიკითხვის მეცხრე გალობა უმცირესა თვენის მეცხრე გალობაში ჩართვით შემდგომის წესით:

«ძურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაილისა», ჯ წაეიკითხავთ თვენის 9 გალობისა ერთ მუხ. «რამეთუ მოხედნადა ჰყო ხსნა ერის თვისისა» და მე-2 მუხ. თვენისა; «ჯ აღმიდგინა ჩვენ რქა ცხოვრებისა», მე-3 მუხ. — «ვითარცა ეტყოდა პირითა წმიდათა», მე 4 — — «ცხოვრებასა მტერთა ჩვენთაგან», მე-5 — — «ყოფად წყალობისა მამათა ჩვენთა» მე-6 — — აქ დახედება მერვე მუხლი უმცირესის მეცხრე გალობისა: «ფიცით რომელ ეფუცა», და აქედან ჩაერთვის მარხვნის მეცხრე გალობაში, ესე იგი წითლულიდგან წიოლულამდე უმცირესი ითელება თეთრ მუხლად და ჩაერთვის მარხვანის თეთოეულ მუხლში.

ამ გვარად გავათავებთ მეცხრე გალობას, დავაფარებთ სძლის-პირს, რომელიც 9 გალობის ბოლოში სწერია, ეიტყვეთ: «ღირს არს ჟეშმარიტად» სრულიად და მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს. აქ წავიკითხავთ სამებიანის ხმის განმანათლებელს, (განმანათლებელი შვიდეულისა სწერია მარხვნის ბოლოში).

რა წესით უნდა წავიკითხოთ განმანათლებელი შვიდეულში?

განმანათლებელი დიდ მარხვის შვიდეულისა არის რვა, მიყვება ხმას და ირჩევა ხმით; მაგალითებრ: დღეს ყველიერის კვირა არის, ანუ შემდგომი რომელიმე მარხვის კვირა და ამ კვირას არის დამთხვეული ხმა პირვე-

ლი. მომავალ შვიდეულში მეორე ხმის დადგომამდის ყოველ დღეს ერთი განმანათლებელი წაიკითხვის, ესე იგი პირველი ხმა, რომელიც იყო წარსულ კვირას.

ამ ხმის განმანათლებელს ემატება იქვე ნაჩვენები პატარ-პატარა მუხლები: დღისა, წმიდისა და ღვთის-მშობლისა.

როგორ კეთდება განმანათლებელი 1-ის ხმისა ორშაბათს?

ხმა 1.

«რომელმან ნათელი აღმოუბრწყინვე სოფელსა, სული ჩემი განსწმიდე ყოველისაგან ცოდვისა»; ამას მოებმის დღისა: «შუამდგომელობითა უსხეულოთა შენთათა და მაცხოვნე მე».

დიდება.

«რომელმან ნათელი აღმოუბრწყინე სოფელსა, სული ჩემი განსწმიდე ყოველისაგან ცოდვისა»; ამ განმეორების შემდეგ წაიკითხვის წმიდისა საყოველთაო: «მეოხებითა, უფალო, ყოველთა წმიდათა შენთათა და მაცხოვნე მე».

აწდა.

«რომელმან ნათელი აღმოუბრწყინე სოფელსა, სული ჩემი განსწმიდე ყოველისაგან ცოდვისა«; ამ მე-

სამკთ ჩაკითხვის შემდეგ ითქმის ღვთის მშობლისა: «მეოხებითა, უფალო, წმიდისა ღვთის-მშობელისათა და მაცხოვნე მე».

რა განსხვავება აქვს სხვა დღეების განმანათლებელს ამ ორშაბათის განმანათლებელისაგან?

საზოგადოდ შვიდეულში განმანათლებელი ითქმის მსგავსად ორშაბათისა; მხოლოდ გამოირჩევა სიტყვები დღისა, სადაც სწერია «შუამდგომელობითა უსხეულოთა შენთა და მაცხოვნე მე»; ამის ნაცვლად ითქმის თავ-თავისი დღისა, მაგალითებრ: სამშაბათს «მეოხებითა უფალო წინა-მორბედისა შენისათა და მაცხოვნე მე»;

ოთხშაბათს და პარასკევს: «ძლიერებითა, უფალო, ჯვარისა შენისათა და მაცხოვნე მე».

ხუთშაბათს: «მეოხებითა, უფალო, წმიდათა მოციქულთა და წმიდისა მღვდელთ-მთავრისა ნიკოლაოზისათა და მაცხოვნე მე».

(ყოველ დღეს და ყველა შვიდეულში ამნაირად უნდა განმანათლებელი; მხოლოდ თითო შვიდეულის გათავების შემდეგ, იცვლება ხმები და ამისათვის პირველ მუხლად წაიკითხება—დამთხვეული ხმის განმანათლებელი; იმაზედ მოებმის, როგორც ზემოთა ესთქვით, დღისა; ითქმის «დიდება» და მეორე მუხლად წაიკითხება ისევ იმავე ხმის განმანათლებელი; მოებმის ზედ წმიდათა: «მეოხებითა, უფალო, ყოველთა წმიდათა შენთა და მაცხოვნე მე»; ითქმის «აწ-

და» და წაიკითხება იგივე პირველი მუხლი ხმისა; უკანაკნელ მოებმის ზედ ღვთის-მშობლისა).

როგორ უნდა ვიხმაროთ მეექვსე ხმის განმანათლებელი შვიდეულში?

მეექვსე ხმაში განმანათლებელი აღარ განმეორდება ისე, როგორც პირველს ანუ სხვა ხმებში, არამედ ითქმის შემდგომის წესით:

ორშაბათს: «შუამდგომელობითა, უფალო, უსხეულოთა შენთათა გარდა მოუელინე სულთა ჩვენთა მარადის მყოფი ნათელი შენი»;

«დიდება», «მეოხებითა, უფალო, ყოველთა წმიდათა შენთათა გარდამოუელინე სულთა ჩვენთა მარადის მყოფი ნათელი შენი». «აწდა», «მეოხებითა, უფალო, ღვთის-მშობელისათა გარდამოუელინე სულთა ჩვენთა მარადის მყოფი ნათელი შენი» (ამ მეექვსე ხმაში, როგორც ზემოთ ესთქვით, ისე წაიკითხება უცვლელად ორი უკანასკნელი მუხლი, რომელიც სწერია დიდებას და აწდას შემდეგ; მხოლოდ იცვლება პირველ-დასაწყისი მუხლი და ითქმის პირველად ღლისა:

სამშაბათს: «მეოხებითა წინამორბედისა შენისათა გარდამოუელინე სულთა ჩვენთა მარადის მყოფი ნათელი შენი».

ოთხშაბათს და პარასკევს: «ქალიერებითა, უფალო, ჯვარისა შენისათა გარდამოუელინე სულთა ჩვენთა მარადის მყოფი ნათელი შენი»;

ხუთშაბათს: «მეოხებითა, უფალო, წმიდათა მოციქულთა შენთათა და წმიდისა მღვდელთ-მთავრისა ნიკოლაოზისათა გარდამოუფლინე სულთა ჩვენთა მარადის მყოფი ნათელი შენი» (ამ აღნიშნულ დღეებში ესენი ითქმის პირველად დღისამებრ; დიდებას და აწდას შემდეგ ითქმის ის მუხლები, რომელიც ორშაბათს სწერია ამავე ხმაში).

რა ითქმის შემდგომ განმანათლებელისა?

ბანმანათლებელზე მოეაბამთ: «აქებდით უფალსა ცათაგან» (ქამნიდგან) ჩვეულებისა მებრ; ითქმის: «შენდა დიდება შვენის, ქრისტე ღმერთო ჩვენო», და შემდგომი;

«დიდება შენდა რომელმან მოგვეფინე ნათელი», დიდება მაღალი (მცირე).

მღვდელი: «აღეუსრულოთ საცისკრო. . ვედრება ჩვენი უფალსა».

აღვიესენითსა ზედა დასდებელს წაიკითხავთ მარხვენიდგან, შემდეგ ვიტყვით «აღვიესენით ჩვენ ცისკარსა» (ქამნიდგან), გავიმეორებთ ამავე დასდებელს, შემდეგ «ადიყავნ ნათელი უფლისა ღვთისა» (ქამნშიე).

მესამე მუხლად წაიკითხავთ მარხვენიდგანვე მოწამეთა მუხლსა, «დიდება», «აწდა» და ღვთის-მშობლისა იქვე.

ამის შემდეგ ითქმის: «კეთილ არს აღსარება» 3-გზის (ქამნში), «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო» ჯ შემდეგ ასამღერებელისა ითქმის ტროპარი

მარხვისა: «ტაძარსა ამას დიდებისა შენისასა» (ქამნ ში); «უფალო, შეგვიწყალენ» 40-გზის; «დიდება», «აწ-და», «უპატიოსნესსა, ქერამბიმთასა» სახელითა უფ-ლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი: «რომელი იგი არს კურთხეულ ქრის-ტე ღმერთი ჩვენი», «ზეცათა მეუფეო» და «უფა-ლო და მეუფეო ცხოვრებისა ჩვენისაო (ლოცვა ეფ რემისა: ეს ლოცვა ითქმის ამბიონის წინ). ამ ლოცვ-ის შემდეგ მკითხველი იტყვის: «მოვედით, თაყვანი ესცეთ» 3-გზის და ქამნი პირველი (სიტყვანი ჩემნი, ყურად იხვენ, უფალო); შემდეგ ალლილუიასა *) იტყვის. მღვდელი ამბიონზე მდგომარე: «განთიად შეისმინე ხმისა ჩემისა, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო».

მკითხველიც გაიმეორებს ამასვე: «განთიად შ ეის-მინე ხმისა ჩემისა».

მღვდელი: «სიტყვანი ჩემნი ყურად იხვენ უფალო».

მკითხველი: «განთიად შეისმინე».

მღვდელი: რამეთუ შენდამი ვილოცო, უფალო».

მკითხველი: «განთიად შეისმინე».

მღვდელი: «დიდება მამასა და ძესა».

მკითხველი იტყვის: «აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ» და წაიკითხავს «რამე სახელ გდვათ შენ», მერმე: «სლვანი ჩემნი წარმართენ სიტყვათაებრ შენთა და ნუ მეუფლებინ მე ყოველი უსჯულოება» 2-გზის; «გამოაჩინე პირი შენი» 3-გზის; «აღავსე პირი

*) ორშაბათს და პარასკევს პირველ ყამნზე დავითნი არ უნდა; აგრეთვე პარასკევს მეცხრე ყამნზედაც არ უნდა დ-ვითნი.

ჩემი ქებითა შენითა», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», და შემდგომ მამაო ჩვენოსა და ასამაღლებელისა ორშაბათს, სამშაბათს და ხუთშაბათს ითქმის ტროპარი ღვთის-მშობლისა: «ყოველად დიდებულო დედაო ღვთისაო» (იქვე სწერია პირველ ჟამნში)- ოთხშაბათს და პარასკევს ითქმის მეორე ტროპარი; «მსწრაფლ მეწიენ პირველ დამონებად ჩემდამდე» (იქვე). შემდეგ ამ ტროპარისა «ფალო შეგვიწყალენ» (40-გზის), «რომელი ყოველსა დღესა», «უფალო, შეგვიწყალენ» (სამ გზის), «დიდება», «აწდა», «უპატიოსნესსა, ქერუბიმთასა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ», «უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩვენისაო» ჩვეულებისამებრ მეტანიით:

მკითხველი იტყვის: ამინ; «წმიდაო ღმერთო» 3-გზის, შემდგომ მამაო ჩვენოსა და ასამაღლებელისა ითქმის «უფალო შეგვიწყალენ» 12-გზის.

მღვდელი: «ქრისტე ნათელო ჭეშმარიტო».

მკითხველი: «ზესთა მბრძოლისა ჩემისა».

მღვდელი: «დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო» და იქმნება ჩამოლოცვა ჩვეულებისამებრ. რომელიმე დღეს გარდა ამ წესით იქმნება ცისკრის ლოცვა შეიდეულ დღეებში ამ დიდ-მარხვის განმავალობაში, გარდა უმცირესის ცვლილებისა.

რა წესით წაიკითხება სამშაბათს ცისკრად უმცირესი, თვენი და მარხვანი ერთად? *)

წაიკითხება შემდგომის წესით: პირველი გალობის უმცირესის ბოლოს ავიღებთ ოთხიდან ოთხ მუხლს («უფალი მეუფე არს»), დიდება და აწდათი და ჩაურთავთ თვენის წმიდის პირველ გალობაში; წავიკითხავთ უმცირესის მეორე გალობას სრულიად და ზედევ მოვაბამთ მარხვნის მეორე გალობას, რომელშიდაც ჩაურთავთ: «დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა». (დიდ-მარხვის სამშაბათს გარდა უმცირესის მეორე გალობა არ უნდა არაოდეს და არც ჩაერთვის მარხვანში ეს მეორე გალობა); ამის შემდეგ წავიკითხავთ თვენის მესამე გალობას უმცირესის ჩართვით და აგრეთვე სხვა გალობებსაც იმ წესით, როგორც ორშაბათის ცისკარში ავხსენით ამავე შვიდეულში.

როგორ წავიკითხავთ ოთხშაბათის ცისკრის საგალობელს?

ოთხშაბათს პირველი გალობის უმცირესის ბოლოს ოთხიდგან ავიღებთ ოთხ მუხლს და ჩაურთავთ თვენის წმიდის პირველ გალობაში; დავიწყებთ უმცირესის მესამე გალობას თავიდან და წავიკითხავთ წართქმით ამ ადგილამდის: «მშვილდი ძლიერთა მოუძლურდა». აქედან დაიწყება უმცირესის ჩართვა თვენის მესამე გალობაში შემდგომის წესით:

*) მერვე და მეცხრე გალობა იმ წესით უნდა დიდ მარხვის შვიდეულში ყოველ დღეს, როგორც ორშაბათის ცისკარში ავხსენით.

«მშვილდი ძლიერთა მოუძლურდა», და წაიკითხვის თვენის მესამე გალობის პირველი მუხლი; «საესენი პურითა ნაძღულევან იქმნეს», და თვენის მე-2 მუხლი; «რამეთუ ბერწსა მას ესხნეს შვიდ შვილ» და თვენის მე-3 მუხლი; «უფალი მოაკვდინებს და აცხოვნებს» და თვენის მე 4 მ; «უფალი დაჴსნიაკებს და განამდიდრებს» და თვენის მე. 5 მ.; «რათა დასვას იგი ძლიერთა თანა ერისათა» და თვენის მე. 6 მუხ.; აქ დიხვდება უმცირესის მცრეე მუხლი და ჩაერთვის აქედან მარხვნის სამ.საგალობელში, ესეიგი მარხვნის მესამე გალობაში; და წაიკითხვის დასაფარები უკანასკნელი სძლის.პირი და ითქმის კვერექსი მცირე და შემდგომი. მე-4, მე-5, მე. 6, მე-7, მე-8 და მე 9 გალობები თვენისა, უმცირესისა და მარხვნისა წაიკითხება იმ წესით, როგორც ორშაბათსა ესთქვით.

როგორ წაიკითხვის ხუთშაბათის ცისკრის საგალობელი?

ხუთშაბათს, უმცირესის პირველი გალობის ბოლოს, ოთხ მუხლს ოთხიდან თვენის პირველ გალობაში ჩაეურთავთ, აგრეთვე უმცირესის მესამე გალობის ბოლოს ოთხიდან თვენის მესამე გალობაში ჩაეურთავთ, და ითქმის კვერექსი მცირე და სხვანი იმ წესით, როგორც ორშაბათსა ესთქვით.

უმცირესის მეოთხე გალობას წაიკითხავთ თავიდან წართქმით აქამდის: «მიაღლინე თავსა ზედა უსჯულოთასა სიკვდილი». აქედან დაიწყებაჩრთვა უმ-

ცირესის მუხლებისა თევნის წმიდის მეოთხე გალობაში შემდგომის წესით: «მიავლინე თავსა ზედა უსჯულოთასა სიკვდილი» და წაიკითხვის თევნის მეოთხე გალობის პირველი მუხლი; «შემუსრნე განკვრეებითა თავნი ძლიერთანი» და მე-2 მუხ.;

«დაიცალონ ხლვასა ზედა უნენი შენნი» და მე-3 მუხ.;

«დაიცევ და შემაძრწუნდა გული ჩემი» და მე-4 მუხ.;

«შეეფეთ ძრწოლა ძალთა ჩემთა» და მე-5 მუხ.;

«ბანვისეენო მე დღესა ჭირისა ჩემისასა» და მე-6 მუხ.; *)

აქ დახვდება უმცირესის მერვე მუხლი და აქედან ჩაერთვის მარხვის მეოთხე გალობაში, ესე იგი სამსაგალობელში.

ამის შემდეგ ითქმის: მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 გალობები, თევნის და მარხვისა უმცირესის ჩართვით, ის წესით, როგორც ორშაბათს ავხსენით.

რა წესით წაიკითხვის პარასკევს ცისკრის საგალობელი?

პარასკევს: უმცირესის გალობათა 1-ის, მე-3 და მე-4-ის ბოლოები ოთხიდან ოთხ-ოთხი მუხლი ჩაერთვის თევნის წმიდის 1-ს, მე-3 და მე-4 გალობებში; ხოლო მეხუთე გალობა წაიკითხვის შემდგომის წესით: უმცირესის მეხუთე გალობას წაიკითხავთ თავიდან წართქმით აქამდის: «მოიპოვონ უღმრთო, რათა არა იხილონ დიდება იგი უფლისა»; აქედან დაიწყება უმცირესის ჩართვა მარხვაში შემდგომის წესით:

*) ამ მუხლებს წაიკითხავთ თევნის წმიდის მეოთხე გალობიდან.

«მოისპონ უღმრთო, რათა არა იხილონ», და წაიკითხვის -1 მუხლი თვენისა. «უფალო, მკლავი შენი მაღალ არს», და მე-2 მუხლი;

«შურმან შეიპყრასერი უსწავლელი», და მე-3 მუხ.;

«უფალო ღმერთო, მომეც ჩვენ მშვიდობა შენი», და მე-4 მუხ.;

«ხოლო მკედართა ცხოვრება არა იხილონ», და მე-5 მუხ.;

«ამისთვის მოხედე და აღიღე და წარწყმიდე ყოველი წული» და მე-6 მუხლი. *)

აქ დახვდება უმცირესის მერვე მუხლი და აქედან ჩაერთვის მარხვნის სამსაგალობელში, ესე იგი მეხუთე გალობაში. ამის შემდეგ, მეექვსე გალობის უმცირესის ბოლოს ავიღებთ ოთხ მუხლს ოთხიდან და ჩავურთავთ თვენის წმიდის მეექვსე გალობაში; დავაფარებთ თვენის მეექვსე სძლის-პირს, და ითქმის კვერექსი მცირე. წაიკითხავთ თვენის კონდაკს და იკოსს, უკეთუ აქვს, და მოიხსენებთ თვენს. მე-7, მე 8 და მე-9 გალობები ითქმის იმ რიგზედ, როგორც ორშაბათს აეხსენით.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: როგორც აქ ავსწერეთ უმცირესის წესები სადაგ ღღეობავის ამ წესით იხმარება უმცირესი მომავალ შვიდეულთა ღღეებშიაც.

უკეთუ სრულიად არა გვაქვს წიგნი «თვენი», მაშინ როგორ ვილოცავთ ცისკრის საგალობელს?

როცა «თვენი» არა გვაქვს, მაშინ წაიკითხავთ

*) ეს უმცირესის მუხლები თვენის წმიდის მეხუთე გალობის მუხლებში ჩაერთვის.

მხოლოდ მარხვენიდან სამ-საგალობელს და ჟამნიდან უმცირესს შემდგომის წესით:

ორშაბათს ცისკრად.

დაიწყებთ უმცირესის პირველ გალობას და წაიკითხავთ წართქმით რვამდის («8 ს ზედა»-მდის). აქედან უმცირესის თითო მუხლს, წითლულიდან წითლულამდის, ჩაეურთავთ მარხვნის პირველ გალობაში დიდება და აწდათი. ამ გვარად მარხვნის პირველი გალობა გაკეთდება რვა მუხლად. უკანასკნელ კიდევ მოარჩება მარხვნის ორი ანუ ერთი მუხლი და მასში ჩაეურთავთ: «დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა», დასასრულ დავაფარებთ სამსაგალობელის ბოლოში ნაჩვენებ სძლის-პირს.

ამის შემდეგ წაიკითხავთ, უმცირესის მესამე გალობის ბოლოს ოთხიდან («ოთხ ზედა»-დგან) დიდება და აწდათი; მღვდელი იტყვის მცირე კვერექს ჩვეულებისა მებრ (ძონდაკი, წარდგომა და სხვა წესები უნდა ისე, როგორც ორშაბათს ვსთქვით დღის შეთანხმებით). შემდეგ უმცირესის გალობებისა წაიკითხება მხოლოდ ბოლოები ოთხიდან დიდება და აწდათი. უმცირესის მეექვსე გალობის ბოლოის ოთხი მუხლის წაკითხვის შემდეგ ითქმის კვერექსი მცირე (კონდაკი და იკოსი ჩვეულებისამებრ მარხვისა).

წაიკითხავთ აგრეთვე უმცირესის მეოცე გალობის ბოლოს ოთხიდან; შემდეგ დაიწყებთ უმცირესის მერვე გალობას თავიდან და დავალთ ვიდრე მერვემ-

დე, რომელ არს: «8- ზედა». აქედან ჩაეურთაეთ უმცირესის თითო მუხლს მარხვნის მერვე გალობაში. დასასრულ ეიტყვეთ: «ეაქებთ, ეაკურთხებთ, თაყვანი ესცემთ, უფალსა, უკალობთ და აღეამაღლებთ მას უკუნისამდე». და წაეიკითხავთ იქვე ბოლოში დასაფარებად ნაჩვენებ სძლის-პირს. მღვდელი იტყვის: «ღვთის-მშობელსა დედასა ნათლისასა გალობით ეადიდებდეთ».

ითქმის უპატიოსნესი ჩეეულებისამებრ, დაეიწყებთ უმცირესის მეცხრე გალობას თაეიდან, წაეიკითხავთ წართქმით რვამდე, («8-ზედა»-მდის) და რეიდან თითო მუხლს ჩავურთაეთ მარხვნის მეცხრე გალობაში; დავაფარებთ იქვე ბოლოში ნაჩვენებ სძლის-პირს, ეიტყვეთ: «ღირს არს ჭეშმარიტად»-ს, და ითქმის კვერექსი მცირე.

კიდევ რა ცვლილება იქმნება სხვა დღეებში უმ-ცირესის შესახებ?

ერთი სიტყვით, რომელს უმცირესის გალობასაც შეხვდება სამ საგალობელი, იქ უმცირესი წაიკითხება თაეიდან წართქმით რვამდის, ხოლო რეიდან ჩაერთვის უმცირესი მარხვნის სამსაგალობელში; უმცირესის დანარჩენი გალობებისა წაიკითხება ბოლოები, მხოლოდ ოთხ-ოთხი მუხ. მე-3, მე-6 და მე-9 გალობის შემდეგ ითქმის კვერექსი მცირე ჩვეულებისამებრ.

ერთი სიტყვით, როგორც ორშაბათს და შემ-

დეგ დღეებში სწერია მარხვნისა და უმცირესის შესახებ, ისე იხმარება მარხვნისა და უმცირესის ჩართვა, ხოლო «თვენი» სრულიად გამოირიცხება და სადაც თვენი და უმცირესი არის ერთად ნახმარი, იქ მხოლოდ უმცირესი წაიკითხება ოთხ-ოთხი მუხლი, რადგან «თვენი» არ იქმნება.

ორშაბათის შუა დღის ლოცვა.

როგორ ილოცება ორშაბათს შუა დღის ლოცვა?

ორშაბათს შუა დღის ლოცვისათვის ჩვეულებისამებრ ზარის რეკის შემდეგ (ცალის ზარით ნელნელა) შევალს მღვდელი ეკკლესიაში, დაიკიდებს ორარს და იტყვის, «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი» და შემდგომი. მკითხველი იტყვის: «ამინ; დიდება შენდა», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო», და შემდეგ ასამაღლებელისა «უფალო შეგვიწყალენ» 12-გზის; «დიდება», «აწდა» და «მოვედით თაყვანი ვსცეთ» 3-გზის; ითქმის მესამე ქამნი (ისმინე, უფალო სიმართლისა ჩემისა), «შენდამი, უფალო, აღვიღე სული ჩემი»; მერმე «მიწყალე» (50 ფსალ.), «დიდება», «აწდა», «ალლილუია» 3-გზის, «უფალო, შეგვიწყალენ» 3-გზის, «დიდება», «აწდა» და წაიკითხავთ დავითნის რიგის კანონს *) და დავასრულებთ სამის ალლილუიათი ჩვეულებისამებრ.

*) დავითნის ტიბიკონი დიდ-მარხვისათვის ცხადად და გასაგებად არის დავითნში ნაჩვენები და იქ იძიეთ.

მღედელი დასდგება ამბიონზე და იტყვის: «უფალო, რომელმან ყოველად წმიდა სული შენი» (ქამნში).

მკითხველი გაიმეორებს ამავე ლოცვას.

მღედელი იტყვის: «გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გეამსა ჩემსა».

მკითხველი გაიმეორებს: «უფალო, რომელმან ყოველად წმიდა სული შენი».

მღედელი: «ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან».

მკითხველი: «უფალო, რომელმან ყოველად წმიდა».

მღედელი: «დიდება მამასა და ძესა».

მკითხველი: «აწ-და-მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ», „ღვთის-მშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი»; «წმიდაო ღმერთო“, ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო» და შემდგომ ასამღლებელისა ითქმის ტროპრები მარხვისა (იქვე ქამნში): «კურთხეულ ხარ შენ, ქრისტე ღმერთო ჩვენო», «დიდება», მსწრაფლი მყუდრო», «აწდა», «სასო და სიქადული», «უფალო შეგვიწყალენ» 40-გზის, „რომელი ყოველსა დღესა» სრულიად, «უპატიოსნესსა ქერამბიმთასა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღედელი იტყვის: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ და გამოაჩინე პირი შენი ჩვენზედა და შეგვიწყალენ ჩვენ»; «უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო» (ლოცვა მფრემ ასურელისა).

შემდეგ ამისა მკითხველი წაიკითხავს წმიდის მარდარის ლოცვას: («მეუფეო ღმერთო მამაო, ყოვ-

ლისა მპყრობელო») და ამაზედვე მოემბის ქორნი მეექვსე: «ვოვედით თაყვანი ვსცეთ» 3-გზის, «ღმერთო, სახელითა შენითა მაცხოვნე მე», დავაბოლოებთ ალლილუიათი ჩვეულებისამებრ და წაიკითხავთ დავითის რიგის კანონს. შემდეგ დავითნისა მღვდელი დასდგება ამბიონზე და იტყვის: «რომელმან მეექვსესა დღესა და ქამსა ჯვარსა შემსჭვალე».

მკითხველი გაიმეორებს ამასვე.

მღვდელი: «ყურად იღე, ღმერთო, ლოცვისა ჩემისა».

მკითხველი: «რომელმან მეექვსესა დღესა».

მღვდელი: «მე ღვთისა მიმართ ლაღად ვყავ».

მკითხველი: «რომელმან მეექვსესა დღესა»

მღვდელი: «დიდება მამასა და ძესა».

მკითხველი: «აწ-და-მარადის», და წაიკითხავს «რამეთუ არა მაქვს ჩვენ კადნიერება»-ს შუამდის.

აქ წაიკითხება ტროპარი საწინასწარმეტყველოსი 2-გზის, (ამ ტროპარს შუაში დიდება და აწდა ჩაერთვის) წარდგომა საწინასწარმეტყველოსი და საწინასწარმეტყველო მეექვსე ქამნისა, დასასრულ დავაბოლოებთ საწინასწარმეტყველოს ბოლოში ნაჩვენები «წარდგომით».

მერმე წავიკითხავთ «მსთვად მეწიენ ჩვენ» (ქამნში), «წმიდაო ღმერთო», «ყოელად წმიდაო», და შემდგომ «მამაო ჩვენო»-სა და ასამაღლებელისა ითქმის ტროპარნი მარხვისა, იქვე ნაჩვენები: «ქმენ ცხოერება შორის ქვეყანისა», «დიდება», «უხრწნელსა ხატსა შენსა», «აწდა», «სახიერებისა წყარო ხარ შენ».

ეს სამი მუხლი ტროპრები ითქმის ორშაბათს, სამშაბათს და ხუთშაბათს. ოთხშაბათს და პარასკევს ითქმის მხოლოდ «უფროსად კურთხეულ ხარ შენ, ღვთის მშობელო».

ამის შემდეგ ითქმის «უფალო შეგვიწყალენ» 40 გზის, «რომელი ყოველსა ღღესა» სრულიად, «უპატიოსნესსა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ, მამაო».

მღვდელი: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ» და ლოცვა ეფრემისა «უფალო და მეუფეო» ჩვეულებისამებრ მეტანიით.

მკითხველი იტყვის: ამინ, «ღმერთო და უფალო ძალთაო» და ამაზედვე მოემბმის ქამნი მეცხრე: «მოვედით, თაყვანიესცეთ» 3-გზის, «ვითარ საყვარელ არიან საყოფელნი შენნი» სრულიად ჩვეულებისამებრ, «დიდება» და «აწდა» ალლილუიათი.

შემდეგ ალლილუიასა დავითნი წაიკითხვის რიგის კანონი.

მღვდელი იტყვის, ამბიონზე მდგომარე: «რომელმან მეცხრესა ქამსა ჩვენთვის ხორცითა სიკვდილისა გემო იხილე».

მკითხველი გაიმეორებს ამავე ლოცვას.

მღვდელი: «მიგიახლენ ლოცვა ჩემი წინაშე შენსა».

მკითხველი: «რომელმან მეცხრესა ქამსა».

მღვდელი: «შეეედინ შენ წინაშე ვედრება ჩემი".

მკითხველი: «რომელმან მეცხრესა ქამსა».

მღვდელი «დიდება მამასა და ძესა».

მკითხველი იტყვის: «აწ-და-მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ», «რომელი ჩვენთვის იშვე, ქრისტე, ქალწულისაგან», «წმიდაო ღმერთო», „ყოველად წმიდაო», და შემდგომ «მამაო ჩვენოსა და ასამაღლებელისა—ტროპარნი მარხვისა (იქვე ჟამნში სწერია): «ხედვიდა რა ავაზაკი», «დიდება», «შორის ორთა ავაზაკთა», „აწდა“, „ტარიგი მწყემსი და მაცხოვარი», «უფალო შეგვიწყალენ» 40-გზის, «რომელი ყოველსა დღესა» სრულიად ჩვეულებისამებრ.

მღედელი: „ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ», «უფალო და მეუფეო» ერთ გზის.

მკითხველი: ლოცვა დიდისა „პასილისა“; «მეუფეო უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო», „სასუფეველსა შენსა», «დიდება და აწდა», «მოგმიხსენე ჩვენ, უფალო» და შემდგომი, «დიდება», «ბანაკნი წმიდათა ანგელოზთა», «აწდა», მრწამს ერთი ღმერთი», «გვიხსენ გვილხინე», «მამაო ჩვენო» და შემდეგ ასამაღლებელისა ითქმის კონდაკნი:

სადაც არის ეკკლესია მაცხოვრისა, წაიკითხვის პირველად კონდაკი მაცხოვრის ტაძრისა, კონდაკი დღისა, თვენის რიგის წმიდისა, «დიდება», «წმიდათა თანა განუსვენე», «აწდა» და სასოო და შესაეედრებელო»;

სადაც არის ღვთის-მშობლის ანუ რომელიმე წმიდის ეკკლესია, იქ წაიკითხვის პირველად კონდაკი ფერის-ცვალებისა: «მთასა ზედა ფერი იცვალე», კონდაკნი: დღისა, ტაძრის წმიდისა, (ღვთის-მშობლის ტაძრის კონდაკი აქ არ უნდა, არამედ ითქმის ბოლო-

ში აწდას შემდეგ), თეენის რიგის წმიდისა, «დიდება», «წმიდათათანა განუსვენე», «აწდა» და «სასო და შესავედრებელო» (უკეთუ არის ღვთის-მშობლის ეკლესია, მაშინ აწდას შემდეგ ითქმის ღვთის-მშობლის ტაძრის კონდაკი და «სასოო და შესავედრებელო» დარჩება).

ითქმის «უფალო, შეგვეიწყალენ» (40-ჯზის), «დიდება», «აწდა», «უპატიოსნესსა», «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ მამაო».

მღვდელი იტყვის: «ღმერთო მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ»; «უფალო და მეუფეო», ჩვეულებისამებრ ბეტანიითა და დაიწყება მწუხრი შემდგომის წესით:

მღვდელი იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოველადვე აწ-და-მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მკითხველი დაიწყებს: «მოვედით თაყვანი ვსცეთ» (3-ჯზის), ითქმის პირველ დასაწყისი ფსალმუნი: «აკურთხევს სული ჩემი უფალსა», რომელსაც დავასრულებთ ჩვეულებრივი 3-ჯზის «ალლილუია»-თი.

მღვდელი იტყვის დიდს კვერექსს; შემდგომ წაიკითხება დავითნის მე-18 კანონი*); ითქმის კვერექსი მცირე და შემდეგ წაიკითხება «უფალო, ღალადეყავ» (ქამნიდგან). „უფალო, ღალადეყავ»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის ექვს მუხლად: 3 თეენის წმიდისა

*) 1-ს, მე-2, მე-3, მე-4, და მე-6. კვირაში, მწუხრად ყოველ დღეს დავითნიდან წაიკითხება მე-18 კანონი; ხოლო მე 5 კვირაში და ვნების კვირაში მწუხრზე დავითნი წაიკითხება, როგორც დავითნის ტიბიკონი გვიჩვენებს.

და 3 მარხვნისა, «დიდება», თევნისა, «:წდა» და ღვთის-მშობლისა *); უკეთუ არ აქვს თევნს, დიდება და აწდას შემდეგ წაიკითხვის მომავალი დღის დაეითნის წარდგომის უკანასკნელი მუხლი ღვთის-მშობლისა.

შემდგომ ითქმის «ნათელი მხიარული».

მღვდელი: «მოხედენ! მშვიდობა ყოველთა, სიბრძნით».

მკითხველი იტყვის ფსალმუნთა წარდგომას (მარხვანში სწერია) და წაიკითხავს «შექმნათა» და «იგავთა» საკითხაველს; შემდეგ ითქმის «და ღირს მყენ» (ჟამნში).

მღვდელი: «აღვუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა».

სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის «თვით ხმოვანი» დღისა (2-გზის); მესამე მუხლად წაიკითხება მოწამეთა-მუხლი (იქვე სწერია), ითქმის დიდება, აწდა და ღვთის მშობლისა (მარხვანშივე).

სტიქარონში ჩაერთვის: «შენდამი აღვიხილენ თვალნი ჩემნი» და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

შემდეგ სტიქარონისა ითქმის: «აწ განმიტევე», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო», და მღვდელი იტყვის ასამაღლებელს.

---

*) უკეთუ «თვენი» სრულიად არა გვაქვს, იმ შემთხვევაში წაიკითხვის მხოლოდ მარხვნის დასდებელი; პარაკლიტონის დასდებელი დიდი-მარხვის შკიდეულებში არ უნდა; პარაკლიტონიდან წაიკითხება მხოლოდ: პარასკეობით მწუხრზედ მოწამეთა დასდებელნი და შაბათს ცისკრად დავითნის წარდგომა, აქებდითის დასდებელი და აღკივსენითის დასდებელი.

მკითხველი წაიკითხავს: «ღვთის-მშობელო, ქალწულო, გიხაროდენ» (მეტანია უნდა თითო მუხლზედ თითო), «დიდება», ნათლის მცემელო ქრისტესო», «აწდა», «მეოხ გვეყოფენით ჩვენ წმიდანო მოციქულნო», «მოწყალებასა შენსა მოვიელტვით» (ამ მუხლზედ მეტანია არ უნდა), «უფალო შეგვიწყალენ» (40-გზის), «დიდება», «აწდა», უპატიოსნესსა», «სახელითა უფლისათა ვეაკურთხენ მამაო».

მღვდელი იტყვის: «რომელი იგი არს კურთხეულ ქრისტე ღმერთი ჩვენი», «ზეცათა მეუფეო» და «უფალო და მეუფეო»-ს.

მკითხველი: «წმიდაო ღმერთო» (3-გზის) ჩვეულებისამებრ; შემდგომ მამაო ჩვენოსა და ასამაღლებელისა ითქმის: ამინ, უფალო შეგვიწყალენ (12-გზის), «წმიდაო სამებაო», «იყავენ სახელი უფლისა» და «ვაკურთხო უფალი», სრულიად.

მღვდელი იტყვის: «სიბრძნით».

მკითხველი: «ღირსარს ჭეშმარიტად»,

მღვდელი: «დიდება შენდა ქრისტე, ღმერთო, ჩვენო» და იქმნება ჩამოლოცვა ჩვეულებრივი.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: როგორც აქ აღვსწერეთ, ამ წესით იქმნება შუადღის ლოცვის წესი ყველა შვიდეულ დღეებში მრავალ დიდ მარხვის განმავლობაში.

როგორ ილოცება სერობის ლოცვა?

დიდ მარხვის შვიდეულებში ითქმის სერობა დიდი, ხოლო ამ პირველ კვირის შვიდეულში: ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს წაიკით-

ხება სერობაზედ «ანდრია კრიტელის» დიდი საგალობელი, (დიდი სერობის ლოცვა და მისი ტიბიკონი იხილეთ ჟამნში).

პირველ შეწირულისათვის.

დიდ მარხვის რომელ დღეებში უნდა ასრულდეს ტიბიკონისამებრ პირველ შეწირული?

ტიბიკონისამებრ პირველ შეწირულის ლიტურღია უნდა ასრულდეს დიდი მარხვის განმაელობაში ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს.

უკეთუ ისურვებს მღვდელი, ორშაბათს, სამშაბათს და ხუთშაბათსაც შეიძლება პირველ შეწირულის ლიტურღიის აღსრულება.

რა წესით იქმნება ჟამნების ლოცვა პირველ შეწირულის ლიტურღიაზე?

ყველა ჟამნები იმ წესით ილოცება, როგორც ამ პირველი შეიდეულის ორშაბათისათვის აღსენით.

რა დროს შეუდგება მღვდელი წირვისათვის შემზადებას?

დიდი აკურთხევის წინ, როდესაც დაიწყებთ კითხვას: ამინ, «მეუფეო უფალო იესო ქრისტე ღმერთო, ჩვენო», მაშინ, მღვდელი ემთხვევა ხატებს ჩვეულებისამებრ, ისხურვებს აიაზმას და შეეალს საკურთხე-

ველში; შეიმოსება ყოველივე სამღვდელო შესამოსლით, შემოსვის დროს თითოეულ სამკაულზე, იტყვის: «~~ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათვის უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო, ჩვენო შეგვიწყალენ ჩვენ~~» და ემთხვევა მას, (სხვა ჩვეულებრივი ლოცვები შემოსვის დროს შესამოსელზე არ ითქმის).

როდესაც მკითხველი დააწვევს აქამდის და წაიკითხავს: «გვიხსენ, გვილხინე», მამაო ჩვენო და ჩვეულებრივს კონდაკებს, ითქმის «უფალო შეგვიწყალენ» (40-გზის), დიდება, აწდა, «უპატიოსნესსა» «სახელითა უფლისათა გვაკურთხენ მამაო».

მღვდელი იტყვის: «რომელი იგი არს კურთხეულ», «ზეცათა მეუფეო», «უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო» (ჩვეულებრივის მეტანიითა).

მკითხველი: ამინ, «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო», და შემდგომ ასამაღლებელისა, უფალო შეგვიწყალენ (12-გზის) და «წმიდაო სამებაო». ამ დროს მღვდელი გააღებს სამეუფო კარებს და იტყვის «სიბრძნით».

მკითხველი: «ღირს არს ჭეშმარიტად».

მღვდელი ჩამოიოლოცავს მცირედ, დახშავს სამეუფო კარებს, აღამაღლებს სახარებას და იტყვის: «კურთხეულ არს მეუფება, მამისა და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ-და-მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მგალობელნი: ამინ.

მკითხველი წაიკითხავს პირველ დასაწყის ფსალმუნს: «აკურთხევს სული ჩემი უფალსა». შემდეგ ამისა ითქმის კვერექსი დიდი და წაიკითხვის მე-18 კანონი დავითნისა (ჭირსა ჩემსა).

Oითოეული დიდების წაკითხვის შემდეგ ითქმის კვერექსი მცირე.

რა მოქმედება აღსრულდება საკურთხეველში ამ მე-18 კანონის წაკითხვაში?

. პირველი დიდების წაკითხვაში მღვდელი სახარებას გარდადებს ტრაპეზზე ოდიკის ზემოთ, მოსწევს სანაწილეს და მოხდის თავს; მოიტანს სამკვეთლოდან ტრაპეზზე ფეშხუმს, კამარას (ვარსკლავი) და პატარა დაფარნას; ფეშხუმს ოდიკზედ დაადგამს და შემოუკმევს ტრაპეზს ერთ გზის.

ამ დრომდის გათავდება პირველი დიდება დაეითნისა და ითქმის კვერექსი მცირე.

მეორე დიდების წაკითხვაში მღვდელი ამოასვენებს სანაწილედან პირველ შეწირულს (წმიდა ნაწილს) *) და დაასვენებს ფეშხუმზედ; ასუნნელებს ს�ცეცხლურზედ ვარსკვლას და დაადგამს ფეშხუმზედ, ასუნნელებს პატარა დაფარნას და დაბურავს ფეშხუმს, შემოუკმევს მეორე გზის ტრაპეზს და კიდევაც გათავდება მეორე დიდება მე-18 კანონისა და ითქმის კვერექსი მცირე. მესამე დიდების წაკითხვაში: მღვდელი შემოუკმევს მესამე გზის ტრაპეზს, დაიწერს პირსჯვარს, იქმს მეტანიას ერთ გზის, ემთხვევა ფეშხუმს, დაისვენებს მას თავზედ, წინ გაუძღვება მთავარ დია-

*) ნაწილი, რომელსა ეწოდება პირველ შეწირული, ეს იქმნება მომზადებული წინათ კვირას ლიტურგიაში; იმ წესით, როგორც მოხსენებული არის კონდაკში პირველ შეწირულის ტიბიკონში.

კონი ლამპრით და საცეცხლურით და მიასვენებს სამ-
კვეთლოზედ; იქ ჩაასხამს ბარძიმში წყალსა და ღვინოს
და იტყვის მხოლოდ: «ლოცვითა წმიდათა მამათა
ჩვენთათა»; აბუნნელებს პატარა დაფარნას და დაბუ-
რავს ბარძიმს, მერმე ასუნნელებს კიდევ დიდ დაფარ-
ნასაც და მით დაბურავს ბარძიმ-ფეხუმს, უკმევს და
ემთხვევა; მერმე მოვა ტრაპეზთან, დაკეცს ოდიკს და
დასვენებს ზედ სახარებას; ამასობაში გათავდება კი-
დევაც მესამე დიდება დავითნისა და ითქმის კერექსი
მცირე.

მკითხველი წაიკითხავს «უფალო ღაღად ეყავს»,
ხოლო მღვდელი აკმევს ჩვეულებისამებრ.

«უფალო ღაღად ეყავ»-სა ზედა დასდებელი წა-
იკითხვის 10 მუხლად: «თვით ხმოვანი» დღისა პირ-
ველი დასდებელი 2-გზის, და მოწამეთა მუხლი 1-
(იქვე სწერია); მარხვნისა მუხლი 3 და თვენისა მუხლი 3
(თვენს ვაკეთებთ 4 მუხლად), დიდება, აწდა და ღვთის
მშობლისა (თვენში). უკეთუ არ აქვს თვენს დიდება
და აწდას შემდეგ წასაკითხავი ღვთის მშობლისა, მა-
შინ ითქმის მომავალი დღის დავითნის წარდგომის უკა-
ნასკნელი მუხლი ღვთის მშობლისა და იქმნება შეს-
ელა საცეცხლურითა (უკეთუ იმ დღეს სახარების წა-
კითხვა უნდა მღვდელს, გამოსელა იქმნება სახარებითა).

მღვდელი: «სიბრძნით აღემართენითა».

მკითხველი: «ნათელი ნხიარული».

ბღვდელი: «მოხედენ; მშვიდობა ყოველთა,
სიბრძნით».

მკითხველი: წარდგომა ფსალმუნთაგან გამოკრე-

ბილი (მარხვანშიევე სწერია) და წაიკითხვის «შექმნათა საკითხავი». (ამის კითხვაში მღვდელი დახშავს სამეუფო კარებს).

მკითხველი დაასრულებს ამ საკითხავს თავისი წარდგომით; მღვდელი გააღებს სამეუფო კარებს, მიიღებს საცეცხლურს და სანთელს სასანთლითა.

უკეთუ არის მთავარ დიაკონი იტყვის: «ბრძანეთ»!

მღვდელი აღამაღლებს საცეცხლურს და სანთელს, გამოსახავს ჯვარს აღმოსავლეთისაკენ მხედველი და იტყვის: «სიბრძნით აღემართენით» (მობრუნდება დასავლეთისაკენ და იტყვის: «ნათელი ქრისტესი განგანათლებსთ ყოველთა» (სანთელს და საცეცხლურს მისცემს ამბიონზე მდგომარე მსახურს და დახურავს სამეუფო კარებს).

მკითხველი წაიკითხავს «იგავთა საკითხავს» და შემდეგ საკითხავის დასრულებისა ისევ გააღებს კარებს მღვდელი და იტყვის: «მშვიდობა შენდა» (მდაბლის ხმით).

დიაკონი: «სიბრძნით».

მკითხველი იტყვის წართქმით: «წარემართენ ლოცვა ჩემი ვითარცა საკმეველი შენს წინაშე». (ხალხი დაიჩოქებს). მგალობელნი იტყვიან გალობით: «წარემართენ ლოცვე ჩემი».

მკითხველი: «უფალო ღაღადვყავ შენდამი ისმინე ჩემი».

. მგალობ ლნი: «წარემართენ ლოცვა ჩემი».

მკითხველი: «დასდევ უფალო საცო პირსა ჩემსა, დაკარი ძნელი ბაგეთა ჩემთა».

მგალობელნი: «წარემართენ ლოცვა ჩემი».

მკითხველი: «ნუ მისდრეკ გულსა ჩემსა სიტყვათა მიმართ უკეთურებისათა».

მგალობელნი: «წარემართენ ლოცვა ჩემი».

მკითხველი: «წარემართენ ლოცვა ჩემი ეითარცა საკმეველი შენს წინაშე» (წართქმით).

მგალობელნი დაასრულებენ «აღპყრობად ხელთა ჩემთა მსხვერპლ—სამწუხროდ ისმინე ჩემი უფალო».

მღედელი იტყვის: «უფალო და მეუფეო»-ს ერთ გზის მეტანიითა. *) ამის შემდეგ მღედელი იტყვის: «ვსთქვათ ყოველთა ყოველითა სულითა» და შემდგომი პირველ შეწირულისა კონდაკის ტიბიკონისამებრ.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: პირველ შეწირულის ლიტურლიაში სახარება და სამოციქულო წაიკითხება შემდგომ დღეებში: იოანე ნათლის-მცემელის თავის პოვნის დღეს, ორმეოცთა მოწამეთა მოხსენების დღეს (9 მარტს) და აგრეთვე როდესაც მღვდელს ნებავს მიცვალებულისათვის წირვა.

ვნების შვიდეულის, ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს წაიკითხვის სახარება მხოლოდ (სახარება წაიკითხება «წარემართენ»-ის შემდეგ, „უფალო და მეუფეო"-ს დასასრულ).

დიდი-მარხვის პირველი შვიდეულის პარასკევის-მწუხრი.

რამდენ მუხლად კეთდება პარასკევს «უფალო ღაღად ვყავ» სა ზედა დასდებელი?

«უფალო ღაღადეყავ»-სა ზედა დასდებელნი წაი-

*) შემდგომ „წარემართე"-სა და „აწ ძალნი ცათანი"-სა, ჩვეულებისამებრ საზოგადოდ ყოველგან ამბობენ «უფალო და მეუფეო»-ს; ტიბიკონში კი ასე სწერია: «ვყოფთ სამსა მეტანიასა».

კითხვის 10 მუხლად: «თვითხმოვანი» დღისა 2-გზის' მოწამეთა მდგომარე ხმეს (პარაკლიტონში) მუხლი 4; «მოვედით ყოველნი ჰოი, მარტოვილთ მოყვარენო» და შემდგომი (სამი მუხლი სწერია და ოთხ მუხლად ეაკეთებთ). დიდება, «ორღანოდ იხმია მტერმან» (მარხვანშიეე), აწდა, ღეთის მშობლისა (ხმისა რვა ხმათაგან).

შესლვა სასაკმეელითა, «ნათელი მხიარული», წარდგომა ფსალმუნთა (მარხვანშიეე) და საკითხავი ორი: 1) «შექმნათა» და მე-2) «იგავთა»; შემდგომი წესი იქმნება ჩვეულებისამებრ პირველ შეწირულისა.

შემდგომ «ამბიონის» ლოცვისა მღვდელი იტყვის «კურთხეულ არს»-ს (ამბიონის დაბლა დაიდგმის წანდილი) და წაიკითხავს საეედრებელი ლოცვა და საგალობელი წმიდა მოწამის Თეოდორესი; იმ წესით როგორც სწერია იგი ამავე პარასკევის მწუხრის ბოლოში.

დასასრულ ითქმის: «უფლისა მიმართ ვილოცოთ» და მღვდელი წაიკითხავს წანდილის კურთხევის ლოცვას: «ყოველისაეე სრულ მყოფელო სიტყვითა შენითა უფალო», შემდეგ წაიკითხავს: «იყავნ სახელი უფლისა» და «ვაკურთხო უფალი» ჩვეულებისამებრ. მღვდელი შემოვა საკურთხეველში აღსავლის კარით და წაიკითხავს «მოკაზმათ სიწმიდეთა» ლოცვას: «უფალო ღმერთო ჩვენო, რომელ მან მომიყვანენ ჩვენ ყოველად პატიოსანთა ამათ დღეთა» (კონდაკში). შემდგომ ჩამოილოცავს ჩვეულებისამებრ და იქმნება განტევება.

რა განსხვავება იქმნება პარასკევს ლოცვაში მაშინ, როდესაც არ სრულდება პირველ შეწირულის ლიტურგია?

მაშინ, შემდგომ «გვიხსენ გვილხინე»-სა და «მამაო ჩვენო»-სა ითქმის კონდაკები ჩვეულებისამებრ (როგორც ზემოთა ესთქვით წირვაზედ ამავე პარასკევს), «უფალო, შეგვიწყალენ» 40-გზის და შემდგომი. შემდგომ «უფალო და მეუფეო»-სა ვიტყვით: «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო», «უფალო შეგვიწყალენ» 12-ჯერ და «წმიდაო სამებაო».

მღვდელი იტყვის: «კურთხეულ არს»-სა და დაიწყება მწუხრი: «მოვედით თაყვანი ვსცეთ» 3-ჯერ და პირველ დასაწყისი ფსალმუნი: «აკურთხევს სული ჩემი უფალსა». მღვდელი იტყვის დიდს კვერექსს და იქმნება ჩვეულებისამებრ ფსალმუნება (კანონი 18).

«უფალო ღაღადეყავ»-სა ზედა დასდებელს წაიკითხავთ 6 მუხლად: 3 მუხლი მოწამეთა რეა ხმითაგან მდგომარე ხმისა (პარაკლიტონში) და წმიდისა თეოდორესი მუხლი 3 «მოვედით ყოველნი ჰოი მარტვილთ მოყვარენო» (მარხვანში) და შემდგომი, დიდება, «ორღანოდ იხმია მტერმან», აწდა, ღვთისმშობლისა რიგის ხმის (შესლვა არ უნდა). შემდგომ; წაიკითხვის: «ნათელი მხიარული», წარდგომა და საკითხავი 2 «შექმნათა» და «იგავთა». „და ღირს მყენ» და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

სტიქარონსა ზედა დასდებელი: «თვით ხმოვანი

ღლისა» 2-გზის (პარასკევის მწუხრის პირველი დასდებელი), მესამე მუხლად წაიკითხვის მოწამეთა ხმა 5: „კურთხეულ არს მხედრობა მეუფისა ცათასა» (სწერია ამაეე შვიდეულის ორშაბათს «აღვიესენით“-ის დასდებელში, *) დიდება, «საღმთოთა ნიჭთა მოსახელედ» (პარასკევისაეე მწუხრის დასდებელში), აწდა, ღეთის-მშობლისა: «ყოველი სასოება ჩემი შენდამი დამიძს დედაო ღეთისაო დამიცეე მე საფარველსა ქეეშე შენსა» (სწერია პირველი შაბათის მწუხრში ლიტის დასდებელში). შემდგომ ეიტყვით: «აწ განმიტეეე“, «წმიდაო ღმერთო», „ყოვლად წმიდაო» და «მამაო ჩეენო»-ს. შემდგომ ასამაღლებელისა ტროპარი «დიდ არიან სარწმუნოებისა საკვირველებანი», დიდება, აწდა, და ღეთის-მშობლისა «ყოვეღიეე საიდუმლო შენი».

მღედელი იტყვის კვერექს: „შეგვიწყალენ ჩეენ ღმერთო», ჩვეულებრივისამებრ. ამ დროს მღედელი ჩაიცვამს ფილონს და იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩეენი“ და შემდგომი, და იქმნება საეედრებელი ლოცვა და საგალობელი წმიდის თეოდორესი და კურთხევა წანდილსა, იმ წესით, როგორც ზემოთ აღვსწერეთ. უკანასკნელ ითქმის: «იყავნ სახელი უფლისა“ და „ვაკურთხო უფალი», სიბრძნით! და იქმნება განტეევა.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: 1, მრთელ ამ დიდი მარხვის განმავლობაში პარასკეობით სერობა ითქმის დიდი და მასზედ წაიკითხვის მიცვალებულთა საგალობელი (შაბათის ცისკრის) მდგომარე ხმისა (იხილე ტიბიკონი მარხვანში).

*) იქ კი ხმა 8 უწერია, თუმცა მეხუთე ხმა არის, ალბათ შეცდომით.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: 2; ამ დიდ მარხვის ყველა შაბათსა და კვირებს დამთხვეული თვენის წმიდის საგალობელი წაიკითხება წინეთ ერთ-ერთ შვიდეულის დღესასწაულისა, ანუ ბრწყინვალეს ანუ უპირატესს; ამის ტიბიკონი იხილე მარხვანშივე.

პირველი დიდ მარხვის შაბათი.

რა წესით იქმნება ლოცვა შუალამის ჟამნისა და ცისკრისა პირველ დიდ მარხვის შაბათს?

შაბათს ვილოცავთ შუალამის ჟამნსა და აგრეთვე ცისკარს ჩვეულებისამებრ სხვა შაბათისა ვიდრე დასრულებადმდე ექვსი ფსალმუნისა.

შემდეგ ექვსი ფსალმუნისა და ჩვეულებრივის დიდის კვერექსისა, ითქმის «ღმერთი უფალი».

«ღმერთი უფალსა» ზედა წაიკითხვის წმიდის თეოდორეს ტროპარი: «დიდ არიან საქმენი ესენი» (2-გზის), დიდება, აწდა, და ღვთის მშობლისა «ყოველივე საიდუმლო შენი»; ითქმის უფალო, შეგვიწყალენ 3-გზის და წაიკითხვის დავითნის მე-16 კანონი «რქვა უფალმან უფალსა ჩემსა». შემდგომ კანონისა ითქმის კვერექსი მცირე და წაიკითხვის წარდგომა მოწამეთა რვა ხმათაგანი რიგის ხმისა. შემდგომ წაიკითხვის დავითნის მე-17 კანონი და წარდგომა თეოდორესი (მარხვანში). ითქმის «მიწყალე» (50 ფსალმუნი), უმცირესი წაიკითხვის შაბათის ხვედრი ჩაურთავად და დავიწყებთ საგალობელს:

კანონი ტაძრის წმიდისა *) მუხლი 6 და წმიდი-

*) თუ მაცხოვრის, ანუ ღვთის მშობლის ტაძარში ვლოცულობთ, მაშინ ტაძრის დღესასწაულთაგან კანონი უნდა მუხლი 6; თუ რომელიმე წმიდის ეკლესიაში ვლოცულობთ მაშინ, ტაძრის წმიდის კანონი უნდა მუხ. 4. საზოგადოდ შაბათობით ამ წესს ხმარობენ ტაძრის საგალობელის შესახებ.

სა თეოდორესი მუხლი 8. ძატავასია «აღაღე პირი ჩემი» (იქვე სწერია). შემდგომ მე-3 გალობისა წარდგომა თეოდორესი: «საღმრთო საჭურველი შეიმოსე» და სხვა.

შემდგომ მე-6 გალობისა კონდაკი წაიკითხვის თეოდორესი: «სარწმუნოება ქრისტესი» და «იკოსი»; მოვიხსენებთ თვენს და წავიკითხავთ «სვინაქსარს», (მარხვანში).

შემდგომ მეცხრე გალობისა განმანათლებელი წაიკითხვის წმიდისა თეოდორესი (მარხვანში) და ითქმის «აქებდით (ჟამნში). აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის მუხლი 4 (მარხვანში); დიდება, აწდა, «შენდა დიდება შვენის» და ითქმის «დიდება მაღალი» მცირე.

აღვივსენითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის წმიდისა (მარხვანშივე), მერმე «კეთილ არს აღსარება» და «წმიდაო ღმერთო»; შემდგომ «მამაო ჩვენსა» და ასამაღლებელისა, ტროპარი: «დიდ არიან სარწმუნოებისა», დიდება, აწდა და «ყოველივე საიდუმლო შენი» (იქვე).

მღვდელი იტყვის კვერექს: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო», სიბრძნით, და შემდგომი ჩვეულებისამებრ. ვიტყვით პირველ ჟამნს და მას ზედა წავიკითხავთ წმიდის თეოდორეს ტროპარ-კონდაკს. წირვაში «ნეტარ იყვნენ»-ის შემდეგ (მომიხსენენი), წაიკითხვის თეოდორეს საგალობელთაგან გალობა მე-3 და მე-6 მუხლი 8.

რამდენ მუხლად კეთდება პირველ დიდ მარხვის შაბათს მწუხრზე «უფალო ღაღად ვყავსა»-სა ზედა დასდებელი?

«უფალო ღაღად ეყავ»-სა ზედა დასდებელს წაიკითხავენ 10 მუხლად: აღდგომისა მუხლი 3, აღმოსაელური მუხლი 3 (პარაკლიტონში) და მარხვენისა მუხლში 4, დიდება, მარხვენისა, აწდა, ღეთის მშობელისა რიგის ხმის (პარაკლიტონში).

შესელა და შემდგომი ჩვეულებისამებრ. სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის პარაკლიტონში მდგომარე ხმისა; დიდება, მარხვენისა: «რომელი საცთურისაგან განეთავისუფლდით», აწდა, ღეთის მშობლისა «ჰოი სასწაული ახალი» (სწერია მეორე ხმის შაბათის მწუხრის სტიქარონში). შემდგომ «აწ განმიტევე» და «მამაო ჩვენო»-სა ტროპარი რიგის ხმისა 1-გზის; დიდება, «უხრწნელსა ხატსა შენსა» (მარხვის ტროპარი), აწდა, «ყოველივე საიდუმლო შენი» (რაქამს ლოდიანში); ამავე წესით უნდა ღმერთი უფალზედაც ესევე ტროპრები როგორც «აწ განმიტევე»-ზე ესთქვით, მხოლოდ იმ განსხვაებით, რომ პირველი ტროპარი უნდა ორ გზის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პირველ დიდ მარხვის კვირას ცისკრის ლოცვის წესი იქმნება ვიდრე საგალობელის დაწყებამდე ჩვეულებისა მებრ კვირისა, როგორც წინეთ გვაქვს ნათქვამი. «მიწყალე»-ს შემდეგ ითქმის: «მსწრაფლ განუხვენ» და შემდგომი მუხლები, იმ წესით როგორც მეზვერის დ: ფარისეველის კვირას ვაქვს ნათქვამი.

რა წესით წავიკითხავთ დიდ მარხვის პირველ კვირას საგალობელს?

წავიკითხაეთ შემდგომის წესით: კაკონი აღდგომისა მუხლი 4, ჯეარ აღდგომისა მუხლი 2, ღვთისმშობლისა მუხლი 2 (პარაკლიტონში) და მარხვნისა მუხლი 6. «ძატაეასია» «რომელმან წამის ყოფით» (მარხვანშიეე სწერია).

შემდგომ მესამე გალობისა ითქმის წარდგომა მარხვნისა. შემდგომ მეექვსე გალობისა წაიკითხეის კონდაკი და იკოსი მარხვნისა. მოეიხსენებთ თეენს და წავიკითხაეთ სეინაქსარს მარხვანში.

შემდგომ ცხრა გალობისა წაიკითხეის განმანათლებელი აღდგომისა, დიდება, მარხვნისა: «იხარებდით და განსცხრებოდეთ», აწდა, «აწ მახვილი იგი მოაკლდა მწეალებელოა» და ითქმის «აქებდით» (ქამნში). აქებდითს-ზედა დასდებელი» წაიკითხეის აღდგომისა მუხლი 4. აღმოსაელური მუხლი 1 და მარხვნისა მუხლი 3 თეისის ჩასართაეითა; აგრეთვე მარხვნისა კიდეე წაიკითხება მე-4 მუხლიც, რომელსაც ჩაეურთაეთ: «აღსდეგ უფალო ღმერთო ჩემო ამაღლდინ ხელი შენი და ნუ დაიეიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად», დიდება, კეალად იგიეე მუხლი, აწდა, «უმეტესად კურთხეულ ხარ», «დიდება მაღალი» გრძლად და შემდგომი ჩეეულებისამებრ; დიდება, და აწდა, გერი სახარებისა, ქამნი პირეელი და იქმნება განტევება.

წირვაზე შესვლად: ტროპარი აღდგომისა, ტროპარი «უხრწნელისა ხატსა შენსა» (პირეელი დიდ მარ-

ხვის კვირის), დიდება, აწდა და კონდაკი «ბარეშე-მოუწერელსა» (იმავე კვირის).

თავი XI.

დიდი-მარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შვიდეულის მწუხრთა, ცისკართა და ჟამნებთა შესახებ.

რა წესით აღსრულდება მეორე შვიდეულში მწუხრის, ცისკრის და ჟამნების ლოცვები?

მწუხრი, ცისკარი და ჟამნების ლოცვები მეორე შვიდეულში, იმ წესით იქმნება ყველა დღეებში, როგორც პირველ შვიდეულში აღესწერეთ.

რამდენ მუხლად კითდება «უფალო დაღადვეავ»-სა ზედა დასდებელი მეორე შვიდეულის პარასკევს, როდესაც სიწმიდის განახლების წირვა გვინდა?

უფალო ღაღადეყავსა ზედა დასდებელს წავიკითხავთ 10 მუხლად, იმ წესით, როგორც მარხვანში არის ნაჩვენები ტიბიკონი ამავე დღეს.

უკეთუ არა გვაქვს წირვა პირველ შეწირულისა პარასკევს, მაშინ რამდენ მუხლად ვაკეთებთ «უფალო ღაღადეყავ»-სა ზედა დასდებელს და რომელი წიგნიდან წავიკითხავთ?

მიშინ უფალო ღაღადეყავსა ზედა დასდებელს წავიკითხავთ ექვს მუხლად: წაიკითხვის

პარაკლიტონიდან მდგომარე ხმისა «მოწამეთა» მუხლი 3 (პარასკევის მწუხრიდან), და თვენის წმინდისა მუხლი 3, დიდება, წმიდისა, აწდა, ღვთის-მშობლისა რიგის ხმის.

უკეთუ არ აქვს თვენსა დიდებას შემდეგ წასაკითხაი, მაშინ დიდებას შემდეგ წაიკითხვის მიცვალებულთა მუხლი Iოანნე დამასკელისა პარაკლიტონიდგან მდგომარე ხმისა (სწერია პარაკლიტონში), აწდა და ღვთის-მშობლისა რიგის ხმის. ითქმის: «ნათელი მხიარული» და შემდგომი ჩვეულებისა მებრ.

სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის თვით ხმოვანი დღისა (2-გზის) და მოწამეთა მუხლი 1 (მარხვანშივე); დიდება, აწდა, და ღვთის-მშობლისა რიგის ხმის.

შემდეგ აწ განმიტევესა ითქმის ტროპარნი: «წმიდანო დიდებულნო, მოციქულნო», დიდება, «მოიხსენე უფალო», აწდა, «წმიდაო დედაო უხრწნელისა ნაიალისაო».

მღვდელი იტყვის კვერექსსა: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო», და შემდგომი.

შეგვიწყალენის შემდეგ ითქმის: «წმიდაო სამებაო», «იყავნ სახელი» და «ეაკურთხო უფალი». *)

---

*) პარასკევობით ტიბიკონი შემდეგ შეგვიწყალენისა უჩენს «წმიდაო სამებაო» და «იყავნ სახელისს» წაკითხვას როცა პირველ შეწირულის წირვა არ არის, როგორც ზემოთა ვსთქვით; ამგრამ ბევრს ადგილს შემდეგ «გვიხსენ გვილხინე» და მამაო ჩვენოსა, «უფალო და მეუფეო»-ზედ მოაბმენ «წმიდაო სამებაო»-ს და «იყავნ სახელს» და შემდეგ დაიწყებენ მწუხრს «ოდ

მღვდელი იტყვის: სიბრძნით!

მკითხველი: «ღირსა არს ჭეშმარიტად» და იქმნება განტევება ჩვეულებისამებრ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) დიდ-მარხვაში პარასკეობით, «უფალო ღაღადეყავ»-ის დასდებლად წაიკითხვის პარაკლიტონის ხმიდან პარასკევის მწუხრისა 3 მუხლი «მოწამეთა», ეს «მოწამეთა» მუხლები ერთსა და იმავე ადგილს არ სწერია ყველა ხმებში, არამედ სხვა და სხვა ადგილს. მაგალითებრ: 1-ს, მე-2, მე-3 და 4 ხმებში პარასკევის სტიქარონში სწერია; მე-5 და მე-6 ხმებში, უფალო ღაღადეყავის «სხვა დასდებელში» სწერია. მე-7 და მე8 ხმებში პარასკევის «უფალო ღაღადეყავ»-ის პირველ დასდებლად სწერია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 2) როდესაც პირველ შეწირული არ შესრულდება პარასკეობით, მაშინ სტიქარონად იხმარება პარასკევის მწუხრის პირველი დასდებელი (თვით ხმოვანი, მარხვნიდან) 2 მუხლად; მესამე მუხლად წაიგითხვის მოწამეთა მუხლი: «კურთხეულ არს მხედრობა მეუფისა ცათასა» (ეს სწერია პირველ შვიდეულის ორშაბათის ციკარში «აღვიესენით»-ის დასდებლად); ეს მუხლი იმხმარება: 1-ს, მე-2, მე-3 და მე-4 ხმებში; დანაშთენ ხმებში პარასკევის მწუხრიდან წაიკითხვის (სტიქარონში).

აკურთხევს), ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეგგიწყალენის შემდეგ იქმნება მხოლოდ ჩამოლოცვა. ასე ამ წესით ორივე გვარად შეიძლება. ვიდრე მეხუთე შვიდეულის პარასკევამდე ამ წესით იქმნება პარასკეობით ლოცვა.

დიდ-მარხვის მეოთხე, მესამე და მეოთხე შაბათი. *)

რა წესით ვილოცავთ შუა-ღამის ჟამნსა და ცისკარს დიდ-მარხვის მეოთხე, მესამე და მეოთხე შაბათს?

შუა-ღამის ჟამნი ილოცება ჩვეულებისამებრ (როგორც ჟამნში არის მოხსენებული შაბათის შუა-ღამის ჟამნისათვის); ხოლო ცისკარს ვილოცავთ ვიდრე საგალობელის დაწყებამდე იმ წესით, როგორც ხორციელის შაბათს აღვწერეთ; ამ დიდ-მარხვის შაბათებს მხოლოდ ტროპარებში აქვს ცოტა განსხვავება შემდგომის წესით: შემდგომ ექვსი ფსალმუნისა, დიდი კანონისა და «ალლილუია»-სა წაიკითხვის ტროპარნი: «წმიდანო დიდებულნო, მოციქულნო» 2-გზის; დიდება, „მოიხსენე უფალო“, აწდა, «წმიდაო დედაო უხრწნელისა ნათლისაო» და წაიკითხვის მე-16 კანონი დაეითნისა ჩვეულებისამებრ და შემდგომი.

ამ ზემოთ ნაჩვენებ სულის შაბათთა ცისკარში რა წესით წაიკითხვის საგალობელი? **)

საგალობელი წაიკითხვის შემდგომის წესით:

---

*) ეს შაბათები იწოდება განსაკუთრებით სულის შაბათებად.

**) «მარხვანი» ამ სულის შაბათისათვის საგალობელის შესახებ შემდეგ ტიბიკონს უჩენს: «კანონი თვენისა სძლის ჰირით მუხლი 6 და ცაძრის წმიდისა მუხლი 4, ხოლო სძლის ჰირნი და ტროპარნი წარიკითხვიან თვინიერ უმცირესის მუხლთა და ვიპუ-

დაიწყებთ ტაძრის საგალობელს და წაიკითხავთ ხუთ გალობას თვინიერ კვერექსისა; (უკეთუ მაცხოვრის ანუ ღვთის-მშობლის ტაძარში ვლოცულობთ თითოეულ გალობას წაიკითხავთ 6 მუხლად, წმიდის ეკკლესიაში კი 4 მუხლად; მეექვსე გალობაზედ მარხვანში ხვდება ოთხ საგალობელი და ამისთვის ტაძრის გალობები: მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე ალარ წაიკითხვის).

ამის შემდეგ, დაიწყებთ უმცირესის პირველ გალობას რვიდან (8-ს ზედა-დგან) და წაიკითხავთ წართქმით «4 ზედა»-მდის; აქედან უმცირესის მუხლებს ჩაურთამთ თვენის წმიდის პირველ გალობაში. *) დაიწყებთ უმცირესის მესამე გალობას რვიდან და წაიკითხავთ «4-ს ზედა»-მდის წართქმით; ოთხიდან ჩაურთავთ თვენის წმიდის მესამე გალობაში; დავაფარებთ მესამე გალობას (თვენისას) და მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს (ჩვეულებრივს).

რობთ მუხლთა მუნიდგან. «მაშინ ისწრაფეს ერის თავთა მათ ედომისთა» და არა თავიდგან. რამეთუ თავიდგან არა გფსალმუნებთ გალობასა ფსალმუნთასა, რომელ არს უმცირესი, ვიდრე მეექვსე გალობამდე, ხოლო მეექვსით გალობიდგან დაიწყება ოთხ საგალობელი და იგალობება მხოლოდ: თვენის წმიდისა მის ღლისა და ოთხ საგალობელი. ხოლო აქა ვფსალმუნებთ გალობასაცა ფსალმუნთასა». მარხვანში ამ გვარად უჩენს ტიბიკონი და ხმარებით კი ისე ხმარობენ, როგორც ზემოთ აღვწერთ.

*) უკეთუ თვენი არა გვაქვს, მაშინ უმცირესის პირველი გალობიდან ექვს გალობამდის ყველა გალობებს წავიკითხავთ «რვიდან» წართქმით; შემდგომ სამი გალობისა ითქმის კვერექსი მცირე.

წაეიკითხაეთ თეენის კონდაკს, იკოსს და წარ-
დგომას, უკეთუ აქეს.

შემდგომ დაეიწყებთ უმცირესის მეოთხე გალო-
ბას «8-ს ზედა»-დგან და წაეიკითხაეთ წართქმით
ოთხამდის, აქედან ჩაურთაეთ თეენის წმიდის მეოთხე
გალობაში.

წაეიკითხაეთ აგრეთეე რეიდან წართქმით ოთხამ-
დის მეხუთე უმცირესის გალობას და ოთხიდან ჩაურ-
თაეთ თეენის მეხუთე გალობაში (აქ დახედება ოთხ-
საგალობელი).

უმცირესის მეექვსე გალობას თაეიდან დაეიწყებთ
და ჩაურთაეთ თეენის მეექვსე გალობაში რეამდის 6
მუხლად, *) ხოლო რეიდან ჩაურთაეთ მარხვნის
ოთხ საგალობელში.

---

*) უმცირესის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 გალობებს თა-
ვიდან წაეიკითხავთ წართქმით ვიდრე 6 მუხლი კიდევ დარჩე-
ბოდეს „8-ს ზედა"-მდის; ეს უკანასკნელი წერტილიდან წერ-
ტილამდის უნდა ჩავთვალოთ თითო მუხლად, იმ შედარებით,
როგორც პირველ შვიდეულში გვაქვს ნათქვამი სამსაგალობე-
ლთან უმცირესის ჩართვა თვენში; ხოლო „8-ს ზედა"-დგან
უმცირესის თითოეულ მუხლს (წითლულიდან წითლულამდი)
ჩაურთავთ მარხვნის ოთხსაგალობელში.

ოთხ-საგალობელი კეთდება 10 მუხლად; რვა მუხლში
ერთვის უმცირესის მუხლები, ხოლო ორს უკანასკნელ მუხლებ-
ში ჩაერთვის: „საკვირველ არს ღმერთი, წმიდათა შორის მისა
თა, ღმერთი ისრაელისა", და „სულმან მათმან, კეთილთა შინა
განისვენოს».

დასასრულ დავაფარებთ მარხვენის სძლის პირს, რომელიც იქვე სწერია და მღვდელი იტყვის მიცვალებულთა კვერექსს. *)

წაიკითხავთ კონდაკს: «წმიდათა თანა განუსვენე» და იკოსს «შენ მხოლო ხარ უკვდავი» (ეს კონდაკი და იკოსი სწერია მარხვანში, ხორციელის შაბათის ცისკარში) და მოეიხსენებთ თვენს.

დაიწყებთ უმცირესის მე-7 გალობას და წაიკითხავთ თავიდან წართქმით, ხოლო შუაში «8-ს ზედა»-მდის 6 უკანასკნელ მუხ. ჩაურთავთ თვენის მეშვიდე გალობაში (ამ წესით თვენის გალობა გაკეთდება 6 მუხლად); რვიდან ჩაურთავთ მარხვენის მეშვიდე გალობაში. უმცირესის მერვე გალობის თავს 6 მუხლს ჩაურთავთ თვენის მერვე გალობაში 8-მდის (როგორც მეშვიდე გალობა), ხოლო რვიდან ჩაურთავთ მარხვენის მერვე გალობაში; ვიტყვით: «ვაქებთ, ვაკურთხებთ, თაყვანისცემთ უფალსა, უგალობთ და აღვამაღლებთ მას უკუნისამდე».

მღვდელი იტყვის: „ღვთის მშობელსა, დედასა ნათლისასა, გალობით ვადიდებდეთ».

წაიკითხავთ „ადიდებს სული ჩემი უფალსა“ თავისი უპატიოსნესით.

დაიწყებთ უმცირესის მეცხრე გალობას, თავს ჩაურთავთ თვენის მეცხრე გალობაში 6 მუხლად «8-ს

---

*) მიცვალებულთა კვერექსის თქმაში; მღვდელი გააღებს სამეუფო კარებს და ორარითა და ფილონით მდგომარე ტრაპეზის წინაშე, მოიხსენებს საუკუნიდგან გარდაცვალებულთა მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს.

ზედა»-მდის და რეიდან ჩაურთავთ მარხვნის მეცხრე გალობაში. დავაფარებთ იქვე ცხრა გალობის ბოლოში ნაჩვენებ სძლის პირს და მღვდელი იტყვის ჩვეულებრივს მცირე კვერექსს.

ითქმის განმანათლებელი ხმისა (მარხვანშიავე სწერია ამავე შაბათს) და წაიკითხავთ „აქებდით უფალსა ცათაგან» (ჟამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი ითქმის «მოწამეთა» მდგომარე ხმისა მუხლი 4, დიდება, მიცვალებულთა, აწდა და ღვთის-მშობლისა (იქვე).

ითქმის: «შენდა დიდება შვენის», «დიდება შენდა რომელმან ბოგვფინე ნათელი», «დიდება მაღალი» მცირე და «აღუსრულოთ საცისკრო ვედრება ჩვენი უფალსა», ჩვეულებისამებრ.

აღკვეცილითსა ზედა დასდებელი პარაკლიტონის ხმისა მ ცვალებულთა, დიდება, აწდა და ღვთის-მშობლისა; შემდგომ: «კეთილ არს აღსარება», «წმიდაო ღმერთო», ყოველად წმიდაო», შემოგვმ «მამაო ჩვენოსა და ანამაღლებელისა ტროპარნი შაბათისა: «წმიდანო დიდებულნო» და შემდგომი; ითქმის კვერექსი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო», ჩვეულებისამებრ და იქმნება ჩამოლოცვა მცირე და ჟამნი პირველი. ამნებზე ტროპარი და კონდაკი ითქმის ამავე შაბათისა.

როგორ წაიკითხვის ამავე შაშათს შესლვად ტროპარ-კონდაკნი?

შესლვად: ტროპარნი დღისა «წმიდანო დიდებულნო», და «მოიხსენე უფალო, ვითარცა სახიერ

ხარ», დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე», აწდა, ღვთის-მშობლისა «შენ ხარ ზღუდე ჩვენი» (ხორციელის შაბათს სწერია მარხვანში). *)

დიდ მარხვის მეოთხე კვირა.

დიდ-მარხვის მეოთხე შაბათს საღამოის მწუხრის და კვირის ცისკრის ტრიკონი იძიეთ მარხვანში.

რა წესით წაიკითხვის წირვაში შესლვად ტროპარ კონდაკი დიდ-მარხვის მეოთხე კვირას?

წაიკითხვის შემდგომის წესით: ტროპარნი აღდგომისა, ღვთის-მშობლის ეკლესიისა, ანუ წმიდის ეკლესიისა (ტაძრისამებრ), ტროპარი წმიდისა: «მართლმადიდებელობისა სასანთლეო», კონდაკი: მარვისა «აწ ჟამი მოღვაწებისა», ეკლესიის წმიდისა (თუ წმიდის ეკლესია არის), დიდება, წმიდის კონდაკი «საღმრთოსა და ყოველად ბრძენსა», აწდა ღვთის-მშობლის ტაძრისა. (სადაცა არ არის ეკლესია ღვთის მშობლისა, აწდას შემდეგ მარხვის კონდაკი წაიკითხვის).

---

*) სამივე სულის შაბათებს, ამ წესით უნდა ცისკრის ლოცვა, როგორც აქ ავხსენით, მაგრამ თუ რომელიმე ამათგანს დაემთხვა დღესასწაული: ან წ. ნა მორბედისა, ან 40-თა მოწამეთა და ან ხარებისა, მაშინ ტრიკონი ამათი იძიე მარხვნის ბოლოში (დამთხვევაში).

დიდ-მარხვის მესამე კვირა.

(დიდ-მარხვის მესამე კვირას ედღესასწაულობთ პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარის თაყვანის ცემას).

როდის და რა წესით იქმნება ჯვარის შემზადება?

მესამე შაბათს, შემდეგ დარეკისა მღედელი შეევალს ეკლესიაში, დაიკიდებს ოარარს, იტყვის «კურთხეულ არსს» და დაიწყება მცირე მწუხრი.

ამ დროს მღედელი გამოასვენებს პატიოსან ჯვარს («საჭურჭლის საცავიდან»), შეხვევს, შაშკელამში, *) სამკეეთლოზე დადგმულ ფეშხუმს დააფარებს პატარა დაფარნას, მასზედ დაასვენებს ჯვარს და შეხვევს დაფარნაში.

შემდგომ მცირე მწუხრის განტეევებისა მღედელი ჩაიცვამს ფილონს და დიაკონი შეიმოსება სტიხრითა და გინგილითა და მიელენ სამკეეთლოსთან.

დიაკონი იტყვის: „გვაკურთხენ მეუფეო».

მღედელი: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი» და შემდგომი.

მკითხველი იტყვის: «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო» და შემდგომ ასამაღლებელისა, ითქმის ტროპარი ჯვარისა: «აცხოვნე უფალო ერი შენი», დიდება, აწდა, კონდაკი: „რომე-

*) შაშკვდამი, ბოსტნეული სუნნელოვანი ბალახი (მცენარე).

ლი ამაღლდი ნეფსით». ამის შემდეგ მღვდელი ემთხვევა ჯვარს, დაისვენეს თაეზედ ფეშხუმს, წინ გაიძღოლებს საცეცხლურითა და ორის სანთლით დიაკონს და დაასვენებს ტრაპეზზე ფეშხუმით ჯვარს, იმ ადგილს, სადაცა ძევს სახარება და აუნთებს მარჯვენისა და მარცხნის მხრით ორს სანთელს მთელ ღამეს; სახარება კი გადიდება აღმოსაელეთის მხრით ფეშხუმისა ტრაპეზზე.

(თუ მცირე მწუხრს არ ელოცულობთ, დიდ-მწუხრ ჩედაც შეიძლება ამ ნაირად ჯვარის შემხადება).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მესამე შაბათის მწუხრი და მესამე კვირის ცისკარი ილოცება იმ წესით, როგორც არის ნაჩვენები ჭიბიკონი ამავე დღისათვის მარხვანში.

ჯვარის გამოსვენება.

რა დროს იქმნება ჯვარის გამოსვენება ცისკარში და როგორ?

მესამე კვირის ცისკარში «აქებდით»-ის ზედა დასდებელის კითხვაში მღვდელი შეიმოსება ყოველივე სამღვდელო შესამოსლით და დიდ დიდება მაღალიანის კითხვაში შემოუკმევს წმიდა ტრაპეზს, უკმევს პატიოსანს ჯვარს, ემთხვევა, დაისვენებს თაეზედ, წინ

გაიძღოლებს დიაკონს სასაკმეველით და მწათეს ორის სანთლით; გამოასვენებს ჩრდილოეთის კარით, მივა აღსავალის კარებთან და, როცა მკითხველი გაათავებს «დიდება მაღალიანის» კითხვას და მკალობელნი დაასრულებენ გალობით 5-გზის «წმიდაო ღმერთოს», მღვდელი იტყვის: „სიბრძნით აღვმართენით».

მგალობელნი: «აცხოვნე უფალო ერი შენი» 3-გზის.

მღვდელი ამის თქმაში დაასვენებს ჯვარს ანალოღიაზედ ამბიონის დაბლა (აქ წინადვე იქმნება განმზადებული ანალოღია), ბარდაშლის დაფარნას, რომელიც ახვევია ჯვარს და შემოუკმევს 3-გზის ირგვლივ ჯვარის სახედ.

მგალობელნი იტყვის გალობით: «ჯვარსა შენსა თაყვანი ვსცემთ მეუფეო» 3-გზის. ამის თქმაში ემთხვევიან პატიოსანს ჯვარს მღვდლები და დიაკონი რაოდენიც არიან.

მკითხველი დაიწყებს: „მოვედით მორწმუნენო და თაყვანის ვსცემდეთ ცხოველს მყოფელსა ძელსა» (სწერია ამავე კვირის ცისკრის ბოლოში); ამის კითხვაში ხალხნი ემთხვევიან.

ამის შემდეგ ითქმის კვერექსი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო» და შემდგომი ჩვეულებისამებრ ცისკრისა.

როგორ წაიკითხვის ამ დღეს წირვაში შემდგომ შესლვისა ტროპარნი და კონდაკნი?

წაიკითხვის შემდგომის წესით: ტროპარნი აღდგომისა და ჯვარისა, დიდება, აწდა და კონდაკი ჯვა-

რისა. (ამ დღეს წმიდაო ღმერთოს ნაცვლად ითქმის: «ჯვარსა შენსა თაყვანის ესცემთ, მეუფეო»).

ამ კვირაში როდის იქმნება კიდევ თაყვანის-ცემა ჯვარისა?

ჯვარის თაყვანის ცემა იქმნება კიდევ ამ მეოთხე შვიდეულში 3-გზის: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს.

რა ადგილს იქმნება ამ სამ დღეებში ჯვარის თაყვანის ცემა?

ჯვარის თაყვანის ცემა იქმნება ცისკარში პირველ ჟამნზე შემდგომის წესით: როცა წაიკითხავენ «რამე სახელ გდვათ შენ».ს .და დაეალთ შუაზედ «სლვანი ჩემნი წარმართენ»-ამდის, მაშინ ეიტყვით: «ჯვარსა შენსა თაყვანი ესცემთ მეუფეო 3-გზის; ამის თქმაში შამოუკმევს ჯვარს მღვდელი ჯვარის სახედ 3-გზის (სამეუფო კარებს გაალებს და ფილონს ჩაიცვამს) და დაიწყება მთხეევა. მკითხველი წაიკითხავს: «მოეედით მორწმუნენო».ს რიგორც კვირას ეუთქვით იმ წესით; (ამ დრომდის ჯვარი ანალოღიაზე იქმნება ამბიონის მარჯვნით დადგმული, მაგრამ ამ დროს დადგმენ ამბიონის დაბლა საშუალ ეკკლესიაში).

შემდგომ წმიდაო ღმერთოსა ითქმის კონდაკი ჯვარისა: «არღარა სცაეს ედემისა» და შემდგომი ჩვეულებისამებ; (ამ მეოთხე შვიდეულში: ორშაბათს,

ოთხშაბათს და პარასკევს ქამეებზედ ყოველგან და «გვიხსენ გვილხინეს» შემდეგაც ეს კონდაკი ითქმის).

როდის წარვგზავნით ჯვარს?

ჯვარის წარგზავნა იქმნება ამ მეოთხე შვიდეულისავე ... იქმნება შემდგომის წესით: როდესაც წირვა არის სიწმიდის განახლებისა, მაშინ შემდგომ «წმიდაო სამებაო»-სა მღვდელი გაალებს სამეუფო კარებს და ჩამოილოცავს ჩვეულებისამებრ მცირედ. შემდგომ ეიტყვით: «ჯვარსა შენსა თაყვანივსცემთ მეუფეო»-ს გალობით (ჰ-გზის).

მღვდელი შემოუკმევს ჯვარს ამის თითოეულ თქმაში თითოჯერ და დაიწყება თაყვანის ცემა ჯვარისა (მთხვევა). მთხვევაში წაიკითხავთ: «მოვედით მორწმუნენო»-ს (როგორც კვირას). დასასრულ, აასვენებს მღვდელი პატიოსან ჯვარს, შეასვენებს საკურთხეველში და დაასვენებს ტრაპეზზე, ანუ იქ, სადაც ინახებოდა პირველად. ამის შემდეგ მღვდელი იტყვის «კურთხეულ არსს» და დაიწყება წირვა. უკეთუ წირვა არ სრულდება ამ დღეს, მაშინ ჯვარის წარგზავნა იქმნება მწუხრის დასასრულ, ესე იგი როდესაც დავასრულებთ «აწგანმიტევე»-ს შემდეგ ტროპრებს (შაბათისას), შემდეგ „შეგვიწყალენ»-ისა იქმნება თაყვანის ცემა ჯვარისა, იმ წესით როგორც წინეთა ესთქვით პირველ ქამნზედ ჯვარის თაყვანისცემისათვის; დასასრულ «მოვედით მორწმუნენო»-სა ითქმის: «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «შეგვიბოდ ჩვენო» და

შემდგომ ასამაღლებელისა «უფალო შეგვიწყალენ» (12-გზის), «წმიდაო სამებაო», «იყავნ სახელი», «ეაკურთხო უფალი», «სიბრძნით» და იქმნება განტეევება.

რა წესით ვილოცავთ მეოთხე შვიდეულის ოთხშაბათს და პარასკევს საგალობელსა?

მეოთხე შეიდეულის ოთხშაბათს და პარასკევს აქვს სრული საგალობელი და შესაძლო არის უმცირესის ჩართვაც, იმ წესით, როგორც ოთხშაბათ-პარასკევისათვის აღესწერეთ ამავე მარხვის პირველ შეიდეულში; ამ ორი დღის საგალობელს თვენი აღარ ემთხვევა, აქ თვენის მაგიერი გალობები საგალობელშივე აქვს.

დიდი მარხვის მეოთხე კვირა.

მეოთხე შაბათს მწუხრად და კვირიაკესა ცისკრად, ყოველი წესი მარხვნის ტიბიკონისაგან იძიეთ.

თ ა ვ ი XII.

(დიდ მარხვის მეხუთე ოთხშაბათი).

უკეთუ მწირველი არის მღვდელი მეხუთე ოთხშაბათს, მაშინ რამდენ მუხლად წავიკითხავთ «უფალო ღაღადვეაე»-სა ზედა დასდებელს?

როდესაც წირვა არის, მაშინ წავიკითხავთ «უფალო ღაღადვეაე»-სა ზედა დასდებლებს 30-მუხლად (პირველი და დებელი 2-გზის და შემდგომი თითო ჯერ).

«უფალო ღაღადეყავ» წაიკითხება წართქმით: «შეითხიენენ სათხეველთა მათთა»-მდის; დანარჩენი «უფალო ღაღადეყავ»-ის მუხლები ჩაერთვის დასდებლებში, რომელიც მარხვანშიეე სწერია; უკანასკნელ მუხლებში ჩაერთვის: «დიდება შენდა ღმერთო, ჩვენო დიდება შენდა», დიდება, აწდა და იქმნება შესვლა, «ნათელი მხიარული» და შემდგომი ყოველიეე წესი ჩვეულებისამებრ პირველ შეწირულისა.

უკეთუ არ არის პირველი შეწირული, მაშინ რა წესით წავიკითხავთ «უფალო ღაღადვყავ»-სა ზედა დასდებლებს?

მაშინ დასდებელნი წაიკითხება «უფალო წმიდანი მოწამენი შენნი»-დან ოცდა-შვიდ მუხლად *). დიდება, აწდა და საკითხავნი ჩვეულებისამებრ.

სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის «თვით ხმოვანი დღისა» 2-გზის (პირველი დასდებელი) და მოწამეთა «რაოდენი რა არს შვენიერ», დიდება აწდა, ღვთის მშობლისა, და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

დიდ მარხვის მეხუთე ხუთშაბათი.

რა წესით დაიწყება ცისკარი დიდი მარხვის მეხუთე შვიდეულის ხუთშაბათს, როდესაც იგალობება ანდრია კრიტელის დიდი გალობანი?

მღვდელი შეევალს ეკლესიაში, დაიკიდებს ორარს და იტყვის «კურთხეულარსს». **)

*) მეხუთე ხუთშაბათს დამთხვეული თვენის წმიდის საგალობელი წაიკითხვის სერობაზე ამავე შვიდეულის სამშაბათს.

**) ამ მეხთე ხუთშაბას, მეხუთე შაბათს, დიდ ხუთშაბათს დიდ პარასკევს და დიდ შაბათს, შვაღამის უამნი არ უნდა.

მკითხველი დაწყებს: ამინ, «დიდება შენდა», «წმიდაო ღმერთო» და შემდგომ მამაოჩვენოსა, უფალო შეგვწყალენ (12-გზ.), დიდება, აწდა, «მოვედით თაყვანი ვსცეთ» (3-გზის) და ითქმის მე-19 და მე-20 ფსალმუნი, «შეისმინე შენი უფალმან», ჩვეულებრივის კვერექსითა.

შემდგომ ექვსი ფსალმუნისა მღედელი ეტყვის დიდს კვერექსს.

ითქმის ალლელუია და სამებიანის ხმის ტროპარები ჩვეულებისამებრ მარხვისა.

დაეთნს წაიკითხვეთ მხოლოდ ერთს კანონს (კანონი მე-8), შემდგომ ამ ერთის კანონისა წარდგომა წაიკითხვის მდგომარე ხმისა ჩვეულებისამებრ (მარხვის ბოლოში, ანუ პარაკლიტონში). ეტყვით მიწყალეს (50 ფს.) და დაეწყებთ საგალობელს (ანდრია კრიტელის დიდს კანონს). საგალობელში ჩასართავები თვითსაგალობელშივე უწერია; (უმცირესი არ უნდა).

შემდგომ მესამე გალობისა დაეფარებთ დიდი კანონის მესამე სძლის პირს: «დაამტკიცე უფალო კლდესა ზედა» და ითქმის კვერექსი მცირე.

შემდეგ წაიკითხვის წარდგომა ბოლოიქცეულთა: «ბნათობნო ღვთიებრწყინვალენო» და შემდგომი. წაიკითხვეთ მეოთხე გალობას (სამ-საგალობელს) თვისის ჩასართავით და სხვათა.

შემდგომ ექვსი გალობისა დაეფარებთ სძლის პირს: «ღალადეყვე მე სილრმითა გულისათა» და ითქმის კვერექსი მცირე.

წაიკითხვეთ კონდაკს: «სულო ჩემო, სულო ჩე-

მო, აღსდეგ რასა გძინავს» და აგრეთვე იოანესაც. მოიხსენებთ თვენს და წაიკითხავთ სვინაქსარს მარხვანშივე. შემდგომ ამისა ითქმის: «სასუფეველსა შენსა» და შემდგომი (მარხვანში). დასასრულ ცხრა გალობისა დავფარებთ სძლის პირს: «უფალსა მიდგომილი შობს» და ითქმის კვერექსი მცირე.

წაიკითხავთ საბებიანის ხმის განმანათლებელს ჩვეულებისამებრ.

«აქებდით უფალსა» (ქებანი), «შენდა დიდება შვენის ქრისტე, ღმერთო, ჩვენო» და შემდგომში ჩვეულებისამებრ პარხვისა; (პირველ ქებანზე დავთნი არ უნდა).

ბანებზე «მამაო ჩვენო»-ს შემდეგ ითქმის კონდაკი ამავე დღისა: «სულო ჩემო, სულო ჩემო».

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ მეხუთე შვიდეულის ხუთშაბათს აღესრულება ლიტურგია პირველ შეწირულისა, ხოლო წაიკითხვის «უფალო ღაღადგავ»-სა ზედა დასდებელი და შემდგომი ტიბიკონისამებრ მარხვნისა.

დიდი მარხვის მეხუთე შაბათი.

რა დღესასწაული არის დიდ მარხვის მეხუთე შაბათს?

მეხუთე შაბათი არის ლვთის მშობლის დღესასწაული, რომელსაც ეწოდება დაუკოშლობის, ანუ «აკათისთო» შაბათი.

რა წესით წაიკითხვის «უფალო ღაღად ვყავ»-სა ზედა დასდებლები ამ მეხუთე შვიდეულის პარასკევს?

დასდებლებს წაიკითხავთ (მარხეანში) 10 მუხლად: თვით ხმოვანი დღისა 2 გზის, მოწამეთა მუხლი 1 (იქვე სწერია) და ყოველად წმიდისა ღვთის მშობლისა მუხლი 7 (სამი მუხლი სწერია და შვიდ-მუხლად ეაკეთებთ); დიდება, აწდა, ღვთის მშობლისა: «საუკუნიდგან დაფარული» და შემდგომი ჩვეულებისამებრ პირველ შეწირულისა.

უკეთუ არ არის პირველ შეწირულის ლიტურგია ამ მეხუთე პარასკევს, როგორ გავაწყობთ დასდებლებს?

მაშინ «უფალო ღაღადეყავ»-სა ზედა დასდებლებს წაიკითხავთ 8 მუხლად: «წინა საუკუნითა» და შემდგომი; დიდება, აწდა: «საუკუნეთაგან დაფარული». შესვლა, «ნათელი მხიარული», წარდგომა და საკითხავი 2 «შექმნათა» და «იგავთა».

სტიქარონსა ზედა დასდებელი თვით ხმოვანი დღისა (პარასკევის მწუხრის პირველი დასდებელი) 2-გზის, და მოწამეთა (იქვე), «დიდება», აწდა, «ენა, რომელი არა იცოდა» (სწერია ამავე შაბათის «აქებდით»-ს დასდებელში). შემდგომ აწ განმიტევე და მამაო ჩვენოსა ტროპარი: «ბრძანებული ჩვენდა საიდუმლო გუ-

ლის ხმა ეყოთ გონიერად» 1-გზის და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

მეხუთე შაბათის ცისკარი.

(დაუჯდომლობა).

რა წესით ვილოცავთ ცისკარს დაუჯდომლობის შაბათს?

დაუჯდომლობის შაბათს ცისკარი ილოცება ექვსი ფსალმუნის დასრულებამდე იმ წესით, როგორც მეხუთე ხუთშაბათს აღსენერთ. «ღმერთი უფალ» სა ზედა ტროპარი წაიკითხვის: «ბრძანებული ჩვენდა საიდუმლო» (3-გზის) და კანონი მე-16: «რქვა უფალმან უფალსა ჩემსა». შემდგომ კანონისა ითქმის კვერექსი მცირე და წაიკითხვეთ ნელად და ტკბილის ხმით ამ კონდაკს: «ზესთა მბრძოლისა ჩემისათვის» (ამ კონდაკის თქმაში მღვდელი აკმევს სრულიად ეკლესიაში).

ამის შემდეგ რა არის წასაკითხავი, ვისგან და რა ადგილს წაიკითხება?

«ზესთა მბრძოლისა»ს შემდეგ წაიკითხვეს მღვდელი საკურთხეველში ღვთის მშობლის კონდაკს და «იოანეს» რიცხვით 24-ს. *)

*) ამ კონდაკთა და იოანეთა მოვისმენთ ზედგომის და არ დავჯდებით ამის კითხვაში; წაიკითხვის საბარეგანის ბილოთი, მაგრამ ხმის გაგრძელება საბარეგანის

ძონდაკნი და იკოსნი წაიკითხვის ოთხ განყოფილებად, (თითოეულ განყოფილებაში არის სამ-სამი კონდაკ-იკოსნი).

დასასრულ პირველი განყოფილებისა მკითხველი წაიკითხავს კონდაკს «ზესთა მბრძოლისა ჩემისა», იტყვის «უფალო შეგეიწყალენ»-ს (3-გზის) და წაიკითხვის კანონი მე-17: «ნეტარ არიან უბიწონი“ და შემდეგ ითქმის კვერექსი მცირე.

მკითხველი კიდევ წაიკითხავს: «ზესთა ბრძოლისა ჩემისა».

მღვდელი დაიწყებს მეორე განყოფილების კითხვას: «ესმა მწყემსთა ანგელოსთაგან» და სხვა.

დასასრულ მეორე განყოფილებისა მკითხველი კიდევ წაიკითხავს კონდაკს: «ზესთა მბრძოლისა»; იტყვის მიწყალეს (50 ფსალ.) და დაიწყება საგალობელი.

საგალობელში ჩაერთვის: «სიხარულისა შემწყნარებელო შენ გშვენის სიხარული მხოლოსა“.

საგალობელი წაიკითხვის შემდგომის წესით:

მზგავსად არ უნდა ყოველ მუხლებზე, არამედ დასასრულ კონდაკისა და იკოსისა მხოლოდ; მაგალითებრ, მღვდელი გაამშვენებს ხმას: «გიხაროდენ სძალო უსძლოო»; მგალობელნი, ანუ მკითხველიც გაიმეორებს გალობით მღვდლის უკანასკნელს სიტყვებს: «გიხაროდენ სძალო უსძლოო»-ს (ანუ სხვას).

კანონი ტაძრისა, სძლის პირითა მუხლი 6 და დაუჯდომელის ღესასწაულისა (ღეთის-მშობლისა ამაეე შაბათს) მუხლი 6; (უკეთუ ტაძარი ღეთის-მშობლის არის, მაშინ ღეთის-მშობლის ტაძრის საგალობელი არ უნდა, არამედ ითქმის კანონი დაუჯდომელის შაბათისა, სძლის პირითა მუხლი 12).

დასაფარებად ითქმის «აღალე პირი ჩემი» (შაბათის საგალობელშიეე სწერია). მესამე გალობის შემდეგ ითქმის კვერექსი მცირე.

შემდგომ კვერექსისა მკითხველი წაიკითხავს კონდაკს: «ზესთა ბრძოლისა ჩემისა».

მღვდელი დაიწყებს კონდაკთა და იკოსთა მესამე განყოფილების კითხვას: „ახალი აგებული გეეჩევნა» და სხვა.

დასასრულ მესამე განყოფილებისა წაიკითხვის ისევ კონდაკი: «ზესთა ბრძოლისა» და წარდგომა «ზეცისა სიმაღლეთაგან მთავარ-ანგელოსი», დიდება, აწდა და ივივე მუხლი.

დაიწყებთ მეოთხე გალობას და ეიდრე მეექვსე გალობამდე ვაკეთებთ მსგავსად პირველი გალობისა.

მეექვსე გალობაზე დახვეთება ოთხ-საგალობელი შაბათისა; აქ დავაყენებთ ტაძრის საგალობელს; მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 გალობები წაიკითხება შემდგომის წესით: ღეთის-მშობლისა მუხლი 6 და

დანაშთენი ოთხ-საგალობელისა რამდენიც არის; დასაფარები მარხვისა (იქვე სწერია).

შემდგომ მეექვსე ვალობისა ითქმის კანონი მცირე და კონდაკი «ზესთა მბრძოლისა».

მღვდელი წაიკითხავს მეოთხე ბგნოფილების კონდაკთა და იკოსთა: «ღზუდე ხარ ქალწულთა» და სხვებს. დასასრულ იტყვის: „ჰოი ყოველად საგალობელო დედაო», ამას წაიკითხავს მღვდელი 3-გზის და კიდევ პირველ იკოსსა 1-გზის: «ანგელოსი წინა მდგომი». ამის შემდეგ ითქმის კონდაკი „ზესთა მბრძოლისა»; მოიხსენებთ თვენს და წაიკითხავთ ამავე შაბათის «სვინაქსარს». შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის კანონი მცირე და განმანათლებელი ამავე შაბათისა: «საუკუნიდან დაფარული» და ყოველი სული აქებდით უფალსა (ჟამნიდან).

«აქებდით»-სა ზედა დასდებელნი წაიკითხვის მუხლი 4: «დაფარული საიდუმლო» და შემდგომი; «დიდება მაღალი» (გრძლად). შემდგომ «წმიდაო ღმერთო»-სა ტროპარი «ბრძანებული ჩვენდა საიდუმლო“ 1-გზის, კანონი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო, «აღეუსრულოთ საცისკრო», სიბრძნით და იქმნება განტევება ჩვეულებისამებრ და ჟამნი პირველი.

დიდი მარხვის მეხუთე კვირა.

მეხუთე შაბათის მწუხრის და ცერის ცისკრისა-თვის ტაბიკონი ვძივთ მარხვანი თვით ამავე შაბათის სწუხრისა და ცერის ცისკარში.

თავი XIII.

შაბათი მეექვსე მართლისა ლაზარესი,

რა წესით წავიკითხავთ «უფალო დადადვყავ»-სა ზედა დასდებელს დიდ-მარხვის მეექვსე პარასკევს?

დასდებელ: წავიკითხავთ 10 მუხლად შემდგომის წესით: თვით ხმოვანი დღისა 2-გზის, მოწამეთა მუხლი 1 და მართლისა ლაზარესი მუხლი 7 (მარხვანში ხუთი მუხლი სწერია და შვიდ მუხლად ვაკეთებთ); დიდება, აწდა, შესლვა, «ანთელო მხიარულო», წარდგომა და საკითხავი 2 «შექმნათა» და «იგავთა»-სი და შემდგომი წესი იქმნება ჩვეულებისამებრ, პირველ შეწირულისა. *)

შუა-ლამის ჟამნი.

რა წესით იქმნება შუა-ლამის ჟამნი მართლის ლაზარეს შაბათსა?

შუა-ლამის ჟამნი იქმნება ჩვეულებისამებრ სხვა

*) ამ მეექვსე პარასკევის შემდეგ ალარ წაიკითხვის ვიდრე თომას ორშაბათამდე საგალობელნი: მოწამეთა, ღვთის-შშობლისა და რკა ხმათა (პარაკლიტონიდან); აგრეთვე უმცირესიც არ წაიკითხვის უფლისა წმიდათა კვირიაკემდე. ამავე პარასკევს ს

შაბათისა: შემდგომ პირველი წმიდაო ღმერთოსა და «მამაო ჩვენო»-სა ითქმის ტროპარი ლაზარესი „ყოველთა აღდგომასა», შემდეგ მეორე «წმიდაო ღმერთო»-სა და «მამაო ჩვენოსა» კონდაკი ლაზარესიცე: «ყოველთა არსთა ცნობისა უფსკრულო», უფალო შეგვიწყალენ 12-გზის და მღვდელი იტყვის: «დიდება შენდა ქრისტე, ღმერთო, სასოებაო ჩვენო დიდება შენდა», «მაკურთხენით მამანო წმიდანო», და შემდგომი... («მოიხსენე უფალო სასოებითა», რომელიც იქვე სწერია ჟამნში აღარ ითქმის). შემდგომ ჩამოლოცვისა, დაიწყება ცისკარი ჩვეულებრივი: «შეისმინენ შენი უფალმან» და შემდგომი.

შემდგომ ექვსი ფსალმუნისა, ღმერთი უფალსა ზედა ტროპარი: «ყოველთა აღდგომასა» 3-გზის, წაიკითხვის დავითნის მე-16 კანონი: «რქვა უფალმან უფალსა ჩემსა».

შემდგომ პირველი დავითნისა ითქმის, კვერექსი მცირე და წარდგომა ამავე შაბათისა.

წაიკითხავთ, «ნეტარარიანსა» (მე-17 კანონი). ამაზედვე მოვაბამთ აღდგომის ხმის ტროპრებს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი», «კუნდნი ანგელოსთანი განკვირდეს», დავასრულებთ ალლილუიათი და ითქმის კვერექსი მცირე.

წაიკითხავთ წარდგომას: «წინასწარ ცნობისა უფსკრულო», დიდება, აწდა და იმავე მუხლს; ითქმის: «აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ», მიწყალე (50 ფსალ.) და დავიწყებთ საგალობელს; (ამ დღეს ცისკარში სახარება არ წაიკითხება, თუ ლაზარეს ტაძარ-

ში არ ელოცულობთ). ამ დღეს საგალობელში ორი კანონი აქეს და წაიკითხვის შემდგომის წესით: პირველი გალობა მუხლი 8 და მეორე მუხლი 6; დასაფარებად ითქმის: «წამის ყოფითა ღმერთო» (იქვე) და შემდგომი. მეექვსე გალობიდან ეიწყებთ ოთხსაგალობელს, წაიკითხვის სძლის ჰირნი ორ-ორ გზის და ტროპარნი 12 გზის.

შემდეგ მეექვსე გალობისა წაეიკითხაეთ კონდაკს, იკოსს და მოეიხსენებთ თეენს.

მეცხრე გალობაზე, «უპატიოსნესსა» არ ითქმის; დასასრულ ცხრა გალობისა ითქმის ქვერექსი მცირე და «წმიდა არს უფალი ღმერთ ჩენი» ჩეეულებისამებრ კვირისა; განმანათლებელი წაიკითხვის ამავე შაბათისა.

«აქებდით»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის ამაეე შაბათისა მუხლი 8; აწდას შემდეგ ითქმის: «უმეტესად კურთხეულ ხარ შენ» (ჟამნში); «დიდება მაღალ» (გრძლად). შემდგომ წმიდაო ღმერთოსა, ტროპარი: «ყოველთა აღდგომასა», კვერექსი და შემდგომი ჩეეულებისამებრ.

მიტყვეით ირეელ ჟამნს და მასზედ წაეიკითხაეთ ლაზარეს ტროპარსა და კონდაკს.

წირეაზე შესლეად: ტროპარი «ყოველთა აღდგომასა», დიდება, აწდა და კონდაკი «ყოველთა არსთა ცნობისა უკსრულო».

ნაცელად «წმიდაო ღმერთოსა» ითქმის: «რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გელებიეს» *)

*) მრთელ დიდ-მარხვის განმავალობაშიე) მხოლოდ ეს დღე არის ხსნილი ხიზილალითა.

ბაიაზიდ ქვირა

რა წესით ვიდოცავთ მცირე მწუხრს ბაიაზიდ შაბათს?

მცირე მწუხრის ლოცვისათვის დავიკავთ ცალის ზარით და შევალთ ეკლესიაში.

მღვდელი დაიკიდებს ორარს, დასდგება ამბიონზე და იტყვის «კურთხეულ არს».

მკითხველი: ამინ, «დიდება შენდა», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო» და შემდგომ ასამღლებელისა უფალო შეგვიწყალენ (12-გზის), დიდება, აწდა, «მოვედით თაყვანი ვსცეთ». 3-გზის და დავიწყებთ მეცხრე ქანს (ვითარ საყვარელ არიან); წაიკითხავენ ჩვეულებისამებრ ვიდრე დასასრულამდე დიდის «აკურთხეს»-ისა, ეიტყვეით ალლილუიას 3-გზის, «უფალო შეგვიწყალენ»-ს 3-გზის, დიდებას, აწდას (დიდი კვერექსი არ უნდა) და წაიკითხავენ «უფალო ღრადვყავს» 4 მეხლს მხოლოდ (ქამნში); «უფალო ღალადვყავ»-სა ზედა დასდებელს წაიკითხავენ 4 მუხლს მცირე მწუხრის დასდებელთაგან (მარხვანში), დიდება და აწდას (ოქტეე); ითქმის «ნათელი მხიარული» (თვინიერ შესლვისა), წარდგომა ღლისა: «უფალი სუფევს მშვენიერება» და «და ღირს მყვენ ჩვენ უფალო მწუხრსა ამას» (კვერექსი აქაც არ უნდა).

სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის ღრესასწაულისა თვისის ჩასართავითა (მცირე მწუხრიდან

მარხეანშიეე). შემდგომ ითქმის: «აწ განმიტევე», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო» და შემდგომ მამამ ჩვენოსა ტროპარნი დღესასწაულისა: «ყოველთა აღდგომასა», დიდება, აწდა და «დაფლულნი შენთანა ნათლის-ღებითა», მღვდელი იტყვის კვერექს: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო» და შემდგომ ასამალლებელისა «დიდება შენდა ქრისტე, ღმერთო, სასოებაო ჩვენო! დიდება შენდა"; ჩამოილოცავს მცირედ და იქმნება განტევება.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: ამ წესით და ამ შედარებით იქმნება საზოგადოდ სხვა დღესასწაულის მცირე მწუხრის ლოცვაც უაეთუ ნებავს ვისმეცთუ ჰურის კურთხევას არ ვაპირებთ, მცირე მწუხრის ლოცვა არ უნდა: აგრეთვე მცირე მწუხრის ულოცვათაც შეიძლება ჰურის კურთხევა დიდს მწუხრზედ.

ბაიოტბის დღესასწაული.

(ბზობა).

რა წესით აღვასრულებთ ბაიობის დღესასწაულის მწუხრისა და ცისკრის ლოცვას ერთად ჰურის კურთხევით?

შაბათს მზის დასვლის დროს მნათე დარეკს ყველა ზარებით გრძლად; მღვდელი და დიაკონი შევლენ ეკლესიაში, მღვდელი შეიმოსება ორარითა და ფილონით; ხოლო დიაკონი სტიხარითა და გინგილით; დიაკონი გააღებს სამეუფო კარებს; გამოვა იმავე კარებით, დასდგება ამბიონზედ და იტყვის ხმა მაღლა: «ალსდეგინ! მეუფეო წმიდაო გვაკურთხენ».

მღვდელი ტრაპეზის წინ მდგომარე იტყვის: «დიდება წმიდასა და თანაარსსა და ცხოველს მყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე»; (დიაკონი შემოვა საკურთხეველში, მიიღებს სანთელს და დასდგება ტრაპეზის ზემოთ მხედველი დასავლეთისაკენ).

მკითხველი ანუ მგალობელი მიუგებს გალობით «ამინ».

მღვდელი დაიწყებს (ხმის გამშვენებით): «მოვედით თაყვანი ესცეთ მეუფესა ღმერთსა ჩვენსა», «მოვედით, თაყვანი ესცეთ და შეურდეთ ქრისტესა, მეუფესა, ღმერთსა, ჩვენსა», «მოვედით თაყვანი ესცეთ და შეურდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა, ჩვენს», «მოვედით თაყვანი ესცეთ და შეურდეთ მას».

მკითხველი დაიწყებს პირველ დასაწყის ფსალმუნს: «აკურთხევს სული სემი უფალსა». *)

მღვდელი აკმევს სრულიად ეკკლესიაში, ხოლო დიაკონი მიმოყვება მარჯვენის კედრით სანთლით. აკმევის შემდეგ შევლენ საკურთხეველში და დახურვენ სამეუფო კარებს.

მღვდელი გამოვა ჩრდილოეთის კარით და მაცხოვრის წინ ლოცულობს საიდუმლო ლოცვას «აკურთხეესი»-ს დასრულდებამდე (ამ საიდუმლოს კითხვაში მღვდელი მოიხდის კამილავკას, გინა სკუფიას). დასასრულ ითქმის დიდი კვერექსი.

---

*) საზოგადოდ ამ წესით ასრულებენ ღამის თევით ლოცვას, როგორც აქ გსწერთ; კონლაკის ტიბიკონი კი ცოტათ ცვლილებას აძლევს დასაწყისში.

მკითხველი წაიკითხავს დავითნის პირველ კანონს სრულიად.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს (ითქმის «უფალო ღალადვყავ»). «უფალო ღალადვყავ»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის (ბზობის დღესასწაულისა, მარხვაში) 10 მუხლად: «დღეს სალმრთომან მადლმან» და შემდგომი (ხუთი მუხლი სწერია და ეთ მუხლად ვაკეთებთ); ითქმის დიდება, აწდა და პირველი დასდებელი: «დღეს სალმრთომან მადლმან». შემდგომ იქმნება შესვლა ჩვეულებისამებრ და წაიკითხვის: «ნათელი მხიარული», წარდგომა «უფალი სუფევს მ მეანიერება» და საკითხავი 3.

მღვდელი იტყვის: «ესთქვათ ყოველთა».

მკითხველი: «დაღირს მყვენ ჩვენ უფალო».

მღვდელი: «აღვუსრულოდ სამწუხრო».

ამის შემდეგ წაიკითხავთ «ლიტეს ზედა დასდებელს» (ბზობის მწუხრში). ამის ქითხვაში მღვდელი გამოვა ჩრდილოეთის კარით, რომელსაც წინ მიუძღვის დიაკონი საცეცხლურით, ხოლო მნათე ორის სანთლით; სასანთლეთა დასდგმენ იქეთ აქეთ დასავლეთის კართან ახლო; საშუალ სანთლებისა დასდგება მღვდელი, ხოლო დიაკონი აკმევს ეკლესიაში წესისამებრ.

«ლიტის» წაკითხვის შემდეგ დიაკონი იტყვის: «აცხოვნე ღმერთო. ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი» სრულიად და ითქმის უფალო შეგვიწყალენ 40 გზის (ვალობით).

ეიდევ განაგრძობს დიაკონი: «მერმეცა გევედ-

რებით უკეთილ მსახურესისა ხელმწიფისა ჩვენისა».

მგალობელი ანუ მკითხველი: უფალო შეგვიწყალენ (30-გზის).

დიაკონი: «მერმეცა გეეედრებით მეუღლისა მისისა». მგალობელნი უფალო შეგვიწყალენ (30-გზის).

დიაკონი: «მერმეცა გეეედრებით უწმიდესისა და უმართებელესისა სინოდისა და ყოვლად უსამღვდელოესისა (ადგილობითი ეპისკოპოსის სახელი).

მგალობელი: უფალო შეგვიწყალენ (30-გზის).

დიაკონი: «მერმეცა გეეედრებით რათა დაიცვას უფალმან, ღმერთმან, ჩვენმან».

მგალობელი: უფალო შეგვიწყალენ (3 გზის).

დიაკონი: «მერმეცა გეეედრებით, რათა შეისმინოს უფალმან ღმერთმან ხმა ვედრებისა ჩვენ ცოდვილთა ამათ და შეგვიწყალნეს ჩვენ».

მგალობელი: უფალო შეგვიწყალენ (3 გზის).

მღვდელი ლიტანეის ასამღერებელს: «შეისმინე ჩვენი ღმერთო მაცხოვარო ჩვენო» და შემდგომს (ყველა ეს წასაკითხავები კონდაკში სწერია).

ამის შემდეგ წავიკითხავთ ამაევ დღესასწაულის სტიქარონს თვისის ჩასართავით.

სტიქარონის წაკითხვაში მოიტანენ და დასდგმენ ამბიონის დაბლა წინათვე გამზადებულ «სტოლს», რომელზედაც იქმნება დაწყობილი: ხუთი პური, ხორბალი (პურის კაკალი), ღვინო (ბოთლით) და ზეთი. სტოლზედ იქმნება კიდევ სამი ღერი სანთელი აღნთებული და მის გვერდით «ანალოღიაზე» ხატი იმ დღესასწაულის, რომელ დღესასწაულის დღესაც ვასრულებთ ამ მოქმედებას, ანუ ხატი თორმეტი საუფლოსი.

მღვდელი და დიაკონი დასდგებიან ამ სტოლის წინ. ოჩრ სანთლებს (რომელიც ამდენანს დაბლა იდგა) დაუდგმენ სტოლს იქეთ აქეთ, მღვდელი გაიკეთებს მარჯვენა ხელზედ სამკლავეს.

დასასრულ სტიქარონისა ეიტყვეთ: «აწ განმიტევე», «წმიდაო ღმერთო» და შემდგომ «მამაო ჩვენო»-სა ტროპრებს: «ყოველთა აღდგომასა» (2-გზის) და «დაფლულნი შენთანა» (1-გზის); თითო ტროპრის წაკითხვაში დიაკონი შემოუკმეეს თითო გზის საკურთხად განმზადებულ პურს, დასასრულ ტროპრებისა დიაკონი იტყვის: «უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მღვდელი წაიკითხავს ამ ლოცვას: «უფალო იესო ქრისტე, ღმერთო, ჩვენო, რომელმან აკურთხენ ხუთნი პურნი და ხუთ-ათასნი განაძღენ, ეგრეთვე აკურთხე პურნი ესე, ხორბალი, ღვინო და ზეთი»; (ამ დროს მღვდელი აჩვენებს მარჯვენის ხელით პურსა, ხორბალსა, ღვინოსა და ზეთზე). მერმე აღიღებს ერთს პურს და მით გამოსახავს დანარჩენ პურებზე ჯვარს.

დასასრულ ითქმის: «იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ, ამიერითგან და უკუნისამდე» (3 გზის), «ვაკურთხო უფალი ყოველსა ქამსა», «არა ნაკლულევან იქმნენ ყოველისაგან კეთილისა»-მდის.

მღვდელი ამ დროს შესდგება ამბიონზე და იტყვის: «კურთხევა უფლისა ფქვენ ზედა, მისითა მადლითა და კაცთ მოყვარებითა ყოველადვე აწადა მარადის დაუკუნითი უკუნისამდე».

მკითხველი წაიკითხავს «ექეს ფსალმუნს» ჩვეულებისამებრ.

შენიშვნა: ამ წესით და ამის შედარებით იქმნება, როგორც გსთქვით პურის კურთხევა სხვა დღესასწაულ დღეებშიაც.

შემდგომ ექესი ფსალმუნისა ითქმის: «ღმერთი უფალი», მას შემდეგ წაიკითხვის ტროპარნი: «ყოველთა აღდგომასა» (2 გზის), დიდება, აწდა, და «დაჯლულნი შენთანა ნათლის ღებითა». შემდგომ პირველი და მეორე ფსალმუნებისა ითქმის კვერექსი მცირე და დღესასწაულის «წარდგომები» (სტიხოლოგიის).

შემდეგ წაიკითხვის მე-19 კანონი (აქებდით) და მასზე ვიტყვით დღესასწაულის «სადიდებელს» და გამოკრებილ ფსალმუნს, ალლილუიათურთ; შემდგომ ამისა ითქმის კვერექსი მცირე.

შემდგომ კვერექსისა—წარდგომა სადიდებელისა: «რომელი მჯდომარე ხარ ხერუვიმთა ზედა», დიდება, აწდა და იგივე წარდგომა. ვიტყვით მეოთხე ხმის აღსავალს: «სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძოლანან მე» (სწერია პარაკლიტონში მეოთხე ხმის კვირის ცისკარში); ჩაეურთავთ შიდ: «დიდება შენდა ღმერთო, ჩვენო, დიდება შენდა». დასასრულ დიაკონი იტყვის: «მოხედენ! სიბრძნით»!

მკითხველი წაიკითხავს წარდგომას: «პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართათა დაამტკიცე ქება», «უფალო, უფალო, ჩვენო, ვითარ საკვირველ არს სახელი შენი ყოველსა ქვეყანასა ზედა».

დიაკონი: «უფლისა მიმართ ვილოცოთ».

მკითხველი ანუ მგალობელი: «უფალო შეგვიწყალენ».

მღვდელი: «რამეთუ წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩვენო».

მკითხველი: ამინ, «ყოველი სული აქებდით უფალსა» და შემდგომი.

Diakoni: «ლირს ყოფად ჩვენდა სმენად წმიდისა სახარებისა უფალსა, ღმერთსა, ჩვენსა, ეეეედრნეთ».

მგალობელნი: უფალო შეგვიწყალენ (3 გზის).

Diakoni: «სიბრძნით აღემართენით დაისძინე წმიდა სახარება».

მღვდელი: «მშვიდობა ყოველთა».

მგალობელნი: «დასულისაცა შენისათანა».

მღვდელი: «მათესაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი».

მგალობელნი: «დიდება შენდა უფალო დიდება შენდა».

Diakoni: «მოხედენ» და მღვდელი წაიკითხავს სახარებას. შემდგომ სახარებისა «აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ» არ ითქმის, არამედ ვიტყვით მიწყალეს (50 ფსალმუნი); ამ დროს მღვდელი მიიღებს საცეცხლურს და უკმევს ბზის რტოთა და ბაიათა (ბაია და ბზის რტო წინეთ უნდა იყოს მომზადებული).

Diakoni იტყვის: «უფლისა მიმართ ვილოცოთ».

მგალობელნი: «უფალო შეგვიწყალენ».

მღვდელი წაიკითხავს ლოცვას ბზის რტოთა და ბაიასა ზედა: «უფალო, ღმერთო, ჩვენო, რომელი ზი ზედა ხერუვიმთა». დასასრულ ამ ლოცვისა ხალხნი ემთხვევიან სახარებას, ხოლო მღვდელი სცხებს მათ ზეთს შუბლზე და დაურიგებს ბაიასა და ბზის რტოს.

მკითხველი იტყვის: «დიდება მამასა და ძესა»,

«დღეს ქრისტე შეეალს ქალაქად ბეთანიად» (მარხვანშიე), «აწდა მარადის» და გაიმეორებს ისევ იმავე მუხლს; იტყვის: «მიწყალე მე ღმერთო» (მცირე) და «დღეს საღმრთომან მადლმან»-ს (სწერია დიდი მწუხრის პირველ დასდებლად).

დიაკონი წაიკითხავს მაცხოვრის წინაშე: «აცხოვენე ღმერთო ერი შენი».

მკითხველი: უფალო შეგვიწყალენ (12 გზის).

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს და შემდგომ დაიწყებთ საგალობელს.

საგალობელს ვაკეთებთ თოთხმეტ მუხლად.

ქანონი დღესასწაულისა: სძლის პირნი წაიკითხვის ორ-ორ გზის და ტროპარნი 12 მუხლად; დასაფარებად ვიტყვით ამავე დღესასწაულის სძლის პირს.

შემდგომ მესამე გალობისა ითქმის კვერექსი მცირე და წაიკითხვის «იპაკო» დღესასწაულისა (მესამე გალობის ბოლოში). შემდგომ მეექვსე გალობისა: კონდაკი და იკოსი დღესასწაულისაევე. მოვიხსენებთ თვენს და წაეიკითხავთ სვინაქსარს (მარხვანში). მეცხრე გალობაზე „უპატიოსნესა» არა ვიტყვით, არამედ «ღეთის-მშობელსა დედესა ნათლისასა»-ს მაგიერ იტყვის მღვდელი დღესასწაულის ჩასართავს: «მოწაფეთა რა იხილეს, შესელა ქრისტესი იერუსალიმს შინა». მკითხველი დაიწყებს მეცხრე გალობას და თითოეულ მუხლში ჩაურთავს იმავე ჩასართავს. დასასრულ ცხრა გალობისა იტყვის იმავე ჩასართავს ღა

წაიკითხავს მეცხრე სძლის პირს: «ღმერთი, უფალი, გამოგვეჩინდა ჩვენ დღეს».

ითქმის კვერეკსი მცირე (განმანათლებელი არ უნდა). შემდეგ მცირე კვერექსისა ითქმის: «წმიდა არს უფალი, ღმერთი, ჩვენი» (3 გზის) და «აქებდით» (ქამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის დღესასწაულისა მუხლი 6; დიდება, აწდა: «პირველ ექვესი დღით პასექისა, მოვიდა იესო ბეთანიად» («უმეტესად კურთხეულხარ» არ ითქმის).

დიდება მაღალი წაიკითხვის გრძლად; შემდგომ «წმიდაო ღმერთო»-სა და «მამაო ჩვენო»-სა ტროპარი დღესასწაულისა: «ყოველთა აღდგომასა», კვერექსი (შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო) და იქმნება განტევებაჩვეულებისამებრ.

ვიტყვით პირველ ქამნს ჩვეულებისამებრ.

ლიტურლიასა ზედა ითქმის «ანტიფონი» ფსალმუნთა წილ; (აკურთხევს, აქებს და ნეტარ იყვენინის მაგიერ, სწერია სამოციქულოში და მარხვანშიაც).

შესვლად ნაცვლად «მოვედით თაყვანი ვსცეთ»-ისა ითქმის: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ვიკურთხენით ჩვენ სახლით უფლისათ, ღმერთი უფალი და გამოგვეჩინდა ჩვენ». შემდგომ ამისა ტროპარნი: «ყოველთა აღდგომასა», დიდება, «დაფლულნი შენთანა»; აწდა და კონდაკი «ზეცათა შინა საყდართა».

ბაიოზის კვირას მწუხრად.

შეფალო ღალადეყავსა ზედა დასდებელი და სხვანი ითქმის ტიბიკონისამებ მარხენისა.

შემდგომ «აწ განმიტევე»-სა და «მამაო ჩვენო»-სა ტროპარნი: «ღვთის მშობელო ქალწულო გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ», და შემდგომი ითქმის მეტანიითა მსგავსად წარსული კვირეების მწუხრისა.

სერობას ვიტყვით მცირესა, და მას ზედა წაეკითხავთ ანდრია კრიტელის «სამ-საგალობელს».

თავი XIV.

ორშაბათი დიდი წმიდისა ვნების შვიდეულისა-

როგორ და რა წესით ილოცება შუადამის ქამნი და ცისკარი ამ ვნების შვიდეულში; ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს?

როგორც შუალამის ქამნს, აგრეთვე ცისკარსაც ვილოცავთ ამავე შვიდეულის ხუთშაბათამდე დიდ მარხვის ჩვეულებისამებრ უცვლელად, ვიდრე დასრულებამდე «ექვსი ფსალმუნისა».

რა ითქმის ექვსი ფსალმუნის შემდეგ?

შემდეგ ექვსი ფსალმუნისა ითქმის კვერექსი დიდი და ალლილუია ჩვეულებისამებრ მარხვისა და მას-

ზედ წაეიკითხავთ ტროპარს: «აჰა ესერა სიძე მოვალს შუალამესა» (3 გზის) და დაეითნის რიგის კანონს.

შემდგომ პირველის, მეორის და მესამე ფსალმუნებისა ითქმის «წარდგომები» მარხენისა (მესამე ფსალმუნების კითხვაში აკმევს მღვდელი სრულიად ეკკლესიაში). როდესაც წაეიკითხავთ მესამე ფსალმუნების «წარდგომას» მაშინ, მღვდელი გაალებს სამეუფო კარებს და იტყვის: «ღირსყოფად ჩვენდა სმენად წმიდისა სახარებისა უფალსა, ღმერთსა, ჩვენსა ეეეედრნეთ» და წაიკითხავს სახარებას (მათეს თავისაგან, სახარების ტიბიკონისამებრ).

სახარების შემდეგ ვიტყვით მიწყალეს (50 ფსალმ.)

მღვდელი იტყვის: «აცხოვნე ღმერთო ერი შენი».

მკითხველი: «უფალო შეგვიწყალენ» (12-გზის).

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს და დაეიწყებთ საგალობელს. საგალობელში ჩაერთვის: «დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა».

საგალობელს ეაკეთებთ 14-მუხლად; წაიკითხვის: სძლის პირნი ორ-ორ გზის და ტროპარნი 12. დასაფარებად ვიტყვით თვისსაეე სძლის პირს.

შემდგომ პირველი გალობისა ითქმის კვერექსი მცირე, მერმე წაეიკითხავთ კონდაკს: «იაკობ გოდებდა ტყებით» და აგრეთვე იკოსს (გლოვასა ზედა აწ შეესძინოთ გლოვა). აქ, მოეიხსენებთ თვენსა და წაეიკითხავთ თეის სვინაქსარს.

წაეიკითხავთ აგრეთვე მერვე გალობას. მეცხრე გალობაზე «უპატიოსნესა» ხრა ვგალობთ.

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის კვერექსი მცი-

რე და განმანათლებელი: «სასძლოსა შენსა ეხედავ მაცხოვარ» (3 გზის). «აქებდით» (ჟამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხნისა მუხლი 4; «შენდა დიდება შვენის ქრისტე ღმერთო ჩვენო» და «დიდება მაღალი» მცირე.

მღედელი იტყვის: «აღეუსრულოთ საცისკრო ვედრება ჩვენი უფალსა» და შემდგომს.

აღვიესენითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხვნისა, რომელშიაც ჩაურთავთ: «აღვიესენით ჩვენ ცისკარსა წყალობითა» (ჩვეულებისამებრ). დასასრულ ითქმის: «კეთილ არს აღსარება უფლისა», წმიდაო ღმერთო, და შემდგომი ჩვეულებისამებრ დიდის მარხვისა; შემდგომ უფალო და მეუფეოსა იტყვის მღედელი: «დიდება შენდა ქრისტე, ღმერთო, სასოებაო ჩვენო დიდება შენდა»; «ნებსით ვნებად მომავალმან უფალმან ჩვენისა ცხოვრებისათვის ქრისტემან, ჰეშმარიტმან ღმერთმან, ჩვენმან»; ჩამოიღოცავს მცირედ და ითქმის ჟამნი პირველი ჩვეულებისამებრ მარხვისა და იქმნება განტევება.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: 1) ეს განტევება ითქმის: ორშაბათს სამშაბათს და ოთხშამათს.

2) პირველს და მეცხრე ჟამნზე დავითნი არ უნდა ამ ვნების კვირაში.

3) დავითნი მხოლოდ ერთ გზის დათავდება თავიდგან ბოლომდის ამ კვირაში დავითნის ტიბიკონისამებრ, ხოლო ოთხშაბათის მწუხრიდან დავითნი არ უნდა თომას კვირამდის.

დიდს ორშაბათს

შუადღის ჟამნობისა და მწუხრისაოვის.

რა წესით ილოცება შუადღის ჟამნობა დიდს ორშაბათს?

დიდს ორშაბათს შუადღის ჟამნობისათვის მწათე დარეკს ცალის ზარით მძიმედ და შემდგომ შეეალთ ეკლესიაში.

მღვდელი დაიკიდებს ორარს და იტყვის: «კურთხეულ არს».

მკითხველი დაიწყებს «მესამე ჟამნს» ჩვეულებისამებრ; შემდგომ «მიწყალესა» წაიკითხავს დავითნის რიგის კანონს *).

მღვდელი იტყვის: «უფალო რომელმან ყოველად წმიდა სული შენი» ჩვეულებისამებრ (სახარების წინ, ამბიონის დაბლა). როდესაც ვიტყვით: «ღვთის მშობელო ქალწულო შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი» და დავალთ «უფალი ღმერთი კურთხეულ»-ამდის, მაშინ მღვდელი იტყვის: «ღირს ყოფად ჩვენდა სმენად წმიდისა სახარებისა» და შემდგომ წაიკითხავს სახარება-

*) მესამე დიდების წაკითხვაში, დასდგმენ «ანალოღია»-ს საშვალ ეკლესიაში, მღვდელი ჩაიცვამს ფილონს გაალებს სამეუფოკარებს, ასვენებს ტრაპეზიდან სახარებას და დასვენებს ანალოღიაზე (ამბიონის დაბლა), იქეთ-აქეთ აუნთებენ სანთელს; მღვდელი უკმევს სახარებას, წმიდათა ხატთა და ხალხთა ჩვეულებისამებრ.

სა *) (წაიკითხავს პირველად ნელ-ნელა და შემდგომ მოჩქარებით; დასასრულ კიდევ ნელად, როგორც ჩვეულება არის სახარების წაკითხვისა). შემდგომ ეიტყვით: «დიდება შენდა უფალო დიდება შენდა», (გალობით); მერმე «უფალი ღმერთი კურთხეულ, კურთხეულ არს» და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

შემდგომ მამაო ჩვენოსა წაიკითხვის კონდაკი დღისა: «იაკობ გოდებდა ტყებით» (ამ ორშაბათს და სამშაბათს ითქმის მხოლოდ დღის კონდაკი ყველა ჟამნებზე; აგრეთვე შემდეგ «გვიხსენ გვილხინესა» მამაო ჩვენოზე და დიდს სერობაზედაც). შემდგომ კონდაკისა ითქმის: უფალო შეგვიწყალენ 40 გზის, «როშელი ყოველსა დღესა», დიდება, აწდა, «უპატიოსნესა» და შემდგომი მეტანიითა ჩვეულებისამებრ დიდის მარხვისა და დაიწყება ჟამნი მეექვსე.

მეექვსე ჟამნზე სახარება წაიკითხება მეექვსე ჟამნის საწინასწარმეტყველოს დასასრულ, იმ წესით, როგორც ზემოთ მესამე ჟამნზე ავხსენით, მხოლოდ ამ განსხვაებით, რომ ამ დროს მარტო სახარებას

---

*) სახარება წაიკითხება სრულიად თავიდან ბოლომდის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს; ოთხშაბათს ცხრა ჟამნზედ დასრულდება. წაიკითხება შემდგომ ადგილებზე: მესამე ჟამნზე, მეექვსე ჟამნზე და მეცხრე ჟამნზე. ამ ანგარიშით, სახარება წაიკითხება ცხრა განყოფილებად ანუ ცხრა საკითხავად: მათესი, მარკოზისა და იოანნესი ორ-ორ საკითხავად; ხოლო ლუკასი—სამ საკითხავად.

იოანეესი წაიკითხება მხოლოდ, ვნების სახარების დასაწყისამდე: »აწ იდიდა ძე კაცისა»-მდის.

უკმევს (შემდგომი წესი იქმნება მარხვის ჩვეულებისამებრ).

მეცხრე ჟამნზედ კიდევ სახარებას წაიკითხავს მღვდელი საშვალ «რომელი ჩვენთვის იშვე ქრისტე»-სა. შემდგომ სახარებისა, ვიტყვით: «ნუ მიმცემ ჩვენ სრულიად სახელისაშენისათვის», და შემდგომი ჩვეულებისაებრ დიდის მარხვისა.

ლიტურღია იქმნება პირველ შეწირულისა ჩვეულებისამებრ.

«შფალო ღა-ღადეყაე»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხვნის ტიბიკონისამებრ: შესლეა სახარებითა, ნათელი მხიარული, წარდგომა და საკითხავი 2 «გამოსვლათა» და «იობისა». წარემართე ლოცვა ჩემი და შემდგომი იქმნება ჩვეულებისამებრ. მღვდელი ანუ დიაკონი წაიკითხავს სახარებას, «წარემართენ»-ის შემდეგ სახარების ტიბიკონისამებრ.

უკეთუ არ აღვასრულებთ პირველ შეწირულს, მაშინ უფალო ღაღადეყაესა ზედა დასდებელს და სხვათა წაეიკითხავთ იმ წესით როგორც არის ტიბიკონი ნაჩვენები ამავე ორშაბათის მწუხრში საწინასწარმეტყველოთა ბოლოზე.

ორშაბათს და სამშაბათს ითქმის სერობა დიდი, და მას ზედა წაეიკითხავთ ანდრია კრიტელის სამ-საგალობელს (ამავე დღის მწუხრის ბოლოში).

წმიდასა და დიდსა სამშაბათსა ცისკრად.

რა წესით ილოცება დიდი სამშაბათის ცისკარი?

სამშაბათს ცისკარი ილოცება რიგის კანონი

დაეითნის წაკითხვამდე იმ წესით, როგორც ამაეე შეიდეულის ორშაბათსა ესთქვით. შემდგომ ფსალმუნებისა წარდგომები წაიკითხვის მარხვნისა და როდესაც დაეასრულებთ მესამე ფსალმუნების წარდგომას, მაშინ მღედელი წაიკითხაეს რიგის სახარებას მსგაესად ორშაბათისა.

სახარების შემდეგ ითქმის «მიწყალე» (50 ფსალ.) მღედელი იტყეის, «აცხოენე ღმერთო ერი შენი»; ითქმის უფალო შეგვიწყალეე (12-გზის) და როცა მღედელი ამის შემდეგ ასამაღლებელს იტყეის, შემდეგ «ამინ»-ისა ითქმის მცირე კერექსი; მერმე წაეიკითხაეთ კონდაკს: «ქამსა მას განსვლისასა იხსენებდი ჰოი სულო ჩემო» და ორს იკოსებს» (იქეე). შემდეგ მოეიხსენებთ თეენს და წაეიკითხაეთ თეის სვინაკსარს.

შემდეგ ამისა წაეიკითხაეთ ორ საგალობელს (მე8 და მეცხრე გალობას) და ეაკეთებთ 14 მუხ.; გალობა მერეე: სძლის პირნი ორ გზის და ტროპარნი 12-გზის, დაეაფარებთ თეისსაეე სძლის პირს და შემდეგ წეეიკითხავთ მეცხრე გალობასაც («უპატიოსნესსა» არა ეგალობთ).

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის კერექსი მცირე და განმანათლებელი: «სასძლოსა შენსა ეხედაე» (3-გზის).

«აქებდითსა» და «აღეიესენით»-სა ზედა დასდებელნი და შემდგომი წაიკითხვის ჩეეულებისამებრ (როგორცმარხვანში არის ნაჩეენები).

სამშაბათსაჟე დიდსა.

დიდს სამშაბათს შუა დღის ლოცვა, სახარების კითხვა ქამნებზე, ლიტურლია პირველ შეწირულისა და შემდგომი იქმნება მსგავსად ორშაბათისა; (უფალო ღაღადვყავსა ზედა დასდებელი და სხვა იძიეთ მარხვანში ამავე დღეს).

დიდსა ოთხშაბათსა ცისკრად.

რა წესით ილოცება დიდი ოთხშაბათის ცისკარი?

ოთხშაბათის ცისკარი ილოცება იმ წესით როგორც ორშაბათის ცისკარი, ვიდრე სახარების წაკითხვამდე.

შემდგომ სახარებისა ითქმის «მიწყალე» (50 ფსალ.) და დაიწყება საგალობელი; წაიკითხება გალობა მესამე, მერვე და მეცხრე; მესამე გალობის შემდეგ ითქმის კვერექსი მცირე, წავიკითხავთ კონდაკს, იკოსს და მოვიხსენებთ თვენს.

მეცხრე გალობაზე, «უპატიოსნესსა» არა ვგალობთ და შემდგომი ყოველივე წესი ცისკრისა იქმნება ჩვეულებისა მებრ როგორც ორშაბათსა ესთქვით.

დიდსა ოთხშაბათსა

შუა-დღის ლოცვისათვის.

მესამე და მეექვსე ქამნები ითქმის ფსალმუნითა (რიგის კანონით) და სახარების წაკითხვითა მსგავსად ამავე შვიდეულის ორშაბათისა.

მეცხრე ჟამნს დაეიწყებთ „წმიდაო ღმერთო»-თი.

უკანასკნელი სახარების კითხვა იქმნება მეცხრე ჟამნზე; შემდგომ ითქმის: «ნუ მიმცემ ჩვენ სრულიად», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო», კონდაკი დღისა და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

შემდგომ «მეუფეო უფალო Iესო ქრისტე»-სა წაეიკითხაეთ: «სასუფეველსა შენსა», «მოიხსენე ჩვენ უფალო» და «ნეტარიყენენ»-სა. შემდგომ» გვიხსენ, გვილხინე» და «მამაო ჩვენო»-სა ითქმის: კონდაკი დღისა დიდის ოთხშაბათისა, ტაძრის წმიდისა და თვენის წმიდისა, დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე» აწდა და «სასოო და შესაეედრებელო».

უკეთუ ტაძარი არის ღეთის-მშობლისა, აწდას შემდეგ ვიტყვით; ღეთის-მშობლის ტაძრის კონდაკს; მერმე ითქმის: «უფალო შეგვიწყალენ» 40-გზის, დიდება, აწდა, უპატიოსნესსა, სახელითა უფლისათა გვაკურთხენ მამაო.

მღვდელი იტყვის: «რომელი იგი არს კურთხეულ», «ზეცათა მეუფეო», «უფალო და მეუფეო».

მკითხველი: «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო», უფალო შეგვიწყალენ 12-გზის და «წმიდაო სამებაო ერთ არსებაო».

მღვდელი გააღებს სამეუფო კარებს და იტყვის; «სიბრძნით».

მკითხველი: «ღირს არს ჭეშმარიტად».

მღვდელი: «დიდება შენდა ქრისტე, ღმერთო, სასოებაო ჩვენო დიდება შენდა“.

მკითხველი: დიდება, აწდა, უფალო შეგვიწყალენ 3-გზის, მამაო წმიდაო გვაკურთხენ.

მღვდელი, დასდგება ამბიონზედ, მხედველი ლოცვის მსმენელთადმი და ნაცვლად ჩამოლოცვისა იტყვის: «მეუფეო მრავალ მოწყალეო» (ეს ლოცვა სწერია ჟამნში დიდი სერობის ბოლოში; ამ ლოცვას ერნი მოისმენენ დაჩოქემით, ხოლო მღვდელი წაიკითხავს ზე-დგომით- *)

შემდგომ ამისა მღვდელი დახურავს სამეუფო კარებს, აღამაღლებს სახარებას ტრაპეზზედ და იტყვის: «კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე». მგალობელნი იტყვიან ამინ, და დავიწყებთ, დიდს «აკურთხევს»-ს, «წმიდაო ღმერთო»-თი.

შემდგომ დიდი აკურთხევსისა, წაიკითხავთ დავითნის მე-18 კანონს: «ჰირსა ჩემსა». (აქ დადგება დავითნი და თომას შაბათის მწუხრამდე აღარ წაიკითხვის).

«უფალო ღაღადვყავ»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხვნის ტიბიკონისამებრ... ლიტურგია იქმნება, პირველ შეწირულისა და შემდგომი ჩვეულებისამებრ; («უფალო და მეუფეო») ითქმის ერთ გზის წმიდა ძღვნის შესვენების შემდეგ «აწ ძალნი ცათანი»-ს დასასრულ და შემდეგ აღარ უნდა). ამ დიდს ოთხშაბათს, სერობა ითქმის მცირე და მას ზედ წაიკითხავთ ანდრია კრიტელის «სამ-საგალობელს».

---

*) აქ მიიღებენ შენდობას ძმანი უპირატესისაგან და უპირატესიცა ძმათაგან.

ცისკარი დიდი ხუთშაბათისა.

(დიდი ხუთშაბათიდან თომას კვირიაკემდე შუა ღამის ჟამნი არ უნდა ეკლესიაში).

რა წესით ვილოცავთ დიდი ხუთშაბათის ცისკარს?

ცისკარს დავიწყებთ «შეისმინე»-დან და შემდგომ ექვსი ფსალმუნისა ითქმის: «ალლილუია» და „ღამითგან ალიმსთობს სული ჩემი"; მას ზედ წაიკითხავთ დიდი ხუთშაბათის ტროპარს: ხმა მე-8 «რაჟამს დიდებულნი მოწაფენი» (3-გზის); (ტროპარი ითქმის გალობით, ანუ ნელ-ნელა წაკითხვით და ამის თქმაში მღვდელი აკმევს სრულიად ეკლესიაში).

ტროპარის დასასრულ მღვდელი იტყვის: «ლირს ყოფად ჩვენდა, სმენად წმიდისა სახარებისა, უფალსა, ღმერთსა, ჩვენსა ვეეედრნეთ»; წაიკითხვის სახარება რიგისა და შემდეგ ითქმის: «მიწყალე» (50 ფსალ.), ხოლო «აცხოვნე ღმერთო, ერი შენი» არ უნდა.

დავიწყებთ საგალობელს და ვაკეთებთ 8 მუხლად; წაიკითხვის სძლის პირნი ორ-ორ გზის და ტროპარნი 6 მუხლად; დასაფარებად ითქმის ამავე დღის სძლის პირნი.

შემდგომ მესამე გალობისა ითქმის კვერექსი მცირე და «წარდგომანი» (იქვე). შემდგომ მეექვსე გალობისა, კვერექსი მცირე, კონდაკი, იკოსი და მოვიხსენებთ თვენს.

მეცხრე გალობაზე «უპატიოსნესსა» არა ეგალობთ, შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის კეერექსი მცირე და წაიკითხვის განმანათლებელი. «სასძლოსა შენსა ეხედაე»; შემდეგ ითქმის აქებდით (ჟამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხვენისა; შემდეგ «შენდა დიდება შვენის» და «დიდება მაღალი» ითქმის მცირე.

მღვდელი იტყვის: «აღეუსრულოთ საცისკრო ვედრება ჩვენი უფალსა და შემდგომი.

აღვიესენითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის თვით ხმოვანი მარხვენისა, რომელშიდაც ჩაურთავთ: «რომელი სჯამდა პურსა ჩემსა, მან განადიდა ჩემზედა შეტყუეილი.

მეორე: «გარე განეიდის გარე და მასვე იტყვინ».

მესამე: «სიტყვა უსჯულოებისა დამდვეს ჩემზედა», დიდება, აწდა და შემდგომი.

«ძეთილ არს აღსარება», წმიდაო ღმერთო, მამაო ჩვენო და წაიკითხვის ტროპარი: «რაჟამს დიდებულნი მოწაფენი საბანელსა მას», მღვდელი იტყვის კეერექსს: «შეგვიწყალენ, ჩვენ ღმერთო» და სხვათა ჩვეულებისამებრ.

ეიტყვით პირველს ჟამნს, რომელზედაც წაიკითხვის ტროპარი და კონდაკი დიდის ხუთშაბათისა; შემდეგ როდესაც წაეიკითხავთ «რამე სახელ გდევათ შენ ჰოი მიმადლებულო»-ს შუამდის, მაშინ, წაიგითხვის ტროპარი საწინასწარმეტყველოსი: «რომელმან კაცთა ნათესაეისათვის, ყურიმლის ცემა თავს იდეე», დიდება აწდა (იგივე); ეიტყვით წარდგომას და წაეი-

კითხავთ «იერემიას» საწინასწარმეტყველოსა (იქვე): შემდეგ ამისა ითქმის: «სლვანი ჩემნი წარმართენ»; «წმიდაო ღმერთო» და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

თავი XV.

წმიდასა დ დიდსა ხუთშაბათსა ლიტურგიისათვის.

რა წესით დაიწყების დიდს ხუთშაბათს; ლიტურგიის წინეთ ლოცვა და როგორ მოებმის ზედ წირვა დიდის ვასილისა?

ჩვეულებრივს წირვის დროზედ მნათე დარეკს; მღვდელი შეეალს ეკკლესიაში, ემთხვევა ხატებს, ისხურებს ანაზმს და საზოგადოდ ჩვეულებისამებრ წირვისა შეიმოსება ყოველივე სამღვდელო შესამოსლით და კვეთს.

შემდეგ იტყვის მღვდელი «კურთხეულ არს» და შეუსალმუნე წაიკითხავს მესამე და მეექვსე ქებანებს დიდი ხუთშაბათის ტროპარითა და კონდაკით (როგორც ხსნილში წირვის ქებნობა); როდესაც გათავდება «ღმერთო და უფალო ძალთაო», მაშინვე ითქმის: «მოეეტნით თაყვანი ესცეთ (3-გზის), მეცხრე ქებნი «ვითარ საყვარელ არიან» და შემდგომი (ხუთშაბათისავე ტროპარ კონდაკით საზოგადო ქებნობათა ჩვეულებისამებრ).

შემდგომ «მეუფეო უფალო ესო ქრისტე»-სა, ითქმის: «სასუფეველსა შენსა», «გუნდნი ზეცისა ძალ-

თანი», და შემდგომი («მრწამს»-ი არ წაიკითხეის აქ, არამედ წირვაში წაეიკითხაეთ); «გეიხსენ, გეილხინე» და მამაო ჩვენოს შემდეგ, ითქმის მხოლოდ კონდაკი დიდის ხუთშაბათისა; მერმე უფალო შეგეიწყალ ენ 40-გზის და «წმიდაო სამებაო ერთ არსებაო».

ამ დროს მღვდელი გაალებს სამეუფო კარებს და იტყვეის: «სიბრძნით»! და ჩამოილოცავს მკირედ; შემდეგ ისევ დახშაეს კარებს, აღამაღლებს სახარებას და იტყვის: «კურთხეულ არს მეუფება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.—ამინ.

ჩვენ დაეიწყებთ: «მოვედით თაყვანი ვსცეთ» 3-გზის და წაეიკითხაეთ «პირველ დასაწყისს ფსალმუნს».

მღვდელი იტყვის: დიდ კვერექსს.

«უფალო ღაღადვყავ»-სა ზედა დასდებლებს წაეიკითხაეთ მარხენიდგან 10 მუხლად: «შეკრბების აწ კრებული ურიათა» და შემდგომი; დიდება, აწდა ღა ხმა მე-2: «ჰეშმარიტად ნაშობი იყო იქედნეთა».

შესლვა იქმნება სახარებითა; წაიკითხეის: «ნათელი მხიარული», წარდგომა ფსალმუნთა და საკითხაეი 3: 1 გამოსელათა, მე-2 იობისა, და მე-3 ისაიასი. (ამ საკითხაეთა კითხვაში სამეუფო კარებს დახურეენ და დასასრულ საწინასწარმეტყველოსა ისევ გაალებენ).

შემდგომ საწინასწარმეტყველოსა ითქმის კვერექსი მკირე (მერმე და მერმე) და აგრეთვე ასამაღლებელი: «რამეთუ წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩვენო» და შემდგომი.

ამის შემდეგ ვიტყვით «წმიდაო ღმერთო»-ს გალობით. შემდგომ წმიდაო ღმერთოსა წაიკითხვის სამოციქულო და სახარება; (აქედან გაიმართება წირვა დიდის პასილისა ჩვეულებისამებრ).

«რომელი ქერაბინთას» მაგიერ ითქმის «სერობასა საიდუმლოსა შენისასა» (3-გზის); ესევე ტროპარი უნდა «განიცადეს»-ა და აგრეთვე «აღავსე პირი ჩემი»-ს მაგიერ; (ამ უკანასკნელად მრავალ გზის ითქმის გალობით, ესე იგი მინემ ხალხი გაათავებდეს ზიარებას). «ღირს არს»-ის მაგიერ ითქმის ღღესასწაულის მეცხრე გალობა.

ამავე ხუთშაბათს ვილოცავთ მცირე სერობას და მას ზედ წავიკითხავთ ანდრია კრიტელის სამსაგალობელს (მარხვანშიე).

დიდი პარასკევის

ცისკრისა და ათ-ორმეტთა სახარებათათვის.

რა დროს ვილოცავთ დიდი პარასკევის ცისკარსა და რა წესით წაიკითხვის ათ-ორმეტნი სახარებანი ქრისტეს ვნებაზედ?

დიდს ხუთშაბათს მზის დასელისას ვიწყებთ ნელად რეკას და შემდგომ როცა შევალთ ეკლესიაში, მღვდელი დაიკიდებს ორარს, ჩაიცვამს ფილონს, ხოლო დიაკონი სტიხარსა და გინგილას.

მღვდელი იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი» და შემდგომი.

მკითხველი დაიწყებს: ამინ, დიდება შენდა, წმიდაო ღმერთო, ყოველად წმიდაო, მამაო ჩვენო» და შემდგომ წაიკითხავს მე-19 და მე-20 ფსალმუნს (შეისმინენ შენი უფალმან).

მღვდელი და დიაკონი აკმევს ჩვეულებისამებრ სრულიად ეკლესიაში; შემდეგ ითქმის მცირე კვერექსი: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო».

მკითხველი წაიკითხავს ექვს ფსალმუნს; ხოლო მღვდელი იტყვის დიდს კვერექსს.

შემდგომ ეიტყვით «ალლილუიას» 3-გზის და «ღამითგან ადრიმსთობს, სულიჩემი, შენდამი ღმერთო», ჩვეულებისამებრ; წაეიკითხავთ ტროპარს: «რაჟამს დიდებულნი მოწაფენი» (3-გზის); *) შემდეგ ითქმის კვერექსი მცირე და ასამაღლებელი. შემდეგ დიაკონი იტყვის: „ღირს ყოფად ჩვენდა სმენად წმიდისა, სახარებისა უფალსა, ღმერთსა ჩვენსა ვეეედრნეთ».

---

*) ეს ტროპარი ითქმის ძლიერ მძიმედ, ამის თქმაში გამოასვენებს აღმოსავლის ყარით სახარებას მღვდელი; რომელსაც წინ მიუძღვის დიაკონი სანთლით, დააასვენებს ანალოღიაზე საშვალ ეკლესიაში ამბიონის დაბლა, შემდგომ უკმევს სახარებას, ხატთა და ლოცვის მსმენლებს; ამ დროს უპირატესი დაურიგებს მღვდლებს თითო ღერ სანთელს, რომელსაც აღანთებენ და დაიჭერენ ხელში; შემდეგ ორარითა და ფილონით შემოსილნი ანალოღიაზე მდებარე სახარებას შემოუდგებიან იქეთ-აქეთ რიგზე (სადაც მარტო ერთი მღვდელი არის იქ, სახარება წაიკითხვის ტრაპეზზე).

მგალობელნი: «უფალო შეგვიწყალენ» (3-გზის).

დიაკონი: სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმიდა სახარება.

მღვდელი: «მშვიდობა ყოველთა».

მგალობელნი: «დასულისაცა შენისათანა».

მღვდელი: «იოანესაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი».

მგალობელნი: «დიდება სულგრძელებასა შენსა უფალო». (პირველი მღვდელი წაიკითხავს პირველ სახარებას და შემდგომ რიგზედ სხვანიცა).

დასასრულ პირველი სახარებისა ითქმის: «დიდება სულგრძელებასა შენსა უფალო».

ამის შემდეგ წაიკითხვის აღსავალი პირველი ხმა მე-8: «მთავარნი ერთანი შეკრბეს უფლისათვის და ცხებულისა მისისათვის» (2-გზის).

«სიტყვა უსჯულოებისა დამსდვეს ჩემ ზედა, უფალო, უფალო, ნუ დამაგდებ მე» (2-გზის); სხვანი მუხლებიცა ითქმის ორ-ორ გზის თავისი დიდება და აწდათი. წაიკითხავთ კიდეე მეორე და მესამე აღსავალთა (აქ მღვდელი აკმევს სრულიად ეკკლესიაში). დასასრულ იტყვის მღვდელი ანუ დიაკონი: «ღირს ყოფად ჩვენდა სმენად წმიდისა სახარებისა». და წაიკითხვის სახარება მე-2.

შემდგომ მეორე სახარებისა წაიკითხვის: მეოთხე, მეხუთე და მეექვსე აღსავალნი.

წაიკითხავს კიდეე მღვდელი მე-3 სახარებას.

ითქმის კიდეე აღსავალნი: მე-7, მე-8 და მე-9.

(ყველა სახარების წინ ითქმის; «ღირს ყოფად ჩვენდა სმენად წმიდისა სახარებისა» და შემდგომი).

ქიდეე სახარება მე-4 და შემდგომ აღსაევალნი: მე-10, მე-11 და მე-12.

წაიკითხეის სახარება მე-5 და აგრეთვე აღსაევალ ნი: მე-13, მე-14 და მე-15. ქიდეე სახარება მე-6.

შემდგომ მე-6 სახარებისა ითქმის: «ნეტარ იყენენ» და შემდგომი მუხლები (მარხვანში).

დასასრულ ვიტყვით «წარდგომას»: ხმა 4 «განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი». მე-2 «ღმერთო, ჩემო, მომხედენ მე, რასათვის დამიტევებ მე».

წაიკითხეის; სახარება მე-7 და ვიტყვით «მიწყალეს» (50 ფსალმუნი). ქიდეე: სახარება მე-8.

შემდგომ მე-8 სახარებისა დაეიწყებთ საგალობელს და ვაკეთებთ 14 მუხლად, წაიკითხეის: სძლის პირნი ორ-ორ გზის და ტროპარნი 12 მუხლად; დასაფარებად ითქმის თეისიეე სძლის პირნი.

(ბალობა მე-5: «შენდა აღვიმსრთობთ»).

შემდგომ მე-5 გალობისა ითქმის კვერექსი მცირე.

წაეიკითხავთ: კონდაკს, იკოსს და მოვიხსენებთ თვენს.

მე-9 გალობაზე «უპატიოსნესსა» არა ვგალობთ. დასასრულ ცხრა გალობისა ითქმის კვერექსი მცირე და განმანათლებელი: «რომელმან აეაზაკი» 3-გზის (იქეე).

წაიკითხეის კიდეე სახარება მე-9.

მეცხრე სახარების შემდეგ ვიტყვით: «ყოველი სული აქებდით უფალსა“ (ჟამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელს წაეიკითხავთ 4 მუხ. (მარხვანშივე).

ითქმის კვალადვე „ღირს ყოფად ჩვენდა» და წაიკითხვის სახარება მე-10.

მერმე ვიტყვით «დიდება მაღალთა შინა» (მცირე).

მღვდელი: «აღუსრულოთ საკისკრო ვედრება ჩვენი უფალსა» და ასამაღლებელი: «რამეთუ ღმერთი წყალობისა და მოწყალებისა ხარ».

კიდევ იტყვის მღვდელი: «ღირს ყოფად ჩვენდა» და წაიკითხვის სახარება მე 11.

შემდგომ ამისა ვიტყვით დასდებელს: «ყოველნი ბუნებანი იცვალებოდეს» თვისის ჩასართავითა. შკანასკნელად წაიკითხვის კიდევ სახარება მე-12.

შემდეგ: «კეთილ არს აღსარებად უფლისა», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მამაო ჩვენო», ტროპარი «მომიყიდენ ჩვენ წყევისაგან სჯულისა», კვერექსი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო» და იქმნება განტევება.

(პირველ ჟამნს აქ არ წაიკითხავთ).

დიდსა პარასკევსა

ჟამნებთათვის (ათ-თორმეტის ლოცვა).

რა წესით ვიდოცავთ პირველს, მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამნებს დიდ პარასკევს?

დღის მეორე საათზედ ეიწყებთ რეკას და შეეიკრიბებით ეკლესიაში.

მღვდელი შეიმოსება ორარითა და ფილონით, ხოლო დიაკონი სტიხარითა და გინგილით; მღვდელი გააღებს სამეუფო კარებს, ასვენებს სახარებას, წინ გაუძღვება დიაკონი სანთლით, გამოელენ აღსავალის კარით და მღვდელი დაასვენებს სახარებას ანალოღიაზე (საწიგნეზე) საშუალ ეკლესიაში და იქეთ-აქეთ აუნთებენ სანთლებს.

მღვდელი იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი, ყოველადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

(ამ დროს მღვდელი აკმევს სრულიად ეკლესიაში).

მკითხველი იტყვის: ამინ, დიდება შენდა; წმიდაო ღმერთო, ყოვლად წმიდაო, «მამაო ჩვენო» და შემდგომ ასამღლებელისა, უფალო შეგვიწყალენ 12-გზის, დიდება, აწდა და მოვედით თაყვანი ვსცეთ 3-გზის; ამის შემდეგ წაიკითხვის პირველი ქამნი: «სიტყვანი ჩემნი ყურად იხვენ უფალო» (მარხვანში); დიდება, აწდა და ალლილუიას შემდეგ, წავიკითხავთ ტროპარს: «ჯვარცმითა შენითა ქრისტე», «აწდა მარადის» და «რამე სახელ გდვათ შენ» (ქამნში); როდესაც დავალთ «სლვანი ჩემნი წარმართენ»-ამდის, მაშინ წავიკითხავთ ამათ-ორმეტის ტროპრებს ორ-ორ გზის: «დღეს ტაძრისა იგი კრეტსაბმელი» (2-გზის); შემდეგ ჩავურთავთ ამ ჩასართავს: «რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი»; წავიკითხავთ კიდევ მეორე ტროპარს: «ვითარცა ცხოვარი კელად მიიგვარე» (2-გზის); ვიტყვით კიდევ მეორე ჩასართავს: «შეითქნეს მეფენი ქვეყანისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად, უფლისა-

თვის და ცხებულისა მისისათვის»; მერმე დიდება, «უსჯულოთა შენთა შემპყრობელთა»; აწდა ისევ იგივე მუხლი.

დიაკონი: «მოხედენ»!

მღედელი: «მშვიდობა ყოველთა».

დიაკონი: «სიბრძნით».

მკითხველი იტყვის საწინასწარმეტყველოს «წარდგომას» და წაიკითხავს «ზაქარიას» საწინასწარმეტყველოს და სამოციქულოსაც რომელიც იქვე სწერია (წაიკითხვის, საწიგნეზედვე საწინასწარმეტყველოს ხმით).

დიაკონი იტვევის: «სიბრძნით აღემართენით დაისმინეთ წმიდა სახარება».

მღედელი: «მშვიდობა ყოველთა» და წაიკითხვის სახარება მათესი: თავი კზ მუხლი ა «მას ჟამსა შინა, ვითარცა განსთენა, ზრახვა ყვეს ყოველთა მღედელთ მთავართა». დასასრული მუხლი ნზ «და შარიამ იაკობისი და იოსეს დედა და დედა ძეთა ზებედესთა».

შემდგომ ამისა ითქმის: » სლვანი ჩემნი წარმართენ სიტყვათა ებრ შენთა», წმიდაო ღმერთო, მამაო ჩვენო, კონდაკი: «რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის», უფალო შეგვიწყალენ 40-გზის, «რომელი ყოველსა დღესა» და შემდგომი.

მღედელი იტყვის: «ღმერთო მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ», «ქრისტე ნაადელო ჭეშმარიტო» (ჟამნში).

მკითხველი: «ზესთა მბრძოლისა» (ჟამნში) და დაეიწყებთ მესამე ჟამნს:

«მოვედით თაყვანი ვსცეთ» 3-გზის, «საჯენ უფალო, მაენებელნი ჩემნი» (მარხვანში) და შემდგომი. ალლილუიას და დიდებას შემდეგ, ეიტყვით ტროპარს: «უფალო, სიკუედიდ დაგსაჯეს შენ უსჯულოთა», «აწდა» და «ღეთის მშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი» (ქამნში); როდესაც დაეალთ «უფალი ღმერთი კურთხეულ»—ამდი მაშინ წაეიკითხავთ შემდეგს ათორმეტის ტროპრებს: «შიშისათვის ურიათასა» და სხვათა (ორ-ორ გზის) თვისის ჩასართაეებით (იმ წესით როგორც პირველ ქამნზედ ვსთქვით).

შემდგომ წაეიკითხავთ «ისაიას» საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს იქვე.

(სამოციქულოს წაკითხვაში მესამე, მეექვსე და მეცხრე ქამნებზე დიაკონი უკმეევს სახარებას, ხატებს და მღვდლებს მხოლოდ).

მღვდელი წაიკითხავს მესამე ქამნის სახარებას.

სახარების შემდეგ ეიტყვით: «უფალი ღმერთი კურთხეულ, კურთხეულ არს» (ქამნში), წმიდაო ღმერთო, ყოველად წმიდაო, მამაო ჩვენო, კონდაკი «რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვა», უფალო შეგვეწყალენ 40-გზის, «რომელი ყოველსა დღესა», დიდება, აწდა, უპატიოსნესა, სახელითა უფლისათა გვაკურთხენ მამაო.

მღვდელი: «ღმერთო მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ».

მკითხველი წაიკითხავს: «მეუფეო ღმერთო, მამაო ყოველისა მპყრობელო» და დაიწყება ქამნი მეექვსე: «მოვედით თაყვანი ვსცეთ» 3-გზის, «ღმერთო სახე-

ლითა შენითა, მაცხოვნე მე» და შემდგომი. ალლილუიასა და დიდების შემდეგ, ითქმის ტროპარი: «ქმენ ცხოვრება შორის ქვეყანისა, ქრისტე ღმერთო», აწ-და და «რამეთუ არა მაქვს ჩვენ კადნიერება», «მსთეად მეწიენ ჩვენ»-ამდის, აქ წაიკითხვის ათორმეტის ტროპრები ორ-ორ გზის: «ესრეთ ეტყოდი უფალო, ურიათა» და შემდგომი თავისი ჩასართავით.

მკითხველი წაიკითხავს «ისაიას» საწინასწარმეტ-ყველოს და იქვე სამოციქულოს, ხოლო მღვდელი სახარებასა.

სახარების შემდეგ წაიკითხვის: «მსთეად მეწიენ ჩვენ» (ჟამნში), წმიდაო ღმერთო, ყოვლად წმიდაო, მამაო ჩვენო», კონდაკი: «რომელი ჯვარს ეცვა ჩვენ-თვის», უფალო შეგვიწყალენ 40-გზის, «რომელი ყოველსა დღესა» და შემდგომი.

მღვდელი: «ღმერთო მიწყალენ ჩვენ».

მკითხველი წაიკითხავს: «ღმერთო და უფალო ძალთაო»-ს და დაიწყება ᲨᲐᲛᲜᲘ ᲛᲔᲡᲮᲠᲘ: «მოვედით თაყვანი ვსცეთ» (3-გზის); «მაცხოვნე მე ღმერთო» (მარხვანში) და შემდგომი.

ალლილუიასა და დიდების შემდეგ ითქმის ტრო-პარი: «ხედვიდა რა ავაზაკი» აწდა და რომელი ჩვენ-თვის იშვე ქრისტე ქალწულისაგან», «ნუ მიმცემ ჩვენ»-ამდის; შემდეგ ვიტყვით ტროპრებს (ათორმეტაგანს) ორ-ორ გზის თავის ჩასართავით.

წაიკითხავთ «იერემიას» საწინასწარმეტყველოს და აგრეთვე სამოციქულოსაც (რომელიც იქვე სწერია). მღვდელი წაიკითხავს სახარებას.

შემდეგ ითქმის: «ნუ მიმცემ ჩვენ სრულიად» (ჟამნში), წმიდაო ღმერთო, ყოველად წმიდაო, მამაო ჩვენო, კონდაკი: რომელი ჯვარს ეცვა წვენთვის», უფალო შეგვიწყალენ, 40-გზის, «რომელი ყოველსა დღესა», უპატიოსნესა, «სახელითა უფლისათა, გვაკურთხენ მამაო».

მღვდელი იტყვის: «ღმერთო მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ, ჩვენ».

მკითხველი: «მეუფეო უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო, ჩვენო», «სასუფეველსა შენსა მოგიხსენენ ჩვენ», «გუნდნი ზეცისა ძალთანი», დიდება, «ბანაკნი წმიდათა ანგელოზთა», აწდა, «მრწამს ერთი ღმერთი», «გვიხსენ, გვილხინე», მამაო ჩვენო, კონდაკი: «რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის» და უფალო შეგვიწყალენ 40-გზის, «წმიდაო სამებაო», «იყავნ სახელი უფლისა» (3-გზის), დიდება, აწდა და «ეაკურთხო უფალი, ყოველსა ჟამსა».

მღვდელი: «სიბრძნით!

მკითხველი: «ღირს არს ჰეშმარიტად» და იქმნება განტევება.

დიდი პარასკევის

მწუხრისათვის.

რა დროს დაიწყება მწუხრი დიდს პარასკევს?

ჩვეულებრივი მწუხრის დროს დარეკს მნათე და

შეეიკრიბებით ეკლესიაში: მღვდელი შეიმოსება ყოველივე სამღვდელო შესამოსით, ხოლო დიაკონი სტიხარითა და გინგილით.

დიაკონი დასდგება ამბიონზედ და იტყვის:

«ბეაკურთხენ მეუფეო».

მღვდელი აღამაღლებს სახარებას და იტყვის:

«ურთხეულ არს ღმერთი ჩვენი».

მგალობელნი: ამინ.

მკითხველი დაიწყებს პირველ დასაწყის ფსალმუნს: «მოვედით თაყვანი ეცეთ» (3-გზის) და «აკურთხევს სული ჩემი უფალსა»; დასასრულ მღვდელი იტყვის დიდ ვერექს. უფალო დიდად ეყავსა ზედა დასდებელი წაიკითხვის 6 მუხლად: «ეოველნი ბუნებანი იცეალებოდეს». და შემდგომი; დიდება და აწდას შემდეგ იქმნება შესვლა სახარებითა; წაიკითხვის «ნათელი მხიარული», წარდგომა და საკითხაენი 3; შემდგომ საკითხავთა ითქმის, წარდგომა სამოციქულოსი: «დამდვეს მე მღვიმესა ქვესკნელსა, ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკვდილისათა», და შემდგომი; წაიკითხვის სამოციქულო საშვალ ეკლესიაში, ამის შემდეგ წაიკითხვის სახარებაცა (თუ მარტო მღვდელი არის სახარება წაიკითხვის ტრაპეზზე; თუ დიაკონი კითხულობს წაიკითხავს ამბიონზზე, ხოლო ტიბიკონი სახარებისა და სამოციქულოსი, იძიებ სამოციქულოისა და სახარების საძიებელში).

სახარების შემდეგ ითქმის: «ვსთქვათ ყოველთა, ყოველითა სულითა» და შემდგომი; აგრეთვე «დაღირს მყვენ ჩვენ უფალო», «აღვუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა,» და სხვა.

სტიქარონსა ზედა დასდებელი. წაიკითხვის მარ-
ხვნისა თვისის ჩასართავითა; შემდეგ ითქმის: «აწ
განმიტევე», წმიდაო ღმერთო, ყოელად წმიდაო,
«მამაო ჩვენო» და შემდგომ, მგალობელნი იტყვიან
გალობით ტროპრებს: «შეენიერმან იოსებ» და «მე-
ნელ საცხებელთა დედათა».

რას იმოქმედებს მდვდელი სტიქარონის წაკით-ხვაში?

სტიქარონის წაკითხვაში მღვდელი, დაასვენებს
გარდამოხსნაზე ჯვარს, სახარებას, ლრუბელს, ლახვარს
და კოეზს; «აწ განმიტევე»-სა და «მამაო ჩვენო»-ს
შემდეგ, როცა დაიწყებენ გალობით ტროპრებს, მა-
შინ მღვდელნი (რამდენიც არიან) შეუდგებიან გარ-
დამოხსნას, და გამოასვენებენ ჩრდილოეთის კარით;
(წინ მიუძღვის დიაკონი საცეცხლურით, ხოლო მნა-
თე სანთლითა). როდესაც მოასვენებენ აღსავალის კა-
რის პირდაპირ, მაშინ უფროსი მღვდელი იტყვის:
«სიბრძნით, აღემართენით» (სამეუფო კარები რასაკ-
ვირველია წინათვე იქმნება გაღებული). შემდგომ მობ-
რუნდებიან და დაასვენებენ ამბიონის დაბლა, წინათ-
ვე განმზადებულ სკამზე.

უფროსი მღვდელი შემოუკმევს 3-გზის გარდა-
მოხსნასა; შემდგომ ემთხვევიან სამღვდელონი და მერ-
მე ხალხნიც.

დასასრულ დიაკონი იტყვის: «სიბრძნით»! და
იქნება განტევება.

მღვდელი ჩამოიღლოკავს შემდგომის წესით:

«რომელმან ჩვენ კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის, საშინელი ვნება და ცხოველს მყოფელი ჯვარი და ნებსით დაფლვა ხორცითა ინება, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან» და შემდგომი.

სერობა ითქმის მცირე და მასზედ წაიკითხვის სერობის საგალობელი მარხვნიდან:

დიდი შაბათის

ცისკრისთვის.

რა წესით ვილოცავთ დიდი შაბათის ცისკარს?

დიდს შაბათს დავრეკთ ჩვეულებრივი ცისკრის დროზედ და შეეიკრიბებით ეკლესიაში. მღვდელი დაიკიდებს ორარს და იტყვის «კურთხეულ არს».

მკითხველი დაიწყებს ამინ, «დიდება შენდა ღმერთო ჩვენო»-ს და სხვათა «შეისმინე»-დან.

შემდგომ ექვსი ფსალმუნისა ითქმის კვერექსი დიდი. ღმერთი უფალსა ზედა ტროპარნი წაიკითხვის: «შეენიერმან იოსებ, ძელისაგან გარდამოხსნა», დიდება, «რაჟამს შთახედ საფლავად», აწდა და «მენელსაცხებლეთა დედათა».

(ამ დროს დადგმენ ორს საწიგნეს მარჯვნივ და მარცხნივ გარდამოხსნისა. უკეთუ არის ორი მღვდელი, გამუხლვით წაიკითხვენ «ნეტარ არიანსა» და «ქებასა მაცხოვრისასა»): «კურთხეულ ხარ შენ უფა-

ლო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი», «ნეტარ არიან უბიწონი, გზასა რომელნი ვლენან სჯულსა უფლისასა», «ცხოვრება ეგე საფლავსა დაიდევ ქრისტე» და შემდგომი (მარხვანში სწერია ყველა ესენი).

ნეტარარიანი და ქება მაცხოვრისა წაიკითხება სამ სასვენად.

დასასრულ პირველი სასვენისა ითქმის კვერექსი მცირე; (ასამაღლებელნი მარხვანშივე სწერია თვით სასვენებზე, ხოლო კვერექსების თქმაში, დიაკონი ანუ მღვდელი უკმევს გარდამოხსნას).

შემდგომ დაიწყება მეორე სასვენი; მეორე სასვენის დასასრულ ითქმის კიდევ კვერექსი მცირე.

მესამე სასვენის ბოლოს მოებმის: «ყურთხეულ ხმრ შენ უფალო მასწავენ მე სიმართლენი შენნი», «გუნდნი ანგელოსთანი განკვირდეს» და შემდგომი; ამის შემდეგ ითქმის კვერექსი მცირე, შემდგომ ასამაღლებელისა მკითხველი წაიკითხავს წარდგომას: «ყოველად წმიდანი ხორცნი შენნი მხსნელო» და სხვათა; იტყვის მიწყალეს (50 ფსალ).

შემდგომ დაიწყება საგალობელი და კეთდება 14 მუბლად: სძლის პირნი ორ-ორ გზის და ტროპარნი 12. დასაფარებად ითქმის თვისივე სძლის პირნი; შემდგომ მესამე გალობისა ითქმის კვერექსი მცირე.

შემდგომ მეექვსე გალობისა ითქმის კიდევ კვერექსი მცირე და წაიკითხვის კონდაკი დ ა იკოსი თვის მოხსენებით; წაიკითხვის აგრეთვე სვინაქსარი. მეცხრე გალობაზე «უპატიოსნესა» არა ვგალობთ.

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის კვერექსი მკირე და «წმიდა არს უფალი, ღმერთი,' ჩვენი» 3-გზის; «აქებდით» (ქამნში).

«აქებდით»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხვნისა. დასასრულ «აქებდით»-ის დასდებელისა აწდას შემდეგ წაიკითხვის: «უმეტესად კურთხეულ ხარ შენ» და «დიდება მაღალი» ითქმის გრძლად.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: აქებდითის დასდებელთა წაკითხვაში უფროსი მღვდელი შეიმოსება ყოველივე სამღვდელო შესამოსლითა (სხვა მღვდელნი ორარით და ფილონით); როდესაც დასრულდება «დიდება მაღალი»-ს კითხვა (დიდება მაღალი გრძლად უნდა), მაშინ მგალობელნი იტყვიან «წმიდაო ღმერთო»-ს; ამის თქმაში მღუდელნი აასვენებენ გარდამოხსნას და გამოვლენ ეკლესიიდგან დასავლეთის კარით. მათ მიუძღვის წინ დიაკონი სასაკმევლით, ხოლო სხვა მსახურნი სანთლებით. ასე ამ წესით შემოუვლიან ეკლესიას; მგალობელნი, რომელნიც წინ მიუძღვის მღვდელთა, როდესაც გაათავებენ 5-გზის წმიდაო ღმერთო«-ს, იტყვიან ტროპარს: «შვენიერმან ოხვებ». შემდგომ შემოვლენ ეკლესიაში დასავლეთისავე კარით და გარდამოხსნას დაასვენებენ იმავე ალაგს, სადაც ესვენა.

მკითხველი წაიკითხავს საწინასწარმეტყველოს ტროპარს: «ღრმელსა გიპყრიან კიდენი ქვეყანისანი», ლიდებას, აწდას და კიდევ იმავე ტროპარს. წაიკითხვის აგრეთვე წარდგომა და საწინასწარმეტყველო «ეზეკიილისა» და სამოციქულო (მარხვანშიც სწერია), ალლილუია, წარდგომა: «ალსდეგინ ღმერთი» და შემდგომი.

მღედელი წაიკითხავს სახარებას (გარდამოხსნის წინ და არა საკურთხეველში); სახარება წაიკითხვის მათესი თავი კზ და მუხლი ჲბ: «ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა». დასასრული თავი კც და მუხლი ა: «და დაბეჭდეს ლოდსა მას დასისათანა»).

ითქმის კვერექსი: «ესთქვათ ყოველთა», «აღვუსრულოთ საცისკრო» და შემდგომი ჩვეულებისამებრ; ქამნი პირველი და განტევება.

დიდსა შაბათსა

წირვისათვის.

რა წესით იქმნება დიდ შაბათს წირვის წინეთ ქამნების ლოცვა და დიდი ვასილის ლიტურგია?

დიდს შაბათს: მე-3, მე-6 და მე-9 ქამნებს ეილოცავთ იმავე დროს და იმავე წესით, როგორც დიდს ხუთშაბათს წირვისათვის აღვსწერეთ.

შემდგომ «ნეტარ-იყვნენ»-ისა, «ვიხსენ გვილხინე» და «მამაო ჩვენო»-სა ითქმის კონდაკი დიდის შაბათისა: «რომელმან დახშნა უფსკრული». შუალო შეგვიწყალენ 40-გზ. და «წმიდაო სამებაო».

მღედელი იტყვის: «სიბრძნით» და ჩამოიილოცავს მცირედ; აღამაღლებს სახარებას და იტყვის: «კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა».—ამინ.

მკითხველი დაიწყებს: «ვოვედით თაყვანი ვსცეთ»

3-გზის და წაიკითხავს პირველ დასაწყისს ფსალმუნს (დიდ—აკურთხევსს).

მღვდელი იტყვის დიდს კვერექსს.

«შფალო ღაღად ეყაე»-ის წაკითხვაში დიაკონი აკმევს სრულიად ეკკლესიაში, ხოლო მღვდელი. დაიწყებს კვეთას.

«შფალო ღაღად ეყაე»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის 8 მუხლად, დიდება და აწდას შემდეგ იქმნება შესვლა სახარებითა; წაიკითხვის «ნათელი მხიარული» (წარდგომა არ უნდა);

ამის შემდეგ საკითხავნი წაიკითხვის რიცხვით 15 და აგრეთვე სხვა წასაკითხავებიც (მარხვანში). დასასრულ ითქმის კვერექსი მცირე და ასამაღლებელი სამწმიდაობისა: «რამეთუ. წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩუენო» და შემდგომი.

ნაცვლად წმიდაო ღმერთოსა, ვიტყვით: «რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებიეს და ქრისტე შეგვიმოსიეს ალლილუია».

წარდგომა, სამოციქულო და სახარება წაიკითხვის დიდის შაბათისა ტიბიკონისამებრ სამოციქულო და სახარებისა. საღმრთო ლიტურღია აღესრულება დიდის ვასილისა.

«ღირს-არსის» ნაცვლად ითქმის მეცხრე გალობა დიდის შაბათისა: «ნუ მტირ მე დედაო».

ნაცვლად «ოოომელი ქერაბინთა»-სა ითქმის ტროპარი ხმა 8: «სდუმენინ ყოველნი ხორცი».

შემდგომ ამბიონის ლოცვისა იქმნება კურთხევა პურისა შემდგომის წესით:

დიაკონი იტყვის: «უფლისა მიმართ ვილოცოთ».

მღვდელი: «უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო, ჩვენო, რომელმან აკურთხენ ხუთნი პურნი და ხუთ-ათასნი განაძღენ; დასასრულ წაიკითხვის: «იყავნ სახელი უფლისა» და იქმნება ჩამოლოცვა ჩვეულებისამებრ ვასილის წირვისა.

თავი XVI.

წმიდასა და დიდსა კვირიაკესა ჰასექისასა

(აღდგომის).

რა წესი აღსრულდება ლოცვისა და სხვა მოქმედების შესახებ თვით აღდგომას?

დიდ შაბათს საღამოიდან განამზადებენ ეკლესიას და ღამის თორმეტ საათზე მნათე დარეკს პირველად მხოლოდ ცალის და უდიდესის ზარით.

მღვდელი შეეალს ეკლესიაში, შეიმოსება ყოველიეე სამღვდელო შესამოსლით და იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე.»

მკითხველი დაიწყებს: ამინ, «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო», «მაპაო ჩვენო», «მოვედით თაყვანი ვსცეთ (3 გზის) და ითქმის ფსალმუნი (50 მიწყალე).

შემდგომ ამისა დაიწყება დიდი შაბათის ცისკრის საგალობელი: «რომელმან ღაფარა» და შემდგომი.

წაიკითხვის: სძლის პირნი ორ-ორ გზის და ტროპარნი 12 მუხლად; დასაფარებად ითქმის თვისივე სძლის პირნი. *)

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის: «წმიდაო ღმერთო» და შემდგომი. შემდგომ მამაო ჩვენოსა წაიკითხვის ტროპარი: «რაჟამს შთახედ საფლავად».

მღვდელი იტყვის კვერექს: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო» და იქმნება განტევება **)

ამის შემდეგ მღვდელი მიიღებს საცეცხლურს, უკმევს სამ გზის გარდამოხსნას და შემდგომ აასვენებს სკამიდან (ნიშნად იესო ქრისტეს საფლავით აღდგომისა), შეასვენებს საკურთხეველში აღსავლის კარებით და დაასვენებს ტრაპეზზე გაშლილად ***) (გარდამოხსნა უნდა იქმნეს ასე გაშლილად ტრაპეზზე ამალლებამდის), ხოლო ოდიკი, სახარება და სხვანი ამაზედ-ვე იქმნება დაწყობილნი).

მღვდელი მიიღებს: თანაარსს (სამღვროვან სანთელს), ჯვარს და საცეცხლურს; უკმევს ტრაპეზზე დასვენებულ გარდამოხსნას და იტყვის გალობით: «აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ». შემდგომ, მგალობელნიც იტყვიან გალობით ამავე ტროპარს.

---

*) საკათედრო ეკლესიებში მღვდლები კითხულობენ ამ საგალობელს იქეთ აქეთ მდგომნი გარდამოხსნისა.

**) საგალობელის კითხვაში უნდა მოწზადებულ იქმნას ორი ჭურჭელი ცეცხლით; იმათში უნდა ჩააკმიონ საკმეველი ბლომად, ერთი დაიდგმის საკურთხეველში, ხოლო მეორე შეკ-ეკლესიაში (კეთილ სუნნელებისათვის).

***) ამ დროს დაიწყება ყველა ზარებით რეკა.

მღედლები აასვენებენ: ჯვარს, სახარებას, აღდგომის ხატს და სხვა ხატებს, დიაკონი გაუძღვება საცეცხლურით (თუ მღედელი ერთის მეტი არ არის, მაშინ შეუძლია ხატები სტაროსტამ და სხვა ერის კაცებმაც გამოასვენოს) და გამოვლენ დასავლეთის კარით *); შემოუვლიან ეკლესიას 3-გზის (სანღვდელოებას და აგრეთვე ხალხსაც უნდა ეჭიროს ხელში თითო ღერი ანთებული სანთელი).

მგალობლები გალობენ შამოვლაში: «აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ».

მესამე გზის შამოვლის შემდეგ დასდგებიან ხატებით დასავლეთის კართან დასავლეთისკენვე მხედველი; უფროსი მღვდელი მიიღებს საცეცხლურს მარჯვენა ხელით, მარცხენა ხელში ექმნება ჯვარი და თანაარსი; უკმეეს ხატებს და შემდგომ ხალხს. მერმე ორივე ხელით აღამაღლებს ჯვარს, თანაარსს და საცეცხლურს, აღმოსავლელისკენ მხედველი გამოსახავს ჯვარს და იტყვის მაღლის ხმით: «დიდება წმიდასა და თანაარსსა და ცხოველს მყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყოველადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე». ერნი მიუგებენ ამინ. **)

---

*) ტიბიკონში სწერია: «ჩრდილოეთის კარით განვალთ», მაგრამ დასავლეთის კარით გამოდიან ყოველგან და ჩვენც ამ ჩუეულებას უნდა მივუვეთ.

**) «დიდება წმიდასა და თანაარსსა»-ს ზოგან 3-გზის ამბობენ და ზოგან ერთ გზის. ტიბიკონი აჩვენებს მხოლოდ, სთქვითო, რამდენჯერ სთქვითო არ სწერია, მაგრამ, როგორც სამ გზის თქმითაც არ დაშავდება რამე, აგრეთვე ერთ გზის თქმაც საკმარისია.

ამის შემდეგ მღვდელი იტყვის გალობით: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი დასაფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი» (3-გზის).

მგალობლებიც იტყვიან მასვე ტროპარს 3-გზის.

მღვდელი იტყვის: «აღსდეგინ ღმერთი და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

მღვდელი: «ვითარცა მოაკლდენ კვამლსა მოაკლდენ».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა». (1-გზის.)

მღვდელი: «ესრეთ წარწყმდენ ცოდვილნი».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

მღვდელი: «ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1 გზის).

მღვდელი: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი».

მგალობელნი: «დასაფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი».

შემდგომ ამისა: მღვდელი, დიაკონი და ერნიც შევლენ ეკკლესიაში.

მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზის წინ დასდგება, ხოლო დიაკონი ამბიონზე ადგომი იტყვის დიდს კვერექს: «მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ»; დასასრულ მღვდელი იტყვის ასამაღლებელს: «რამეთუ შვენის შენდა, ყოველი დიდება, პატივი და თაყვანის ცემა» და შემდგომ დაიწყება აღდგომის საგალობელი. *)

---

* აღდგომის საგალობელი და სხვა ყოველი წესები ლოცვისა და წირვისათვის იძიეთ «ზადიკში».

რამდენ მუხლად ვაკეთებთ საგალობელს და რა მოქმედება აღსრულდება საგალობელის წაკითხვაში?

საგალობელს ვაკეთებთ 16 მუხლად: წაიკითხვის სძლის პირნი ოთხ-ოთხ გზის და ტროპარნი 12-მუხლად. საგალობელში ჩაერთვის: «ქრისტე აღსდგა მკედრეთით». დასასრულ თითოეული გალობისა დავაფარებთ თვისსავე სძლის პირს; ვიტყვით «ქრისტე აღსდგა მკედრეთით» 3 გზის სრულად და ითქმის მცირე კვერექსი.

ასე ამ წესით კეთდება თითოეულად ყველა გალობები; აგრეთვე ყველა გალობის ბოლოში ითქმის მცირე კვერექსი თავისი ასამაღლებელით (ასამაღლებლები ზადიკში სწერია, თვით იმ ადგილებზე, სადაც საჭიროა).

თითოეულ გალობაზე იქმნება კმევა (კმევაში მღვდელს ექმნება მარცხენა ხელში ჯვარი და თანაარსი, მღვდელი ეტყვის ერს: „ქრისტე აღსდგა“ და ერნიცა მიუგებენ «ჭეშმარიტად აღსდგა»).

შემდგომ მესამე გალობისა ითქმის იპაკო: «ცისკარსა მსთვად მოვიდა მარიამ».

შემდგომ მეექვსე გალობისა წაიკითხვის კონდაკი: «დაღაცა თუ ნებსით თვისით», იკოსი «უპირატესი მზისა», მოვიხსენებთ თვენს და წავიკითხავთ ალგომის «სვინაქსარს» (ზადიკის ბოლოში სწერია).

შემდეგ ითქმის: «აღდგომა ქრისტესი» (3 გზის), «და აღსდგა რა იესო საფლავით (3-გზის).

მერმე წაიკითხავთ მეშვიდე და მერვე გალობასაც და შემდგომ მცირე კვერექსისა და ასამაღლებელისა მღვდელი იტყვის: «ადიდებს სული ჩემი, სამისა დღისა საფლავით აღდგომილსა ქრისტესა, ცხოვრების შემოქმედელსა».

მკითხველი წაიკითხავს სძლის პირს: «განათლდი, განათლდი» *) და პირველსავე ჩასართავს «ადიდებს სული ჩემი სამისა დღისა».

ძიდეე წაიკითხვის: «განათლდი, განათლდი» და მე-2 ჩასართავი: «ადიდებს სული ჩემი».

ძიდეე «განათლდი, განათლდი» და იგივე მე-2 ჩასართავი «ადიდებს სული ჩემი».

«ბანათლდი, განათლდი» და მე-3 ჩასართავი: «ქრისტე ახალი პასექი».

მერმე: «ჰოი სალმთო, ჰოი ყოვლად საყვარელი» და ჩასართავი მე-3-ეე: «ქრისტე ახალი პასექი».

«ჰოი სალმრთო ჰოი ყოვლად» და ჩასართავი მე-4: «ანგელოსი ღაღადებს».

«ჰოი სალმრთო» და «ანგელოსი ღაღადებს».

«ჰოი სალმრთო» და ჩასართავი: «განაღეიძენ, პირველ დაძინებულნი».

«ჰოი სალმრთო» და ჩასართავი: «მაგდანინელა მარიამ».

---

*) მეცხრე გალობა არის მხოლოდ სამი მუხლი, ერთი სძლის პირი და ოთი ტროპარები, სძლის პირი უნდა წაგიკითხოთ ოთხ-გზის და ტროპარები ექვს-ექვს ჯერ; თითო მუხლის წაკითხვის შემდეგ უნდა წაგიკითხოთ თითო ჩასართავი, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები.

«ჰოი სალმრთო» და ჩასართაეი: «ანგელოსი ნათლისა».

«ჰოი პასექო დიდო და დიდებულო» და ჩასართაეი: «ქრისტე აღსდგა მკედრეთით სიკედილით».

«ჰოი პასექო დიდო და დიდებულო» და ჩასართაეი: «დღეს ყოველნი დაბადებულნი».

«ჰოი პასექო დიდო» და ჩასართაეი: „დღეს მეუფემან წარმოსტყუენა».

«ჰოი პასექო დიდო» და ჩასართაეი: ადიდებს სული ჩემი.

«ჰოი პასექო დიდო» და ჩასართაეი: «გიხაროდენ ქალწულო, გიხაროდენ».

«ჰოი პასექო დიდო» და პირველი ჩასართაეი: «ადიდებს სული ჩემი, სამის დღისა საფლაეით აღდგომილსა»; შემდგომ წაიკითხეის სძლის პირი: «განათლდი, განათლდი", ითქმის «ქრისტე აღსდგა მკედრეთით» 3-გზის სრულად და მღვდელი იტყეის მცირე კერექსს.

შემდეგ ითქმის განმანათლებელი: «ხოროცითა მიიძინე» (3-გზის) და აქებდით (ჟამნში) 4 მუხლი მხოლოდ.

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხეის 4 მუხ. (ჩასართაეი შიდეე აქეს).

შემდგომ ამისა ითქმის: «აღსდეგინ ღმერთი და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი», და დასდებელნი პასექისა: «პასექი ბრწყინეალედ მშეენიერი» და შემდგომი თეისის ჩასართაეითა და დიდება და აწდათი; ითქმის: «ქრისტე აღსდგა მკედრეთით» 3-გზის და დაიწყება მთხეევა. *) როდესაც გათაედება მთხეევა

*) მთხეევა იქმნება შემდეგის წესით: პირველი მღვდელი აიღებს პატიოსანს ჯვარს. დიაკონი და სხვა მღვდელნი (უკეთუ არს) სახარებას, აღდგომის ხატს და სხვათა ხატთა; გა-

უპირატესი მღვდელი წაიკითხავს ამბიონზე დასავლეთისკენ მხედველი იოანნე ოქროპირის სიტყვას: «წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანნე არქიეპისკოპოსისა ქონსტანტინეპოლისა» (სწერია ზადიკშში, ამავე კვირის ცისკრის ბოლოში).

ამის შემდეგ წაიკითხავთ ტროპარს იქვე: «პირისა შენისა მადლი», მღვდელი, ანუ დიაკონი იტყვის კვერექსს: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო» და «აღეფსრულოთ საცისკრო ვედრება ჩვენი უფალსა»; შემდგომ ასამაღლებელისა დიაკონი იტყვის: «სიბრძნით».

მკითხველი: «გვაკურთხენ».

მღვდელი: «რომელი კურთხეულ არს ქრისტე, ღმერთი, ჩვენი».

მკითხველი: ამინ. «დაამტკიცე ღმერთო».

მღვდელი მიიღებს ჯვარს, თანა არსს და იტყვის: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი».

მკითხველი დაასრულებს: «დასაფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი».

მღვდელი ჩამოჭილოცავს: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი დასაფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი; ჭეშ-

---

მოვლენ და დასდგებიან ამბიონის დაბლა რიგზედ მხედველნი დასავლეთით; ერნი მოვლიან თითოეულად და პირველად უპირატესს მღვდელს (და შემდეგ სხვებს) ეტყვიან: «ქრისტე აღსდგა»! და ემთხვევიან ჯვარს და შემდგომ მღვდელს მარჯვენაზე და პირზედ; მღვდელიც მიუგებს: «ჭეშმარიტად აღსდგა» და ამ გვარად გათავდება მთხვევა».

მარიტმან, ღმერთმან, ჩვენმან, მეოხებითა ყოველად უხრწნელისა დედისა თვისისათა და ყოველთა წმიდათათა შეგვიწყალნეს და გვაცხოვნეს ჩვენ ვითარცა სახიერ არს და კაცთ მოყვარე".

მერმე, აღამაღლებს ჯვარს და იტყვის: ქრისტე აღსდგა! (3-გზის) და თითოეულს თქმაზე ერნიც მიუგებენ «ჭეშმარიტად აღსდგა».

მგალობელნი იტყვიან: «და ჩვენ მოგვანიჭა ცხოვრება საუკუნო და დიდი წყალობა, თაყვანი ვსცეთ მისსა მესამისა დღისა აღდგომასა».

ამაზედვე მოვაბამთ პირველ ქამნს აღდგომის ქამნობის მაგავსად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ ბრწყინვალე შვიდეულის განმავალობაში ვილოცავთ აღდგომის პარაკლისს იმ წესით როგორც მოხსენებულია ზადოეის ტიბიკონში პარაკლისისათვის.

აღდგომის ქამნობათათვის.

რა ილოცება ჩვეულებრივი პირველი ქამნის მაგიერ აღდგომას და როგორ?

მღვდელი იცყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი, ყოვლადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მკითხველი: ამინ, «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (3-გზის), «აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ» (3-გზის), «ცისკარსა მსთვად მოვიდა მარიამ» (1-გზის), «დალაცა თუ ნებსით თვისით» (1-გზის), აგრეთვე: «საფ-

ლაეად ხორცითა შეხვედ», დიდება, «ეითარცა ნათ-
ლით შემოსილსა», აწდა, «ზეგარდამო განწმედილ
იქმენ», უფალო შეგეიწყალენ (40-გზ.) დიდება, აწ-
და, «უპატიოსნესსა ქერაბინთასა», «სახელითა უფ-
ლისათა, გეაკურთხენ მამაო».

მღვდელი: «ლოცეითა წმიდათა, მამათა ჩეენთა-
თა“ და შემდგომი.

მკითხველი: «ქრისტე აღსდგა» (3-გზის) ,დიდება,
აწდა, უფალო შეგეიწყალენ (3-გზის) და მამაო წმიდაო
გეაკურთხენ (ამ წესით დაეასრულებთ პირველ ქამნს
და სწერია აღდგომის ცისკრის ბოლოში და ქამნშიაც).

ქიდეე რომელი ლოცეის მაგიერ უნდა ეს ლოცა
ამ წესით, როგორც პირველი ქამნისათეის
აეხსენით?

ილოცება კიდეე მესამე ,მეექვსე და მეცხრე
ქამნების მაგიერ. აგრთეე შუალამის ქამნისა და სე-
რობის მაგიერ.

აღდგომის ლიტურგიისათვის.

რა დროს და რა წესით იქმნება წირვა თვით
ადდგომას?

შემდგომ ცისკრისა და ქამნების წაკითხეისა
(აღდგომის ქამნობისა მებრ) დიაკონი იტყეის: «გეა-
კურთხენ, მეუფეო“!

მღვდელი: «კურთხეულ არს მეუფება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მგალობელნი: «ამინ».

პირველი მღვდელი მიიღებს ჯვარს, თანა-არსს, საცეცხლურს და იტყვის გალობით სხვათა თანა მსახურთა (ტრაპეზის წინ): «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა» (3-გზის).

მგალობელნიც იტყვიან მასვე «ქრისტე აღსდგა»-სა (3-გზის).

მღვდელი იტყვის: «აღსდეკინ ღმერთი და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის),

მღვდელი: «ვითარცა მოაკლდენ კვამლსა მოაკლდენ».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა (1-გზის).

მღვდელი: «ესრეთ წარწყმდნენ ცოდვილნი».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

მღვდელი: «ესე არს დღე რომელ ქმნა».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

მღვდელი: «დიდება მამასა და ძესა».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

მღვდელი: «აწ და მარადის».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

მღვდელი: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი».

მგალობელნი: «დასაფლავების შინათა, ცხოვრების მიმნიჭებელი».

შემდგომ ამისა, ითქმის კვერექსი დიდი და გაიმართება ოქროპირის წირვა ჩვეულებრივი.

ქვერექსების შემდეგ ითქმის ფსალმუნთა წილ

(აკურთხევს, აქებს და ნეტარ იყვნენის მაგიერ) «ანტიფონი» (სწერია ზადიკში და სამოციქულოშიც).

ნაცვლად «მოვედით თაყვანი ვსცეთ»-სა ითქმის: «ეკკლესიასა შინა აკურთხევდით ღმერთსა და უფალსა წყაროთაგან ისრაელისათა.

შესლვად: «ქრისტე აღსდგა» 1-გზის, «Ისაკარსა მსთვად მოვიდა მარიამ», დიდება, აწდა და «დალაცა თუ ნებ'ით თვისით» (კონდაკი).

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს: «რამეთუ წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩვენო».

წმიდაო ღმერთოს მაგიერ ითქმის «რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებიეს», ხოლო ღირს არის ნაცვლად: «ანგელოსი ფალადებს» და მე-9 გალობა «განათლდი განათლდი». ამ წესით იქმნება დაწყება წირვისა, ფსალმუნთა წილ ანტიფონი და «რაოდენთა ქრისტეს მიერ» და სხვა სრულიად ამ შვიდეულში ვიდრე Თომას კვირიაკედმდე).

რა წესით წაიკითხვის ადგომას წირვაში წმიდა სახარება?

სახარებას მიიღებს დიაკონი უპირატესი მღვდლისაკან და ჩვეულებრივი კურთხევის გამოთხოვის შემდეგ, გამოასვენებს აღსავლის კარით და დაასვენებს ამბიონზე დადგმულ საწიგნეზე.

Უპირატესი მღვდელი იტყვის: «სიბრძნით აღმართენით და ისმინ'ეთ წმიდა სახარება».

შემდეგ დიაკონი გაიმეორებს: «სიბრძნით აღმართენით და ისმინეთ წმიდა სახარება».

შემდეგ, რამდენიც არიან მღვდელნი და დიაკონნი მწირველნი ყველანი გაიმეორებენ ამასვე რიგზედ («სიბრძნით აღმართენით»).

დასასრულ უპირატესი მღვდელი იტყვის: «მშვიდობა ყოველთა».

მგალობელნი: «დასულისაცა შენისათანა».

შემდეგ პირველი მღვდელი იტყვის: «იოანესაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი».

სხვა თანამწირველებიც განიმეორებენ თითოეულად დიაკონი თურთ მასვე («იოანესაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი».)

პირველი მღვდელი იტყვის: «მოხედენ»!

სხვანიცა იტყვიან თითოეულად: «მოხედენ»!

ამის შემდეგ უპირატესი მღვდელი დაიწყებს: «პირველიდგან ისყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღეთისათანა» (პირველი მღვდელი გაყოფს სახარებას სამად, ანუ რამდენიმე სასვენად; თითოეულ სასვენს პირველად წაიკითხავს უფროსი მღვდელი და შემდგომ სხვანი, რიგზედ) და შემდგომი ჩვეულებისამებრ ლიტურლიისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სახარების პირველი განყოფილების დასასრულ პატარა ზარას შემოკვრენ ერთ გზის, მეორე განყოფილების დასასრულ ორ გზის, ხოლო მესამე განყოფილების დასასრულ სამ გზის და როცა სულ გათავდება სახარების წაკითხვა, მაშინ იქმნება ყველა ზარებით რეკა გრძლად.

ბანიცადე (ჭიარების დროს) ითქმის: «ხორცი ქრისტესი მოვიღოთ».

როდესაც მღვდელი იტყვის: «შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით.»

მგალობელნი იტყვიან: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (1-გზის).

მღვდელი: «აღხოვნენ ღმერთო ერი, შენი».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

მღვდელი: «ყოველადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მგალობელნი: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

ნაცვლად «იყავნ სახელი»-სა და «ეაკურთხო უფალი»-სა ითქმის «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (12-გზის).

მღვდელი იტყვის: «კურთხევა უფლისა თქვენზედა».

მგალობელნი: ამინ.

მღვდელი: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი».

მგალობელნი წართქმით: «დასაფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.»

ამის შემდეგ ჩამოიღოცავს მღვდელი ჯვარითა და თანა-არსით, იმ წესით, როგორც ცისკრის ბოლოში ესოქვით და იქმნება განტევება (ხალხი ემთხვევა ჯვარს).

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: სამეუფო კარები აღდგომიდან ამავე შვიდეულის შაბათის ნუხრის დასრულებამდე გაღებული უნდა იყოს როგორც წირვა ლოცვაში, აგრეთვე ზიარების დროსაც.

მწუხრი აღდგომისა.

რა წესით ვილოცავთ აღდგომა საღამოს მწუხრს?

აღდგომა საღამოს ჩვეულებრივი მწუხრის დროს იქმნება რეკა ყველა ზარებით გრძლად.

მღვდელი შეიმოსება ყოველივე სამღვდელო შესამოსლით და შემდგომ ცხრა ქამნობისა (ცხრა ქამნი უნდა აღდგომის ქამნობისამებრ როგორც ციკლრის ბოლოში აღვსწერეთ ზემოთ) დიაკონი დასდგება ამბიონზე და იტყვის: «გვაკურთხენ მეუფეო».

მღვდელი, აღამაღლებს სახარებას და იტყვის: «კურთხეულ არს»-ს.

მგალობელნი: ამინ.

მღვდელი მიიღებს თანაარსს, ჯვარს და საცეცხლურს; იტყვის გალობით: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (3-გზის).

მგალობელნიც იტყვიან (3-გზის) «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით».

მღვდელი იტყვის ჩასართავთა: «აღსდეგინ ღმერთი» და სხვებს; აგრეთვე მგალობელნიც იტყვიან გალობით: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» თითო გზის; იმ წესით, როგორც წირვის დასაწყისში ვსთქვეთ.

აქ ოთხი ჩასართავი არის და თითოეული ჩასართავის თქმაში მღვდელი უკმევს ტრაპეზის თითოეულ კედარს ოთხსავე მხარეს.

დ-დების თქმაში უკმევს საკვეთლოს, ხოლო

უკანასკნელად «აწ დას» თქმაში აკმევს ტრაპეზის წინ. შემდეგ იტყვის გალობით: «ქრისტე აღსდგა მკედრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი». მგალობელნი დაასრულებენ: «დასაფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი».

შემდგომ ამისა ითქმის კვერექსი დიდი.

დიდი კვერექსის შემდეგ წაიკითხვის «უფალო ღაღად ვყავ» (აქ იქნება კმევა ჩვეულებრივი).

უფალო ღაღად ვყავსა ზედა დასდებელს წაიკითხვეთ 6 მუხლად (აღდგომისა და აღმოსავლურის მუხლებთაგან ზადიკში) ხმა 2: «პირველ საუკუნეთა» და შემდგომი.

შემდგომ იქმნება შესლვა სახარებითა, «ნათელი მხიარული», წარდგომა დიდი: «ვინ არს ღმერთ-დიდ ვითარ ღმერთი ჩვენი» და შემდგომი.

წარდგომის შემდეგ იტყვის დიაკონი: «ღირს ყოფად ჩვენდა სმენად წმიდისა სახარებისა, უფალსა, ღმერთსა ჩვენსა ვევედრნეთ». —უფალო შეგვიწყალენ, (3-გზის). «სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმიდა სახარება».

მღვდელი: «მშვიდობა ყოველთა».

შემდგომ წაიკითხვის სახარება პირველი მღვდლისაგან (საკურთხეველში): სახარება იოანესი თავი Კ, მუხლი ᲘᲒ «და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი ერთ შაბათისა». დასასრული მუხლი ᲙᲓ «არა სადა მრწმენეს».

შემდეგ ითქმის კვერექსი: «ვსთქვათ ყოველთა ყოველითა სულითა».

მკითხველი: «ღაღირს მყენ ჩვენ, უფალო».

მღედელი (ანუ დიაკონი): «აღეუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა»; შემდგომ ასამაღლებელისა წაიკითხვეთ აღდგომის დასდებელთა ხმა 2: «აღდგომამან შენმან ქრისტე მაცხოვარ» (იქვე ზადიკში სწერია). შემდეგ წაიკითხვის პასექის დასდებელნი თვისის ჩასართაეით: «აღსდეგინ ღმერთი და განიბნინედ», «პასექი ბრწყინვალედ შვენიერი აღმოგვიბრწყინდა ჩვენ დღეს» და სხვანი (ესენი სწერია აღდგომის ცისკრის შოლოში).

შეანასკნელ ითქმის: «ქრისტე აღსდგა» (3-გზის).

დიაკონი: «სიბრძნით»!

მკითხველი: გვაკურთხენ, და იქმნება განტევება ჯვარით, იმ წესით, როგორც აღდგომის ცისკრის დასასრულ აეხსენით.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა. როგორც აქ ავსწერეთ, ამ წესით იქმნება სრულიად ამ შვიდეულის განმავლობაში მწუხრის ლოცვის წესი თვინიერ სახარების წაკითხვისა; ამ კვირაში ხუთშაბათის მწუხრს და პარასკევის ცისკარს აქვს ცოტა განსხვაება და იქ ილოცეთ იქვე ნაჩვენები ტიბიკონისა მებრ.

ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათს ცისკრად.

რა წესით ვილოცავთ ოთხშაბათის ცისკარს (აღდგომის მეორე დღეს)?

ოთხშაბათის ცისკრისათვის დაერეკეთ ჩვეულებისა მებრ ყველა ზარებით გრძლად და შეეკრბებით ეკკლესიაში; შემდგომ ზუალამის ქამნის ლო-ეისა (აღ-

დგომის ქამნობა) მღვდელი შემოსილი ორარითა და ფილონით (ტრაპეზის წინ) იტყვის: «დიდება წმიდასა და თანაარსსა, ცხოველს მყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მგალობელნი: ამინ.

მღვდელი მიიღებს საცეცხლურს, თანა არსს, ჯვარს და იტყვის გალობით: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (3-გზის).

მგალობელნიც იტყვიან: «ქრისტე აღსდგა»-ს (3 გზის). აგრეთვე ითქმის: «აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი» და შემდგომი, იმ წესით, როგორც აღდგომის მწუხრზე აღსენით.

ამის შემდეგ ითქმის დიდი კვერექსი: შემდგომ ასაფალლებელისა დავიწყებთ საგალობელს (მღვდელი აკმეეს სრულიად). წაიკითხვის კანონი თვით აღდგომის ცისკრისა: «აღდგომისა დღე არს» და შემდგომი.

რამდენ მუხლად ვაკეთებთ საგალობელს?

საგალობელს ვაკეთებთ «დიდება»-ს და «აწდა»-ს. შემდეგ წასაკითხავი მუხლებით 14 მუხლად შემდგომის წესით:

კანონი აღდგომისა სძლის პირით მუხლი 12 (სძლის პირნი ორ-ორ გზის და ტროპარნი 10); ჩასართავი: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით». *) «დიდება».

---

*) საგალობელში მრთლად არ ჩაერთვის «ქრისტე აღსდგა», არამედ: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» მხოლოდ.

და «აწდა»-ს შემდეგ ითქმის ყოველ გალობაზე ღვთის-შშობლის მუხლები, რომელიც სწერია ზადიკში მესამე კვირის ცისკარში.

ძატავასია: «აღდგომისა დღე არს». დასასრულ-თითოეული გალობისა ითქმის: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» სამ გზის (მთლად).

მცირე კვერექსები ითქმის ჩვეულებისამებრ შემდეგ მესამე, მეექვსე და მეცხრე გალობათა.

შემდეგ მესამე გალობისა წაიკითხვის იპაკოს: «ცისკარსა მსთვად მოვიდა მარიამ».

შემდეგ მეექვსე გალობისა, ითქმის კონდაკი: «დაბლაცა თუ ნებსით თვისით», იკოსი: «უპირატესი შზისა», «აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ (3-გზის) და «და აღსდგა რა იესო საფლავით» (3-გზის).

მერვე გალობის დასასრულ იტყვის მლვდელი: «ადიდებს სული ჩემი სამისა დღისა საფლავით აღდგომილსა, ქრისტესა ცხოვრების მომცემელსა».

მკითხველი დაიწყებს მეცხრე გალობას და თითოეულ მუხლში ჩაურთავს თითო ჩასართავს (რომელნიც მეცხრე გალობის წინეთ სწერია) საგალობელის მუხლთა ანგარიშისა მებრ.

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის განმანათლებელი: «ხორცითა მიიძინე» 3 გზის.

აქებდითსა ზედა დასდებელნი წაიკითხვის აღდგომისა მუხლი 4 (ზადიკში ორშაბათისაევ ცისკარში სწერია); შემდეგ ითქმის: «აღსდეგინ ღმერთი და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი» და დასდებელნი პასექისა: «პასექი ბრწყინვალედ შვენიერი» და შემდგომ

თაეისის ჩასართაეით (როგორც აღდგომის ცისკრის ბოლოში ესთქეით); დასასრულ ითქმის «ქრისტე აღსდგა» 3 გზის.

მღვდელი იტყვის კვერექსს: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო», „აღეუსრულოთ საცისკრო ევედრება ჩვენი“ და იქნება განტეევება ჯვარითა, იმ წესით, როგორც აღდგომის ცისკრის ბოლოში ესთქვეთ.

ითქმის ქამნი პირველი (აღდგომის ქამნობა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ცისკრის ყოველი წესი იქნება ამ შვიდეულში ისე და იმ შედარებით, როგორც აქ ორშაბათის ცისკრისათვის ავხსენით.

თომას ბევრდის განხილვის კვირა.

როგორ დავიწყებთ მწუხრს თომას კვირის წინა დღეს, შაბათს?

შაბათს მწუხრად, ჩვეულებრივი მწუხრის დროს, დარეკის შემდეგ, მღვდელი შეეალს ეკლესიაში დაიკიდებს ორარს, დასდგება ამბიონზე და იტყვის: «კურთხეულ არს»-ს ჩვეულებისამებრ.

მკითხველი: ამინ „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ 3 გზის, წმიდაო ღმერთო, ყოელად წმიდაო, მამამ ჩვენო და შემდგომ ითქმის ცხრა ქამნი: «ეითარ საყეარელ არიან“ და შემდგომი ჩვეულებისამებრ,

შემდგომ აღლილუიასა ითქმის ტროპარი ხმა 8: „მაღლით გარდამოხედ მაცხოვარო“ (რჯამს ლოდიანთაგანი), შემდგომ მამამ ჩვენოსა კონდაკი აღდგომისაჯ:

„დალაცა თუ ნებსით თვისით“ და სხვა ყოველი საზოგადო ჩვეულებისამებრ.

შემდგომ «მეუფეო უფალო იესო ქრისტე»-სა როცა მდვდელი იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე», მაშინ რა ითქმის?

მაშინ მკითხველი იტყვის: ამინ, «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (3-გზის) და დაიწყებს პირველ დასაწყის ფსალმუნს: «აკურთხევს სული ჩემი უფალსა». შემდგომ ითქმის კვერექსი დიდი და წაიკითხვის დავითნის პირველი კანონი სრულიად.

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს და ითქმის უფალო ღაღად ვყავ ჩვეულებისამებრ (ჟამნში).

«უფალო ღაღად ვყავ»-სა ზედა დასდებელს წაეიკითხაეთ 10 მუხლად (ზადიკიდან): «რომელი ბჭეთა ხშულთა მოწაფეთა კრებულსა თანა» და სხვათა.

შესელა სასაკმეველითა; ითქმის: «ნათელი მხიარული» და წარდგომა «უფალი სუფევს შეენიერება».

ითქმის: «ვსთქვათ ყოველთა ყოვლითა სულითა», «დაღირს მყენ», «აღვუსრულოთ სამწუხრო» და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

სტიქარონსა ზედა დასდებელი ითქმის ამავე შაბათის მწუხრისა, თვისის ჩასართავით.

დასასრულ სტიქარონისა ვიტყვით: აწ განმიტევე, წმიდაო ღმერთო, ყოვლად წმიდაო, და «მამაო ჩვენო»-ს; შემდეგ ითქმის: ტროპარი ხმა 7: «დაბეჭ-

დულით საფლავით»,—სიბრძნით! და იქმნება ჩამოლოცვა და განტევება ჩვეულებისამებრ.

თომას კვირის ცისკარი.

რა წესით ვილოცავთ თომას კვირის ცისკარს?

თომას კვირას ვილოცავთ პირველად სამებიანის საგალობელს (პირველი ხმისაჲ) ჩვეულებისა მებრ.

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის: «ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ ღვთისა სიტყვასა» და სხვა. შემდგომ მამაო ჩვენოსა ითქმის ტროპარი თომასი: «დაბეჭდული საფლავით» (1-გზის).

შეჯალო შეგვიწყალენ (40-გზის); დიდება, აწ და უპატიოსნესსა ქერაბინთასა, სახელითა უფლისათა გვაკურთხენ მამაო.

მღვდელი იტყვის: «ღმერთო, მიწყალენ ჩვენ და მაკურთხენ ჩვენ და გამოაჩინე პირი შენი ჩვენზედა და შეგვიწყალენ ჩვენ» და წაიკითხავს სამების ლოცვას: «ყოვლისა შემძლებელო და ცხოველს მყოფელო»; უკანასკნელ ჩამოილოცავს მღვდელი და შემდეგ იტყვის: «დიდება წმიდასა და თანა არსსა და ცხოველს მყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყოველადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მკითხველი: ამინ, «ქრისტე აღსდგა» (3-გზის) და დაიწყებს ექვსს ფსალმუნს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება»; (შეისმინე, ესე იგი მე-19 და მე-20 ფსალმუნი არ ითქმის აშაღლებამდის).

შემდგომ ექესი ფსალმუნისა ითქმის კვერექსი დიდი.

ღმერთი უფალსა ზედა წაიკითხვის ტროპარი: «დაბეჭდულით საფლავით» (3-გზის) და შემდეგ წაიკითხვის რიგის კანონი დავითნისა.

შემდეგ პირველი და მეორე ფსალმუნებისა ითქმის «წარდგომები» Oოიმას კვირისა.

მეორე ფსალმუნების «წარდგომის» წაკითხვის შემდეგ წაეიკითხავთ დავითნის მე-19 კანონს: «აქებდით» და «აუარებდით»-ს (ორ ფსალმუნს მხოლოდ); ამაზედვე მოეაბამთ დღესასწაულის სადიდებელს და წაიკითხვის ვამოკრებილი ფსალმუნი (დავითნის ბოლოში სწერია).

შემდეგ სადიდებელისა ითქმის კვერექსი მცირე და წარდგომა სადიდებელისა: «იხილე გვერდი ჩემი». (ზადიკში), დიდება, აწდა და იგივე წარდგომა.

ამის შემდეგ წაეიკითხავთ ანტიფონს: «სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძანან» და სხვათა (პარაკლიტონში კვირას მე-4 ხმაში).

ითქმის წარდგომა სახარებისა (იქვე ზადიკში სწერია) და წაიკითხვის სახარება ტიბიკონისამებრ.

შემდგომ სახარებისა ითქმის: «აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ» (3-გზის), მიწყალე (50 ფსალ.), დიდება, «მოციქულთა ვედრებითა», აწდა, «მეოხებითა ღვთის-მშობელისათა, მიწყალე (მცირე), და აღსდგა რა Iესო.

მღვდელი იტყვის: «აცხოვნე ღმერთო, ერი შენი» და შემდგომ ასამაღლებელისა დავიწყებთ საგაგალობელს.

ქანონი დღესასწაულისა (Თომას კვირის საგალობელი მხოლოდ) სძლის პირითა მუხლი 14 (სძლის პირნი ორ-ორ გზის და ტროპარნი 12 მუხლად). ქატავასია «აღდგომისა დღე არს».

მცირე კვერექსები ითქმის ჩვეულებრივს ადგილებზე.

მეცხრე გალობაზე «უპატიოსნესსა» არა ეგალობთ.

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის: «წმიდა არს უფალი ღმერთი, ჩვენი» და განმანათლებელი: «გვერდთა ჩემთა წყლულებანი» და შემდგომი. აქებდით (ქამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის (ზადიკში Თომას კვირის) მუხლი 4; დიდება ზადიკისავე, აწდა, «უმეტესად კურთხეულ ხარ» და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

დიდება მაღალი ითქმის გრძლად; შემდგომ წმიდაო ღმერთოსა ტროპარი: «დაბეჭდული საფლავით», ითქმის კვერექსი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო», «აღეუსრულოთ საცისკრო», სიბრძნით! ბეაკურთხენ და იქმნება ჩამოლოცვა ჩვეულებისამებრ.

ითქმის დიდება, აწდა, გერი სახარებისა და ქამნი პირველი.

პირველ ქამნზე ტროპარი და კონდაკი წაიკითხვის Თომას კვირისა და სხვა ჩვეულებისამებრ.

Შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) ამ ერგასის განმავლობაში *) კვირას დამთხვეული ოვენის წმიდის საგალობელნი წაიკითხვიან სერობაზედ.

*) ორმოცდა ათი დღის, ანუ აღდგომიდან აღდგომის წარგზავნამდის.

2) ჰასექის დღესასწაულის წარგზავნამდე ლოცვის დაწყება იქნება შემდგომის წესით: კურთხულ არსის შემდეგ ითქმის „ქრისტე აღსდგა“ (3-გზის) და შემდგომ დაიწყება «წმიდაო ღმერთო»-დან.

წირვისათვის

თომას კვირიდგან აღდგომის წარგზავნამდის.

რა ცვლილება იქნება წირვაში თომას კვირიდან ჰასექის წარგზავნამდე?

ცვლილება იქნება შემდგომი: როდესაც მღვდელი იტყვის „კურთხეულ არს მეუფება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“ და მგალობელნი იტყვიან გალობით «ამინ»-ს, მაშინ მღვდელი გააღებს სამეუფო კარებს, მიიღებს ჯვარს, თანა-არსს, საცეცხლურს და იტყვის გალობით: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (3-გზის); მესამე გზის სულ არ დაასრულებს, არამედ მგალობელნი დააბოლოებენ: «ცხოვრების მიმნიჭებელი».

ამის შემდეგ ითქმის კვერექსი დიდი და გაიმართება ჩვეულებრივი წირვა.

ღირს არის ნაცვლად ითქმის «ანგელოსი ღაღადებს» და მეცხრე გალობა: «განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმ».

შემდგომ კარის გაღებისა, როდესაც მღვდელი იტყვის: «შიშითა ღვთისათჳ და სარწმუნოებით მოვე-

დით» ითქმის: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა».

ნაცვლად «ნათელი ჭეშმარიტი»-სა ითქმის: «ქრისტე აღსდგა» (1-გზის).

მღედელი: «ყოველადვე აწ და მარადის და უ-უნითი».

მკითხველი: «აღაესე პირი ჩემი ქებითა».

მღედელი: «დიდება შენდა ქრისტე, ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა».

მგალობელი: «ქრისტე აღსდგა» (3-გზის).

ბარდა ამისა ყოველივე წესი იქმნება ჩვეულებრივი წირვისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: როგორც აქ აგსწერეთ წირვისათვის ამ წესით იქმნება ვიდრე ჰასექის წარგზავნამდე წირვის რიგი.

თავი XVII

მწუხრის და ცისკრის საზოგადო წესი შვიდეულ დღეებში, თომას კვირიდან აღდგომის დღესასწაულის წარგზავნამდე.

რა წესით ილოცება საზოგადოდ შვიდეულებში მწუხრი ახალ-კვირის შემდეგ?

ილოცება შემდგომის წესით: შემდგომ «კურთხეულ არს»-ისა ითქმის «ქრისტე აღსდგა» (3-გზის) და დაეიწყებთ «წმიდაო ღმერთო»-დან მეცხრე ქაბნს; შემდგომ აღლილუიასა ითქის ტროპარი დღესასწაულისა,

ხოლო მამაო ჩვენოს შემდეგ კონდაკი დღესასწაულისა-ვე *) და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

პირველ დასაწყისი ფსალმუნი, ესე იგი დიდი «აკურთხევს» დაიწყება 3-გზის „ქრისტე აღსდგა»-თი (მოვედით თაყვანი ვსცეთ არ უნდა); შემდეგ დიდის აკურთხევისა წაიკითხვის დავითნის რიგის კანონი.

«შფალო ღაღადვყავ»-სა ზედა დასდებელნი წაიკითხვის 6 მუხლად: ზადიკისა 3 და თვენის წმიდისა 3. დიდება თვენისა (უკეთუ აქვს თვენს), უკეთუ არა, დიდება და აწდა ითქმის ერთად და შემდეგ წაიკითხვის ზადიკისა. ითქის: «ნათელი მხიარული» და სხვანი ჩვეულებისამებრ **).

სტიქარონი წაიკითხვის ზადიკშიე შემდგომის ჩასართაეით: «შენდამი აღვიხილენ თვალნი ჩემნი», და «მიწყალენ ჩვენ უფალო, მიწყალენ ჩვენ».

დიდება თვენისა (უკეთუ აქვს), უკეთუ არ აქვს თვენს, დიდება და აწდა ზადიკისა:

შემდგომ აწ განმიტევესა წაიკითხვის ტროპარი

---

*) დღესასწაულად ითვლება კვირეები და კვირის ტროპარ-კონდაკი იხმარება შვიდეულ დღეებში; თომას კვირის ტროპარ-კონდაკი მოშავალ კვირამდის უნდა და შემდგომი კვირისა კიდევ შემდეგ კვირამდი და ეზგავსად სხვა.

**) უსლვა სასაკმევლითა იქნება «დიდი წარდგომისა-თვის» თომას კვირას და ამაღლებას მწუხრზე მხოლოდ.

„დიდი წარდგომა» სული წმიდის მოსლვის კვირასაც აქვს მწუხრზე და გამოსლვაც უნდა ამ დღეს, მაგრამ იქ სხვა «შედეგიც» ემატება გარდა „დიდი წარდგომისა“.

წმიდისა, დიდება, აწდა, დღესასწაულისა (უკეთუ აქვს კიდევ მეორე ტროპარი თვენს, ითქმის დიდებას შემდეგ); მერმე ითქმის კვერექსი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო» და იქნება განტევება.

ცისკართათვის *).

როგორ ილოცება საზოგადოდ ცისკარი სრულიად ერგასის (ადდგომიდან ამაღლებამდი) შვიდეულ დღეებში?

ილოცება შემდგომის წესით: მღვდელი იტყვის: «დიდება წმიდასა და თანაარსსა და ცხოველ'ს მყოფელსა» და სხვათა.

მკითხველი: ამინ, «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (3-გზის) და დაიწყებს ექვსს ფსალმუნს: «დიდება მაღალთა შინა ღმერსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა», დასასრულ ითქმის ჩვეულებისამებრ დიდი კვერექსი.

ღმერთი უფალსა ზედა ტროპარი წაიკითხვის დღესასწაულისა (2-გზის), დიდება, წმიდის ტროპარი, აწდა და დღესასწაულისაევ (წარსულის კვირის ტროპარი); შემდეგ წავიკითხავთ ოიგის კანონ დაეითნს. შემდგომ პირველი ფსალმუნებისა **) წავიკითხავთ პარაკლიტონის ხმის «წარდგომას» (პარაკლიტონიდან»

*) შუაღამის უამნი ტიბიკონის საფუძველზე «ყველინსა» შინა (სენაკში) უნდა გილოცოთ.

**) ფსალმუნების შემდეგ ითქმის მცირე კვერექსი ყველა შვიდეულ დღეებში სრულიათ ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე.

გამოკრებილი წარდგომები პირველი ფსალმუნების შემდეგ წასაკითხავი, ყველა დღეებს ზადიკშიევე უწერია).

შემდგომ მეორე ფსალმუნებისა წაიკითხვის «წარდგომა» ზადიკის დღესასწაულისა, დიდება, აწდა და იგივე წარდგომა. მიტყვით: «აღდგომა ქრისტესი» (1-გზის), «მიწყალე» (50 ფსალმუნი) და ამის შემდეგ დავიწყებთ საგალობელს.

რომელი დღის საგალობელი წაიკითხება ცისკარზე ამ შვიდეულ დღეებში?

მაგალითებრ: თომას კვირის საგალობელი წაიკითხვის მომავალ მენელსაცხებელთა კვირამდის ყოველ დღეს.

მენელსაცხებლეთა კვირის (მესამე კვირის) საგალობელი იგალობება განრღვეულის კვირამდის (მეოთხე კვირამდე). ბანრღვეულის კვირის საგალობელი გალობს მეოთხე შვიდეულის ოთხშაბათამდის *]; ამისი (მეოთხე ოთხშაბათის) საგალობელი გალობს მეხუთე შვიდეულის ოთხშაბათამდის, ხოლო მეხუთეს ოთხშაბათს ცისკრად წარიგზავნება (განზოგების დღესასწაული).

მეხუთე ხუთშაბათიდგან იგალობება საგალობე-

---

*) ამ მეოთხე შვიდეულის ოთხშაბათს ემთხვევა დღესასწაული განზოგებისა და აქვს მწუხრად გამოსლვა და საწინასწარმეტყველოც; ცისკარზედ: საკუთარი საგალობელი და აგრეთვე «დიდება მაღალი» გრძლად; ამ დღის მწუხრისა და ცისკრისათვის ეხილეთ ტიბიკონი მასვე დღესა.

ლი მეხუთე კვირის ტისკრისა (სამბრიტელისა) მეექვსე კვირიაკემდე. მეექვსე კვირის, ესე იგი «ბრმის» საგალობელი გალობს აღდგომის დღესასწაულის წარგზავნამდე და აგრეთვე მზგავსად ამისა სხვანი, ვიდრე ყოველთა წმიდათა კვირაიკედმდე.

რამდენ მუხლად ვაკეთებთ საგალობელს?

საგალობელს ვაკეთებთ 12-მუხლად: კანონი დღესასწაულისა სძლისპირითა მუხლი 8 და თვენისა მუხლი 4.

შემდგომ მესამე გალობისა წაიკითხვის კონდაკი და წარდგომა წმიდისა, დიდება, აწდა, და წარდგომა დღესასწაულისა (კვირისა). შემდგომ ექვსი გალობისა კონდაკი და იკოსი დღესასწაულისა.

მეცხრე გალობაზე ვიტყვით: «უპატიოსნესსა». შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის განმანათლებელი დღესასწაულისა, დიდება, წმიდისა, აწდა, დღესასწაულისა და «აქებდით» (ჟამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი წესისამებრ (როგორც უწერია იქვე ყველა დღეებს). «დიდება მაღალი» ითქმის მცირე: «აღუსრულოთ საცისკრო ვედრება» და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

აღვიესენითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის ზადიკისა თვისის ჩასართაეითა; მერმე: «ვეთილ არს აღსარება» და შემდგომ წმიდაო ღმერთოსა და «მამაო ჩვენო»-სა ტროპარი წმიდისა (1-გზის), დიდება, აწდა და დღესასწაულის ტროპარი. ითქმის ვერექსი: «შეგ-

ვიწყალენ ჩვენ, ღმერთო», სიბრძნით! შემდეგ ეკნება
განტევება და ქამნი პირველი ჩვეულებისამებრ.

მოგიხსენენი.

რომელ დღეს, რომელი გალობა წაიკითხვის
წირვაში ცხრა ნეტარების (სასუფეველსა შენსა)
წაკითხვის შემდეგ?

«სასუფეველსა»ს (ცხრა ნეტარების) შემდეგ წაიკითხვის კვირეების საგალობელთაგან შემდგომი გალობები:

ორშაბათს: გალობა 1 (წაიკითხვის ექვს ექვს ფუძლად).

სამშაბათს: გალობა 4.

ოთხშაბათს: გალობა 5.

ხუთშაბათს: გალობა 7.

პარასკევს: გალობა 8.

და შაბათს: გალობა 9.

ფესვლადღეები.

რა წესით წაიკითხვის ტროპარნი და კონდაკნი
შემდგომ შესვლისა «მოვედით თაყვანი ვსცეთ»ს
შემდეგ ერგასის შვილეულ დღეებში?

შესვლად ტროპარნი: დღესასწაულისა (კვირისა), ტაძრის წმიდისა და თეონის რიგის წმიდისა.

ქონდაკნი: ტაძრის წმიდისა, დიდება, თვენის წმიდისა, აწდა დღესასწაულისა (კვირეების ტროპარ-კონდაკი იწოდების დღესასწაულისად; კონ-დაკი ღვთის მშობლის და მაცხოვრის ტაძრისა არ უნ-და სრულიად ამ ერგასის განმავალობაში). როგორც აქ აღვსწერეთ შეიდეულ დღეთათვის, მწუხრისა და ცისკრის შესახებ, ამ წესით და ამის შედარებით იქ-ნება შეიდეულში მწუხრი და ცისკარი ამაღლებამდის.

შეწირვა კვირიაკეთათვის: ახალ კვირის შემდეგ მეორემე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კვირეების მწუხ-რისა და ცისკრისათვის ტიბიკონი იძლევა თვით ამ დღეების მწუხ-რისა და ცისკარში.

თავი XVIII

ალდგომის წარგზავნისათვის.

როდის იქმნება ალდგომის წარგზავნა და რა წესით?

ალდგომის დღესასწაულის წარგზავნა იქმნება მეექვსე შეიდეულის სამშაბათს მწუხრად და ოთხშა-ბათს ცისკრად შემდგომის წესით: შემდეგ «კურთხე-ულ არს»-ისა ითქმის: «ქრისტე ალსდგა მკედრეთით» (3-გზის), წმიდაო ღმერთო, ყოველად წმიდაო, მამაო ჩვენო და მეცხრე ქამნი «ვითარ საყვარელ არიან» და შემდგომი ჩვეულებისამებრ.

შემდგომ «მეუფეო, უფალო იესო ქრისტეო»

მღვდელი გაალებს სამეუფო კარებს და შემოსილი ორარითა და ფილონით ტრაპეზის წინაშე მდგომარე იტყვის: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი, ყოველადვე-აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მგალობელნი: «ამინ».

მღვდელი მიიღებს სასაკმეველეს, ჯვარს, თანა-არსს, და იტყვის გალობით: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (3-გზის).

მგალობელნიც იტყვიან «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით (3-გზის).

შემდეგ ამისა ითქმის «აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ» და შემდგომი «ქრისტე აღსდგა»-ს ჩართვით, იმ რიგით, როგორც აღდგომის მწუხრის დასაწყისში აღესწერეთ; დასასრულ წაიკითხვის პირველ დასაწყისი ფსალმუნი (დიდი აკურთხეს) და ითქმის დიდი კვერექსი.

შემდგომ დიდი კვერექსისა, წაიკითხვის დაეითნის რიგის კანონი.

უფალო ღაღად ვყავსა ზედა წაიკითხვის დასდებელნი ბრმისა მუხლი 6: «უფალო, შობიდან ბრმა იგი» და შემდგომი (შესელა არ უნდა). «ნათელი მხიარული» და წარდგომა დღისა.

სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის: ხმა 5 «შენ ქრისტესა განხორციელებულსა» (ზადიკშია); შემდეგ: «აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი» და იგალობება დასდებელი პასექისა «პასექი ბრწყინვალედ შვენიერი» და შემდგომი თეისის ჩასართავით (აღდგომის ცისკრის ბოლოში სწერია). დასასრულ ითქმის: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით» (1-გზის), აწ

ბანმიტევე, წმიდა ღმერთო, ყოველად წმიდაო, მამაო ჩვენო, ტროპარი აღდგომისა ხმა 5: «თანა დაუსაბამოსა», დიდება, აწდა და ღვთის მშობლისა (გიხაროდენ ბჭეო); კანონი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო», და იქმნება ჩამოლოცვა ჩვეულებისამებრ თეინიერ ჯვარისა: «მკვდრეთით აღდგომილმან ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან» და შემდგომი (რიგის წმიდის მოხსენებაც უნდა).

სერობაზე მამაო ჩვენოს შემდეგ წაიკითხვის: კონდაკი «ბრმისა», დიდება, აწდა და პასექისა (დალაცათუ ნებსით თვისით):

შუალამის ჟამნისათვის.

რა წესით ილოცება ოთხშაბათს, აღდგომის დღესასწაულის წარგზავნის დღეს, შუალამის ჟამნი?

ოთხშაბათს შუალამის ჟამნი ითქმის ჩვეულებისამებრ; შემდგომ პირველი წმიდაო ღმერთოსა ნაცელად «აჰა ესერა»-სა ითქმის ტროპარი აღდგომისა (თანა დაუსაბამოსა), დიდება და აწდა ღვთის მშობლისა მისივე ხმის (გიხაროდენ ბჭეო).

შემდგომ მეორე წმიდაო ღმერთოსა კონდაკი პასექისა: «დალაცათუ ნებსით თვისით», უფალო შეგვიწყალენ (12-გზის) და შემდეგ მლვდელი იტყვის: «დიდება შენდა ქრისტე, ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა», ჩამოილოცავს: «მაკურთხენით მამანო წმიდანო» და დაიწყება ცისკარი (მოიხსენე უფალო სასოებითა, არა ითქმის).

ცისკრად ~~ოთხშაბათსა~~ ოთხ.

შუა ღამის ჟამნის ჩამოლოცვის შემდეგ მღვდელი ჩაიცვამს ფილონს, გააღებს სამეუფო კარებს, დაიჭერს ხელში ჯვარს, თანა არსს, საცეცხლურს და ტრაპეზის წინაშე იტყვის: «დიდება წმიდასა და თანა არსსა და ცხოველს მყოფელსა და განუყოფელსა სამებასა» და სხვა.

მგალობელნი: «ამინ».

მღვდელი იტყვის გალობით: «ქრისტე აღსდგა მკედრეთით» (3-გზის).

მგალობელნიც იტყვიან (3-გზის) «ქრისტე აღსდგა მკედრეთით».

შემდეგ ითქმის: «აღსდეგინ ღმერთი» და შემდგომი მუხლები, როგორც მწუხრზედ ესთქვით.

შემდგომ ამისა წაიკითხვის ექვსი ფსალმუნი: «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა», და შემდგომი.

ღმერთი უფალსა ზედა ტროპარი აღდგომისა ხმა 5: «თანა დაუსაბამოსა» 2-გზის, დიდება, აწდა და ღვთის მშობლისა (გიხაროდენ ბჭეო) და წაიკითხვის დავითნის რიგის კანონი.

შემდგომ პირველი ფსალმუნებისა წარდგომა აღდგომისა (სწერია მეექვსე კვირას).

შემდგომ მეორე ფსალმუნებისა წარდგომა ხმა 5: «მამასა დაუსაბამოსა», დიდება, აწდა, იგივე (ოთხშაბათს სწერია). მერმე ითქმის: «აღდგომა ქრისტესი» (1-გზის), მიწყალე (50 ფსალმუნი) და დავიწყებთ საგალობელს.

რამდენ მუხლად წავიკითხავთ საგალობელს?

საგალობელს წაიკითხავთ 14 მუხლად: ქანონი იგალობების 3: პასექისა (აღდგომის) სძლისპირითა მუხლი 6, ბრმისა მუხლი 4 და წინადღესასწაულისა მუხლი 4 (ქანონი აღდგომისა სწერია აღდგომის ცისკარში; ქანონი ბრმისა მეექვსე კვირის ცისკარში; ხოლო წინა დღესასწაულის ქანონი სწერია ოთხშაბათსაც მეექვსესა).

მცირე კვერექსები ითქმის ჩვეულებრივ ადგილებზე. «ძალავსია»: მხსნელსა ჩვენსა ღმერთსა» (ამაღლების ცისკარში სწერია).

შემდგომ მესამე გალობისა, კონდაკი ბრმისა (მეექვსე კვირისა): «თვალითა სულიერითა დაბრმობილი», იკოსი მისივე და წარდგომა (ოთხშაბათის ცისკარში).

შემდგომ მეექვსე გალობისა წაიკითხვის: კონდაკი და იკოსი თვით აღდგომისა და მოვიხსენებთ თვენს. მეცხრე გალობაზე «უპატიოსნესსა» არა ვგალობთ. Არამედ ვიტყვით აღდგომის ჩასართავსა.

შემდგომ ცხრა გალობისა ითქმის განმანათლებელი პასექისა: «ხორცითა მიიძინე» და ბრმისა «დაბნელებულნი თვალნი», აქებდით (ქამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი ბრმისა მუხლი 8 ხმა 2: «უფალო, შობიდგან ბრმა იგი», «წარრახვიდოდი იესო», ხმა 4 «ყოველი ვცხოვრება თვისი», ხმა 5 «უფალო, წარრახვიდოდი შენ» (ესენი სწერია სამშაბათსა მწუხრად.)

შემდეგ ამისა ითქმის დასტებელნი პასექისა თვისის ჩასართავით: «პასექი ბრწყინვალედ შეენიერი აღმოგვიბრწყინდა ჩვენ დღეს» და შემდგომი მუხლები; დასასრულ: ითქმის «ქრისტე აღსდგა» (1-გზის) და შემდეგ დიდება მაღალი» გრძლად. შემდგომ წმიდათა ღმერთისა ტროპარი: «თანა დაუსაბამისა», დიდება და აწდა (ვიხაროდენ ბჭეო). კანონექსი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო», «აღეუსრულოთ საცისკრო», სიბრძნით! და იქმნება ჩამოლოცვა.

ითქმის ჟამნი პირველი ჩვეულებისამებრ; ალლილუიას. შემდეგ ვიტყვით მე-5 ხმის ტროპარს და მამაოჩვენოზე ბრმის კონდაკს.

წირვის ჟამნი დაიწყება ჩვეულებისამებრ «ქრისტე აღსდგა»-თი წმიდათა ღმერთოდგან.

დაწყება წირვისა იქმნება, «ქრისტე აღსდგა»-თი და იმ მუხლების ჩართვით, როგორც თვით აღდგომას უნდა; ჯვარითა, თანა არსით, საცეცხლურით და სხვებრ.

წირვაზე მომიხსენენი (ცხრა ნეტარების შემდეგ) ითქმის პასექის საგალობელთაგან: გალობა მე-3 და მე-6.

შემდგომ შესვლისა: ტროპარი აღდგომისა «თანა დაუსაბამისა». დიდება, კონდაკი ბრმისა: «ოვალითა სულიერითა დაბრმობილი», აწდა, კონდაკი პასექისა: «დალაცა თუ ნებსით თვისით». სახარება და სამოციქულო წაიკითხვის დღისა. სხვა ყოველივე წესი იქმნება, თვით პასექის დღესასწაულისამებრ. ჩამოლოცვა იქმნება პასექისა, ჯვარითა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შემდეგ ამისა ჟამნი იწყება წმიდათა ღმერთოდგან, ვიდრე სულის წმიდის მოსვლის კვირამდის.

საზოგადოდ დღესასწაულთა წარგზავნისათვის.

რა წესით იქმნება წარგზავნა საუფლოთა და ღვთის მშობლის დღესასწაულებისა? *)

დღესასწაულის წარგზავნას შეუდგებით მწუხრიდან და ვილოცავთ იმ წესით, როგორც თვით დღესასწაულზე უჩენს ტიბიკონი; მაგრამ წარგზავნაზე დღესასწაულის საგალობელთაგან არ უნდა შემდეგნი: მკირე მწუხრი, დიდს მწუხრზე შესლვა, საწინასწარმეტყველო და ლიტის დასდებელი. Cისკრად: სადიდებელი, აღსავალი და სახარება ცისკრისა. გარდა ამაებისა, ყოველივე წესი დღესასწაულისამებრ აღესრულება.

წირვაზე სახარება და სამოციქულო წაიკითხვის დღისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) შაბათს სული წმიდის მოსლვის წინა დღეს (მერვე კვირის წინა დღეს) «აღესრულება ხსენება, ყო-

*) დაახლოებით, რომ გსთქვათ: დღესასწაული წარიგზავნება; რომელნიმე მერგესა და რომელნიმე მეცხრე დღეს თვით დღესასწაულის შემდეგ. ამას შევიტყობთ უამნი შემდეგის სიტყვებით: «ამასვე დღესა წარიგზავნების დღესასწაული» (ესა და ეს: ღვთის მშობლისა, ანუ რომელი დღესასწაულის წარგზავნაც იქმნება) წარგზავნა იმიტომ ქვია, რომ ამ აღნიშნულ დღეს უკანასკნელად იქმნება ამ დღესასწაულის საგალობელის კითხვა და ამ გვარის ბატივით გავისტუმრებთ კიდევაც.

ველთა საუკუნიდგან გარდაცვალებულთა, მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა».

2, მწუხრად პარასკევსა და ცისკრად ამა შაბათსა ყოველი-ვე წესი ლოცვისა აღესრულება იმ წესით, როგორც ხორციელის შაბათს აღვსწერეთ; განსხვავება მხოლოდ შემდეგშია: შემ-დეგ მწუხრისა პანაშვიდზე წასაკითხავი საგალობელი თვით ზადიაშვილ სწერია, პარასკევის მწუხრის ბოლოში, აგრეთვე პა-რაკლიტონისაგან, რაც წასაკითხავია საჭირო ამავე დღისათვის ზადიაშვილ სწერია ამავე დღეს, ხოლო უმცირესი ცისკრად არ უნდა.

3, სული წმიდის მოსლვის კვირის მწუხრისა და ცისკ-რისათვის ყოველივე წესი იქიეთ ამავე დღესასწაულის მწუხრ-სა და ცისკარში აღწერილ ტიბიკონით (ზადიაში).

თავი XIX.

(მუხლთ-დრეკის შედეგი სული წმიდის მოსლვის კვირას).

სული წმიდის მოსვლის კვირას, რა წესით აღვას-რულებთ «მუხლთ-დრეკის შ_დეგს», ანუ ტი-რიფის კურთხევის ლოცვას? *)

წირვის შემდეგ, როდესაც ამბიონის ლოცვა წა-იკითხვის, მღვდელი იტყვის: კურთხეულ არს.

*). ამ ლოცვას «მუხლთ-დრეკის შედეგი» ეწოდება, რად-გან დაჩოქებით წასაკითხავი ლოცვები ერთვის შიგ; მაგრამ ტირიფის კურთხევასაც ეძახიან, იმისთვის რომ ამ დღეს ეკლე-სიაში ტირიფის ფურცელს მოაბნევენ იატაკზედ.

მკითხველი დაიწყებს: ამინ, «მეუფეო ზეცათაო», «წმიდაო ღმერთო», «ყოველად წმიდაო» და სხვა.

ითქმის მეცხრე ჟამნი. «ვითარ საყვარელ არიან» ჩვეულებისამებრ და შემდგომი.

შემდეგ «მეუფეო, უფალო, იესო ქრისტე»-სა და პირველ დასაწყისი ფსალმუნისა ითქმის კვერექსი დიდი.

(ჟამნში წასაკითხავი მწუხრის ლოცვებს გარდა კვერექსები და სხვანი ზადიკში სწერია ამავე კვირის ცისკრის ბოლოში).

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს: «რამეთუ შვენის შენდა ყოველი დიდება» და სხვა.

«უფალო ღაღადვყავ»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის 6 მუხლად: ხმა 4 «ყოველად ქებულ ღა საკვირველ იქმნა დღესა» და სხვა (სწერია ამავე დღის «აქებდით»-ის დასდებლად, რომელნიც წაიკითხვის ორ-ორ გზის); დიდება, აწდა და «მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინის მცემელო».

შესლვა სასაკმეელითა და წაიკითხვის: «ნათელი მხიარული», წარდგომა დიდი: «ვინ არს ღმერთ-დიდ, ვითარ ღმერთი ჩვენი» და შემდგომი.

მღვდელი, ანუ დიაკონი იტყვის: მერმე და მერმე მუხლ-მოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ამ დროს ერნი დაიჩოქებენ ყველანი, მღვდელი ალსავალის კარებში დაიჩოქებს და დასავლეთისაკენ მხედველი წაიკითხავს ხმა მაღლად ამ ლოცვას: „უხრწნელო, უბიწოვ, დაუსაბამოვ, უხილავ, მიუწდომელო, განუყოფელო» და სხვა. ამ ლოცვის

დასასრულ იტყვის მღვდელი, ანუ დიაკონი: «შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, აღგვადგინენ» და სხვათა.

მღვდელი იტყვის ასამაღლებელს: «რამეთუ შენი არს მოწყალება და მაცხოვარება».

ამის შემდეგ ითქმის: «ვსთქვათ ყოველთა ყოველითა სულითა» და ასამაღლებელი: «რამეთუ მოწყალე და კაცთ მოყვარე ღმერთი ხარ».

დიაკონი კიდევ იტყვის: «მერმე და მერმე მუხლმოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ».

მღვდელი წაიკითხავს დაჩოქებით მეორე ლოცვას: «უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო, ჩვენო».

ითქმის კიდევ: «შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, აღგვადგინენ» და შემდგომი ასამაღლებელით: «სათნო ყოფითა და მადლითა მხოლოდ შობილისა ძისა შენისათა».

მკითხველი წაიკითხავს: «დაღირს მყვენ ჩვენ უფალო» (ქამნში).

დიაკონი: «მერმე და მერმე მუხლ მოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ».

მღვდელი წაიკითხავს მესამე დაჩოქებითი ლოცვას: «დაუწყვედელად აღმომდინარეო»-ს შემდეგ ითქმის კიდევ: «შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, აღგვადგინენ» და შემდგომი ასამაღლებელით: «რამეთუ შენ ხარ განსვენება სულთა და ხორცთა ჩვენთა» და სხვა; ამაზედევ მოებმის: «აღვუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა» ასამაღლებელითურთ.

წაიკითხვის სტიქარონსა ზედა დასდებელი: «დღეს სასწაულად ყოველთა იხილნეს ენანი» და შემდგომი

თეისის ჩასართავითა. დასასრულ ეიტყვით: აწ განმიტევე, წმიდაო ღმერთო და, შემდგომ მამაო ჩვენოსა ითქმის ტროპარი დღესასწაულისა: «კურთხეულ ხარ შენ ქრისტე ღმერთო ჩვენო».

დიაკონი: «სიბრძნით»!—მღვდელი ჰყოფს განტევებას: «რომელმან მამობრიეთაგან და სალმრთოთა წიალთა წარმოაცალიერა თავი თეისი» (სწერია ამა ლოცვის დასასრულ და კონდაკშიაც).

თავი XX.

რამდენ ჯერ აღვასრულებთ წელიწადში ვასილი დიდის ლიტურგიასს?

წლის განმაელობაში, ვასილი დიდის ლიტურგიას აღვასრულებთ 10—გზის:

1— დიდი მარხვის პირველ კვირას.
2— დიდი მარხვის მეორე კვირას.
3— დიდი მარხვის მესამე კვირას.
4— დიდი მარხვის მეოთხე კვირას.
5— დიდი მარხვის მეხუთე კვირას.
6— დიდ-ხუთშაბათს.
7— დიდ—შაბათს.
8— შობის წინა დღეს ათორმეტზე და ანუ შობას.
9— პირველს იანვარს (ახალ-წელიწად).

და 10—ნათლის-ღების წინა დღეს ათორმეტზე და ანუ თეით ნათლის ღებას.

რით გავიგებთ, რომ შობის და ნათლის-ღების ათორმეტზე არ უნდა ვასილის წირვა და თვით ნათლის-ღებას და შობას უნდა?

ამას გვაცნობებს შემდგომი: თუ შობა, ანუ ნათლის-ღება, დაემთხვევა რომელსამე კვირას, ანუ ორშაბათს, მაშინ უთუოდ დღესასწაულზე (შობის ანუ ნათლის-ღების) ვასილის წირვა უნდა, ხოლო შედეგი ქამნობა (ათ-ორმეტი) გარდაიხდება პირველადვე პარასკევსა, თვინიერ ვასილის წირვისა.

გარდა კვირისა და ორშაბათისა, რომელ დღესაც უნდა დაემთხვევა შობა, გინა ნათლის-ღება, ვასილის წირვა და შედეგი ქამნობა (ათ-ორმეტი) ერთად აღესრულება ყოველ თვის დღესასწაულის წინა დღეს და ამ უკანასკნელ შემთხვევაში თვით დღესასწაულზედ ლიტურგია იქმნება ოქროპირისა.

შედეგი ქამნი (ათ-ორმეტი) შობისა და ნათლის-ღებისა ითქმის იმ წესით, როგორც დიდ პარასკევის ქამნებთათვის აღესწერეთ (ყველა ქამნები და წასაკითხავები სადღესასწაულოში სწერია).

შობის და ნათლის-ღების მწუხრისათვის *).

რა წესით აღვასრულებთ შობის ანუ ნათლის-ღების მწუხრს მაშინ, როდესაც ვლოცულობთ შაბათს, ანუ კვირა სალამოს?

მწუხრს ვილოცავთ ჩვეულებისამებრ: შემდგომ

*) თუ შაბათს, ანუ კვირას არ ემთხვევა შობისა და ნათლის-ღების მწუხრი, მაშინ ტიბიკონი მწუხრისა იხილე სადღესასწაულოში, თვით დღესასწაულის მწუხრში.

დიდი «აკურთხეესი»-სა ითქმის კვერექსი დიდი და წაიკითხვის დაეითნის რიგის კანონი *).

შეფალო ღალადეყაესა ზედა დასდებლებს წაეიკითხაეთ 8 მუხლად: დღესასწაულის სამწუხრო დასდებელთაგან, დიდება, აწდა, ღღესასწაულისა.

შესლეა სახარებითა, «ნათელი მხიარული» და წარდგომა ღლისა; შემდგომ წაიკითხვის საწინასწარმეტყველოებნი და შემდგომი მუხლები წესისამებრ (როგორც სადღესასწაულოში სწერია); დასასრულ ითქმის მცირე კვერექსი ასამალლებელითურთ.

მკითხველი წაიკითხაეს სამოციქულოს თავისი წარდგომით: გალატელთა» თავი ბ, მუხლი იე: «ძმანო, კაცობრივ ვიტყვი ვითარმედ კაცისა დამტკიცებული წიგნი». დასასრული მუხლი კბ: «მოეცეს მორწმუნეთა».

შემდეგ წაიკითხვის სახარება მათეესი თავი იბ, მუხლი ლა: «რქვა უფალმან იგავი ესე, მსგავს არს ხასუფეველი ცათა მარცვალსა მდოგვისასა». დასასრული მუხლი ლვ: «და მოვიდა სახლსა».

მღვდელი იტყვის კვერექსს: «ესთქვათ ყოველთა ყოველნითა სულითა».

---

*) უკეთუ შაბათის მწუხრი არის, მაშინ დავითნი უნდა პირველი კანონი «ნეტარ არს კაცი» სრულიად.

—ეს უკეთუ კვირის მწუხრი არის, მაშინ პირველი კანონის მხოლოდ პირველი დიდება; უკეთუ სხვა დღეს გლოცულობთ დავითნი არ უნდა მწუხრზე.

მკითხველი: «და ღირს მყოფ ჩვენ უფალო მწუხრსა ამას».

მღედელი: «აღესრულოთ სამწუხრო ევედრება ჩვენი».

შემდგომ ასამღლებელისა ითქმის: სიბრძნით!

მკითხველი: გეაკურთხენ და იქმნება განტევება.

ᲨᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

რა წესით აღვასრულებთ ღამის თევით ლოცვას შობის, ანუ ნათლის ღების ცისკრისას ერთად

ᲕᲣᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗ?

«ᲥᲐᲛᲡᲐ ᲚᲐᲛᲘᲡᲐᲡᲐ 10-ᲡᲐ» (ᲩᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲙᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ) ᲘᲛᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲠᲔᲙᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲖᲐᲠᲔᲑᲘᲗ.

მედელი შეიმოსება ორარითა და ფილონით, ხოლო დიაკონი სტიხარითა და გინგილით.

დიაკონი გაიღებს სამეუფო კარებს, გამოვა, დასდგება ამბიონზე და იტყვის: გეაკურთხენ მეუფეო.

მღედელი: «კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე». (ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ მღედელი მიიღებს საცეცხლურს, დიაკონი გაუძღვება სანთლითა და იქმნება კმეა სრულიად ეკლესიაში).

მკითხველი დაიწყებს: ამინ, დიდება შენდა, წმიდაო ღმერთო, ყოველად წმიდაო, მამაო ჩვენო ო>

ითქმის დიდ სერობის ყამნიც*): «ჩუენთანა ეარს ღმერთი» და სხვანი ჩვეულებისამებრ.

შემდგომ პირველი «წმიდაო ღმერთო»-სა და «მამაო ჩვენო»-სა ნაცელად «განანათლენ თვალნი ჩვენნი»-სა ითქმის ტროპარი დღესასწაულისა. [illegible]

შემდგომ მეორე «წმიდაო ღმერთო»-ს და «მამაო ჩვენო»-სა, ითქმის კონდაკი დღესასწაულისა და შემდგომი ჩვეულებისამებრ («ზეწუალენ ჩვენ [illegible] ლო» არ უნდა).

«დიდება მაღალი»-ს შემდეგ წაიკითხვის «ლიტანია»-ზედა დასდებელი დღესასწაულისა**) ნიტიერონსა ზედა დასდებელნი წაიკითხვის დღესასწაულისა თვისის ჩასართავითა.

შემდგომ «აწ განმიტევე» და «მამაო ჩვენო»-სა ითქმის ტროპარი დღესასწაულისა ვ-გზის ნაცვალ ექმნება პურის კურთხევა ჩვეულებისამებრ.

შემდეგ ითქმის: «იყავნ სახელი უფლისა» (3-გზის), «ეაკურთხო უფალი ყოველსა ქვეყანასა», «არა ნაცელ ულენ იქმნენ ყოველისაგან კეთილისა»-მდის.

---

*) შობა და ნათლის-ღება, რომელ დღესაც უნდა შეხვდეს დიდი სერობის უამნი ჯნდა წავიკითხოთ უთუოდ ამ ადგილს. ხარების ცისკარზედაც ამ ორთა დღესასწაულთა ზეგავსად ითქმის დიდი სერობა, მაგრამ, უკეთუ ხარება ემთხვევა რომელნიმე კვირას, ანუ ორშაბათს, მაშინ დიდი სერობა არ უნდა.

**) ლიტის წაკითხვაში იქმნება განოსლვა «ყარის ბჭეშა» და შემდგომ ლიტის დასდებელის წაკითხვისა ითქმის „აცხონენ“ და შემდგომ იქნება წესი ჰურის კურთხევისა, რომელნი წინათ ავსსენით ბზობის დღესასწაულთან.

მღედელი: «კურნეეა უფლისა თქვენ ზედა, მისითა მადლითა და კაცთ-მოყყარეობითა ყოველადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მკითხველი წაიკითხავს ექვს ფსალმუნს: «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა» და შემდგომი წესი იქმნება როგორც ჩვეულება არის ცისკრის ლოცვისა.

საზოგადო წესი დღესასწაულებთა ცისკრისა.

რა წესით ვილოცავთ შობის, ნათლის-ღების, ანუ რომელიმე საუფლო, გინა ღვთის მშობლის დღესასწაულთა დღეების ცისკარს?

შემდგომ ექვსი ფსალმუნისა და დიდი კვერექსისა, ითქმის «ღმერთი უფალსა» ზედა «ტროპარი» დღესასწაულისა (3-გზის) და შემდეგ წაიკითხვის დავითნის რიგის კანონი ჩვეულებისამებრ.

შემდგომ პირველი და მეორე ფსალმუნებისა, ითქმის მცირე კვერექსი და წაიკითხვის დავითნის წარდგომები დღესასწაულისა; ითქმის მე-19 კანონი «აქებდით» (ორი ფსალმუნი მხოლოდ *). ამაზედვე

*) «აქებდით»-ს წაკითხვაში მღვდელი გაიღებს სამეუფოკარებს და იქმნება კმევა ჩვეულებისამებრ სრულიად ეკლესიაში; ამ დროს დაიდგმის ამბიონის დაბლა «ანალოღია» და მასზედ დასვენებენ იმ დღესასწაულის ხატს, რომელ დღესასწაულის ცისკარსაც ვლოცულობთ, თუ პირ-და-პირი დღესასწაულის ხატი არ არის ეკლესიაში, მაშინ მაცხოვრის დღესასწაულზე მაცხოვრის ხატს დასვენებენ, ხოლო ღვთის მშობ-

მოვაბამთ დღესასწაულის სადიდებელს: «გადიდებთ შენ ცხოვრების მომცემელო ქრისტე» 2 გზ·ს (ანუ სხვას დღესასაულისამებრ) და წაიკითხავთ გამოკრებულ ფსალმუნს (დავითნის ბოლოში სწერია ყველა დღესასწაულის სადიდებელი და გამოკრებილი ფსალმუნი); დასასრულ ეიტყვით: დიდება, აწდა, ალლილუია (3-გზის) და მესამედ შეუბრუნდებით: «გადიდებთ შენ ცხოვრების მომცემელო ქრისტე» და ითქმის მცირე კვერექსი.

შემდგომ კვერექსისა და ასამაღლებელისა წაიკითხავთ სადიდებელის შემდგომ წასაკითხავ წარდგომას (შემდგომად სადიდებელისა წარდგომა) და ზედვე მოვაბამთ: «სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძანან ძალარა წმიდანი ენებანი» და შემდგომ მუხლებს, რომელშიაც ჩაურთავთ: «დიდება შენდა, ღმერთო, ჩვენო დიდება შენდა (სწერია პარაკლიტონში მერთხეხმის კვირის ანტიფონში).

მღვდელი იტყვის: მოხედენ! სიბრძნით.

მკითხველი წაიკითხავს სახარების წარდგომას (სადღესასწაულოში).

მღვდელი: უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელნი: უფალო შეგვიწყალენ.

მღვდელი: „რამეთუ წმინდა ხარ შენ ღმერთო

ლის დღესასწაულზე ღვთის მშობლისას და მებრვე სხვათა, და როცა მკითხველი იტყვის: «გადიდებ შენ ცხოვრების მომცემელო ქრისტე» (ანუ სხვას დღესასწაულისამებრ), მაშინ მღვდელი უკმევს ანალოგიაზე დასვენებულ ხატს.

ჩვენო, და რომელი წმიდათა მოგრიხ ბანისვენებ» და
შემდგომი.

წაიკითხვის საეკლესიო სახარება დღესასწაულისა.

შემდგომ სახარებისა ითქმის: «მიწყალეო» (50
ფსალ), დიდება: მამასა და ძესა, და წაიკითხვის: «მიწ-
ყალეს» შემდეგ წასაკითხაი «დასდებელი» (იქვე ჩჩვე-
ნებს ტიბიკონი რომელიც უნდა წაიკითხო).

აქის შემდეგ დიაკონი წაიკითხავს: «აცხოვნე
ღმერთო ერი შენი» (მაცხოვრის ხატის წინაშე, და
თუ დიაკონი არ არის, მღვდელი კითხულობს ტრა-
პეზის წინ). მღვდელი იტყვის «ასამაღლებელს», ხო-
ლო მკითხველი დაიწყებს საგალობელს. *)

საგალობელი საზოგადოდ 14 მუხლად: ოთხდე-

*) საგალობელი დაიწყება თუ არა, მღვდელი გამოვა
აღსავლის კარებით, მოვა ანალოღიასთან, სადაც ასვენია ხატი
დღესასწაულისა, დაიწერს ჯირს-ჯვარს, ემთხვევა ხატს და იცა-
ხებს ზეთს შუბლზედ; შემდგომ სცხებს დიაკონს, უეთუ სხვა
მღვდლებიც არიან, მოვლენ ისინიც და იცხებენ ზეთსა თავიან-
თის ხელით. შემდეგ ლოცვის მსმენელნი მოვლენ თითოეულად,
პირველად ემთხვევიან ხატსა და შემდეგ მღვდელი სცხებს მათ
ზეთს შუბლზე შემდგომის სიტყვებით: «სახელითა მამისათა და
ძისათა და სულისა წმიდისათა.

ზეთის ცხება ტიბიკონის ძალით „დიდება მაღალის» შემ-
დეგ უნდა, მაგრამ რადგან ამ დროდან ლოცვის დასრულებამ-
დი ვერ მოასწრებენ ზეთის ცხებას, ამისთვის საგალობელის
დასწყისშივე იწყებენ.

ბა». «დასაფარებად» თვისივე სძლის პირი წაიკითხ
ვის.

შემდგომ მესამე გალობისა ითქმის მცირე კვე-
რექსი და შემდგომ წაიკითხვის მესამე გალობის ბო-
ლოში ნაჩვენები წარდგომა.

შემდგომ მეექვსე გალობისა წაიკითხვის კონდა-
კი და იკოსი დღესასწაულისა და მოვიხსენებთ
თვენს.

მეცხრე გალობაზე «უპატიოსნესსა» არა ვგა-
ლობთ; არამედ ითქმის ჩასართავი დღესასწაულისა
(მეცხრე გალობაზე ყველა დღესასწაულებს უწერია).

ჩასართავებს ჩაურთავთ მეცხრე გალობაში 14
მუხლის ანგარიშისამებრ; დასასრულ ცხრა ვალობისა
ვიტყვით პირველ ჩასართავს და წავიკითხავთ მეცხრე
დასაფარებელს (კატავასიას).

მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს (ასამაღლე-
ბელით).

წავიკითხავთ დღესასწაულის «განმანათლებელს»
და შემდგომ «აქებდით»-ს (ქამნში).

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის დღესას-
წაულისა, «დიდება მაღალი» ითქმის გრძლად; შემ-
დგომ წმიდაო ღმერთოსა ტროპარი დღესასწაულისა
1-გზის, *) კვერექსი: შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო»,

*) უკეთუ წმიდის დღესასწაული არის, მაშინ დიდება მაღალის შემდეგ 5-გზის წმიდაო ღმერთოს დასასრულ ტროპარი წაიკითხვის წმიდის დღესასწაულისა ერთ გზის; ითქმის დიდება, აწდა და ღვთის-მშობლისა (წმიდის ტროპარის ხმით გამორ-ჩეული რა უამს ლოდიანში).

«აღვუსრულოთ საიკრო ვედრება ჩვენი უფალსა», შემდეგ ითქმის სიბრძნით! ბეაკურთხენ, და იქმნება ბანტეეება დღესასწაულის ჩამოლოცვისამებრ (ითქმის ქამნი პირველი).

თ ა ვ ი XXI.

ღვთის-მშობლის ხარების დღესასწაულისათვის.

როდის ვდღესასწაულობთ ღვთის-მშობლის «ხარების» დღესასწაულს და აგრეთვე ამ დღის ტიპიკონი ერთგვარად უნდა ყოველთვის თუ იცვლება რამე შემთხვევით?

ხარების დღეს ვდღესასწაულობთ 25 მარტს, რომელიც დიდი მარხვის მესამე შვიდეულის ხუთშაბათიდან დაწყებული, ვიდრე პასექის ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათამდის დროგამოშვებით ყველა დღეებს შეხვდება. ამ დროს განმაღლობაში მრავალს სხვა და სხვა შესანიშნავ დღეებს დაემთხვევა ხარება; მაგალითებრ: მესამე კვირას ჯვარის თაყვანისცემისას; —მეხუთე შვიდეულის ხუთშაბათს, რომელსაც ანდრია ქრიტელის დიდი საგალობელი აქვს; —დაუჯდომლობის შაბათს; —ლაზრობის შაბათსა; —ბაიაობის კვირას; —ვეების შვიდეულ დღეებს; —თვით აღდგომის დღეს და სხვათა.

ამისთვის, ეს სხვა და სხვა დღეები, სხვა და სხვა გვარად სცელის «ხარების» მწუხრის და ცისკრის

ტიბიკონს (იმ დღის შედარებით, რომელ დღესაც ემთხვევა იგი). ამათთვის ტიბიკონი სწერია მარხვნის ბოლოში.

შენიშვნა. რადგან ეგზარ ამ ზემო-ნაჩვენებ დღეებისათვის ცალ-ცალკე ტიბიკონის აღწერა მიუტოლებელ-საჭიროებასა შეადგენს და შრომას კი მეტს თხოულობს ამისთვის აქ აღვწერთ მხოლოდ საზოგადო ტიბიკონს ერთი რომელიმე შვიდეულის დღისათვის (კარდ შაბათისა და კვირისა).

ხარების მწუხრისათვის

რა წესით ვილოცავთ ხარების მწუხრს მაშინ, როდესაც ემთხვევა იგი დიდ მარხვის ერთ რომელიმე შვიდეულის დღეს?

ხარების წინა დღეს ყოველი წესი ყამნობათა (შეა დღის ლოცვისა) იქმნება ჩვეულებისამებრ დიდის მარხვისა.

შემდგომ პირველ-დასაწყისი ფსალმუნისა (დიდი აკურთხევისა) ითქმის დიდი ევერექსი *).

«უფალო ღაღად-ვყავ»-სა ზედა დასდებელს წაიკითხავთ 10—მუხლად: მარხვნის დღის «თვითხმოვანი» 2-გზის (სტიქარონის მუხლიდან) და მარხვნისა მუხლი 3 (უფალო ღაღად ვყავის დასდებელთაგან) და ხარების დღესასწაულისა მუხლი 5 (სამი

*) მწუხრში დიდი კვერექსის შემდეგ დაგითნი არ უნდა გარდა შაბათისა და კვირისა.

მუხლი სწერია და ხუთ მუხლად ვაკეთებთ); დიდება, აწდა, დღესასწაულისა: «მოიცლინა ზეცით გაბრიელ».

შესლვა: «ნათელი მხიარული», «წარდგომა» და საკითხავნი დღისა 2: შექმნათა და გამოსლვათა და დღესასწაულისა სამი:

1, შექმნათა: «განვიდა იაკობ ჯურღმულისა მისგან ფიცისა».

2, წინასწარმეტყველება ისაიასი: «ამას იტყვის უფალი».

და 3, იგავთა: სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი».

ამ საკითხავთა შემდეგ ითქმის «წარემართენ ლოცვა ჩემი»; სხვა ყოველი წესი იქმნება პირველ შეწირულისა ჩვეულებისამებრ.

როდესაც არ არის პირველ შეწირული.

როდესაც ხარების წინა დღეს არ სრულდება პირველ შეწირულის ლიტურგია, მაშინ «უფალო ღაღად ვყავ»-სა ზედა დასდებელს წაიკითხავთ 8—მუხლად, ითქმის: მარხვნის დღისა მუხლი 3 და ხარების დღესასწაულისა მუხლი 5; დიდება, აწდა, დღესასწაულისა: «მოიცლინა ზეცით ბაბრიელ».

შემდგომ შესლვისა ითქმის: „ნათელი მხიარული», წარდგომა და წაიკითხვის საკითხავნი დღისა და შემდეგ დღესასწაულისა 3, (ესთქვათ ყოველთა არ ენდა); შემდეგ—«დაღირს მყენ ჩვენ უფალო» და ითქ-

შის «ალეუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა». სტიქარონსა ზედა დასდებელი წაიკითხვის მარხვინის დღის «თვით ხმოვანი» 2-გზის და მოწამეთა, დიდება, აწდა, დღესასწაულისა: «დღეს სიხარული ხარებისა».

შემდგომ ამისა ითქმის: «აწ განმიტევე», წმიდაო ღმერთო, ყოველად წმიდაო და შემდგომ მამაო ჩვენოსა ტროპარი დღესასწაულისა (1-გზის).

მღვდელი იტყვის კვერექსს: «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა» და შემდგომ იქმნება განტევება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა საკითხვაოთვის: უკეთუ ხარება დაემთხვა რომელსამე შაბათს, მაშინ პარასკევს მწუხრად საწინასწარმეტყველონი წაიკითხვის მირველად დღისა და შემდეგ დღესასწაულისა ხუთნი:

1—«და შეეიდა მოსე მთასა მას».

2—«უფალმან დამამტკიცა მე».

3—«განეიდა იაკობ ჯურღმულისა მისგან ფიცისა».

4—«ამას იტყვის უფალი, იყოს მერვეთ დღიდგან»

5—«სიბრძნემან ეშენა თავისა თვისისა სახლი».

ამის მზგავსად წაიკითხვის კიდევ 5 საკითხავნი შაშინ, როდესაც ხარება დაემთხვევა კვირას.

ბარდა შაბათისა და კვირისა, როდესაც დიდი მარხვის ერთს რომელიმე შეიდეულის დღეთაგანს შეხვედება ხარება, მაშინ «საკითხავნი» (საწინასწარმეტყველონი, შექმნათა, გამოსვლათა და სხვა) წაიკითხვის 3 მწუხრზე ხარების წინა დღეს და ორი თვით დღესასწაულის წირვაზე.

ხარების ცისკრისათვის.

რა წესით ვილოცავთ ხარების ცისკარს?

«ᲛᲐᲛᲡᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡᲐ *) ᲦᲐᲛᲘᲡᲐᲡᲐ», დაერეკთ ყველა ზარებით და შემდეგ შეეკრბებით ეკლესიაში.

მღედელი დაიკიდებს ორარს, ჩაიცვამს ფილონს და იტყვის: «კურთხეულ არს». და იქმნება კმევა ჩვეულებისამებრ ღამის თევისა (იმ წესით, რაგორც შობისა და ნათლის ღების ცისკრისათვის აღსენიშ).

მკითხველი დაიწყებს: «დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა», და შემდგომ. ითქმის დიდი სერობა: «ჩვენთანა არს ღმერთი», «დღე ესე წარველეთ» და შემდგომი.

შემდგომ პირველი «წმიდაო ღმერთო»-სა და «მამაო ჩვენო»-სა წაიკითხვის ტროპარი დღესასწაულისა: «დღეს ცხოვრებისა ჩვენისა თავი არს».

შემდგომ მეორე გზის «წმიდაო ღმერთო»-სა ითქმის კონდაკი დღესასწაულისაევ: «ᲮᲔᲗᲐ ᲛᲑᲠᲫᲝᲚᲚᲘᲡᲐ ᲩᲔᲛᲘᲡᲐ».

შემდგომ «დიდება მაღალი»-სა წაიკითხვის «ლიტისა ზედა დასდებელი» დღესასწაულისა. («ᲚᲘᲢᲘᲡ» წაკითხვაში გამოვა მღედელი და ეოფს ყოველიეე წესს პურის კურთხევისას ჩვეულებისამებრ, იმ წესით, რაგორც წინეთა გვაქეს აღწერილი პურის კურთხევისათვის).

---

*) ტიბიკონში ცისკრის დაწყებას პირველ ჟამზე (საათზე) უჩენს, მაგრამ როცა ღამისთევით არის ლოცვა, ჩვეულებისამებრ მზის დასვლისას იწყებენ.

დასასრულ პურის კურთხევისა მღედელი შესდგებ-ბა ამბიონზედ და იტყვის: «კურთხევა უფლისა თქვენ ზედა, მისითა მადლითა და კაცთ მოყვარეობითა, ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

ითქმის «ექესი ფსალმუნი» ჩვეულებისამებრ.

ექესი ფსალმუნის შემდეგ «ღმერთი უფალ»-სა ზედა წაიკითხავთ დღესასწაულის ტროპარს: «დღეს ცხოვრებისა ჩვენისა თავი არს» (3-გზის) და წაიკითხვის დაეითნის რიგის კანონი.

შემდგომ პირველი ფსალმუნებისა მცირე ქვერექსი არ უნდა, არამედ წაიკითხვის: პირველი და მეორე ფსალმუნების შემდეგ წასაკითხავი ორიეე წარდგომები მარხვნისა, (იმ მარხვის დღისა, რომელ დღესაც ელოცულობთ).

შემდგომ მეორე ფსალმუნებისა ითქმის კვერექსი მცირე და წარდგომა; დღესასწაულისა: ხმა-1 «დიდი მძღვანი, მხედართა უნივთოთა».

მესამე ფსალმუნების შემდეგ ითქმის კიდეე მცირე კვერექსი და წაიკითხვის წარდგომა დღესასწაულისავე: ხმა 3 «დღეს ყოველი დაბადებული იხარებს».

შემდგომ წაეიკითხავთ მე-19 კანონ დაეითნს (აქებდით) და მას ზედა მოეპაპამთ დღესასწაულის საადიდებელს თვისს გამოკრებული ფსალმუნით ჩვეულებისამებრ

შემდგომ ითქმის «კიდეე კვერექსი მცირე» და წაიკითხვის «შემდგომად საადიდებელისა» წარდგომა: ხმა-4 «გაბრიელ ზეცით გიხაროდენსა»; ამის შემდეგ წაიკითხვის მეოთხე ხმის «აღსავალი» ჩვეულებისამებრ (სიყრმით ჩემითგან).

ითქმის «წარდგომა» სახარებისა ხმა 4: «ახარებდით დღითი დღე მაცხოვარებასა ღვთისა ჩვენისასა» და სხვა.

მღვდელი წაიკითხავს დღესასწაულის სახარებას.

სახარების შემდეგ ითქმის: «მიწყალე» (50 ფსალ.), აგრეთვე დასდებელი ხმა 2 «ახარებს დღეს გაბრიელ», მღვდელი, ანუ დიაკონი იტყვის: «აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი».

შემდგომ ასამაღლებელისა დაიწყებთ საგალობელს.

«ძანრნი» დღესასწაულისა იგალობება სძლისპირით 14 მუხლად (სძლისპირნი ორ-ორ გზის და დანარჩენი მუხლები 12-ათ). დასაფარებად ითქმის დღესასწაულისაევ «სძლის პირნი».

გარდა ამისა ხარების საგალობელს, რომელ გალობაზედაც დახვდება მარხვნის «სამსაგალობელი», იქ დღესასწაულის გალობა წაიკითხვის 6-მუხლად, ხოლო «სამსაგალობელი»-სა 8 მუხლად; «სამსაგალობელი»-ს დასასრულ ითქმის «კატავასია» მარხვნისა.

მცირე კვერექაები ითქმის ჩვეულებრივ ადგილებზე.

შემდგომ მესამე გალობისა წაიკითხვის წარდგომა დღესასწაულისა: ხმა 8 «ანგელოსი უღალადებდა ქალწულ»-სა და სხვა.

შემდგომ მეექვსე გალობისა კონდაკი და იკოსი წაიკითხვის დღესასწაულისა და შემდგომ მოვიხსენებთ თვენს.

მეცხრე გალობაზე «უპატიოსნესსა» არა ვგალობთ, არამედ ვიტყვით დღესასწაულის ჩასართავს: «აუწყებდით ქვეყანა სიხარულსა დიდსა» და წაიკითხვის გალობა მეცხრე.

დასასრულ მეცხრე გალობისა (დასაფარებელ) წაიკითხვის პირველად დღესასწაულის მეცხრე გალობა თვისის ჩასართავით და შემდეგ მარხვნის, საშუალობელის მეცხრე გალობის ბოლოში, ნაჩვენებია «კატავასია» (დასაფარები).

შემდეგ ამისა ითქმის კვერექსი მცირე დიდ-ესასწაულის «განმანათლებელი».

აქებდითსა ზედა დასდებელი წაიკითხვის დღესასწაულისა მუხლი 4. «დიდება მალალი» ითქმის მცირე*).

«აღვიესენით»-სა ზედა დასდებელი წაიკითხვის «თვით ხმოვანი» დღისა (მარხვნისა) ჩვეულებისამებრ; დიდება, აწდა, დღესასწაულისა: «იხარებენ ცანი და იშვებენ ქვეყანა» (სწერია მწუხრში ლიტის დასაბამად); შემდეგ ითქმის: «კეთილ არს აღსარება» (1-გზის), წმიდაო ღმერთო, შემდგომ (მამაო ჩვენოსა ტროპარი დღესასწაულისა (1-გზის), კვერექსი: «შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო» და იქმნება ჩამოლოცვა.

შემდგომ ამისა ითქმის ქამნი პირველი «ცანონითა» (რიგის კანონი დაეითნით) და დღესასწაულის ტროპარ-კონდაკით.

ხარების ქამნოგათა და წირვისათვის.

რა წესით იქმნება ხარებას წირვის წინეთ ქამნების ლოცვა შაბათისა და კვირის გარდა?

ხარებას ჩვეულებრიეის წირვის დროზე იქმნება რეკა და შეეკრბებით ეკლესიაში; მღედელი შეემ-

---

* თუ რომელიმე შაბათს დაემთხვა ხარება, მაშინ «დიდება მალალი» ითქმის გრძლად, შემდგომ წმიდაო ღმერთოსა წაიკითხვის ტროპარი დღესასწაულისა (1-გზის), ითქმის კვერექსი; «შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო», «აღესრულოთ საცისკრო ვედრება ჩვენი უფალსა» და იქმნება განტევება.

ზადება წირვისათვის ჩვეულებისამებრ და შემდეგ იტ-
ყვის: «კურთხეულ არსს».

მკითხველი დაიწყებს მესამე ყამნს: «ისმინე, უფა-
ლო, სიმართლისა ჩემისა» ჩვეულებისამებრ.

შემდგომ «მიწყალესა» წაიკითხვის დავითნის რი-
გის კანონი (მარხვისაებრ), დასასრულ კანონისა «ალ-
ლილუია»-სა და დიდებას შემდეგ ითქმის ტროპარი
დღესასწაულისა: «დღეს ცხოვრებისა ჩვენისა თავი
არს», აწდა და ღვთის მშობლისა: «ღვთის მშობელო,
ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი»; მერმე: «წმი-
დაო ღმერთო», «ყოვლად წმიდაო» და შემდგომ
«მამაო ჩვენო»-სა ითქმის კონდაკი დღესასწაულისა:
«ზესთა მბრძოლისა» და შემდგომი ჩვეულებისამებრ *).

მზგავსად ამ მესამე ყამნისა ითქმის:—მეექვსე და
მეცხრე ყამნები ჩვეულებრივი დავითნის რიგის კანო-
ნით (მარხვისამებრ).

შემდგომ «მეუფეო, უფალო, იესო ქრისტე»-სა
წაიკითხვის: «სასუფეველსა» და «ნეტარ იყვნენ»,
«გუნდნი ზეცისა ძალთანი», დიდება, «ბანაკნი წმიდათა
ანგელოსთა», აწდა (აქ მრწამსი დაიტოვება და წირ-
ვაში წაიკითხვის); შემდგომ «გვიხსენ, გვილხინე» და
«მამაო ჩვენო»-სა ითქმის კონდაკი დღესასწაულისა:
«ზესთა მბრძოლისა», უფალო შეგვიწყალენ (40-გზის),
დიდება, აწდა, უპატიოსნესა, სახელითა უფლისათა
გვაკურთხენ მამაო.

---

*) ლოცვა ეფრემ ასურელისა; «უფალო და მეუფეო» არ
უნდა ყამნებზე, არამედ სამ-სამი მეტანია მხოლოდ.

მღვდელი იტყვის: «ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა» და სხვათა (აქ სამი დიდი მეტანია უნდა თვინიერ უფალო და მეუფეოსა).

მკითხველი: ამინ, და წაიკითხავს «წმიდაო საკუთარ»-ს.

მღვდელი გაალებს სამეუფო კარებს და იტყვის: «სიბრძნით! ჩამოიკოცავს მკერდ, დახურავს ისევ კარებს, აღამაღლებს სახარებას და იტყვის: «კურთხეულ არს მეუფება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მგალობელნი: ამინ.

მკითხველი დაიწყებს: «მოვედით თაყვანი ეცეთ» (3-გზის) და წაიკითხავს «პირველ დასაწყის ფსალმუნს».

მღვდელი იტყვის: «დიდ კვერექსს» (დიდი კვერექსის შემდეგ დავითნი არ უნდა).

შუალო ღაღად ეკავსა ზედა დასდებელს წაიკითხავთ 11-მუხლად *); ითქმის: «თვით ხმოვანი» დღისა 2-გზის (მარხვის დღის სტიქარონის დასდებელი), მარხვნისა მუხლი 3, დღესასწაულისა მუხლი 3: ხმა 4 «თვესა მეექვსესა მოიელინა», «ენა რომელი არა იცოდა ესმა», «აჰა დღეს გამოგვიჩნდა» (სწერია დღესასწაულის სტიქარონად) და მთავარ ანგელოსისა მუხლი 3: «გაბრიელ დიდებული», «დიდი საიდუმლო, რომელი»; აქ მეთერთმეტე მუხლზედ ჩაურთავთ: «რომელმან შექმნა ანგე-

*) ტიბიკონის ძალით კვეთა უნდა დაიწყონ დასდებელთა კითხვაში, მაგრამ წინეთ უამნების კითხვაშიაც შესაძლოა კვეთა და ჩვეულებისამებრ ასე ასრულებენ კიდევაც.

ლოსნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა» და წაიკითხვის: «ნათლითა სავსე ხარ მარადის» (ეს სამი მუხლი მთავარ ანგელოზისა. სწერია ამავე დღესასწაულის ცისკრის ბოლოში); დიდება, აწ და, «მოიელინა ზეცით გაბრიელ» (სწერია ამავე დღესასწაულის მწუხრის დიდებას შემდეგ წასაკითხავად).

შესელა იქმნება სახარებითა, წაიკითხვის: «ნათელი მხიარული», წარდგომა და საკითხავნი პირველად დღისა და შემდეგ დღესასწაულისა 2: «და შეეიდა მოსე» და «უფალმან დამამტკიცა მე».

ამ საკითხავთა შემდეგ ითქმის ქვერექსი მცირე და ასამაღლებელი სამწმიდაობისა: «რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო, ჩვენო».

ამის შემდეგ ვიტყვით: «წმიდაო ღმერთო»ს გალობით. წაიკითხვის სამოციქულო და სახარება დღესასწაულისა და შემდეგ იქმნება ლიტურგია ოქროპირისა.

«ღირს არსი»ს მაგიერ ითქმის მეცხრე გალობა დღესასწაულისა: «კიდობანსა მას სჯულისასა».

შესვლად.

როდესაც კვირას, ანუ შეიდეულ დღეებს არ ემთხვევა რომელიმე დღესასწაული, ამ გვარ დღეებზე წირვაში შესვლად «მოვედით თაყვანის ვსცეთ»ს

შემდეგ წაიკითხეის ტროპარნი და კონდაკნი შემდგომის წესით:

ᲥᲕᲘᲠᲐᲡ.

ᲬᲛᲘᲓᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ.

ᲢᲠᲝᲞᲐᲠᲜᲘ: აღდგომის ხმისა, ეკლესიის წმიდისა და თევნის რიგის წმიდისა (ითქმის მეორე წმიდის ტროპარიც თევნისა, უკეთუ აქეს).

ᲙᲝᲜᲓᲐᲙᲜᲘ: აღდგომის ხმისა, ტაძრის წმიდისა, დიდება, თევნის წმიდის კონდაკი, და აწდა, «სასოო და შესაეედრებელო» (თუ თევნს აქეს მეორე წმიდის კონდაკი, მაშინ პირველი წმიდის კონდაკი წაიკითხეის ტაძრის წმიდის კონდაკის შემდეგ და მეორე წმიდის კონდაკი დიდებას შემდეგ).

ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ *).

ᲢᲠᲝᲞᲐᲠᲜᲘ: აღდგომის ხმისა რეა ხმათა, ღვთის მშობლის ტაძრისა, და თევნის წმიდისა (ითქმის მეორე წმიდის ტროპარიც თევნისა უკეთუ აქეს).

ᲙᲝᲜᲓᲐᲙᲜᲘ: აღდგომისა, დიდება, თევნის წმიდისა, აწდა, ღვთის მშობლის ტაძრისა (მეორე წმიდის კონდაკი წაიკითხეის, დიდებას შემდეგ უკეთუ აქეს).

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

ᲢᲠᲝᲞᲠᲔᲑᲘ: დღისა (ორშაბათისა) «ზეცისა მხედრობათა»; ეკლესიის წმიდისა, თევნის რიგის წმიდისა (უკეთუ არის მეორე წმიდის ტროპარიც ითქმის).

ᲢᲠᲝᲞᲐᲠᲘ მაცხოვრის, ანუ ღვთისმშობლის ეკლესიისა (ტაძრისა [illegible] «ზეცისა მხედრობათა» [illegible] თევნის წმიდათა [illegible]) [illegible]

*) კვირას მაცხოვრის ეკლესიაში ტაძრის ტროპარი და კონდაკი არ უნდა შესვლად (რიგი [illegible] ლავრისა თავი მე-2), [illegible] ნის ტროპარ-კონდაკთა მხოლოდ [illegible] და შესაეედრებელო ქრისტეანეთაო».

ქონდაკნი: დღისა (ორშაბათისა), ეკკლესიის წმიდისა, თვენის წმიდისა, დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე», აწდა, «სასოო და შესაეედრებელო».

ქონდაკები: დღისა (ორშაბათისა), თვენის წმიდათა, დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე», აწდა, კონდაკი მაცხოვრის, ანუ ღვთის მშობლის ეკკლესიისა (ტაძრისამებრ).

სამშაბათს.

ტროპარნი: დღისა «ხსენება მართლისა», ეკკლესიის წმიდისა და თვენის წმიდათა.

ქონდაკები: დღისა, ეკკლესიის წმიდისა, თვენის წმიდისა (ითქმის მეორე წმიდის კონდაკიც თუ აქვს), დიდება, «წმიდათა თანა», აწდა და «სასოო და შესაეედრებელო».

ტროპარნი: ტაძრისა, დღისა: «ხსენება მართლისა» და თვენის წმიდისა.

ქონდაკები: დღისა «წინასწარ მეტყველო ღვთისაო», თვენის წმიდისა, (ითქმის მეორე წმიდის კონდაკიც უკეთუ აქვს); დიდება, «წმიდათა თანა», აწდა, მაცხოვრის, ანუ ღვთისმშობლის ეკკლესიისა (ტაძრისამებრ).

ოთხშაბათს და პარასკევს.

ტროპარნი: დღისა (აცხოვნე უფალო ერი შენი), ეკკლესიის წმიდისა, და თვენის რიგის წმიდისა.

ქონდაკები: დღისა (რომელი ამაღლდი), ეკკლესიის წმიდისა, თვენის რიგის წმიდისა, დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე», აწდა, «სასოო და შესაეედრებელო».

ტროპარნი: დღისა «აცხოვნე უფალო ერი შენი», ტაძრისა და თვენის წმიდათა ტროპარნი.

ქონდაკები: დღისა «რომელი ამაღლდი», თვენის წმიდისა, დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე», აწდა და ტაძრისა (კონდაკი).

ხუთ-შაბათს.

ტროპარნი: დღისა, ეკკლესიის წმიდისა[1]) და თვენის რიგის წმიდისა.

კონდაკები: დღისა, ტაძრის წმიდისა, თვენის რიგის წმიდისა, დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე». აწდა», «სასოო და შესაეედრებელო».

ტროპარნი: ტაძრისა, დღისა «მოციქულნო წმიდანო», ნიკოლაოზისა[2]) და თვენის წმიდათა ტროპარნი.

კონდაკები: დღისა, თვენის წმიდათა, დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე» აწდა, ღვთის-მშობლის, ანუ მაცხოვრისა (ტაძრისა მებრ).

შ ა ბ ა თ ს.

ტროპრები: დღისა (წმიდანო დიდებულნო[3]) და თვენის წმიდათა.

კონდაკები: თვენის რიგის წმიდათა, დიდება, «წმიდათა თანა განუსვენე», აწდა, «სოფლისა შემოქმედისა» (თუ თვენს სრულიად არ აქვს ტროპარი, მაშინ ნაცვლად თვენის ტროპარისა ითქმის ტროპარი მიცვალებულთა: «მოიხსენე უფალო».

ტროპარი მაცხოვრის, ანუ ღვთის-მშობლის ეკკლესიისა (ტაძრისამებრ), დღისა «წმიდანო დიდებულნო» და თვენის წმიდათა ტროპარნი (რიგისა).

კონდაკნი: თვენის წმიდათა, დიდება, «წმიდათა-თანა განუსვენე», აწდა, «სოფლისა შემოქმედისა».

---

[1]) სადაც არის ეკკლესია მოციქულისა, იქ ტაძრის ტროპარი და კონდაკი არ უნდა ხუთშაბათს.

[2]) ხუთშაბათს ორი ტროპარი და ორი კონდაკი აქვს: ერთი მოციქულთა და მეორე მღვდელთ-მთავრის ნიკოლაოზისა.

[3]) წმიდის ეკკლესიაში (რომელი წმიდისაც უნდა იყოს ეკკლესია) ტაძრის ტროპარი არ უნდა შაბთს (იხილე დიდი ტიპიკონი თავი 12).

შენიშვნა: შაბათს შესლვად კონდაკი მაცსოვრის და ღვთის-მშობლის ტაძრისა არ უნდა, მაგრამ თუ რომელნიმე დიდი წმიდის დღესასწაული დაემთხვა შაბათს, რომელიც პარაკლიტონის საგალობელს აუენებს, იმ შემთხვევაში დადგება შაბათის დღის ტროპარ კონდაკიც და ამისთვის ამ გვარ დღესასწაულებზე ითქმის აწდს შემდეგ მაცსოვრის, ანუ ღვთის-მშობლის ტაძრის კონდაკი, ხოლო წმიდის ეკკლესიაში: «სასოო და შესაკედრებელო».

როდის არ ითქმის უპატიოსნესი?

წირვაში «ღირს-არს ჭეშმარიტად», ცისკრად «ადიდებს სული ჩემი უფალსა» და «უპატიოსნესა» (მეცხრე გალობაზე) არ ითქმის შემდეგ დღეებში:

1, ლაზარეს შაბათიდან Oომას კვირის ორშაბათამდე (ლაზრობის შაბათს, ბზობას, დიდ-ხუთშაბათს და დიდ-შაბათს «ღირს-არს»-ის მაგიერ წირვაში იგალობება თეით ამ დღეების მეცხრე სძლის-პირი).

2, აღდგომიდან დაწყებული ამაღლებადმდე.

3, ამაღლებიდან ამაღლების წარგზავნამდე.

4, სულის წმიდის მოსლვის დღესასწაულიდან ამავე დღესასწაულის წარგზავნამდე.

5, შობის, ნათლის ღების, ფერის-ცვალების და ჯვართ ამაღლების დღესასწაულთა დღეთაგან დაწყებული მათს წარგზავნადმდე.

შენიშვნა: ამ ზემო ხსენებულ დღეებში «ღირს-არს»-ის ნაცვლად წირვაში ითქმის დღე-

სასწაულის მეცხრე გალობა. გარდა ამისა ეს დღესასწაულები კვირასაც რომ შეხვდეს, აქაღწერილ წესებს ვერ შესცვლის, მაგრამ ამ დღესასწაულთა «შემდგომი დღესასწაული» (დღესასწაულიდან წარგზავნამდი) თუ დაემთხვა კვირას, მაშინ ითქმის ციკვრად «უპატიოსნესსა» და წირვაში «ღირს-არს ჭეშმარიტად».

ესევე წესი ღვთის-მშობლის დღესასწაულთათვის.

ღვთის-მშობლის შობის, ტაძრად მიყვანების, მიგებების, ხარების და მიძინების (მარიამობა) თვით დღესასწაულის და წარგზავნის დღეს ციკვრად არ იგალობება «უპატიოსნესსა», აგრეთვე წირვაში ითქმის «ღირს-არსის» მაგიერ მეცხრე გალობა თვით დღესასწაულისა.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: რომელსაც ეს დღესასწაულები დაემთხვევა კვირას, მაშინ ციკვრში მეცხრე გალობაზე დღესასწაულის ჩასართავი არ ითქმის, არამედ იგალობება «უპატიოსნესი» და აგრეთვე წირვაზედაც ითქმის «ღირს-არს ჭეშმარიტად».

ფსალმუნთა წილი, ანუ ანტიფონი.

«ფსალმუნთა წილი», ანუ «ანტიფონი»: «აკურთხევს», «აქებს» და «ნეტარ იყენენ»-ის მაგიერ ითქმის შემდეგ დღეებში:

1, ბზობას.

2, აღდგომიდან დაწყებული თომას კვირაკემდის (ყოველ დღეს უნდა).

3, ამაღლების ხუთშაბათს.
4, სულის წმიდის მოსვლის კვირას (მეერგასესა).
5, ფერის ცვალებას (6-ს აგვისტოს).
6, ჯვარის ამაღლებას (14-ს სეკდემბერს).
7, შობას (25-ს დეკემბერს).
და 8, ნათლის ღებას (ექვს იანვარს).

უწირავად ყოველივე სამღვდელო შესაბოსლით შემოსვისათვის.

წელიწადში უწირავად შეიმოსება მღვდელი ყოველივე სამღვდელო შესამოსლით ექვსჯერ:

1, პირველს აგვისტოს. } ცისკრად ჯვარის თაყ-
2, თოთხმეტს სეკტემბერს. } ვანის ცემაზე.

3, დიდ მარხვის მესამე კვირას (ცისკრად ჯვარის თაყვანისცემაზე).

4, დიდ პარასკევს (მწუხრად, გარდამოხსნის გამოსვენებაზე).

5, დიდს შაბათს (ცისკრად გარდამოხსნის ეკლესიის გარშემო შაშორონინებაზე).

და 6, აღდგომას (მწუხრზე).

სულის შაბათები.

მოსახსენებლად გარდაცვალებულთა ყოველთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთათვის სხვა შაბათთა შორის განსაკუთრებით არის კიდევ დადებილი შაბათის დღეები წელიწადში ხუთი:

1, ხორციელის შაბათი.

2, დიდ მარხვის მეორე შაბათი.

3, დიდ მარხვის მესამე შაბათი.

4, დიდ მარხვის მეოთხე შაბათი.

და 5, სულის წმიდის მოსლვის კვირის წინა დღე, შაბათი.

საზოგადოთ ქმევისათვის.

ქმევა იქმნების შემდეგთა დროთა შინა:

1, როცა ღამისთევით ელოცულობთ—მწუხრის დასაწყისს შემდეგ მღვდლისაგან ამ სიტყვების წარმოთქმისა: «დიდება წმიდასა და ერთა არსსა», ე. ი. «დიდი აკურთხევს»-ის წაკითხვაში.

2, «შეალო ღალად-ეყაე»-ის წაკითხვაში.

3, «ლიტანიასა ზედა დასდებელთა» წაკითხვაში.

ცისკრად.

4, «შეისმინე»-ს წაკითხვაში (თუ ღამის თევით არ ელოცულობთ).

5, «აქებდით და აუარებდით»-ის წაკითხვაში (სახარების წაკითხვის წინეთ).

6, მეცხრე გალობაზე.

წირვაში.

7, ქვეთის გათავების შემდეგ (დიაკონი აკმევს საკურთხეველში და თუ მღვდელთ-მთავარი არის მწირველი, მაშინ მთლად ეკლესიაშიაც უნდა კმევა).

8, «წმიდაო ღმერთო»-ს შემდეგ (სამოციქულოს წაკითხვაში).

9, სახარების შემდეგ, «შეგვიწყალენ»-ის თქმაში (თუ მიცვალებულის წირვა არის).

10, «რომელი ქერაბინთა»-ს თქმაში.

11, «ღირს არს»-ის თქმაში (საკურთხეველში მხოლოდ, ჯერ მღვდელი აკმევს ასამაღლებელის თქმაში და შემდეგ დიაკონი).

და 12, «აცხოვნე ღმერთო ერი შენი»-ს თქმაში (სამ გზის უკმევს ტრაპეზს და ბარძიმს).

სამეუფო კართა გაღებისა და დახურვისათვის.

სამეუფო კარები გაიღების და აგრეთვე დაიხურვის შემდეგ დროთა შინა:

1, როდესაც დაიწყების ღამის თევით ლოცვა ამ სიტყვებით: «დიდება წმიდასა და თანა არსსა და ცხოველს მყოფელსა და განუყოფელსა». ამ დროს უნდა იყოს აღსავლის კარები გაღებულნი.—კმევის გათავების შემდეგ დაიხურების.

2, როდესაც გათავდება კმევა «უფალო ღაღად ვყავ»-ზე და დასდებელია წაკითხვის შემდეგ იტყვის მკითხველი «დიდება»-ს, მაშინ გაიღება კარნი.—დაიხურვის «ნათელი მხიარულ»-ის შემდეგ, იმ დროდან, როცა მღვდელი ანუ დიაკონი იტყვის: «მოხედენ», «მშვიდობა ყოველთა», «სიბრძნით», (დასასრულ წარდგომისა).

3, თუ ღამის თევით ელოცულობთ, «აწ განმიტევე»-ს შემდეგ, როდესაც ტროპარები წაიკითხვის,

გაიღება სამეფო კარნი და ითქმის: «კურთხეულ უფ-
ლისა თქვენ ზედა მისითა მადლითა და კაცთ-მოყვა-
რებითა ყოველადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუ-
ნისამდე».—შემდეგ ისევ დაიხურება კარნი და წაიკით-
ხვის «ექვსი ფსალმუნი» (თუ ღამის თევით არ ელო-
ცულობთ, ითქმის «სიბრძნით!» დი იქმნება განტევე-
ბა და შემდგომ დაიხურება კარნი).

4, მეცხრამეტე კანონის (აქებდით) დაწყებისას
გაიღების კარნი.—დაიხურვის სახარების წაკითხვის
შემდეგ, როდესაც იწყება საგალობელი.

5, «აქებდით»-ის «დასდებელთა» დასასრულ,
როცა წაიკითხვის «უმეტესად კურთხეულ ხარ», გა-
იღება სამეუფო კარნი.—დაიხურვის «აღუსრულოთ»ის
შემდეგ ჩამოლოცვისა.

6, წირვაზედ: როდესაც დაიწყება «ცხრა ნე-
ტარება» გაიღება სამეუფო კარნი.—დაიხურვის სახა-
რების გათავების შემდეგ.

7, «რომელი ქერაბინთა»-ს დაწყებისას გაიღე-
ბის კარნი.—დაიხურვის შემდეგ ბარძიმ ფეშხუმის
შამოსვენებისა.

8, გაიღება კარნი შემდეგ საიდუმლოს მიღებისა
(ზიარებისა) და დაიხურების შემდეგ წირვის ჩამო-
ლოცვისა.

9, კარნი გაღებულია: ა) ყოველ გვარი პარაკ-
ლისის (მოლებნის და სხვათა) გარდახდაზე. ბ) პატარას
და დიდს (წყლის კურთხევის) აიაზმის გადახდაზე. გ)
დაქორწინების (ჯვარის წერის) დროს, და დ) აღდგო-

მიდან დაწყებილი, ვიდრე თომას კვირიაკის წინადღის (შაბათის) მწუხრის დასასრულამდე.

კრეტსაბმელის შესახებ.

კრეტ-საბმელი გარდახსნილი უნდა იყოს: მწუხრის დაწყებიდან დასასრულადმდე. ცისკრის დაწყებიდან დასასოულადმდე; ათორმეტზედ, რომელიც იქმნების წელიწადში სამჯერ: შობისა და ნათლისღების წინა დღეებში და დიდს პარასკევს.

წირვაზედ: ლიტურლიის დაწყებიდან ბარძიმ-ფეშხუმის შესვენებადმდე. «ქარნი კარნი»-ს თქმიდან, ვიდრე «წმიდა წმიდათა»-ს თქმამდე, წმიდა საიდუმლოს მიღებიდან წირვის დასრულებადმდე.—სხვა დროს კრეტ-საბმელი დახურულია.

(დასასრული).

სარჩევი.

		გვერ.
1.	შაბათის მწუსრი	3
2.	კვირის შუა-ღამის ჟამნი (სამებაანი)	9
3.	კვირის ცისკარი . . .	11
4.	შვიდეული დღეების მწუსრი .	22
5.	შვიდეული დღეების შუა-ღამის ჟამნისა და ცისკრისათვის	26
6.	მეზვერის და თვრისეკელის კვირის მწუსრი და ცისკარი . .	37
7.	უძღების და ხორციელიხ კვირიაკეთა მწუსრი და ცისკარი	41
8.	ხორციელის შაბათი (მიცვალებულთა ხსენება)	45
9.	უველიერის ორშაბათი და სამშაბათი	50
10.	უველიერის ოთხ-შაბათისა და ხუთშაბათისათვის	55
11.	უველიერის ხუთშაბათის მწუსრისა და პარასკევის ცისკრისათვის . .	65
12.	უველიერის პარასკევს შუა-ღამის ჟამნებთა და მწუსრისათვის	67
13.	უველიერის კვირას (ექსორიაობა ადამისა)	69

14. დიდ-მარხვის დასაწყისი: როგორ იღოცება ცისკარი პირველ შვიდეულის ორშაბათს. 74
15. უმცირესის, თვენის და მარხვნის საგალობელთათვის სამ-შაბათის, ოთხ-შათას, ხუთ-შაბათს და პარასკევს . . . 86
16. შეეთუ სრულიად არა გვაქვს წიგნი «თვენი». 89
17. დიდ-მარხვის პირველი ორ-შაბათის შუა-დღის ლოცვა 92
18. პირველ-შეწირულისათვის . . . 100
19. დიდ-მარხვის პირველი პარასკევის მწუხრი. 105
20. დიდ-მარხვის პირველი შაბათი . . 109
21. დიდ-მარხვის პირველი შაბათის მწუხრი და კვირის ცისკარი . . . 111
22. დიდ-მარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შვიდეულის დღეთა მწუხრთა, ცისკართა და ყამნებთა შესასებ . 113
23. დიდ მარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი (სულის შაბათები) . 116
24 შესკლად დიდ-მარხვის მეორე კვირას 121
25. კვირის შემზადება, გამოსვენება და წარგზავნა. 122
26. მეოთხე შვიდეულის ოთხ-შაბათის და პარასკევის საგალობელთა და მწუხრისათვისა 127
27. დიდ-მარხვის მესუთე ოთხ-შაბათის მწუხრი და ხუთ-შაბათის ცისკარი (ანდრია კრიტელის გალობანი) . . 127
28. დიდ-მარხვის მესუთე შაბათი (დაუჯდომლობა) 130
29. შაბათი მეექვსე მარხულისა ლაზარესი 136
30. ბაიობის კვირა, მცირე მწუხრი საზოგადოდ და პურის კუთხვა 139

31. დიდი ოთ-შაბათი წმიდისა ვნების შვიდეულისა. 149
32. წმიდასა და დიდსა სამშაბათსა ცისკრად . 154
33. დიდსა-ოთხშაბათსა ცისკრისა და შუა-დღის ლოცვისათვის . . 156
34. დიდსა სუთ-შაბათსა ცისკრისა და ლიტურ-ღიისათვის . . 159
35. დიდი პარასკევის ცისკრისა და ათ-ოთრმეტთა სახარებათათვის 163
36. დიდსა პარასკევსა ყამნებთათვის (ათ-ოთრმეტის ლოცვა) 167
37. დიდი პარასკევის მწუხრისა და გარდამოსსნის გამოსვენებისათვის . . . 172
38. დიდი შაბათის ცისკრისა და წირვისათვის . 175
39. წმიდასა და დიდსა კვირიაკესა პასექისასა (აღდგომას) . 180
40. აღდგომის ლიტურღიისათვის 189
41. მწუხრი აღდგომისა . . 194
42. ბრწყინვალე შვიდეულის ოთ-შაბათის ცისკარი. 196
43. თომას გაერდის გინსიღვის კვირა . 199
44. წირვისათვის თომას კვირიდან აღდგომის წარგზავნამდის . . 204
45. მწუხრისა და ცისკრის საზოგადო წესი შვიდეულ დღეებში თომას კვირიდან აღდგომის წარგზავნამდის. 205
46. აღდგომის წარგზავნისათვის . . . 211
47. საზოგადოდ დღესასწაულთა წარგზავნისათვის და აგრეთვე შენიშვნა სული წმიდის მოსვლის წინა დღის შაბათისათვის 217

48. მუსლთ-[illegible]ის შედეგი სული წმიდის მოსვ-
[illegible]ს კვირას . . 218
49. რამდენჯერ აღვასრულებთ წელიწადში კასიელი
დიდის ლიტურგიას 221
50. შობის და ნათლის-ღების დღესასწაულთათვის. 222
51. საზოგადო წესი დღესასწაულთა ცისკრისა 226
52. ღვთის მშობლის ხარების დღესასწაულისათვის. 230
53. შესვლად . 240
54. როდის არ ითქმის «უპატიოსნესი»? 244
55. თსალმუნთა წიგნი, ანუ ანტიფონი 245
56. უწირავად ოთვეულიეკე საძღვდელო შესამოსლით
შემოსვისათვის 246
57. სულის შანთები 246
58. საზოგადოდ კმეკვისათვის . 247
59. საშეუფო კართა გაღებისა და დასურვისათვის. 248
60. კრეტსაბმელის შესახებ 250

შეთავრესი შეცდომები

გვერ.	ზ-და სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
4	27	დღეებშია	დღეებშიაც
38	9	«მამაო ჩვენოს»	«მამაო ჩვენო»-სა
48	12	ნეტარიანის	«ნეტარ-არიან»-ის
52	24	«აღვუსრულოთ ვედრება ჩვენი»	«აღვუსრულოთ სატისკრო ვედრება ჩვენი».
62	28	მღვდელი იტუვის:	მკითხველი იტუვის:
64	19	სამ საგალობელი	საგალობელი
78	24	პირველთ	პირველი
102	9	დაადგა მას	დაადგამს
106	3	მუსლი 4:	მუსლი 4 და წმიდისა თეოდორესი მუს. 4:
106	4	(სამი მუს. სწერია და 4 მუს. ვაკეთებთ)	
109	3	შვიდეულის დღეს,	შვიდეულის დღეს სერობაზე.
126	4 ბ 5	ჯვარის წარგზავნა იქმნება ამ მეოთხე შვიდეულისაკე	ჯვარის წარგზავნა იქმნება ამ მეოთხე შვიდეულისაკე პარასკევს.
135	5	უგნოფილების	განეოფილების
141	7	მდგომელი	მგალობელი.
214	1	ტისკრად ოთხშაბათსა	ტისკრად ოთხშაბათსა.